ივანე მეგრელი

რელიგიის ფილოსოფია



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

რედაქტორი: *ვაჟა ებრიშელი,*

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი.

რეცენზენტი: *გივი ხაზალია,*

პროფესორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი.

© ი. მეგრელი, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9940-17-746-0

რედაქტორისაგან

ტექნიკურ მეცნიერებათა დოტორი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ და საქართველოს ეროვნული და ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი ივანე მეგრელი (პაპავა) რამდენიმე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორია. წინამდებარე წიგნი — „რელიგიის ფილოსოფია“ მწერლისა და მეცნიერის ახალი მეცნიერული ნაშრომია. 2010 წელს ივანე მეგრელმა გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი — „რელიგია“, სადაც დამაჯერებლად, სათანადო წყაროების მოხმობით, არსებითად განხილული იყო მსოფლიოში არსებული რელიგიები და მათი განშტოებები, ხოლო ახალ წიგნში — „რელიგიის ფილოსოფიაში“, ავტორი ცდილობს ფილოსოფიური და თეოლოგიური მსოფლმხედველობის საფუძველზე გააცნობიეროს სამყაროს შემოქმედი, უზენაესი არსება, თავისუფალი გონი, რომელმაც შექმნა სამყარო, — სულიერი და უსულო მრავალფეროვნებით, ბუნების გვირგვინი-ადამიანი, სასრული აზროვნებით, რომელსაც შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მიუახლოვდეს შემომქმედს გარკვეული ცნობიერების ამაღლების საფეხურების გავლის შემდეგ.

წიგნში მოტანილია უძველესი რელიგიის წყაროები, რომლის მოხმობით, ავტორი ასაბუთებს ქართველური ტომების უდიდეს ღვაწლს რელიგიის განმტკიცება-განვითარების საქმეში, არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ ცივილიზებულ სამყაროში. ჯერ კიდევ, ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათასწლეულის წინ „ქალდეველებმა“ შექმნეს „ბიბლია“ და ნიადაგი მოუმზადეს შუმერულ კულტურას, რომელსაც მერე სხვები დაეპატრონენ.

ვაჟა ებრიშელი
პოეტი-აკადემიკოსი

რელიგიის ფილოსოფია

სანამ რელიგიის ფილოსოფიას განვიხილავთ, მანამდე მინდა მოკლედ შევეხო თუ რას წარმოადგენს თვით ფილოსოფია და რა კავშირი აქვს რელიგიასთან.

ფილოსოფია არის „მჭერმეტყველება“, „ღვთისმეტყველება“, „სიბრძნის-მოყვარეობა“. ქართული კულტურა და მისი გონითი აზროვნება, შემეცნება დასაბამიდან, ეპოქის შესაბამისად, ყოველთვის წინ მიიწევდა და მაღალ დონეზე იდგა სხვა ქვეყნებთან შედარებით და მაგალითის მიმცემი — კატალიზატორი იყო მეცნიერების განვითარების საკითხებთან მიმართებაში.

პოეზია დიდ როლს ასრულებდა ფილოსოფიური აზროვნების ამაღლების საქმეში. პოეზია საქართველოში ათასწლეულებიდან მოყოლებული დღემდე ყოველთვის მაღალ საფეხურზე იდგა.

ფილოსოფიური აზროვნება, ხალხის გონების განვითარების მთავარი მახასიათებელი ელემენტია და მისი მთავარი მოვალეობაა გაარკვიოს რა არის სამყარო, როგორც მთელი და მთლიანი, რა არის ადამიანის დანიშნულება ასეთ სამყაროში და ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსთან მიმართებაში.

აზროვნება, გონება ყველაფრის ძირია, უსასრულოა, ე.ი. არც საწყისი აქვს და არც ბოლო. ადამიანის გონი ამას ვერ შეიმეცნებს, რადგანაც აზრვნება, გონება — ღვთაებაა.

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ამ უსასრულო აზროვნების, გონების შედეგია, რომელსაც ჩვენ ვერ მოვიაზრებთ, მაგრამ ღვთაება, თავისი თავის შემეცნებამდე მიდის. სამყაროში მიმდინარე პროცესების საბოლოო მიზანი სწორედ ღვთაების თვითშემეცნებაა.

„გონის ფილოსოფიის“ მნიშვნელობის გაგება სწორედ უსასრულო აზროვნების თვითრეალიზაციის და თვითშემეცნების კონტექტსშია შესაძლებელი. გონის შემეცნება, უმაღლესი და უძნელესი შემეცნებაა.

გონებით — გონით დაჯილდოებული არსებაა ადამიანი. ამიტომ ადამიანი „გონის ფილოსოფიის“ ცენტრალური ფიგურაა. გონი მოქმედებაა. თეორიული გონის სხვადასხვა უნარი არსებობს: შეგრძნება, ყურადღება, ჭვრეტა, მოგონების წარმოსახვა, მეხსიერება, განსჯა, მსჯელობის უნარი. თავისთავად გონი თავისუფალია. გონის შემეცნება, უძნელესი შემეცნებაა. „შეიცანი თავი შენი“, არ გულისხმობს თვითშემეცნებას, ინდივიდის, კერძო უნარების, ხასიათის, მიდრეკილების და ა.შ., არამედ ჭეშმარიტების შემეცნებას ადამიანში, როგორც ჭეშმარიტებისა თავისთავად და თავისთვის, თვით არსების, ვითარცა გონის შემეცნებას.

ადამიანის შემეცნება, გონის შემეცნება, სუბსტანციურამდე, თვით გონებამდე ვერ ადის.

სასრული ანუ სუბიექტური გონი და არა მხოლოდ აბსოლუტური გონი — წვდომილი უნდა იქნეს იდეის განამდვილებამდის.

გონის განხილვა, მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტად ფილოსოფიური, როცა იგი გონის ცნებას შეიმეცნებს ანუ, როცა იგი გონს სწვდება, როგორც მარადიული იდეის გამონასახს, მაგრამ საკუთარი ცნების შემეცნება გონის ბუნებაშია.

გონის ყოველივე ქმედება მხოლოდ საკუთარი თავის წვდომაა. შემეცნება გონისა მის აბსოლუტურ უსასრულობაშია.

დიადის აღსრულება ყველას კი არ შეუძლია, არამედ დიად ადამიანებს ძალუძთ და დიადი ადამიანები იშვიათად იბადებიან ბუნებაში.

არის თუ არა ადამიანის სული მარტივი, არამატერიალური ან სუბსტანცია ასეთი კითხვის დასმისას სხვადასხვა ეპოქაში ფილოსოფოსები განიხილავდნენ გონს, როგორც ნივთს, უძრავს, მყარს. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება გამოხატავდეს გონის ბუნებას. გონი არ შეიძლება უძრავი იყოს, პირიქით, გონი არის აბსოლუტურად მოძრავი, იგი წმინდა მოქმედებაა. იგი აბსოლუტურად მარტივი და ამავე დროს სხეულთან მიმართებაში გარეგან მდგომი სულიერი ნივთი კი არაა, არამედ შინაგანად დაკავშირებულია მასთან, ცნების ერთობის ძალით.

ყოველგვარ არსებაში — სული და სხეული ერთობაშია და გონების შემადგენელი ნაწილია, განშორება ხდება სხეულის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ.

ფილოსოფიამ გონი უნდა იზიაროს, როგორც მარადისი იდეის აუცილებელი განვითარება, სიცოცხლის სამყაროში, ყოველივე უკვე შესულია თავის ჩანასახში იდეალური წესით და წარმოიშობა თვით ამ უკანასკნელის მიერ და არა რაიმე უცხო ძალის მიერ.

ჩვენი აზროვნება, რომელსაც ცნება ამოძრავებს, სავსებით ქმედითი რჩება საგნის მიმართ, რომელსაც აგრეთვე ცნება ამოძრავებს.

გონის მთელი განვითარება არის მისი თვითამაღლება თავის ჭეშმარიტებამდე და ე.წ. სულიერ ძალებს სხვა საზრისი არა აქვს, ისინი ამ ამაღლების საფეხურებს წარმოადგენენ.

გონი წარმოგვიდგება როგორც თავისთვის ყოფნას მიღწეული იდეა, რომლის ობიექტსაც და სუბიექტსაც ცნება წარმოადგენს. თუ ძალიან დაწვრილებით განვიხილავთ რა არის გონი, დავინახავთ, რომ იგი არის „მე“, ზოგადი რამ არის. ძველი შუმერული ცივილიზაციის ეპოქაში „მე“ განიხილება როგორც ღვთიური ძალა. შუმე ნიშნავს „შუ“ — „მე“. შუ — კოლხური სიტყვაა და ნიშნავს — ახსოვს,

ახსოვს — წარღვნა. „მე“ ღვთიური ძალაა და იგულისხმება — წარღვნა.

გონი სინათლისებრი აბსტრაქტული როდია, არამედ იდეალურია. გონის სუბსტანცია არის თავისუფლება, სხვისგან დამოუკიდებლობა, თავისთავთან მოძრაობაში ყოფნა. გონი არის თავისთვის მყოფი, საგნად თავისთვის მქონე განამდვილებული ცნება. ცნებასა და ობიექტურობის ერთიანობას ადგილი აქვს გონში.

გონის შესაძლებლობა უშუალოდაა უსასრულო, აბსოლუტური ნამდვილობა.

გონი ფორმისა და შინაარსის ერთიანობაა, ასევე შესაძლებლობისა და სინამდვილის ერთიანობაცაა. აბსოლუტური არის გონი, ესაა აბსოლუტურის უმაღლესი განსაზღვრება. ამ განსაზღვრების პოვნა, მისი საზრისისა და შინაარსის მიწვდომა არის მთავარი, საითკენაც მიისწრაფოდა ყოველი რელიგია და მეცნიერება. ამიტომაა შესაძლებელი სამყაროს შეცნობა.

ქრისტიანული რელიგიის შინაარსი ისაა, რომ იგი ლამობს შეგვამცნობინოს ღმერთი, როგორც გონი, რაც აქ რელიგიაში წარმოდგენას ეძლევა და რაც თავისთავად აღებული არსებაა, მის საკუთარ სტიქიაში — ცნებაში წვდომაა. ეს ფილოსოფიის ამოცანას შეადგენს და არაა ჭეშმარიტად გადაჭრილი და ალბათ, ვერც მომავალშიც გადაიჭრება მრავალი სხვადასხვა მიზეზების გამო.

არაა სწორი, როცა ამბობენ „არსებობენ სასრულო გონები“, გონი არ არის სასრულო, მას აქვს სასრულობა თავისთავში.

მხოლოდ გონის რეალობაა თვით იდეალურობა. ამგვარად, მხოლოდ გონში აქვს ადგილი ცნებისა და რეალობის აბსოლუტურ ერთიანობას.

გონი სასრულიცაა და უსასრულოც. ღმერთი იგივე გონია, გონისათვის ზღუდე არსებობს და არც არსებობს. ღმერთისთვის კი არ არსებობს და აღწევს აბსოლუტურ თავისთვის ყოფნას, თავისთავს ჭეშმარიტად უსასრულოს ხდის.

გონი შეიძლება იყოს სუბიექტური, ობიექტური და აბსოლუტური განვითარების აუცილებლობაა საჭირო. სუბიექტური გონი არაა განვითარებული, ის ჯერ განუვითარებელ ცნებაშია.

სუბიექტური გონის სამი მთავარი ფორმაა: 1. სული, 2. ცნობიერება, 3. გონი.

როგორც სულს, გონს აქვს აბსტრაქტული ზოგადობის ფორმა, ცნობიერებას კი განკერძოებულობის, როგორც თავისთვის მყოფ გონს — ერთეულობის ფორმა.

გონი, ადამიანის საფუძველი — ანთროპოლოგიის საგანს შეადგენს.

სული თავისი სხეულებრიობის უარყოფის გზით მაღლდება. წმინდა იდეალურ იგივეობამდე თავისთავთან იგი ხდება ცნობიერებად, ხდება „მე" თავისთვის და აბსტრაქტული სუბიექტურობაა.

გონი თავისთვის მყოფი გონებაა.

გონი და გონება ისეთ შეფარდებაში არიან ერთიმეორესთან, როგორშიც სხეული და სიმძიმე, ნება და თავისუფლება. გონება შეადგენს გონის სუბსტანციურ ბუნებას. მხოლოდ გონმა იცის, რომ მისი ბუნება გონება და ჭეშმარიტებაა.

სუბიექტურობისა და ობიექტურობის მომცველი გონი — ინტელექტუალობაა.

სულისა და სხეულის კავშირი უცნობია, საიდუმლოა. თუ დავუშვებთ ერთი მეორის მიმართ დამოუკიდებელს, მაშინ ისინი შეუღწევადი იქნებიან ერთმანეთში, როგორც შეუღწევადია მატერია, ერთი მეორის მიმართ.

ზოგიერთი ფილოსოფოსები თვლიან, რომ სული სხეულის ფორებშია და დამოუკიდებელია!!!

მეტაფიზიკა სულს სივრცეში ათავსებდა, გაქრობასაც ვარაუდობდა და დროში ექცეოდა. ზოგი სულს განიხილავდა როგორც ნივთს, უძრავს და მყარს.

ყველა განსაზღვრებები, რომლებიც კი სულს მიეკუთვნება — ნივთობა, სიმარტივე, განუყოფლობა, ერთობა — თავიანთ აბსტრაქტულ გაგებაში ჭეშმარიტნი კი არ არიან, არამედ თავიანთ საპირისპიროში გადადიან სპეკულატური ლოგიკის მეშვეობით. მატერია სიმძიმით იწყება, უფრო მეტად, განუყოფელი მარტივი სინათლით, მატერიალურს არა აქვს ჭეშმარიტება. ძველი ფილოსოფოსები მატერიალურსა და იმატერიალურ ერთიანობას ღმერთში ათავსებდნენ.

გონისა და მატერიის დაპირისპირებულობას, ამ სპეკულატურ გაგებას უპირისპირდება მატერიალიზმი, რომელიც აზროვნებას წარმოგვიდგენს, როგორც მატერიალურის შედეგს. ამას არ ეთანხმებიან ფილოსოფოსები. ისინი ამტკიცებენ, რომ გონს თვითონ მოყავს თავისი თავი თავისთავად — ყოფნიდან, თავისთვის ყოფნაში (ესაა ღმერთი). მატერიალიზმი მაინც წინ წავიდა დუალიზმთან მიმართებაში, რომელიც ცნობს ორ სხვადასხვა სამყაროს, როგორც თანაბრად სუბსტანციურს, ჭეშმარიტს და მოხსნა პირველადი ერთის ეს გაორება.

სული

1. ბუნებითი სული
2. აბსტრაქტულად — მგრძნობელი სული
3. სხეულებრიობაში — ნამდვილი სული.

როგორც სინათლე იშლება უსასრულო რაოდენობის ვარსკვლავებად, ისე ზოგადი ბუნებითი სულიც იშლება ინდივიდუალურ სულთა უსასრულო რაოდენობად...

სული (მისი ზოგადი ყოფიერება) დაიყვანება ძილის მდგომარეობის დონემდე. ასე ჩნდება ბუნებრივი გაღვიძება, სულის მიერ თავისთავის აღმოჩენა.

ბუნებითი სული, საყოველთაო სუბსტანციაა, სული შუაში დგას, ერთის მხრივ, მის უკან მდებარე ბუნებასა და მეორეს მხრივ, ზნეობრივი თავისუფლების სამყაროს შორის.

გონი 1) თავისი სუბსტანციის, ბუნებითი სულის სახით მონაწილეობს პლანეტარულ ცხოვრებაში.

ცალკეული ადამიანის სვე-ბედი არაა კავშირში პლანეტების განლაგებასთან, როგორც ზოგჯერ ასტროლოგები „გვიმტკიცებენ“ ხოლმე.

გონი 2) საყოველთაო სიცოცხლე, როგორც ადამიანების, ისევე ბუნების, არის საერთოდ მზის სისტემის სიცოცხლე. დედამიწის სიცხოცხლეს კი ინდივიდუალური ფორმა ენიჭება.

ასტროლოგებმა სამყაროს შეხედეს, როგორც გონის სარკეს იმ მიზნით, რომ შესაძლებლად მიიჩნიეს სამყაროდან გონის ახსნა. ეს თეორია ცრუმორწმუნეობაა იმდენად, რამდენადაც მზის სისტემის პლანეტარული სიცოცხლე, მხოლოდ მოძრაობითი სიცოცხლეა, რომლის განმსაზღვრელი მხოლოდ სივრცე და დროა. ამიტომ არის განსაზღვრული.

სივრცისმიერი და დროისმიერი აბსტრაქტული განსაზღვრულობები გონისათვის, ამ თავისუფალ მექანიზმს მნიშვნელობა და ძალა არა აქვს.

გონი ადამიანის დროსა და სივრცეზე ამაღლებულია და ადამიანის სიცოცხლე განპირობებულია მზის სისტემის სიცოცხლით. დედამიწის დაშორება მზისგან ისეა უზენაესის მიერ განსაზღვრული, რომ ყველა პირობას ქმნის სიცოცხლისათვის.

ასტროლოგების თეორია უარყოფილი უნდა იქნეს. პლანეტების განლაგება ადამიანის გონზე ახდენს გავლენას, მაგრამ არ არის გადამწყვეტი, ბუნებაზე კი ახდენს გავლენას დროის ცვალებადობის მიხედვით.

ადამიანი ყველა გონიერია, ზოგიერთის გამონაკლისის გარდა. მისი განვითარების ოდენობა დამოკიდებულია იმაზე,

თუ განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფება, ზოგიერთი შესაძლებელია არცერთ საფეხურზე არ ასულა.

სული 3. ინდივიდუალურ სუბიექტადაა განერთეულებული. ბუნებითი განსაზღვრულობის განერთეულობა არის ოჯახთა და ერთეულ ინდივიდთა ტემპერამენტის, ნიჭის, ხასიათის და სხვა მოდუსის სახით.

ბუნებითი გონი ადამიანის მოდგმათა ზოგადი სახით აღწევს განსხვავებულობას, რომელსაც განკერძოების ფორმა აქვს.

ინდივიდის თავისებურებას ვანსხვავებთ ბუნებრივი მონაცემების, ტემპერამენტისა და ხასიათის მიხედვით. ბუნებრივ მონაცემებში იგულისხმება ბუნებრივი საწყისები. ამ საწყისებს ეკუთვნის ტალანტი და გენია. ორივე სიტყვა გამოხატავს გარკვეულ მიმართულებას, რომელიც ინდივიდუალურმა გონებამ ბუნებისაგან მიიღო, მაგრამ გენია უფრო მომცველია, ვიდრე ტალანტი. ეს უკანასკნელი ახალს წარმოშობს მხოლოდ კერძოში, გენია კი ქმნის ახალს. საყოველთაოდ ორივე ერთად, თავისი ცნების შემეცნებამდე მისული გონება აბსოლუტურად თავისუფალი აზროვნებაა. აქ იგი ლოგიკური აზროვნების მკაცრ დისციპლინას უნდა დაემორჩილოს. მაგ. თანამედროვე ეპოქაში, ვინც ვაჟა ეგრისელის პოეზიას გაეცნობა, იტყვის, რომ ვაჟა ეგრისელის ინდივიდუალურმა გონებამ ბუნებითი გონი, ბუნებისაგან მიიღო.

სამწუხაროდ, ისტორიამ იცის ბევრი გენია და ტალანტი, რომლებიც ლოგიკურ აზროვნების დისციპლინას არ ემორჩილებოდნენ.

ინდივიდად განსაზღვრულ სულში, განსხვავებულობებს ადგილი აქვს როგორც ცვილებებს ამ ერთ სუბიექტში და როგორც ამ სუბიექტის განვითარების მომენტებს, ვინაიდან

ესენი ერთის ფიზიკურსა და გონითს განსხვავებულობებს წარმოადგენენ.

ზოგადი სული თავისთავს განიკერძოებს. ამით იგი დაპირისპირებაში შედის თავის შინაგან სუბსტანციასთან.

დაპირისპირებით თავისთავთან მაღლდება. განვითარების ეს პროცესი არის განათლება-ჩამოყალიბების შედეგად.

ასაკის ბუნებრივი მიმდინარეობა ბავშვობიდან ამაღლების გზაა, სიბერე კი უკუსვლა.

ახალშობილი ბავშვის ცხოვრება მცენარისას გავს. როგორც მცენარეს ცხოვრებას არა აქვს წყვეტილი საკვებმიმღებლობა, ასევე ბავშვიც თავდაპირველად იკვებება უწყვეტი შენოვით და ჯერ წყვეტილი სუნთქვა არ გააჩნია.

დაბადებამდე ბავშვს ჯერ არა აქვს რაიმე საკუთრივი ინდივიდუალობა. ინდუვიდუალობის, როგორც თავისთვის მყოფის, თავისთავისაგან, როგორც მხოლოდ ყოფიერისაგან განსხვავების აქტი, როგორც უშუალო მსჯელობა („პირველგაყოფა“), ეს სულის გაღვიძებაა. მღვიძარე სულის თავისთვის მყოფობა კონკრეტულად არის ცნობიერება და განმსჯელი ცნობიერების სამყარო გარეგნულად არიან დაკავშირებულნი ერთი მეორესთან.

გონის ბუნებითობა მდგომარეობს იმაშიც, რომ სული გამოღვიძებისას მხოლოდ თავისთავსა და სამყაროს პოულობს.

ძილი. რადგანაც ძილია სულის ნორმალური მდგომარეობა და გამოღვიძება წარმოადგენს სულის მიერ თავისთვის თავისთავისაგან განსხვავებას, ისე დღის სინათლე საგანთა განსხვავებებს საჩინოდ ხდის.

ადამიანი ღვიძილში აზროვნებს, მაგრამ ძილშიაც ბუნდოვნად აზროვნებს.

გონის ყველა ფორმაში, გრძნობაში, ჭვრეტაში თუ წარმოდგენაში საფუძვლად ისევ და ისევ აზროვნება რჩება.

ღვიძილს, როგორც ბუნებრივ მდგომარეობას, მღვიძარე გონის მოქმედებით იღლება და იწვევს ძილს, რომელსაც აგრეთვე საზღვარი აქვს.

შეგრძნება

შეგრძნება არის ინდივიდუალური გონის ჯანსაღი თანაცხოვრება თავის სხეულებრიობასთან. შინაგანი შეგრძნების სისტემა ცალკეულ შეგრძნებებად იყოფა. მაგალითად: სინათლის შეგრძნება, ბგერის შეგრძნება, ცხოველების შეგრძნება ძლიერია, თანდაყოლილი ბუნებითი თვისებაა. შეგრძნების შინაარსი ან გარე სამყაროდან წარმოდგება, ან სულის შინაგანი კუთვნილია. მაშასადამე, შეგრძნება ან გარეგანია, ან შინაგანი. სიცილს ტირილი უპირისპირდება. ცრემლი გულისტკივილის კრიტიკური გამონადენია. ამიტომ სულიერი ტანჯვისას ცრემლები იმდენადვე კეთილისმყოფელია ჯანმრთელობისათვის, რამდენადაც ცრემლებად არდაღვრილი გულისტკივილი შესაძლოა ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის დამღუპველი შეიქმნეს. თვალს ორმაგი დანიშნულება აქვს. ერთის მხრივ, გარეგანი საგნების შეგრძნების, მხედველობის ორგანოა. მეორეს მხრივ, ის ადგილია, სადაც სული ყველაზე უფრო მარტივად ცხადდება, ვინაიდან თვალის გამომეტყველება სულის სწრაფწარმავალ, თითქოს ერთი შეხედვით, დახატულ სურათს წარმოგვიდგენს და სწორედ ამიტომაა, რომ ადამიანები ერთმანეთის შესაცნობად პირველ ყოვლისა, თვალებში ჩახედავენ-ხოლმე. ამ შემთხვევაში ნეგატიური ადამიანის სულის ნათელი იმღვრევა, მოქმედებს თვალის მხედველობაზე და თვალს აღარ შეუძლია იმაზე მიპყრობა, რაც წინ უდგას.

შინაგანი შეგრძნება ამის მოშორებას სიცილით, ტირილით, ან ხმით ახორციელებს. ცბიერმა ადამიანმა ეს შეგრძნება შეიძლება დაბლოკოს, მაგრამ სულიერი შეგრძნების

მექანიზმი იმდენად ძლიერია, რომ ის შეიძლება გამოვლინდეს სახის ფერის ცვალებადობით.

გულისტკივილის შეგრძნების მოხსნა აუცილებელია და ეს შესაძლებელია სიტყვით, მოთქმით, ან სიმღერით.

განსაკუთრებით პოეზიას შესწევს ძალა, ადამიანი გაათავისუფლოს გულისტკივილისაგან. ვაჟა ეგრისელისა და ვლადიმერ ვახანიას შემოქმედება ადამიანს სულიერად აამაღლებს, ის ათავისუფლებს ადამიანს ტანჯვისაგან და ანიჭებს სულიერ სიამოვნებას.

ცნობიერების შემავსებელი მასალა გარე სამყაროა და მისი მიმართება გარე სამყაროსთან, თითქოსდა მიძინებულია, მაგნიტურ ძილში იმყოფება. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი შემეცნების საფეხური დაბალია. განათლებული ადამიანის ცნობიერება მაღალ საფეხურზეა და მას ძალუძს ჭვრეტა, ნათელხილვა მიახლოებულია ჭეშმარიტებასთან. ადამიანი ჭეშმარიტებას მაშინ შეიგრძნობს, როცა სული უერთდება მის შემოქმედს, უზენაეს არსებას — ჭეშმარიტებას ე.ი. ღმერთს. გამოდის, რომ, როცა სული განთავისუფლდება მატერიალური „ტყვეობიდან“, როგორც თავისთავში მყოფი — დამოუკიდებელი, არამატერიალური გონის შემადგენელი ნაწილი გადაინაცვლებს აქაური სივრციდან და უერთდება უზენაეს გონიერების არსს, ე.ი. იქაურობას.

არსებობს მდგომარეობები, როცა სულს ისეთი შინაარსის ცოდნა აქვს, რომლის ახსნას სჭირდება დიდი შემეცნებითი, ბუნებითი ცოდნა.

სივრცე სულს კი არ ეკუთვნის, არამედ გარეგან ბუნებას და სული რომ ამ გარეგანს წვდება, მგრძნობელი სულის, განმსჯელი ცნობიერების, განვითარების უმაღლეს საფეხურზე იმყოფება და მჭვრეტელი სუბიექტისა და სულის ერთიანობა არსებობს.

სუბიექტი ცოდნის უმაღლესი სულიერებას ჭვრეტს.

მჭვრეტელ სულს, როგორც სივრცის, ასევე დროის პირობაზე ამაღლებაც ძალუძს.

ჩვენი ბედ-იღბლის წინასწარი ცოდნა შეუძლებელია, ვინაიდან ძალიან მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება და იქნებოდა მამუხრუჭებელი ძალა, შემეცნების განვითარებისა და საერთოდ ცივილიზაციის განვითარებისა. ადამიანის გონს ძალუძს ამაღლდეს ისეთ დონეზე, რომელსაც საქმე მხოლოდ გრძნობადად ერთეულ საგანთან აქვს, მაგრამ აბსოლუტურ, მარადიული ცნებით, შემეცნებაში ვერ ამაღლდება. შეიძლება მხოლოდ დროზე (აწ და აქ მყოფ) ამაღლდეს.

ადამიანის მაღალი გონის ჭვრეტა, უსასრულობას ვერ ჭვრეტს. ეს მხოლოდ უმაღლეს, ჭეშმარიტ გონს ძალუძს. (ე.ი. ღმერთს)

თვითგრძნობა

მგრძნობელი სუბიექტი არის თვითგრძნობა და ამასთანავე იგი თვით გრძნობაა, მხოლოდ თავის კერძო გრძნობაში.

სულისა და გონის მეცნიერულ განხილვებში ჩვევას გვერდს უვლიან ხოლმე. იმიტომ, რომ ყველა სუბიექტს თავისი მახინჯი ან კარგი ჩვევა აქვს, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით. იგი ყველაზე ძნელად განსხვავებულ განუსაზღვრულობათა საკითხს ეკუთვნის და არავითარი ღირებულება არა აქვს სულიერებასთან მიმართებაში.

სული თავის სხეულებრიობაში არის როგორც ერთეული, თავისთვის მყოფი სუბიექტი, სხეულებრიობა კი ამგვარად, წარმოადგენს მის გარეგნობას, იგი მიმართებაშია მხოლოდ თავისთავთან. სული, როგორც შინაგანისა და მისდამი დაქვემდებარებული გარეგანის, რომელშიც იგი თავისთავს გრძნობს და თავისთავს საგრძნობს ხდის, ფიზიოგნომიკური გამოხატულება აქვს. არის ასეთი გამოთქმა: „ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულიაო“.

თავისთავად, მატერიას სულში ჭეშმარიტება არ გააჩნია. როგორც თავისთვის მყოფი, სული გამოეყოფა თავის უშუალო ყოფიერებას და ამ უკანასკნელს იპირისპირებს სხეულებრიობის სახით, თავისი ყოფიერება დაიპირისპირა. ამ შემთხვევაში დაკარგული აქვს სულის გონის უშუალობის მნიშვნელობა. ნამდვილი სული ჩვეული შეგრძნების და თავის კონკრეტულ თვითობის გრძნობას თავისთავად წარმოადგენს, თავის განსაზღვრულობათა თავისთვის მყოფ იდეალურობას და უსასრულო მიმართებას თავისთავისადმი. ეს არის სულის უფრო მაღალი გამოღვიძება მეორისათვის, ამ აბსტრაქტული ზოგადობისათვის, რამდენადაც სული არის აზროვნება და თავისთვის მყოფი სუბიექტი. ე.ი. ესაა ცნობიერება.

თვითობა — განამდვილებაა სულის აქ არსობაში, მის სხეულებრიობაში და პირუკუ, ყოფიერება თვითობა ანუ „მე“ თავის სხვაში თავისთავს ჭვრეტს და იგი „მე“ თავისთვის ჭვრეტაა. მარტივად რომ ვთქვათ, სული ადამიანური, მიწიერი შეუერთდა უზენაეს სულიერ არსებას, თავის შემოქმედს ის მატერიალური გარსი, რომელშიც იმყოფებოდა, კვდება.

ცნობიერება გონის რეფლექსის საფეხურია. „მე“ არის გონის უსასრულო მიმართებაში დგომა თავისთავთან, მაგრამ,

როგორც სუბიექტური მიმართებაში დგომა, როგორც თავისთავის უეჭველობა.

ბუნებითი სულის უშუალო იგივეობა.

„მე" არის უშუალოდ ნეგატიური მიმართება თავისთავთან. იგი ამდენივე აბსტრაქტული, მარტივი ერთეულობაა.

გონი არის ცნობიერება, არის თვითცნობიერება, რომლისთვისაც საგანს „მე" წარმოადგენს. ამავე დროს, არის ცნობიერებისა და თვითცნობიერების ერთიანობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გონი საგნის შინაარსს ჭვრეტს, როგორც თავისთავს, როგორც თავისთავად და თავისთვის განსაზღვრულს. ეს არის გონების მცნება.

ცნობიერების გონებამდე ამაღლებას სამი საფეხურის გავლა სჭირდება. მესამე საფეხური სიკვდილია.

ცნობიერების ჭეშმარიტება არის თვითცნობიერება. თვითცნობიერება რაღაც საგნისა თვითცნობიერებას წარმოადგენს.

გონმა თავისთავად განსაზღვრა სულისა და ცნობიერების ჭეშმარიტებად, როგორც უსასრულო ფორმა, აღარაა შემოზღუდული და სუბსტანციური ყოვლადობის ცოდნას წარმოადგენს, რომელიც არც სუბიექტურია და არც ობიექტური. აქედან გამომდინარე, გონი საქმეს იწყებს თავისივე ყოფიერებით და მიმართება აქვს მხოლოდ თავისივე განსაზღვრებებთან.

ამიტომ ფსიქოლოგია გონის, როგორც უნარებს, ანუ მისი ფუნქციონირების ზოგად სახეებს, ჭვრეტას წარმოადგენს. მოგონებასა და სხვას განიხილავს მოვლენაში ნდომისა (გულისთქმისა), ნების შინაარსად და გვაძლევს ემპირიულ წარმოდგენას.

თავისუფალი გონი, როგორც ასეთი არის გონება, რომელიც იშლება, ერთის მხრივ, წმინდა უსასრულო ფორმად, შეუზღუდავ ცოდნად და მეორეს მხრივ, იგივეობრივ ობიექტად, რომ ეს ცოდნა თავისთავში მოიცავს ყოველივე ობიექტურობას. მაშასადამე, ობიექტი არ არის გონთან გარედან მომსვლელი და მისთვის უწვდომი რამ. გონი არის სრულებით დაუპირისპირებელი უეჭველობა თავისთავისა.

სული სასრულია იმდენად, რამდენადაც იგი განსაზღვრულია უშუალოდ ანუ ბუნების მიერ.

ცნობიერება სასრულია იმდენად, რამდენადაც საგანი აქვს.

გონი — იმდენად, რამდენადაც (მას საგანი არა აქვს), მას აქვს განსაზღვრულობა თავის ცოდნაში.

ინტელექტუალობა თავისთავს განსაზღრულს პოულობს. ესაა ის, რაც მას ეჩვენება და რისგანაც იგი ამოდის თავის უშუალობაში. მაგრამ, როგორც ცოდნა, ინტელექტუალობა, ამ პოვნილს ადგენს თავის საკუთრად.

ინტელექტუალობის მიზანია, რომ გონება იყოს თავისთვის. მისი შინაარსიც მისთვის გონებითი ხდება. ეს ქმედება შემეცნებაა.

ინტელექტუალობისა და ნების ურთიერთგარჩევაში ხშირად იმ არასწორ აზრს დებენ-ხოლმე, რომ ესენი ესმით როგორც მყარი, ერთიმეორისგან გათიშული არსებულნი. ასე რომ, თითქოს შესაძლებელი იყო ნებების (წადილის, მონდომების) არსებობა ინტელექტუალობის მონაწილეობის გარეშე.

შეგრძნებაში მოცემულია მთელი გონება, გონის მთელი მატერია. ყველა ჩვენი წარმოდგენები, აზრები და ცნებები გარეგანი ბუნების, სამართლიანობის, ზნეობრივისა და რელიგიის შინაარსის შესახებ, ჩვენი შემგრძნობი ინტელექტუალობიდან ვითარდებიან.

გამოდის, რომ ადამიანებმა თითქოსდა თავიანთი განცდებიდან და ვნებებიდან ღმერთები შეიქმნესო. ასეთი ფორმულირება მიესადაგება წარმართულ რელიგიას.

შეგრძნობილის ობიექტივირება მდგომარეობს ჭვრეტაში. შეგრძნებისას ადამიანი მასზე მომხდარ ზემოქმედებებითაა დაქვემდებარებული, მაგრამ მათ ძალას თავს აღწევს, თუკი შეუძლია თავისი შეგრძნებები ჭვრეტის საგნად გაიხადოს. ასე, მაგალითად: ვიცით, რომ თუკი ვინმეს უნარი შესწევს, სიხარულის ან მწუხარების მოზღვავებული გრძნობა, ლექსში გაათვალსაჩინოს. ამით, რაც მის გონს აჭირვებდა, თავიდან

იცილებს, რითაც აღწევს შვებას ან სრულ განთავისუფლებას. ამ შემთხვევაში პოეზიას დიდი როლი ენიჭება შეგრძნების შემეცნებაში მის გათვითცნობიერებაში თავისთავში გონთან მიმართებაში, როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი შეგრძნების შემთხვევაში.

გარეგანი შეგრძნებების შემთხვევაში, მათი მოცილებადობის ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მიემართებიან ისინი ობიექტზე, როგორც მდგრადზე, როგორც გაქრობადზე. ამ განსაზღვრების თანახმად ხუთი შეგრძნება იმგვარად განლაგდება, რომ ერთ მხარეს ყნოსვა და გემო მოექცევა, მეორე მხარეს, ხედვა და შეხება, შუაში კი სმენა. (სითბოს შეგრძნება მეექვსეა) სითბოს შეგრძნება გავლენას ახდენს ამ ხუთ შეგრძნებაზე, მაგრამ არაგადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ყნოსვა და გემო წარმოდგება მატერიის გაქრობის პროცესში. ამიტომ აქ ჭვრეტა დროშია მოქცეული და შეგრძნობილის გადატანაც სუბიექტიდან ობიექტში ხდება.

ხედვა, იდეალურ მიმართებაშია — ფერს შეიგრძნობს სინათლის მეშვეობით, ხოლო ობიექტის მატერიალურ მხარეს ხელშეუხებელს ტოვებს. (გემოს შეგრძნება ხდება როცა ის შეჭამს, მატერიალურ მხარეს ეხება — აქრობს). მაგრამ მატერია არ ქრება, მისგან წარმოებული ენერგია შეგრძნებადი ხდება.

სმენისათვის საგანი მატერიალურად მდგრადი, მაგრამ იდეალურად ქრობადი არის. ბგერაში ყური შეიგრძნობს რხევას. ამ შემთხვევაში შეგრძნების მოცილებადობა ძნელია, ვინაიდან ბგერა წყდება საგანს და ჩვენთან მოდის, რადგანაც ის ეკუთვნის ობიექტს და რხევის პროცესში დამოუკიდებელი არის.

ჭვრეტის ქმედება წარმოადგენს შეგრძნების ჩვენგან მოცილებას, შეგრძნობილის გადაქცევას ჩვენს გარეშე არსებულ ობიექტად.

ჭვრეტის შედეგი აქ მხოლოდ ისაა, რომ იგი შინაგანობის ფორმას, გარეგნობის ფორმად აქცევს. ეს ინტელექტუალობის განმსაზღვრელად, გახდომად გვევლინება.

ამ აბსტრაქტულ გარეგნობაში ცნებას ორმაგი ფორმა აქვს — სივრცის და დროის. ამგვარად, ჭვრეტა შეგრძნებებს სივრცესა და დროში ადგენს.

სივრცე და დრო მარტო სუბიექტური ფორმები კი არ არიან, არამედ ვრცეულობისა და დროითობის ფორმაა, რომელიც იმთავითვე მინიჭებული აქვს თავისთავად მყოფი უსასრულო გონის, მარადი შემომქმედი იდეის მიერ. მჭვრეტელი გონი (ადამიანი) შემომქმედი გონი, შეგრძნების განსაზღვრულობებს ვრცეულობისა და დროითობის აბსტრაქტულ ფორმას ანიჭებს. მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ, სივრცე და დრო ცნების დიალექტიკის ძალით, რომელიც იმანენტურია, თავისთავს მოხსნიან მატერიად.

სივრცე და დრო მხოლოდ სუბიექტური ფორმები არიან ჭვრეტის მიმართებას ცნობიერებასთან შეიძლება ვუწოდოთ გრძნობად ცნობიერებასაც.

ჭვრეტა კი გონებითი უეჭველობით შევსებული ცნობიერებაა. შეიძლება ჭვრეტა უგონოც იყოს, მაშინ ის ობიექტისადმი გარეგანი რჩება.

გონით სავსე, ჭეშმარიტი ჭვრეტა კი საგნის ხალასს — სუბსტანციას წვდება.

ნიჭიერ მხატვარს, მწერალს, ან პოეტს აღსაწერი ყოვლადობა აქვს თვალწინ, ცოცხალ ჭვრეტაში.

ჭვრეტა შემეცნების დასაწყისია.

„ყოველი შემეცნება გაკვირვებით იწყებაო“, — ამბობენ ფილოსოფოსები.

მაგრამ შეცდომა იქნება თუ ადამიანი განვითარების პირველ და მეორე საფეხურს გაივლის და იტყვის ჭვრეტის

უნარი მაქვსო. საგანი ჭეშმარიტად შემცნებული გვაქვს, თუკი მისი უშუალო ჭვრეტა გაგვაჩნია და სრულყოფილი ჭეშმარიტი ჭვრეტა იმას გააჩნია, ვინც აზროვნებამდე ამაღლებულა.

ინტელექტუალობა თავისი ცნების მიხედვით შემეცნებაა, მაგრამ ჭვრეტა შემმეცნებელი ცოდნა არაა, ვინაიდან იგი ჯერ საგნის სუბსტანციის იმანენტურ განვითარებამდე ვერ მიდის.

ხელოვანი თუ პოეტი ნაწარმოების შექმნამდე დაფიქრდება, წარმოადგენს გულით და სულით ჩაუღრმავდება ობიექტს. ამით იწყებს ჭვრეტას და მიდის მის სრულ შემეცნებამდე, მაშინ იქნება ობიექტი განსაზღვრული, სრულყოფილი.

გონება — თავისთავად და თავისთვის მყოფი ჭეშმარიტებაა. გონება ცნების ობიექტურობისა და ზოგადობის მარტივ ერთიანობას წარმოადგენს.

გონი

გონმა თავისთავი განსაზღვრა, სულისა და ცნობიერებების ჭეშმარიტებად. იმ პირველი მარტივი უშუალო ყოვლადობის (სულისა) და ამ ცოდნისა (ცნობიერებისა), რომელიც (ეს ცოდნა) ამიერიდან, როგორც უსასრულო ფორმა, აღარაა შეზღუდული (ცნობიერების) იმ შინაარსით და აღარაა მასთან მიმართებაში, როგორც საგანთან, არამედ სუბსტანციური ყოვლადობის ცოდნას წარმოადგენს, რომელიც ეს (ყოვლადობა) არც სუბიექტურია და არც ობიექტური. აქედან გამომდინარე, გონი საქმეს იწყებს თავისივე ყოფიერებით და მიმართება აქვს მხოლოდ თავისსავე განსაზღვრებებთან.

გონი არის ზოგადი, სრულებით დაუპირისპირებელი უეჭველობა. გონი ღვთის სახედ და ხატად გვევლინება.

ობიექტური გონი

ობიექტური გონი აბსოლუტური იდეაა, მაგრამ მხოლოდ თავისთვის მყოფი. ამის გამო გონი სასრულობის ნიადაგზე დგას, მის ნამდვილ გონებითობას თავის ერთ მხარედ გარეგანი მოვლენადობა აქვს შენარჩუნებული, თავისუფალ ვნებას უპირველესად ის განსხვავებულობა აქვს, თავისთავში უშუალოდ რომ თავისუფლდება. მისი შინაგანი განსაზღვრულობა მიზანია და მიმართებაშია გარეგან, მზად პოვნილ ობიექტურობასთან, რომელიც (ეს ობიექტურობა) გახლეჩილია ერთის მხრივ, ანთროპოლოგიურ საწყისად ცალკეულ მოთხოვნილებათა სახით და გარეგან ბუნების საგნებად, რომლებიც ცნობიერებისთვის არიან. მეორეს მხრივ, ერთეულ ნებათა ურთიერთდამოკიდებულებებად, რომელნიც თავისთვის, როგორც განსხვავებულისა და ცალკეულის

თვითცნობიერება არის. ეს მხარე შეადგენს გარეგანი მასალის ნების აქ არსობისათვის.

სუბსტანციას, რომელმაც თავისთავი იცის, როგორც თავისუფალი და რომელშიც აბსოლუტური ჯერ არსი არის, ამდენადვე არსია ნამდვილობა.

გონის ცნებას თავისი რეალობა გონში აქვს.

რწმენაც ცოდნაა. სუბსტანცია, როგორც ასეთი, რელიგიაა. აბსოლუტური გონის სუბიექტური ცნობიერებაა, თავისთავში აღებული არსებითი პროცესია, რომლის უშუალო და სუბსტანციურ ერთიანობასაც წარმოადგენს სულის წამების მიერ რწმენა, როგორც ობიექტური ჭეშმარიტების უეჭველობა. სუბიექტური გონიდან შობილი კონკრეტული ქმნილება — ეს ჭვრეტაა, ხელოვანისა, როგორც სუბიექტისა.

ჭეშმარიტი რელიგიის, ანუ ისეთი რელიგიის ცნებაში, რომლის შინაარსიც აბსოლუტური გონია, არსებითად ის, რომ იგი გამოცხადებული და, სახელდობრ, ღვთისმიერ გამოცხადებული იყოს, რადგან, რამდენადაც ცოდნა, ანუ ის პრინციპი, რომლის ძალითაც სუბსტანცია გონს წარმოადგენს, როგორც უსასრულო თავისთვის მყოფი, ფორმა, თავისთვის განმსაზღვრელია, ამდენად, იგი სრულებით უპირობოდ და ლიტონად მანიფესტირებაც უნდა იყოს. გონი მხოლოდ იმდენადაა გონი, რამდენადაც იგი გონებისათვის არის, აბსოლუტურ რელიგიაში კი სწორედ აბსოლუტური გონი გვაქვს, რომელიც მხოლოდ თავის ცალკეულ მომენტებს კი აღარ აცხადებს, არამედ თვით თავისთავს.

რელიგია, რომელშიც ღვთისა არაფერი გაცხადებულა, რომელშიც ღმერთს თავი არ გაუცხადებია და რომლის აღმსარებელნიც ამგვარად, „წარმართნი" არიან „რომელთა ღმერთი არა უწყიან".

ღმერთი არის „გონი" და უნდა ვაღიაროთ, ღმერთის თავისთავის გაცხადება. იგი არის საწყისი და ყველაფრის შემოქმედი. ამის მერე ყველა გაუგებრობა, რაც წამოიჭრება ადამიანის ცნებაში მოიხსნება. რაც არ უნდა მრავალი ვერსიები წამოაყენონ და ცდები ჩაატარონ, სხვა ალტერნატივა არ არსებობს და არც იარსებებს.

არსებობს ვერსია სამყაროს შექმნის შესახებ:

1. სამყაროში დიდი აფეთქების შედეგად შეიქმნა მზის პლანეტარული სისტემა, ან გალაქტიკის სისტემა. საკითხავია რა აფეთქდა, რატომ აფეთქდა და ვინ ააფეთქა. ყველა ეს საკითხი პასმუხგაუცემელია. თუ რაიმე აფეთქდა, მაშინ ყოფილა ასაფეთქებელი ნივთიერება და მისი ამფეთქებელიც. გამოდის, რომ ყველაფერი ამის შემქმნელი არის ღმერთი.

2. ელემენტარული ნაწილაკების მაღალი სიჩქარით დაჯახების პროცესი და ახალი ნაწილაკების წარმოქმნა.

ასეც რომ იყოს, ვინ შექმნა ელემენტარული ნაწილაკები?

პირველ და მეორე შემთხვევაში, თუ არსებობდა ასაფეთქებელი ნივთიერება, ან ელემენტარული ნაწილაკები, მაშინ მაინც ღმერთს შეუქმნია. ასე რომ, ღმერთი არის ყველაფრის შემოქმედი, ყოველივე ამას თუ შევიცნობთ, მაშინ ყოველგვარი წინააღმდეგობები მოიხსნება.

ათეიზმის ბრალდება ფილოსოფიის მიმართ ისაა, რომ იგი მეტისმეტად მცირედ შეიცავს ღმერთს. ადრე ხშირად იყო ამაზე საუბარი, ბოლო ხანებში კი იგი იშვიათად გვესმის. მაგრამ დღეს უფრო მეტად გავრცელებულია პანთეიზმის ბრალდება მის მისამართით — მტკიცება რომ ფილოსოფია მას მეტისმეტად უხვად შეიცავს.

ფილოსოფია არის მოძღვრება ყოვლის ერთობის შესახებ.

ინდური რელიგია: კრიშნა იტყვის: „მე მთელი სამყაროს საწყისი და მისი დახსნა (დაშლა) ვარ, ჩემზე უსრულყოფილესი არა არის რა, ჩემზედ ჰკიდია სამყარო, როგორც ძაფზე — მარგალიტთა რიგი“ და ა.შ.....

ბოლოს კრიშნა იტყვის: „სულელთ ხილვადი ვგონივარ — ხილვადი ვგონივარ მე, — უხილავი და წარუვალი“ და ა. შ.

„კრიშნა“ — რელიგია მონოთეისტურია, მაგრამ მასში გონი და თავისთავად და თავისთვის მყოფის იდეა გამორიცხულია. ამიტომ იგი სიცარიელეა.

სხვადასხვა მოსაზრებები და თეორიები ვერ მიდიან ჭეშმარიტებამდე იმიტომ, რომ სუბსტანციას სუბიექტად და გონად ვერ განსაზღვრავენ.

ფილოსოფიას საქმე აქვს ერთიანობასთან, მაგრამ არა აბსტრაქტულ ერთიანობასთან, შიშველ იგივეობასთან და ცარიელ აბსოლუტთან, არამედ კონკრეტულ ერთიანობასთან, ცნებასთან — ერთიანობის უღრმესი და უკანასკნელი განსაზღვრა, აბსოლუტური გონის განსაზღვრაა.

აბსოლუტური გონი ძალად აამოქმედებს, ქმნის თავისთავს და კვდება თავისთვის.

უმაღლესი აზროვნება თავისთავად აღებულია, მიემართება საუკეთესოსკენ.

აზრის საგნის წვდომაში აზროვნება თავისთავს იაზრებს, რადგან თვით იგი მოსაზრებადი ხდება იმით, რომ საგანს ეხება და იაზრებს. ასე რომ, გონება და აზრის საგანი ერთი და იგივეა.

გონების ნამდვილი ქმედება სიცოცხლეა, ხოლო ღმერთი ქმედებაა. მისი ქმედება თავისთავადაა საუკეთესო, მარადი სიცოცხლე. ჩვენ ვამბობთ, რომ ღმერთი მარადი, საუკეთესო ცოცხალი არსებაა. მაშასადამე, სიცოცხლე და გამუდმებული, მარადი მდგრადობა ღმერთი ცოცხლობს, რადგან იგია სიცოცხლე და მარადისობა.

გონი, ვითარცა სული, ბუნებითაა განსაზღვრული.

როგორც ჯანმრთელსა და გონზე მყოფ სუბიექტს, ცნობიერება აქვს.

შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა:

ძველი ფილოსოფოსები დაწყებული არისტოტელედან თვლიდნენ, რომ სამყარო მარადიულია. მართალია, ყველა ისინი თავის დროის დიდი ფილოსოფოსები იყვნენ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ისინი ცდებოდნენ იმიტომ, რომ

სამყარო მატერიალურია და რაც მატერიალურია, ის არ შეიძლება იყოს მარადიული. რაც შეეხება გონს და სულს — არამატერიალურია. ამიტომ ისინი მარადიულია. აქედან გამომდინარე, გონიერება და სულიერება უკვდავია და ღმერთი მარადიულია. ჭეშმარიტება ღმერთია და ღმერთი ჭეშმარიტებაა. ამიტომ იგი სიყვარულია და მთავარი მამოძრავებელი ძალაა სიცოცხლისა და არსებობისა. ლენინი გენიალური მოაზროვნე იყო, მაგრამ ქრისტიანული რელიგიის არსი ვერ გაითვითცნობიერა, მან მიმართა ძალადობრივ მეთოდს და დამარცხდა.

ფილოსოფიის ისტორიაში არსებობს სამი პარალელური მიმდინარეობა — ქრისტიანული, არაბული და ებრაული ფილოსოფია. განვიხილოთ მოკლედ ცალ-ცალკე. როგორც ცნობილია, რელიგიამ წარმოშვა ფილოსოფია, ისევე, როგორც სხვა მეცნიერული მიმდინარეობები.

ფილოსოფიის საგანს პირველ რიგში წარმოადგენს სამყარო, ღმერთი და სული, აგვიხსნას მისი წარმოშობის ისტორია, განვითარება, ადამიანის როლი და მისი დანიშნულება ღმერთთან მიმართებაში. ფილოსოფიამ თეოლოგიასთან ერთად ხელი უნად შეუწყოს რწმენის განვითარებას, ადამიანის სულიერ ამაღლებას, გრძნობადი გონების შემეცნებითი საფეხურების ამაღლება-განვითარებას.

ზემოხსენებული ფილოსოფიური მიმდინარეობები ხშირ შემთხვევებში, ძირითადი საკითხის განხილვისას, ერთმანეთს უპირისპირდებიან. ზოგ შემთხვევაში ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ეწინააღმდეგება რელიგიას. ისინი თვლიან, რომ „არაფრისგან არაფერი იქმნება“, მაგრამ ცდებიან. იმიტომ, რომ ღმერთის მიერ სამყაროს შექმნამდე არაფერი არ იყო და სამყაროს შექმნის წამიდან იწყება მისი დასაბამი, რომლის აღიარებაც არ უნდათ. ეს საკითხი

საკამათოა, მაგრამ კაცობრიობის განვითარების ისტორია პირიქით ამტკიცებს. ლოგიკურია თუ ვიტყვით, დასაბამი თუ არ არის, მაშინ არც დასასრული იქნება, მაგრამ სამყარო მატერიალურია. ამიტომ იგი არამარადიულია, ადამიანის სული და გრძნობა არამატერიალურია. ამიტომ, როცა ის შორდება სხეულებრივ ფორმას, ის ხდება მარადიული. ამ საკითხების ირგვლივ კამათი სამივე ფილოსოფიური მიმდინარეობათა შორის ათასი წლობით გრძელდება. ეს იმიტომ ხდება, რომ ფილოსოფოსები ადამიანური გონების აზროვნების საფუძვლიდან მსჯელობენ და ამ მხრივ, თეოლოგების მსოფლმხედველობა უფრო მაღლა დგას, რადგანაც ისინი გამოდიან ღვთაებრივი აზროვნების შემეცნების საფუძვლებიდან. ზოგ შემთხვევაში ფილოსოფოსები და თეოლოგები ერთმანეთს უპირისპირდებიან.

განვიხილოთ მოკლედ სამივე ფილოსოფიური მიმდინარეობა ცალ-ცალკე. მისი განვითარების ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე და ქართველი ფილოსოფოსების დიდი წვლილი ამ ურთულესი საკითხის დადებითად გადაწყვეტის საქმეში.

ებრაული ფილოსოფია ძირითადად ერყდნობა თალმუდის მსოფლმხედველობას. ამავე დროს, იზიარებენ რაბინის მცნებებსაც.

თალმუდისტებს — რაბინებს გამოუჩნდათ მოწინააღმდეგე ებრაელი კარაიტები.

იუდამიზმის ფისოლოფიამ მიიღო სამი ძირითადი მიმართულება: კაბალისტური, ნეოპლატონური და არისტოტელური.

კაბალისტური ფილოსოფია ამბობს, რომ საღმრთო წერილის იდუმალი აზრი, რომელიც დაფარულია, ღმერთმა გაანდო მოსეს. კაბალისტებს საღრმთო წერილის ტექსტიდან გამოჰქონდათ იდუმალი აზრი და თვითონ უკეთებდნენ ინტერპრეტაციას.

კაბალას შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ნეოპლატონურმა მიმართულებამ.

ებრაელები არაბთა მეშვეობით გაეცნენ ნეოპლატონიზმს და მათი მისტიციზმის გავლენა განიცადეს.

კაბალისტები აღიარებენ სულთა ტრანმიგრაციას — მათ გადასახლებასა თუ გარდასხეულების თეორიას.

ნეოპლატონური მიმართულების წარმომადგენელი იყო ავიცებრონი (ასე უწოდებდნენ მას ქრისტიან სქოლასტიკოსები).

ავიცებრონი ღვთაებრივ ნებას მიაწერს სამყაროს შექმნას. ღვთაებრივი ნება ღმერთის შემოქმედებითი სიტყვაა, რომელიც თავის თავში შეიცავს ყოველგვარი ყოფიერებათა თუ მოძრაობის უზენაეს საფუძველს.

ებრაული ფილოსოფიის მესამე მიმართულება მიზნად ისახავდა არისტოტელეს მოძღვრების მეშვეობით, მეცნიერულად

დაეფუძნებინა ებრაული რელიგიური დოგმები, რისიც დიდი წარმომადგენელი იყო მოსე მაიმონდი. მისი მთავარი ნაწარმოებია „გზააბნეული მოძღვარი“. ის ცდილობს ფილოსოფიურად გაამართლოს იდეური რელიგიის დოგმები.

მაიმონდი ამ ნაწარმოებში განიხილავს სამყაროს მარადიულობისა და სასრულის საკითხს. იგი ამბობს: — სჯული გვასწავლის, რომ სამყარო არაფრისგან შექმნა ღმერთმა და ამიტომ მას დასაბამი აქვს, არისტოტელეს მოძღვრება კი პირიქით ამტკიცებს, რომ სამყარო მარადიულია. ამნაირი მტკიცება საფუძვლიანი იქნებოდა მაშინ, როცა ბუნებრივ მიზეზს ეხებოდეს. ამნაირი მიზეზი კი გულისხმობს მატერიას. (ამ საკითხში არისტოტელეს მოძღვრება არასწორია, ავტორის კომენტარი).

მაიმონდს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჰპოვა აღიარება.

არაბული ფილოსოფია ეყრდნობა ყურანის წმინდა მოძღვრებას. თეოლოგიურ ფილოსოფიამ დოგმატური ხასიათი მიიღო. ღვთისმეტყველების მოძღვარნი მუთეკალემინებად — „კელამის“ მასწავლებლებად იწოდებოდნენ. შემდეგ მათ გამოეყვნენ მუთაზილიტები, რომლებიც არ იზიარებდნენ ყურანის ზოგიერთ შეხედულებებს.

არაბებმა სირიელ ქრისტიანთა მეშვეობით გაიტანეს არისტოტელეს ფილოსოფია.

არაბული ფილოსოფია აღიარებდა, რომ რელიგია თავისთავად ფლობს ჭეშმარიტებას, სარწმუნოება ხატებათა გარსში აქცევს მას, რადგანაც ხალხისთვის ის მხოლოდ მაშინაა მისაწვდომი, როცა სიმბოლოების საბურველში ეხვევა. რელიგია მარტოოდენ ხალხისთვისაა განკუთვნილი, რადგანაც მას არ გააჩნია შემეცნების არავითარი სხვა წყარო სარწმუნოების გარდა, ფილოსოფიამ არ უნდა ხელჰყოს რელიგიის საფუძვლები. ბრძენი კაცი მხოლოდ გონების ხმას უწევს ანგარიშს, მაგრამ სწორედ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ხალხში სარწმუნოების შენარჩუნებას, ფილოსოფია მარტოოდენ ბრძენკაცთა წრით უნდა შემოიფარგლოს: ის საწამლავი იქნებოდა ბრბოსათვის.

ყურანის აპოლოგეტებს მუთეკალემინების აზრით, არისტოტელიკოსები მწვალებლები იყვნენ და ისე უყურებდნენ მათ, როგორც ერეტიკულ სექტას.

არაბულ-არისტოტელური ფილოსოფიის ფუძემდებლად ითვლებიან ალ-ქინდი, ალ-ფარაბი და სიბრძნისმეტყველი ავიცინა. ავიცინა 21 წლის იყო, როცა ორიგინალური შრომები მიუძღვნა მედიცინას და ფილოსოფიის პრობლემებს. მას

მეტისმეტად უყვარდა ღვინო და სიკვდილიც დაუჩქარა. 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. ავეცინა განასხვავებდა ორგვარ გონებას — ადამიანურს და ღვთაებრივს. ის ამბობდა: სამყარო რთული ყოფიერებაა და უნდა არსებობდეს. პირველი მიზეზი მისი წარმოქმნისა და ეს აუცილებელი მიზეზი არის ღმერთი. ღმერთი მარადიულია თავისით და თავისთავად. ქმედითი გონება თავისთავში შეიცავს გრძნობად საგანთა ყველა ფორმას, რომლებიც ოცნების მიერვე შექმნილ მატერიაში ისხამენ ხორცს.

ღმერთია მთელი სამყაროული სისტემის პირველი წყარო და სამყაროს საბოლოო მიზანიც.

ადამიანის სულის, როგორც სხეულის არსებითი ფორმის გაგებაში ავეცინა მთლიანად ეყრდნობა არისტოტელეს.

ავეცინა მხოლოდ პოტენციალურ გონებას მიაწერს სულს, როგორც მის ძირითად ძალმოსილებას. აქტუალური გონება კი ავეცინას აზრით, ინდივიდუალური სულისაგან განმხოლოებული, თვითმყოფი და თავისთავადი საწყისია.

არ არსებობს ეგრეთწოდებული ინტელექტური მეხსიერება, რადგანაც მეხსიერება არსებითად ხორციელ ორგანოსთანაა დაკავშირებული. პოტენციალურ გონებას სულ უფრო და უფრო მეტად უვითარდება უნარი შემეცნების.

მისტიური შემეცნება ის უმაღლესი საფეხურია, რომელსაც შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა. მისტიური შემეცნება ადამიანისათვის მისაწვდომია მხოლოდ მაშინ, თუ სული სათანადოდ მომზადებულია საამისოდ, ზნეობრივად წმინდა და უმწიკვლო ცხოვრებით. მისტიური ნათელი ფენა, ქმედითი გონებისაგან რომ იღებს დასაბამს, ღირსეულსა და წმინდა სათავსს მოითხოვს მისი გამოცხადების აღსაქმელად. თუ ეს პირობა დაცულია, მაშინ ქმედითი გონების მეშვეობით სულს შეუძლია ამაღლდეს უჩვეულო შემეცნებამდე.

ავეცინა გადაჭრით აღიარებს სულის უკვდავებას და ამის დასასაბუთებლად მის არამატერიალურობას იმოწმებს. პირიქით კი, სხეულთა აღდგომა, როგორც ამას ყურანი ასწავლის მორწმუნეებს, მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით შეიძლება გვწამდეს, ფილოსოფიურად ეს დებულება ყალბია.

არაბული ფილოსოფია გაიფურჩქნა ესპანეთში. (X საუკუნე) ფილოსოფოსი ავეროესი არისტოტელეს თხზულებების კომენტირებას აკეთებდა. ასევე წერდა თხზულებებს — „უარყოფათა უარყოფა“, „სულის ნეტარებისათვის“, „რელიგიისა და ფილოსოფიის თანხმობისათვის“ და სხვა. ის თვლის, რომ გზა, რომელიც სრულქმნილებისკენ მიგვიძღვის, ფილოსოფიის შესწავლა გახლავთ. ავეროესი უარყოფს მისტიურ გზას. მხოლოდ მეცნიერებას მივყევართ მიზნისკენ. მაგრამ აქ აუცილებელია მუდმივი და მოუღლელი გონებრივი შრომა. ამიტომ უზენაესს მარტოოდენ უდიადესი გონება თუ ეზიარება და ისიც მხოლოდ ხანდაზმულობისას. თუმცა უზენაესი რომ ყველასათვის მისაწვდომი იყოს, მაშინ ის უზენაესიც აღარ იქნებოდა. აი, რატომ არის ფილოსოფიური განსწავლა უკეთილშობილური საქმიანობა.

რელიგია სიმბოლოების საბურველში ახვევს ჭეშმარიტებას, ფილოსოფია კი, ჭეშმარიტების წმინდა სახით შემეცნებას უნდა მიელტვოდეს. სიღრმისეული შემეცნება — აი, ფილოსოფიის რელიგია, ის სულის უკვდავებას არ იზიარებს. ის ამბობს: უკვდავია მხოლოდ საყოველთაო გონება, რომელიც საერთოა ყოველი ჩვენთაგანისთვის. უკვდავია თავისი ერთიანობით, მაგრამ არ არის უკვდავი ინდივიდუალური სული, ცალკეული კაცი კი არა, მხოლოდ კაცთა მთელი მოდგმაა მარადიული და წარუვალი. ყველაფერი,

რასაც საიქიო ცხოვრებასა თუ ჩვენს სიკვდილის შემდგომ ხვედრზე ჰყვებიან, სხვა არ არის რა, თუ არა ფუჭი არაკი.

ეს დასკვნა ეწინააღმდეგება რელიგიურ დოქტრინას, მაგრამ ის არის ფილოსოფიური ჭეშმარიტება.

ადამიანური შემეცნების თანდათანობით ბუნებრივ განვითარებას იმავე შედეგებამდე მივყევართ, რისკენაც მიგვიძღვის რელიგია. (წმინდა სახით ჭვრეტს შემეცნების უმაღლეს საფეხურს მიღწეული ადამიანური ცნობიერება)

არაბთა რელიგიური ფილოსოფიის განხილვის დროს მოიხსენიება ალ-ღაზალი, როგორც დიდი რელიგიური პიროვნება. მისი მოძღვრება ეწინააღმდეგება ფილოსოფიას. მისი აზრით, ფილოსოფიას ჭეშმარიტების არსში წვდომა არ შეუძლია.

არსებობს შემეცნების უფრო საიმედო წყარო. თუკი ადამიანის სულს საერთოდ შეუძლია სრული ჭეშმარიტების წვდომა, სულის ნათელმოსილება, რისი უშუალო მიზეზიცაა ღმერთი — აი, შემეცნების უფრო არსებითი წყარო. უშუალო მისტიურ ჭვრეტას შეუძლია გვაზიაროს ჭეშმარიტებას.

ამ ორმაგ რელიგიურსა და მისტიურ თვალსაზრისზე დაყრდნობით ილაშქრებს ალ-ღაზალი ფილოსოფიის წინააღმდეგ. თავის თხზულებებში „ფილოსოფოსთა უარყოფა“, ის სადაოს ხდის და უარყოფს მათ მოძღვრებას სამყაროს მარადიულობის შესახებ, რათა დაიცვას არაფრისგან სამყაროს შექმნის კონცეფცია. ეს ალ-ღაზალის მოძღვრების ნეგატიური მხარეა. პოზიტიური მომენტი მის მისტიკაში ვლინდება. არაბული ფილოსოფია მათ ძალზე ინტენსიურ, სულიერ ცხოვრებაზე მეტყველებს.

განვიხილეთ ორი ფილოსოფიური მიმდინარეობა — ებრაული და არაბული. როგორც ჩანს, ორივე ფილოსოფიური მიმდინარეობა აღიარებს სამყაროს შემოქმედად და პირველ მიზეზად — ღმერთს, მაგრამ ზოგიერთ საკითხებში მათი ფილოსოფიური შეხედულებები ერთმანეთის საპირისპიროა. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი თავიანთი რელიგიის დოგმატების დასამტკიცებლად იყენებენ ბერძენი ფილოსოფოსების პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებს და თარგმნიან მას თავიანთი შეხედულებებისდაგვარად.

თავდაპირველად ევროპული ქრისტიანული ფილოსოფიის მიმდევრები იზიარებდნენ პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებს სამყაროს შექმნისა და მისი შემოქმედის — უზენაესის — ღმერთის იდეას. კაცობრიობის განვითარების შემდგომ ეტაპზე გამოჩნდნენ ფილოსოფოსები გერმანიაში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში, რომლებმაც დახვეწეს, განავითარეს და მაღალ დონეზე აიყვანეს ქრისტიანული ფილოსოფიის მოძღვრების მსოფლმხედველობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპულმა ქრისტიანულმა ფილოსოფიამ გვერდი აუარა საწყის ქართულ ფილოსოფიას. ეს შეიძლება მოხდა იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ იმ დროისათვის სათანადო ინფორმაცია და წყაროები ქართული ქრისტიანული ფილოსოფიისა. ჩვენ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ, რაში მდგომარეობს საწყისი — დასაბამი წყაროები ქრისტიანული ქართული ფილოსოფიისა.

1. მსოფლიო ქრისტიანული ფილოსოფიის პირველი წარმომადგენელია პეტრე იბერი. პეტრე იბერის „საიდუმლოება“ იმაში მდგომარეობდა, რომ არეოპაგიტულ თხზულებებს — 4 ტრაქტატი და 10 ეპისტოლე, ხელს აწერდა

ვინმე დიონისე არეოპაგელი. V საუკუნის ბიზანტიური სამყარო კარგად იცნობდა პეტრე იბერს. როგორც მაიუმის ეპისკოპოსს, დიდად განსწავლულ საეკლესიო პიროვნებას, თეოლოგს და ფილოსოფოსს.

პეტრე იბერი პირველი ქართველი ფილოსოფოსია ქრისტიანულ სამყაროში, რომელმაც პირველად აღიარა, რომ ღმერთმა მოგვცა ეს მშვენიერი დედამიწა ჩვენ და ყველა ხალხს, რათა ადამიანი ცხოვრობდეს ამქვეყნად ბედნიერად თავისი აქტიურობით, სიკეთით, ზრუნვით, სიყვარულით და უნდა მონახოს ღმერთისკენ მიმავალი გზა.

ყველა შემდგომი ეპოქის ფილოსოფოსები ასეთი ბრძნული აღიარების შემდეგ, სხვადასხვა ინტერპრეტაციით გამოხატავდნენ თავიანთ შეხედულებებს და ანვითარებდნენ ქრისტიანულ ფილოსოფიას, მაგრამ გვერდს უვლიდნენ პეტრე იბერის სახელს.

მხოლოდ XX საუკუნეში, გამოჩენილმა ქართველმა ფილოსოფოსმა, აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ და ბელგიელმა მეცნიერმა ერნსტ ჰონიგმანმა გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ არეოპაგიტული თხზულებების ავტორი არის მაიუმის მონასტრის ეპისკოპოსი, V საუკუნის თეოლოგი პეტრე იბერი.

ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ ევროპული რენესანსის ერთ-ერთი პირველი ფილოსოფიური წყარო — არეოპაგიტული მოძღვრება დაკავშირებულია ქართველ თეოლოგ-ფილოსოფოსის პეტრე იბერის სახელთან.

ამ მოძღვრების საფუძველზე შეიქმნა მრავალი თხზულებები ქართულ-ქრისტიანულ ფილოსოფიაში. ყველაზე მნიშვნელოვანი არის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომლიც რენესანსული მსოფლმხედველობის მხატვრული, ფილოსოფიური განსახიერებაა.

გამოდის, რომ ევროპის რენესანსულ მსოფლმხედველობას წინ უსწრებდა ქართული რენესანსული მსოფლმხედველობა თითქმის 10 საუკუნით. ყველაფერი ეს განაპირობა იმან, რომ საქართველოში III-IV საუკუნეში, კოლხეთში არსებობდა ფაზისის აკადემია, სადაც სწავლობდნენ უცხოეთიდან ჩამოსული და ადგილობრივი ადამიანები. აკადემია უმაღლესი რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლა იყო, სადაც ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ასტრონომიას.

რიტორიკაში დაოსტატებული კოლხები საჯარო შეჯიბრებებს და პაექრობას აწყობდნენ, რომელიც დაკავშირებული იყო ეგრისის მეფის გუბაზის მკვლელობასთან, VI საუკუნის ორმოცდაათიან წლებში.

ფაზისის აკადემიის გაგრძელება იყო დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის აკადემია.

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელი გამეფდა XI საუკუნის ბოლოს, ძალიან რთულ ვითარებაში. აღმოსავლეთ საქართველო და ქ.თბილისი მტრის ხელში იყო მოქცეული. თავისი მიზნის მისაღწევად მან პირველ რიგში დასახა ადამიანთა სულიერი აღორძინების გზა. მისი ძირითადი მიზანი იყო საქართველოს განთავისუფლება მტრისაგან. ამისათვის საჭიროდ თვლიდა ეკონომიკის განვითარებას, მაგრამ პირველ რიგში სულიერ აღორძინებას.

დავით აღმაშენებელმა, როგორც ბრძენმა მეფემ, გადაწყვიტა ჩაეტარებინა რელიგიური რეფორმა. მან მოიწვია რუის-ურბნისის კრება, სადაც მიიღეს ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელი გადაწყვეტილებები, რომელიც მანამდე გაუგონარ ამბავს წარმოადგენდა.

კრებამ ეკლესიიდან განდევნა მაღალი თანამდებობის პირები, რომლებსაც გვარიშვილობით და მემკვიდრეობით

ჰქონდათ მიღებული საეკლესიო თანამდებობები. მათ მაგივრად დააწინაურა ღირსეული, მცოდნე და პატიოსანი ადამიანები. მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდელობა ერთ პიროვნების ხელში გააერთიანა.

ფეოდალურ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა, როგორც საქართველოს, ასევე, საზღვარგარეთ არსებული მონასტრები, როგორიც იყვნენ: პალესტინა, სირია, ბიზანტია. დავით მეფე შეუდგა საქართველოში მძლავრი კულტურის ცენტრის დაარსებას და ამ მიზნით დაიწყო გელათის მონასტრის აშენება.

დავით მეფემ, გელათის აკადემიაში თავი მოუყარა ქართული კულტურის ყველაზე გამოჩენილ, პროგრესულ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ ფილოსოფოსები: იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, თეოფილე ხუცესმონაზონი, არსენ ბერი და სხვები. აქ სწავლობდნენ ფილოსოფიას, რიტორიკას, გრამატიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას, პოეზიას.

გელათის აკადემიას საფუძველი მოუმზადა ფაზისის (ფოთის) სამეცნიერო აკადემიამ, რომელიც არსებობდა III-VII საუკუნეებში.

როგორც ცნობილია, 144 წლის (978-1122) განმავლობაში საქართველოს სატახტო ქალაქი ქუთაისი იყო. გაერთიანებული ქვეყნის პირველი ხუთი მეფე აქ ავიდა სამეფო ტახტზე. მათ შორის იყვნენ — ბაგრატ გამაერთიანებელი და დავით აღმაშენებელი. ამ პერიოდში მიიღო გაერთიანებულმა ქართულმა სახელმწიფომ ახალი სახელწოდება — „საქართველო“.

ფილოსოფოსი მეფის — დავით აღმაშენებელის წყალობით, გელათი გახდა მძლავრი კულტურის ცენტრი არა მარტო კავკასიაში, არამედ ის გახდა „მეორე იერუსალიმი“

რწმენისა და სულიერების, პოლიტიკურ-კულტურულ და იურიდიულ-სამართლებრივ სფეროში ცივილიზაციის კერად — აღმოსავლეთში.

გელათის სამონასტრო ტაძარს თავდაპირველად ერქვა „გენათი“, (მეგრ.) „გეენათია“, რაც ქართულად ნიშნავს — განათდი, გაბრწყინდი, გონება გაინათე. (ეს სახელი მიაკუთვნა დავით აღმაშენებელმა).

ამ დროიდან (XI- XII ს.ს.) დაარსებულია იყალთოს აკადემიაც. ამ პერიოდის მოღვაწეებს განეკუთვნება იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით და თხზულებებით გაამდიდრეს ქართული ფილოსოფია. დავით აღმაშენებელის მოწვევით იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში და წერდა ფილოსოფიურ შრომებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ევროპული ფილოსოფია და მისი დიდად აღიარებული ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ კანტი, ჰეგელი და სხვანი ამტკიცებდნენ, რომ ევროპული ფილოსოფია არის ევროპული ცნობიერების მახასიათებელი და სხვების ფილოსოფიას ყურადღებას არ აქცევდნენ, არ ამბობდნენ იმაზე თუ საიდან მომდინარეობდა ასეთი პროგრესული ფილოსოფიური შეხედულებები.

მე ვფიქრობ, დროა ახლა მაინც გავაგებინოთ დასავლეთს, რომ ქართველურმა ტომებმა — იბერიელებმა, ქალდეველებმა — კოლხებმა რამდენიმე ათასწლეულის წინ შექმნეს კულტურა, ენა, სარწმუნოება (წარმართული) ლურსმნული დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა, მედიცინა, მეტალურგია, ოქროს მოპოვება-გადამუშავების ტექნოლოგია, ფილოსოფიური მიმდინარეობა და სხვა. ზოგიერთ ჩვენს „ვაიმეცნიერებს“ არ სჯერათ ყოველივე ეს. მაშინ მოვუსმინოთ რას წერენ ინგლისელი მეცნიერები „კელტების ენციკლოპედია —

მიფოლოგია“-ში, რომელიც გამოვიდა 2006 წელს. ინგლისურიდან თარგმნეს რუსმა მეცნიერებმა ს.გოლოვიმ და ა.გოლოვამ. ინგლისელი მეცნიერები წერენ: ბრიტანეთის კუნძულებზე არსებობდა სამი რელიგიური მიმდინარეობა. ერთ-ერთი მათგანი — პელაზგური კულტი ძალიან გავრცელებული იყო. (პელაზგები იყვნენ ქართველური ტომები — კოლხები, რომლებიც ცხოვრობდნენ დღევანდელი საბერძნეთის კუნძულებზე, ითვლებოდნენ მკვიდრ მაცხოვრებლებად (აბორიგენებად) და შემოდიოდნენ კოლხეთის (ძველ-ქართულ) სამეფოს შემადგენლობაში.

იბერიული — აბორიგენების დრუიდიზმი. კელტების მითოლოგიაში ნათქვამია: სახელმწიფო იბერიაში (ძველ-ქართული სახელმწიფო კოლხეთი) შედიოდა ესპანეთი და პორტუგალია, (გვ.509, 515) ჟრეცი — დრუიდი ეწეოდნენ განმანათლებელ საქმიანობას. ისინი იყვნენ მასწავლებლები, პოეტები, ფილოსოფოსები, მოსამართლეები. მათი გადაწყვეტილებები იყო კანონი ყველასათვის, კრძალავდნენ წერილობით საქმიანობას. მოუწოდებდნენ ცოდნა შეენახათ მეხსიერებაში, ზეპირსიტყვიერებაში.

ბრიტები ბავშვებს შვიდი წლის შემდეგ აღსაზრდელად „დრუიდის“ ოჯახებში აძლევდნენ.

ბრიტები წერენ: ყოველივე სწავლება ჩვენთან სამხრეთიდან მოდისო.

კელტების მითოლოგიაში მოიხსენიება ღმერთები ზევსი, ჰერა და სხვები.

კოლხურ-პელაზგურ ენაზე მეტყველებდნენ ზევსი, პრომეთე, ჰერა, დიონისე, ჰეკატე. აგრეთვე, ტროას ომის მონაწილე გმირები.

უცხოელი ქართველმცოდნე ჰოლანდიელი მეცნიერის გამოკვლევით, ძველბერძნულ ენაში არის 5000-მდე პელაზგურ-კოლხური სიტყვა შემონახული.

უძველეს კოლხებმა შექმნეს პირველი საგალობელი, მეტალურგიული კერები და სხვა. ძველი ქართველი —კოლხები არიან ზღვაოსნობის კარტოგრაფიის, გეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლები მსოფლიოში. ისმის ბუნებრივი კითხვა, — ათასწლეულების წინათ, რომელმა ქართველურმა ტომებმა—კოლხებმა, იბერიელებმა თხოვეს ინგლისელებს, რომ ათასწლეულების შემდეგ მათ ენციკლოპედიაში გამოექვეყნებინათ მათი საქმიანობის შესახებ და მოეხსენიებინათ ისინი, როგორც კარგი მასწავლებლები? ეს ერთი მაგალითია და ამისთანა წყაროები არსებობს უამრავი. ვისაც ეს არ სჯერა, ჩაიხედოს ისტორიაში და ტვინი გაანძრიოს, ღმერთმა ადამიანს მისცა გონიერება და შემეცნების უნარი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფილოსოფია მოდის არა ბერძნებისგან და ებრაელებისგან, არამედ ქართველებისგან, ძველ კოლხ-იბერებისგან, რომელთა სალაპარაკო ენა იყო კოლხური ე.ი. მეგრული. ეს მტკიცდება უამრავი წყაროებით, რომლის დამტკიცებას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ეს მოვიყვანეთ იმიტომ, რომ ინგლისურ ენციკლოპედიაში ნათქვამია ქართველების წინაპრებზე — კოლხ-იბერიელებზე, როგორც მასწავლებლებზე და ფილოსოფოსებზე და არაბერძნულ ფილოსოფიაზე და არაებრაულ ფილოსოფიაზე. მათ ფაქტიურად, ბაბილონის ეპოქაში, ქართველური ტომებისგან—ქალდეველებისგან, კოლხ-იბერიელებისგან მიითვისეს დამწერლობა, ენა, კულტურა-ცივილიზაცია.

ევროპული ქრისტიანული ფილოსოფიის წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ალკუინი, ფრედეგიზიუს ტურელი, იოანე სკოტ ერიუგენა, ანსელე კენტერბერიელი, პეტრე აბელიარი და სხვები, ბერძენი ფილოსოფოსების — პლატონისა და არისტოტელეს მსოფლმხედველობას იზიარებდნენ სამყაროს შექმნისა და ღმერთის უზენაესობის შესახებ. მაგრამ ზოგიერთ საკითხებში უთანხმოებას იჩენდნენ და ცდილობდნენ თავიანთი შეხედულებები სხვადასხვა წყაროებით განემტკიცებინათ. ზემოთ ჩამოთვლილმა ფილოსოფოსებმა თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში, თავისი მოძღვრებით წინ წასწიეს ქრისტიანული ფილოსოფია, მაშინდელი დროის ცივილიზაციის შესაბამისად.

შუა საუკუნეების ქრისტიანი მისტიკოსები თვლიდნენ, რომ მისტიური ჭვრეტა ინტელექტუალური შემეცნების შედეგად შესაძლებელია. მისტიკური ფილოსოფიის ფუძემდებლად ითვლება ბერნარდ კლერვოელი. მისი თხზულებები: „ადამიანურობის საფეხურთათვის“, „ღმერთის სიყვარულისათვის“ და სხვა არის ძალიან მნიშვნელოვანი თხზულებები, სამყაროსა და ღმერთის რაობის შემეცნების საკითხში.

ქართული ფილოსოფიური აზრი საუკუნეების ყველა პერიოდში წინ უსწრებდა ევროპულ ქრისტიანულ ფილოსოფიას. ქართველი მოაზროვნეები: ანტონ კათოლიკოსი, დავით ბატონიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვებმა თავიანთი მოღვაწეობით გაამდიდრეს ქართული ფილოსოფიური აზროვნება.

იოანე ბატონიშვილის ფილოსოფიური ხასიათის ძეგლი „კალმასობა“ ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებია,

ფილოსოფიური პრობლემების ანალიზით, დაწყებული სამყაროს წარმოქმნით, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის პრობლემით დამთავრებული.

სოლომონ დოდაშვილი შესანიშნავი ფილოსოფოსი იყო. მისი შრომები — „ლოგიკა, „რიტორიკა“ და სხვა დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა „სამოციანელებმა“: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა და სხვამ.

მეცხრამეტე საუკუნის თვალსაჩინო ფილოსოფოსად გვევლინება აკაკი ჯორჯაძე თავისი ფილოსოფიური ნაშრომებით: „სამშობლო და მამულიშვილობა“, „ინდოეთის სიბრძნე“ და სხვა. ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ (1918 წ.) უდიდესი როლი შეასრულა ქართული ფილოსოფიის განვითარების საქმეში. მაშინ მხოლოდ იყო ერთი ფაკულტეტი — სიბრძნისმეტყველება. ამავე წელს გაიხსნა „პეტრიწის სახელობის საფილოსოფოსო საზოგადოება“, დიდი ფილოსოფოსის შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით და მისი წევრები იყვნენ თვალსაჩინო ფილოსოფოსები: დ.უზნაძე, ს.დანელია, ს.გორგაძე, ი.ყიფშიძე, კ.ბაქრაძე, კ.მეგრელიძე.

პროფ. დ.უზნაძის ნაშრომს „განწყობის თეორია“-ს დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. ასევე, დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოებია ს.წერეთელის „დიალექტიკური ლოგიკა“.

ქართულ ფილოსოფიაზე როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დიდ ქართველ მოაზროვნეს, თეოლოგსა

და ფილოსოფოსს პეტრე შარიას, რომელიც მოღვაწეობდა გასული საუკუნის 50-იან წლებში. იგი აღზრდილი იყო მატერიალისტური მსოფლმხედველობით და იმყოფებოდა მისი ზეწოლის ქვეშ. ქართველ ფილოსოფოსებისგან პირველმა მან აღიარა ადამიანის სულის არსებობა და მისი უკვდავება. იმ პერიოდში ეს აღიარება ნიშნავდა მოწმენდილ ცაზე მძლავრ ჭექა-ქუხილს და მართლაც, გამოაღვიძა არა მარტო საბჭოთა ფილოსოფოსები, არამედ ზოგიერთი ეკლესიის მსახურნიც. მან თავისი ამქვეყნიური ადამიანური სიცოცხლე შეწირა და თავისი აზროვნების შემეცნებით მიუახლოვდა ჭეშმარიტებას — ღმერთს.

როგორც ზემოთ განხილული რელიგიური ფილოსოფიიდან ჩანს, თეოლოგებსა და ფილოსოფოსებს შორის, ადრეც და დღესაც ვერ თანხმდებიან „არაფრისგან ყველაფერი“ ან „არაფრისგან არაფერი“ დამოკიდებულია ადამიანის გონებრივ შემეცნებაზე, მის განვითარების საფეხურზე.

სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი — სხვა ალტერნატივა არ არსებობს. როდესაც ადამიანი ამას შეიმეცნებს ყოველგვარი გაუგებრობა თავისთავად მოიხსნება.

აზროვნება, გონება ყველაფრის ძირია, უსასრულოა, ღვთაებაა. სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ უსასრულოა და „აბსოლუტური იდეის“ ცნების აბსოლუტური ძლიერების დემონსტრაციაა და უსასრულო აზროვნების ანუ ღვთაების რეალიზაციაა. ამიტომაც ღვთაება თავისთავის შემეცნებამდე მიდის და მისი მიზანიც თვითშემეცნებაა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „გონის შემეცნება“, უმაღლესი და უძნელესი შემეცნებაა. ადამიანი „გონის შემეცნება“, უმაღლესი და უძნელესი შემეცნებაა. ადამიანი „გონის ფილოსოფიის“

ცენტრალური ფიგურაა. გონი არამატერიალურია და ამიტომაც უკვდავია — მარადიულია. ღმერთი მარადიულია.

ქრისტიანული რელიგიის — ფილოსოფიის დანიშნულება ის არის, რომ შეგვამცნებინოს ღმერთი, როგორც გონი. მაგრამ ეს დღემდე ვერ შეძლეს და ვერც მომავალში შეძლებენ იმიტომ, რომ ადამიანის აზროვნება ვერ შეიმეცნებს უმაღლეს ზენა არსის გონს, რადგანაც ის უსასრულოა და ადამიანის გონი სასრული და შეზღუდულია. მხოლოდ დიდ ინტელექტს, რომელსაც ჭვრეტის მაღალ საფეხურზეა, შეუძლია მიუახლოვდეს ჭეშმარიტებას.

საქართველოს ქრისტიანული ფილოსოფია ვითარდება ისე, როგორც სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობა, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თანამედროვე ეპოქის დიდი მოაზროვნის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, მრავალი აკადემიების ნამდვილი წევრის, აკადემიკოსის, 25 წიგნის ავტორის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ ვახანიას ღვაწლი ქრისტიანული ფილოსოფიის განვითარების საკითხებში. ფილოსოფოსები, როგორც ჩვენი, ისე უცხოელი, ორი ათას წელზე მეტია კამათობენ სამყაროს დასაბამის საკითხებზე - ღმერთზე, სამყაროს შექმნაზე, უფალი ღმერთის — იესო ქრისტესა და სულის საკითხებზე, ბიბლიაზე და მის ავტორების ვინაობაზე, ჭეშმარიტების დადგენაზე. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნე, ჭეშმარიტების დადგენა ძნელია, მთავარია მივუახლოვდეთ მას.

ვლადიმერ ვახანიამ თავისი შესანიშნავი წიგნით: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“, მიუახლოვდა ჭეშმარიტებას. რაში მდგომარეობს ამ წიგნის ღირსება:

1. ვლადიმერ ვახანიამ უძველესი კოლხური, ქართული ენის საფუძველზე, ბიბლიის ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის წყაროების გამოყენებით, ჩვენი და უცხოელი მეცნიერების შრომების გათვალისწინებით, თავისი (ღმერთისგან ბოძებული) უნიკალური ნიჭის მაქსიმალურად გამოყენებით, ლოგიკის მოშველიებით, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მსოფლმხედველობის საფუძველზე და ამ წყაროების ურთიერთდაპირისპირებით და მისი ღრმა ანალიზის შედეგად შექმნა ახალი წყაროები მეცნიერებისათვის, ფილოსოფოსებისათვის და თეოლოგებისათვის, რომლებიც მუშაობენ და ეძებენ პირველ წყაროს, ღმერთის, კოსმოსის, ადამის, ნოეს, ადამიანის გაჩენის, განვითარების, ცივილიზაციის ისტორიას.

ვლადიმერ ვახანიას ზემოჩამოთვლილი ტიტულების გარდა შეიძლება თამამად მივაკუთვნოთ როგორც ფილოსოფოსის, ასევე თეოლოგიის დოქტორის ხარისხი.

ვლადიმერ ვახანიამ დაასაბუთა, რომ ბიბლიის პირველ წყაროდ გამოყენებული იყო „სიბრძნის წიგნი" — „ბრძენთა წიგნი", „ეფუთი" (ე-ფუ-თი), რაც ნიშნავს ოჯახის დაბადებას. ეფუთი არის უძველესი ქართულ-კოლხურ-იბერიული სალმრთო წიგნი.

2. დაასაბუთა სიტყვის დიდი მნიშვნელობა.

იოანე მოციქული: თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, სიტყვა იყო ღმერთი.

3. მეოთხე თავში ახლებურად ახსნა შუმერი და მისი ცივილიზაცია. შუმერები იყვნენ იბერია-კოლხთა ტომი, იგივე ქალდეველები, რომლებიც დასახლდნენ შუამდინარეთში ატლანტიდის ჩაძირვის შემდეგ.

შუმერი მომდინარეობს კოლხური სიტყვა „შური“-დან, რაც ნიშნავს სულს. „შუ“ — მახსოვრობა, რი—რინა ე.ი. არსებობა. შინაარსობრივი დატვირთვის შემდეგ მივიღებთ: მახსოვს ჩემი სულის არსებობა.

4. ეგვიპტური „მკვდართა წიგნი“ აგებულია „ეფუთის“—„სიბრძნის წიგნი“-ს საფუძველზე.

5. ატლანტიდა ჩაიძირა 11.000-9000 წლის წინ.

პლატონი ამბობდა: ატლანტები იბერები იყვნენ.

6. კოლხეთი ატლანტიდის გადარჩენილი ნაწილია.

„ჰეოპსის პირამიდა“, მაიას ტომის 24-მეტრიანი პირამიდა, დიდი ფეხბურთის მოედანი მექსიკაში, ფიგურები აღდგომის კუნძულებზე გაშენებული იყო გადარჩენილი ატლანტების — ტიტანების, ძველქართული იბერ-კოლხების, ქალდეველების მიერ.

7. ცენტრალურ ამერიკაში, მაიას ტომში ცივილიზაციამ ატლანტიდიდან შეაღწია კოლხუას ტომის მეშვეობით.

8. ყველაზე გამოჩენილი პიროვნება, ვინც ატლანტიდიდან გამოვიდა იყო ნოე. (სახელი ნოე წარმოდგება კოლხური სიტყვა — ნოელასაგან, რაც ნიშნავს ხის რტოს.) ნოემ გამოიტანა ატლანტიდიდან „სიბრძნის წიგნი“ — ეფუთი და „წმინდა წერილი“.

9. ატლანტიდის ჩაძირვამ გამოიწვია კატაკლიზმი და წარმოქმნა გიბრალტარისა და ბოსფორის სრუტე. ამის შემდეგ წარმოიშვა „შავი ზღვა“ და „ხმელთაშუაზღვა“.

10. ამან გამოიწვია ქართველური ტომების ემიგრაცია და ჩასახლება შუამდინარეთში.

11. ნოეს ჰყავდა სამი შვილი: სემი, ქამი და იაფეთი.

ღმერთმა დალოცა ნოეს შვილები და უთხრა: „ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა“. წიგნი „ეფუთი“-ს მთავარი გასაღები სიტყვა არის „ინაყოფიერეთ“. (ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეფუთი ნიშნავს ოჯახის შექმნას).

12. ჯვარცმის დროს ქრისტეს ბოლო სიტყვები: ელი, ელი! ლამა საბაქთანი. მოციქულებმა მათემ და მარკოზმა, რომლებიც იქ ესწრებოდნენ, ვერ გაიგეს სიტყვის მნიშვნელობა, რადგანაც ეს სიტყვები არ იყო არც ებრაული და არც ბერძნული. თავიანთ სახარებაში კი ჩაწერეს თავისი მოსაზრებები, ალბათ, ამას იტყოდაო: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე“.

ვლადიმერ ვახანიამ განაცხადა: ამას იესო ქრისტე არ იტყოდაო. დიდი კვლევა-ძიების შემდეგ გაშიფრა ქრისტეს სიტყვები და იყო იგი წარმოთქმული ძველ ქართულ-კოლხურ ენაზე: „მამაო, ნათელო, მოვდივარ შენთან!“.

დედამიწაზე არცერთ ფილოსოფოსს არ მოსვლია თავში ამისთანა გასაოცარი რამ!!!

13. იოანე ზოსიმეს საიდუმლო „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, ლაზარეს აღდგენა, გაშიფრა ვ.ვახანიამ: ლაზარე არის ენა, ხალხი, სარწმუნოება, საქართველო. იესო ქრისტემ აღიარა, რომ ღვთის რჩეული ხალხი ქართველური ტომები დღევანდელი ქართველებია და არა ებრაელებიო. იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იქნება მესამე ათასწლეულში. ნოე - ქართველური ტომის წარმომადგენელია. ამას უმალავდნენ ებრაელები მსოფლიო საზოგადოებრიობას.

14. მსოფლიო რელიგიებს (სარწმუნოებებს) ძირითადად წარმოადგენენ ნოეს მოდგმის სამი განშტოება: სემიტები — იუდაიზმი, ქამიტები — ისლამი, იაფეთელები — ქრისტიანობა. ამავე დროს, ყველას მამა არის ნოე — ქართველი. (ნოე-ნოელა-ხის შტო ე.ი. სიცოცხლის ხის შტო).

კიდევ შეიძლება ბევრი სიახლის მოყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია ზემოხსენებული წიგნის სადიდებლად.

მოსე ჯანაშვილი წერდა: „ქართველური ენა ქართველი მოდგმის გონებაა, ხოლო გონება — მისი ენაა და ისტორია". (ქართველური ენა — კოლხურ-იბერიული ენაა).

ივანე ჯავახიშვილი: „საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველეს კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებით და ლეგენდებით. თუ უცხოელი მკვლევარები წერენ ჩვენს ჭეშმარიტ ისტორიას, ჩვენ რაღა გვიწყრება".

ვლადიმერ ვახანია: ყოველი ქვეყანა (ერი), რომელიც ებრძვის საქართველოს (ქართველ ერს) ებრძვის თავის გამჩენს, ანუ დამაარსებელს.

ივანე მეგრელი: ვლადიმერ ვახანიას ზემოხსენებული წიგნი არის უძველესი კოლხურ-იბერიულ-ქალდეველთა ჭეშმარიტი ისტორია, ოცდამეერთე საუკუნის ახალი ბიბლია.

ვახანია — კოლხური გვარია. ვა-ხან-ია.

ვა — ნიშნავს გაოცებას ან აღტაცებას. ხან — დრო, ჟამი. ია - ყვავილი. შინაარსობრივი დატვირთვის მერე ასეთ სახეს

მიიღებს: ვა! რა დროს აყვავებულა? — მისი შემოქმედება. ამ წიგნის გამოცემის შემდეგ, მართლაც, რომ აყვავდა.

ზემოხსენებული წიგნის პრეზენტაცია მოხდა 2011 წლის დეკემბრის თვეში. სიტყვით გამოვიდნენ: პოეტები, მწერლები, პროფესორები, მეცნიერები, მკვლევარები.

გთხოვთ მოვუსმინოთ მათ.

წიგნი — „ბენეფიციუმი"[1]

გენიალური ჰომეროსიდან და ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტედან დაწყებული, მსოფლიოს ყველა დიდი მწერალი, ისტორიკოსი თუ მოგზაური გულისხმიერებით ეკიდებოდა უძველესი კოლხეთის პრეისტორიას, ისტორიას, მის ყოფას და კულტურას.

„კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე" — წერდა გამოჩენილი ისტორიკოსი და მწერალი ლევან სანიკიძე. „დაახლოებით ძვ.წ. V — ათასწლეულის ბოლოდან მაინც იწყება საერთო ქართველურ ენობრივი სისტემისა და ეთნოსის ჩამოყალიბება. საერთო ქართველური (პროტოქართველური) იყო წინაპარი ენა იმ ენათათვის, რომლებსაც დღეს ვუწოდებთ ქართულს, სვანურს და მეგრულ-ჭანურს, ე.ი. ქართველურ ენებს". (აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე) — „ჩანს, რომ ეს ენა კოლხური (მეგრული) უნდა ყოფილიყო, რადგან იმ პერიოდში სხვა ენა და სხვა ქვეყანა არა ჩანს გარდა კოლხეთისა და კოლხური (მეგრული) ენისა," — პროფ. კლიმენტი შელია). მოუსმინოთ დიდ ბერძენ ისტორიკოსს აპოლონიოს როდოსელს (ძვ.წ. V ს.): „კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათგან ნაწერი კირბები". გვერდითა ჰყავს ძიძა — პონტო და კოლხეთი ზღვის და ცოდნის უპირველეს აკვანს არწევს. ტალღები კი ჰგვანან კირბებს — წიგნებს კრავის ტყავზე ნაწერს...

აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას წიგნი — ტრილოგია: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი", „ქრისტეს ბოლო სიტყვები", „ლაზარეს აღდგენა", — წარმოადგენს უიშვიათეს ნაშრომს,

---

[1] ბენეფიციუმი - (ლათ.) - წყალობა

სადაც ერთადაა თავმოყრილი, როგორც ისტორიულ-ფილოსოფიური და თეოლოგიური საკითხები, ასევე ბიბლიური და ლიტერატურული ჯერაც უცნობი წყაროები, უძველესი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და მათი ახსნა-განმარტებები. ყველაფერი ეს პრეისტორიული კოლხეთის (საქართველოს) ფონზეა განხილული, მაგრამ... აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მოსწოლია, მათ იციან იქ იწყება საქართველოს ისტორია. ზოგ-ზოგმა ვაი-მეცნიერებმა: უძველესი კოლხეთი ლამის ზღაპრად მონათლეს, აიეტის ხსენება არ სურთ შურით სნეულებს! „შუშანიკის წამების“ აქეთ დასცეს კარავი, ამით კოლხეთს კი არა, საქართველოს პარავენ: ისტორიას, კულტურას, მზიან ათასწლეულებს... ხოლო უწარსულოები და უსადაურები, თვალბედითები და ავსულები ყოველნაირად ცდილობენ დააკნინონ, დაამცირონ და დააჩიაონ კოლხეთის უსამანო წარსული, რომელიც დიდ იმპერიებს ეყოფათ საამაყოდ და საკვეხნად, იცის ეს ყველაფერი მკვლევარმა და მეცნიერმა, სამართალმცოდნე (დოქტორი) ვლადიმერ ვახანიამ და მიტომ იშიშვლა სიმართლის დაუჟანგავი ხმალი, რადგან ათასწლეულთა ღია სარკმლიდან — მზესავით ხედავს მტერიც, მოყვარეც და ნათელივით არის საჩინო, რომ ისტორია სხვებმა არა, „ძმებმა“ მოპარეს კოლხებს და... დღესაც აღარ უნდა გამოაჩინონ!!! იცის, რომ საქართველო უკოლხეთოდ — უწარსულოა!.

ეს ის კოლხეთია, რომელიც ათასწლეულებია: უძლებს მტრისა და „მოყვრის“ ისრებს, მდგარი ზღვისკარად და მადლს სწირავს მაცხოვარს, მოთმინებით — იობის, ბიბლიური კოლხეთი, სადაც კაცობრიობის — მზე და მთვარე აღმოხდა და აკვანი დაირწა...

მწერალ ვლადიმერ ვახანიას ზღაპრული არგუსივით ასი თვალი აქვს და ნათლად ხედავს უძველეს კოლხეთს: მძინარს, ხმას რომ არ იღებს, ხელთ უპყრია 7000 — დაბადების თარიღი. გაიღვიძებს ალბათ მალე, წუხს სიმწვანეს ტოტი ბზის და კუნელის; იკურნება დავიწყების ჭირით განუკურნელი...

„... და ეს ენა მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამ ენას ლაზარე ჰრქვიან“.

ვითარც მიწიერ პირველ მოსახლეს, სიკვდილ-სიცოცხლე ცვალებადი ჰქონდა მარტივით... ათასწლეულთა სდევდა ქარწვიმა... იყო კოლხეთი, მაგრამ იგი ქრისტეს კვართივით, მთელმა სამყარომ გაინაწილა... მკვლევარი გაოცებული მიმართავს ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაება ჰეფესტოს, — ღმერთების რისხვა ზევსის ვაჟიშვილს და ომების ნისლით გაუღრანებულ გზებს: როს ხალიბი ფოლადს ჭედდა, ჭაჭანება აღარ იყო ბერძნების და პართების. შუამდინარეთს ბრძანებლობდნენ პელაზგები, ქართები! ჰოი, ისტორიის გზებზე, საით მიემართებით!

ვლადიმერ ვახანია, როგორც მკვლევარი, ათასწლეულების იქით, პრეისტორიის, ჭუჭრუტანებში იჭვრიტება და ხედავს კნოსის ნანგრევებში თიხის ფირფიტებს ნაწერს ლურსმნულით, სადაც კოლხეთის ისტორიაა შიგ გალურსული. ხედავს პირამიდების მშენებელ კოლხებს, რომლებთანაც ბერძნები ძუძუმწოვარ ბალღებად ჩანან... ხედავს ჯვარცმულ ქრისტეს და ესმის მისი ვედრება: „ელი, ელი! ლამა საბაქთანი!“ — („ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?) გადავიწყების კუნძულებიდან, დავიწყებულთა მოესმის ხმები, დედამიწას რომ ჟრუანტელად ტანზე უვლიან... კოლხო! ის გზები, შორეთიდან მოსული გზები, შენს გარდა ქვეყნად სხვას არავის არ გაუვლია... ხედავს რომ: ორმოცამდე საუკუნე — დარახტული დის ამალით. მიდიაც და კილიკიაც, სულ პატარა ბილიკია, დიდ

კოლხეთში მიმავალი. ის აყურადებს ბაბილონის გოდოლიდან თუ შერევნიდან გაფანტულ ქართულ ხმებს, მერე ეძებს და პოულობს კიდეც: ისტორიის ძველ საბძელში, გალეწილი სხვათა ხმები, ვით მარცვალი ყრია ფეტვის. შენ ზღვისკარად დგახარ ულოდ (მტერს წარსული მიაფეთე!) ვინც დაგეძებს კვლავ გპოულობს კოლხო! — ძეო იაფეტის...

მკვლევარისათვის ცნობილია, რომ კოლხები (ქალდეველები) არ იზიარებდნენ მითს აბსუს და თიამათის მიერ სამყაროს შექმნაზე და ამდენად შორს დადგნენ ბაბილონის გოდოლის (ზიკურათი) მშენებლობაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგანაც ეშინოდათ უფლის რისხვისა, (ამის თაობაზე მათ ორაკულებმა უწინასწარმეტყველეს) და ამდენად მათ ენის აღრევა არ შეხებიათ და შეინარჩუნეს დასაბამიერი ენა, ეს ენა გახლდათ შუმერული (კოლხური). სხვები სხვა ენებზე აამეტყველა არსთაგამრიგემ და ერთმანეთს ვერაფერი გააგებინეს და კიდევაც ჩაიშალა გოდოლის მშენებლობა.

მეცნიერმა იცის რომ: ზოგმა ჩვენმა „დიდ სწავლულმა“ ძველ კოლხეთის სიძულვილის — საწამლავი დალია და... ყურს დააკლდა და ჰეკატეს ტაძრის რეკვა აღარ ესმის შორეული „აია“-დან. მკვლევარი კატეგორიულად მოითხოვს:

ისტორიის მეუფემ, დიდმა მამა-ბატონმა, მითხრას ჰეროდოტემ და დამიმტკიცოს პლატონმა, როცა ცაზე იხილეს მთვარის თეთრად გავსება — ლაზებმა და ჭანებმა, ქასქებმა და ქართებმა, თუკი იყო ამქვეყნად სხვა ხალხთა ჭაჭანება?!

ვლადიმერ ვახანიას ფიქრის ჩელტიანი ნავით აღდგომის კუნძულზეც უმოგზაურია და იქ უხილავს ინდიელთა „თეთრი ბელადის“ ხოტუ-მატუს და მის თანმხლებ კოლხთა ათასწლეულების წინანდელი ნასახლარები... ფაზისის, ნილოსის და ევფრატის ნაპირებზე, ამაყსა და თავმომწონეს,

ყულევთან ნაპოვნი, ხუთი ათასი წლის წინ ხალიბთა მიერ ნაჭედი თასით დაულევია კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე) მითიური ხელმწიფის ან-მარეს — ცის კაცი (5185-5120) და მზის ღმერთის ჰელიოსის ვაჟის, ლეგენდარული აიეტის სადღეგრძელო. არც კოლხი ღმერთების რისხვა ძეუსი (ზევსი) და გმირი კოლხები: პრომეთე (ამირანი) ჰერაკლე, ანტეოსი, ღვთაებრივი ორფეოსი და... მაცხოვარი იესო ქრისტე არ დავიწყებია. მიტომაა ამ წიგნში ბობოქრობს კოლხური (ქართული) სული, რომელიც მითჟამიდან კოლხეთისკენ მოდიოდა ზღვით, ხმელეთით, ცის ეზოტერიკული ბილიკებით... ხან ჭყონდიდის (დიდი მუხა) ტოტებზე ისვენებდა გადამფრენი ფრინველივით, ხან ვარსკვლავთა ფესვებში იმალებოდა გრააალივით, ხან კი ატლანტიკის ფსკერზე თვლემდა პოსეიდონივით და... ელოდა მამა-ღმერთის ხელის შეხებას და გაღვიძებას. და ათასწლეულების მერე განგების წყალობით მოვიდა ადამის ძე (ვლადიმერ ვახანია) და შეანჯღრია ის მთვლემარე კოლხური (ქართული) სული და გააღვიძა! გააღვიძა ისე, რომ აწი არ უნდა დაიძინოს კი არა, წამითაც თვალი არ უნდა მილულოს. ეს ის სულია, რომელიც ეგვიპტის პირამიდებს და სემირამიდის ბაღებს რომ აშენებდა. არესის ჭალაში ოქროს საწმისს რომ ჰკიდებდა საბედისწეროდ. ეს ის სულია, რომელიც ედგა მზის ღვთაება კოლხ ჰელიოსს, იმ ჰელიოსს, რომელსაც ჩვენი მაცხოვარი, ჯვარზე გაკრული იესო ქრისტე რომ შეღაღადებდა: „ჰელიოს, ჰელიოს! მოვდივარ შენთან-ო!...“

...რა წარღვნა! რის მიწისძვრა! ეს კოლხური (ქართული) სულია, რომ ვერ ეტევა ზესკნელ-ქვესკნელში და რომ არყევს სამყაროს, რადგან ვერ პოულობს სივრცეს „ალბატროსივით ფრთები რომ გაშალოს!“.

ვაჟა ებრისელი,
აკადემია „ქალდეას„ პრეზიდენტი,
პოეტი-აკადემიკოსი.

ისტორიულ და პრეისტორიულ კოლხეთზე უამრავი წერილი, ნარკვევი, ესე, და სქელტანიანი წიგნი დაწერილა და მომავალშიც ბევრი დაიწერება, მაგრამ ვლადიმერ ვახანიას ტრიადა: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი, „ლაზარეს აღდგენა“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“ — სამაგიდო წიგნია.

თქმულებებით და ლეგენდებით დახუნძლული ბიბლიური კოლხეთი მწერლისა და მეცნიერის კვლევის საგანი და შთაგონების წყაროა.

ქვეყანამ იცის, რომ პრომეთემ ზევსს ცეცხლი რომ წაგვარა და ადამიანებს ჩამოუტანა დედამიწაზე. ამისთვის მრისხანე ზევსმა იგი კავკასიის კლდეზე მიაჯაჭვა სატანჯველად!!!

იესო ქრისტე ჯვარზე აცვეს სნეულთა, დავრდომილთა, ბრმათა და ყრუთა განკურნებისთვის!!!

ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს თავისი გენიალობისთვის — „ის მაინც ბრუნავს!“

თქვენ, როგორ გგონიათ, ღმერთთა მეუფე ზევსს, პრომეთე კლდეზე არ მიეჯაჭვა და არ ეწამებინა, ვინმე თუ გაიგებდა პრომეთეს (ამირანის) ლეგენდად ქცეულს სახელს? ანუ მაცხოვარს — იესო ქრისტეს ის ეკლიანი გოლგოთის გზა რომ არ გაევლო, განა მას ხალხი ღმერთად იწამებდა, წარმართთა სამოსელს გახდიდა და ქრისტიანული კვართით შემოსავდა?! ან კიდევ ჯორდანო ბრუნო, კოცონზე რომ არ დაეწვათ, განა სამყარო გაიგებდა მის გენიალურ სახელს?! რათქმა უნდა, არა!

და ბოლოს: ვლადიმერ ვახანია საპყრობილეში რომ არ ჩაესვათ და მას იქ არ დაეწერა ეს ბრწყინვალე წიგნი, განა ქვეყანას ასე მალე მოედებოდა მისი სახელი?! ვიმეორებ — რა

თქმა უნდა, არა! დიდმა რუსთაველმა ბრძანა: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

ჭეშმარიტად!

სერგო წურწუმია,
აკადემია „ქალდეას“ ვიცე-პრეზიდენტი,
გენერალ ლეიტენანტი.

დიდი მკვლევარი

აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია არის ადამიანი, რომელმაც კლასიკური იურიდიული განათლება რუსეთში მიიღო, ამიტომ მე დიდი პატივისცემით ვეპყრობი მის ქართულს. იგი დახვეწილი ქართულით პატივს სცემს მკითხველს. ამ მსჯელობაში არ არის რაიმე ისეთი კურიოზი, რომელზეც კაცი იტყვის: აგერ, რუსეთში გაზრდილია კაცი და მკითხველამდე ვერ მიუტანია სათქმელიო. წიგნი შესანიშნავი ქართულით არის ნაწერი. ვლ. ვახანიას მიერ დაწერილი მრავალი წიგნი გვაქვს. მე მაქვს 5 წიგნი, სადაც იგი მსოფლიოს ფინანსურ თუ სხვა საკითხებს იხილავს. ისიც განსხვავებულია რაღაცით სხვებისგან. აღსანიშნავია მისი საოცარი მსჯელობის უნარი. მან სინთეზი გაუკეთა ფილოსოფიას, ისტორიას, არქეოლოგიას, პრეისტორიას და მეცნიერების თითქმის ყველა დარგს. ასეთს იშვიათად ნახავთ მეცნიერებაში, მწერლებში. მან ამ წიგნში დაამსხვრია ის მიდგომა გამოკვლევისა და იდეის გადმოცემისა, რომელიც დღევანდლამდე არსებობდა. იშვიათია, რომ 80-მდე წყარო გაანალიზოს ვინმემ და ის სიღრმემდე განსაჯოს. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი კლასიკური ნაშრომები ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, პავლე ინგოროყვას და სხვა, მაგრამ ერთ წიგნში რომ მოაქციო ამდენი წყაროს ანალიზი, ეს არის რაღაც საოცრება. მე მეცნიერი კაცი ვარ, და ისე, უბრალო სიტყვის გადაგდებას ვერიდები, ყოველი სიტყვა უნდა იყოს მოზომილი. ჯანმრთელობას და მალე გათავისუფლებას ვუსურვებ ბატონ ვლადიმერს!

სიმონ ზაქარაია,
აკადემია „ქალდეას“ ვიცე პრეზიდენტი,
ს.მ. დოქტორი

საინტერესო ინფორმაციის შემცველი ისტორია

ძველი თაობის გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ნ.მარის, ივ. ჯავახიშვილის, მ.ჯანაშვილის, ს.კაკაბაძის, თანამედროვე ქართველი მკვლევარების კ.შელიას, გ.ჭელიძის, ბ.სოფიას, გ.კვაშილავას, ა.შონიასა და ნ.ფოფხაძის, დიდი ქართველი პოეტის, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატის, „კოლხური ფსალმუნების“ (1500 ლექსი) ავტორის ვაჟა ეგრისელის შემდეგ საქართველოში, კერძოდ, მისი ძირძველი კოლხეთიდან გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ფართო საერთო განათლებასთან და ჭეშმარიტად დიდ ნიჭიერებასთან ერთად მნიშვნელოვანია დიდი სურვილი იმისა, რომ მეცნიერული სიზუსტით გაეანალიზებინა მოძიებული მასალები კოლხეთზე და მის ისტორიაზე, რათა კაცობრიობის მიერ დასაწყისიდან დღემდე გამოვლილ ქარტეხილებში დასაბამისეული ხალხის ტიტულისათვის მებრძოლ ქვეყნებს შორის მიენიჭება კოლხეთისათვის დაწინაურებულთა შორის მოწინავის კუთვნილი ადგილი. მეტიც, წარმოეჩინა ქალდეური მოდგმის ის ხალხი, რომელმაც თავისი განვითარების განვლილ გზაზე მსოფლიოს მთელი რიგი რეგიონების ხალხებთან ისტორიულად ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში შექმნა ადამიანთა საზოგადოებისათვის უპირველესი ღირებულებების მქონე მილიონობით საბაზისო ლაზ-კოლხური სიტყვა, შესაბამისი დამწერლობა და რაც ძალიან მნიშვნელოვანი აღმოაჩნდა სულიერი მზაობა იმისათვის, რათა გართულებების გარეშე მიეღო უმაღლესი დონის ჰუმანური იდეების შემცველი ქრისტიანული სარწმუნოება.

ჩვენი შეხედულებით, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ლომონოსოვის პრემიის ლაურეატმა, „მეგრული

ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობის“ შვიდტომეულის თანაავტორმა, ბატონმა ვლადიმერ ვახანიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრწყინვალედ გაართვა თავი მის მიერ დასახულ ამოცანას და მოგვაწოდა შორეული წარსულის არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კაცობრიობისათვის მეტად მნიშვნელოვანი, ამასთან მეტად საინტერესო ინფორმაციის შემცველი ისტორია.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ვლადიმერ ვახანიას თავის წიგნში: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“, ციტატების სახით მოტანილი აქვს ევროპელი და ქართველი მეცნიერების გამონათქვამები, მათ შორის მნიშვნელოვანია:

ჰეროდოტე — „კოლხები არიან განფენილი მთელ სამყაროში, კოლხების წინაპარი ტომები, არკადიელები, ეტრუსკები, პელაზგები ცხოვრობდნენ, პირველნი საბერძნეთის კუნძულებზე“.

იტალიელი მწერალი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც 1654 წ. ნეაპოლში გამოსცა წიგნი „წმინდა კოლხიდა“ ხობის მონასტრის ღვთისმშობლის სიწმინდეზე წერს: „აჩვენებდნენ ღვთისმშობლის პერანგს, რომელსაც იქაურები დიდ პატივს სცემენ“.

ს.კაკაბაძე: „ანბანი და მწიგნობრობა აღმოსავლეთ საქართველოში იერუსალიმელმა იბერებმა შემოიტანესო“.

ნიკო მარი: „იბერიად სამეგრელო და იბერებად მეგრელები იწოდებოდნენ, მერე კი ბერძნებმა ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოსაც შეარქვეს; აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მეგრელ-იბერებმა შემოიტანეს; ლაზებსა და მეგრელებს იერუსალიმში ქრისტიანული ეკლესიები ჰქონდათ, იბერ-ლაზ-მეგრელებს, ქრისტეს შემდეგაც VI-VII საუკუნეებში საკუთარი მეგრული ეროვნება

მთლიანად დაცული ჰქონდათ". (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", 1928.1).

ივ. ჯავახიშვილი: „ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურ შტოს, ან სვანურ შტოს" (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", 1928.1).

ივ. ჯავახიშვილი: საბერძნეთის I საუკუნის მეფე პორფირე გერენტს განუზრახავს დაეპყრო იბერთა ჯიბერის ციხე და იქიდან სალაშქროდ გადასულიყო ქართლში იმ უღელტეხილით, რომელსაც დარაჯობდა ჯიბერის ციხე. მან ციხე ვერ აიღო და თქვა: „ამ ციხის მეციხოვნე იბერები აქ იერუსალიმიდან ჩამოსულან — მათ ქრისტე თავგამოდებით ჰყვარებიათ და ამიტომაც ქრისტეს მიუცია იმათთვის უძველესი გრძეულობა" (ივ.ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", 1928.1)

ივ. ჯავახიშვილის ცნობილი ფრაზა: საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებით და ლეგენდებით.

„საქართველოს პატრიარქმა კირიონ II ოფიციალურად პირველმა განაცხადა, რომ **ქართველნი არიან ქალდეველები** და მიესალმა ევროპული მეცნიერების აღმოჩენას ამ საკითხში. ჭეშმარიტი უზარმაზარი შრომა გასწიეს დასავლეთ ევროპის მეცნიერებმა. პატივი მივაგოთ მათ! ამ დრომდე არსებობდა უკუღმართი წარმოდგენა ებრაულ კულტურაზე. 2000 წელზე მეტხანს ებრაელები ამყოფებდნენ რელიგიურ-ისტორიულ დაკნინებაში თითქმის მთელს მსოფლიოს. მათ მოახერხეს თავს მოეხვიათ კაცობრიობისათვის უჩუმრად სხვა ხალხებისათვის

მისაკუთრებული და თავიანთ ყაიდაზე ასხმული რელიგიური რწმენები“.

გივი ხაზალია,
პროფესორი, აკადემიკოსი

იშვიათი ნაშრომი

დღემდე ისტორიაში იშვიათია ასეთი მეცნიერული ნაშრომი, როგორიცაა აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას წიგნი („კოლხეთ-საქართველოს ეპოსი", „ქრისტეს ბოლო სიტყვები", „ლაზარეს აღდგენა", სადაც თავმოყრილია მსოფლიო მეცნიერთა კვლევები ეთნობრივ ისტორიული თვალსაზრისით იოანე ზოსიმეს ქმნილება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი".

ის ადასტურებს ქალდეველთაგან ქართველ-კოლხთა (მეგრულ-ლაზურ) წარმოშობის რეალურ ისტორიას. მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს და გზას უხსნის ქართველი ერის ისტორიულ განვითარებას. ყოველივე ეს დასტურდება ახალგაზრდა მეცნიერის აკადემიკოს გია კვაშილავას მიერ „ფესტოსის დისკოს" შესწავლით, რომელიც აღიარა მთელმა მსოფლიოს სამეცნიერო ელიტამ.

აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას შესანიშნავმა ნაშრომმა გზა მისცა ქართველ ხალხს, რათა ხმა ამოიღოს მსოფლიო საზოგადოების წინაშე და თქვას, რომ ჩვენ ღმერთის შვილები ვართ და ამიტომ ვცხოვრობთ მის მიერ კურთხეულ დედა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე.

გავერთიანდეთ ერი და ბერი, რათა აღვადგინოთ სრულიად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. რწმენა და სიყვარული დაუბრუნოთ ქართველ ხალხს, რათა მათ იგრძნონ ზნეობრივი პასუხისმგებლობა ღმერთისა და კაცობრიობის წინაშე.

ასეთი წიგნის ავტორი, როგორიც ბატონი ვლადიმერია ციხეში კი არ უნდა იყოს, არამედ ერი, ბერი და მსოფლიო საზოგადოება ხელისგულზე უნდა ატარებდეს.

ამ ას გვეუბნება წმიდანი მამა გიორგი „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“. ეს სიტყვები ყველა ქართველმა გულთან უნდა მიიტანოს და აღიქვას სწორად.

აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას მეცნიერული კვლევა ადასტურებს ქალდეველების, ქართველობის ძირძველობას, როგორც კაცობრიობის საწყისსს, საიდანაც დაიწყო ადამიანთა გამრავლება და სვლა მთელს დედამიწაზე.

დღეს ქართველები სიყვარულით ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და მსოფლიოს საზოგადოებას დავანახოთ ერთად ყოფნის უძლეველობა. მაგალითი მივცეთ, როგორ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი და მაშინ აღსრულდება ღმერთის დიდებული სიტყვები „გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი“.

მე მზად ვარ ხელი მოვაწერო ჩემს კოლეგებთან ერთად მიმართვას ხელისუფლების მიმართ, რათა ვადაზე ადრე იქნას განთავისუფლებული აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია.

დარწმუნებული ვარ ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს ერთობლივ თხოვნას და მჯერა, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს.

რომულ ჯაფარიძე,
აკადემია „ქალდეას“ და ფაზისის აკადემიების
აკადემიკოსი, არმიის გენერალი.

მე წავიკითხე ეს წიგნი და უკვე შემიძლია არა ზოგადად, არამედ უკვე კონკრეტულად ვილაპარაკო მასზე. და მართლაც, ისმის ეს მტკივნეული კითხვა: საიდან მოვდივართ? სად უნდა წავიდეთ? დღემდე კაცობრიობამ ვერ გასცა ამ კითხვებს პასუხი. რომ მოვყვეთ, მართლაც, რა სასწაული რამ არის დამარხული ჩვენს გენში, ამის ამოცნობა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს დღესაც. არადა, მე მანცვიფრებს ჩვენი წინაპრების ის საოცარი გემოვნება, მათი დამოკიდებულება და სიყვარული ფესვისა და ფუძისადმი. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ როდესაც ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში დაიწყო შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, ნუ დაგვავიწყდება, რომ ბერძნული კულტურა ამ დროს მსოფლიოს იყო მოდებული. ბერძნებმა დასავლეთ ევროპაში, კერძოდ კი აპენინის ნახევარკუნძულზე დიდი ქალაქები დააარსეს: სირაკუზა, ნეაპოლი, საფრანგეთის ტერიტორიაზე მარსელი... აფრიკის მიმართულებითაც ვრცელდება ბერძნული ცივილიზაცია, სადაც ისინი შევიდნენ, წაშალეს ადგილობრივი კულტურის კვალი. ვერცერთმა კულტურამ ვერ გაუძლო ბერძნული კულტურის მოძალებას. არადა, მე თავს უფლებას ვერ მივცემ, დავაკნინო იგი, რადგან დიდი კულტურა იყო ნამდვილად და, ფაქტობრივად, კლასიკას საფუძველი სწორედ მათ ჩაუყარეს, მაგრამ რა იყო, კლასიკამდე, ეს უკვე საძიებელია. ან იქნებ, რასაც ჩვენ კლასიკას ვუწოდებთ და მხოლოდ და მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვით VI საუკუნით შემოვფარგლავთ, იქნებ უფრო შორეულ წარსულში შეიძლება ვეძებოთ. დღეს ჩვენ გვიჭირს, გვიმძიმს შევაჩეროთ ოკეანის გაღმიდან მოსული რამ (კულტურას ვერ დავარქმევ მე ამას). არადა, განა ოკეანის გაღმა კულტურა არ

იქმნება? მაგრამ, საუბედუროდ, რაც საქართველოს ტერიტორიაზე შემოდის, ეს არის უხამსობა და არა კულტურა. ამას ძლივს ვუმკლავდებით დღეს ჩვენ. თქვენ წარმოიდგინოთ, რა დღეში იყვნენ ჩვენი წინაპრები. იღებდნენ რა ბერძნულიდან საუკეთესოს, უარს კი არ ამბობდნენ იმ უცხოზე, მაგრამ ეროვნულ ნიადაგზე ხდებოდა ამის გადამუშავება და ბოლოსდაბოლოს, ჩვენ მივიღეთ ისეთი სახე, რომელსაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. ყურადღება მივაქციოთ ერთ ფაქტსაც: ბერძენი არაბერძენს „ბარბაროსს“ უწოდებს და ამრეზილად უყურებს სხვის ხელოვნებას. არადა, ბერლინის მუზეუმში დაცულია თიხის ჭურჭელი — ამფორა, რომელზედაც არის ამოჭრილი წარწერა: „კოლხმა გამაკეთა. მყიდველო, მიყიდე, თორემ მეორედ შენ ჩემნაირს ველარ იყიდი“. ბერძენი არ თაკილობს, წაიღოს კოლხი ოსტატის ნამუშევრები და ბოლოს იქ უკვე ამ სახით წარადგინოს. მე დიდი სიყვარული მინდა შევუთვალო ჩემს წინაპრებს, ძლიერი ჯიშისანი, ძლიერი გენისანი და ძლიერი ფესვისანი რომ იყვნენ. დღეს ამის გამოღვიძება უნდა მოხდეს, მაგრამ რა გამოაღვიძებს მას? — ისევ საწყის სათავესთან დაბრუნება, წარსულში უკანსვლა კი არა. სხვათა შორის, ხშირად, ბევრ ოპონენტს ჩემს მიმართ უთქვამს კიდევაც, რომ 2000 წლის მიღმა გვაბრუნებსო. 2000 წლის მიღმა დაბრუნება კი არა, „წინ — წარსულისკენ“ — ამ დევიზმა უნდა გვიხსნას ჩვენ, იმიტომ, რომ წარსულისკენ უკან კი არა, წინ უნდა გადავდგათ ნაბიჯი და ეს უკვე ბედნიერ მომავალში მიგვიყვანს. ამდენი პარალელი, სიტყვათა თანხვედრა რომ მოიძია კაცმა, არ არის ეს საკმარისი? ზოგიერთ რამეს დაკვირვებული თვალი სჭირდება. მაგალითად, როცა იყო დავა პირველ ქართულ სახელმწიფოზე — დიაოხზე, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა. იქ თუ რამეს პოულობენ თურქები,

არამც თუ ქართველ, ევროპიდან ჩასულ მეცნიერებსაც კი არ მიუწვდებათ ხელი იმ ექსპონატებზე: ანკარის მუზეუმში შეაქვთ ყველაფერი. და ერთადერთი საფუძველი, ვამტკიცოთ, რომ დიაოხი ქართული სახელმწიფო იყო, ეს არის მხოლოდ ენობრივი მასალა. ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება: მეფეები „უტუ ფურსებად“ იწოდებიანო. გენიოსის ალღომ არ უმტყუნა. არადა, „უტუ ფურსი“ არაფერს არ ნიშნავს ქართულად. მიხვდა ის კაცი, რომ აქ სახელისა და წოდების შერწყმას აქვს ადგილი. „უტუ“ უნდა იყოს სახელი, „ფურსი“ — წოდება. არადა, ქართულ „უფროსთან“, მეგრულ-სვანურ „ფუსთან“ პარალელშია ეს „ფურსი“. ამას, თუ შემოქმედის ნიჭით არ არის ადამიანი დაჯილოებული, შეიძლება ვერც მიხვდეს. ჩემმა თანატოლმა კაცმა, ისტორიკოსმა შემოგვთავაზა, იქნებ კოლხეთის პირველი მეფის — აიეტის სახელიც „უტუს“ ბერძნული ვარიანტიაო. იმიტომ, რომ ეს ჩვენი ქვეყნები უძველესი პერიოდიდან ასე იწოდებიან და როგორც ასურელმა „მესხმიდან“ „მუშქი“ მიიღო და „მუშქებს“ უწოდებს იმ ქართულ ტომებს, ასე ხომ არ არის ამ შემთხვევაშიც და ხომ არ არის ეს აიეტი კი არა, უტუ და ბერძნის ყური ამას ასე აღიქვამს. ალბათ, მომავალი ბევრ რამეს გვეტყვის. მე მინდა, ამ გაუტეხელ კაცს ჩემი სიყვარული გავუგზავნო აქედან და მოვეფერო მის უტეხელ სულს. ამ წიგნს, რომელიც გვიძღვნა მან ჩვენ, გვაჩუქა და მიგვანიშნა, რომ ეს არის კოდი, რომელიც უკვე გატყდა — ახლა უკვე ყველას შეგიძლიათ თქვენ-თქვენი სიტყვა თქვათ. გამოვიდა ერთი სვანური წიგნი, რომელიც შედარებით სუსტი იყო. როდესაც მეცნიერები გაგიჟდნენ, ვუთხარი: თქვე დალოცვილებო, ნედლი მასალა ხომ არის ამ წიგნში? ჰოდა, მეცნიერები გქვიათ, ადექით და გამოიყენეთ, ისარგებლეთ, ამის მეტი ვერაფერი ვერ დაინახეთ ამაში? ამხელა უზარმაზარი მასალა დადო კაცმა-მეთქი. ვლადიმერ ვახანიას

წიგნში ისეთი თავისებური დაკვირვებებია, ამის მიმართ რომ გულგრილად თუ დარჩებიან, არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. შეიძლება არ იგრძნო. საერთოდ, ორი მტერი ჰყავს მეცნიერებას. პირველი, ეს არის, როცა მეცნიერულ ალღოს ვერ ავლენს მკვლევარი, მაგრამ არის დაჯილდოებული შემოქმედებითი ნიჭით. მეორე: როცა მეცნიერი ჩაკეტილია თავის მეცნიერულ შრომებშიც, ვერ ავლენს შემოქმედებით ალღოს, ველარ მიდის წინ და ტკეპნის ერთ ადგილს. ასეა დიდ აღმოჩენებს ყოველთვის პირველი ნაბიჯის გადადგმა ქმნის სწორედ. ნურავინ ნუ შემოედავება ამ წიგნის ავტორს. ნუ დაივიწყებენ იმას, რომ ინდუქციური დენის — ამ მეცნიერული აღმოჩენის ავტორი მაიკლ ფარადეი საერთოდ არ ყოფილა ფიზიკოსი. იგი დიდი ფიზიკოსის, გემფრი დევის ლაბორატორიაში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა. აი, დიდი ფიზიკოსი წლების მანძილზე თავს აკლავდა და პატარა ბიჭმა ეს დიდი აღმოჩენა გააკეთა. ისეთი ადამიანისგან, როგორიც ამ წიგნის ავტორი გახლავთ, მე ყოველთვის აღმოჩენას ველოდები.

ერეკლე საღლიანი,
პოეტი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი.

ბრწყინვალე წიგნი

გილოცავთ დღევანდელ დღეს! წიგნი, რომელიც გამოსცა ბატონმა ვლადიმერმა ეს არის იშვიათი წიგნი, რადგან მასში მოცემულია ისეთი საკითხები, რომელიც ჯერ არავის არ გამოუქვეყნებია და არ აუხსნია საზოგადოებისთვის ის, რაც ჩვენმა თაობამ გამოიარა. რელიგიაზე ასობით წიგნია გამოცემული, მაგრამ ამ წიგნში არის სიახლე. მან ბევრი სიახლე შემოიტანა ქართულ-იბერიულ-კოლხურ ენაზე დაყრდნობით, ამავე დროს, ძველი და ახალი აღთქმის წყაროების საშუალებით და მათი შეჯერებით, თავისი დიდი ნიჭით, ფილოსოფიური, თეოლოგიური თეორიების საფუძველზე მან შექმნა ახალი წყარო, რომელიც საინტერესო იქნება ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც მუშაობს რელიგიაზე და იკვლევს იმ საკითხებს, რომლებიც ეხება ძველი ქალდეველების ისტორიას. ამაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ მე მინდა ვთქვა: პირველი სიახლე, რომელიც მან შემოიტანა: ბიბლია რომ დაიწერა, მისი ავტორები ქართველური ტომები არიან. ბიბლიის პირველწყარო არის „ეფუთი“, რაც ავტორმა დაასაბუთა. ჭეშმარიტი ისტორია დაწერა ვლადიმერ ვახანიამ ეს არის ამ წიგნის ღირსება.

ვანო მეგრელი, მწერალი
საქართველოს ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი.

* * *

მე წავიკითხე ეს წიგნი და აღფრთოვანებული ვარ, რომ ვარ ქართველი და ვარ იმ ერის შთამომავალი, რომელმაც მსოფლიოს ცივილიზაციას დაურწია აკვანი. მადლობას მოვახსენებ უფალს, რომ თავს ვთვლი ვლადიმერ ვახანიას მეგობრად.

ნათელა გოხელაშვილი,
მწერალი, ფაზისის საერო აკადემიის
ნამდვილი წევრი.

ბატონმა ვლადიმერ ვახანიამ გააერთიანა ივანე ჯავახიშვილის, მოსე ჯანაშვილისა და სხვათა კვლევები. დიდ მადლობას მოვახსენებ მას, რომ ჩემი სტატიაც გამოიყენა და ჩართო წიგნში. ძალიან დიდი ნაწილი ამ წიგნიდან ეხება წიგნს — ეფუთს, რომელიც დაიკარგა (რომელიც, როგორც ირკვევა, ჩვენთან არ დევს, მაგრამ პეტერბურგში, საჯარო ბიბლიოთეკაში ყოფილა). ძალიან მომეწონა ფესტოსის დისკოს წარმოჩენა. ეს საკითხი საკმაოდ დაწვრილებითაა მიმოხილული. მინდა გავამახვილო ყურადღება სიტყვა „ფაზისზე“, რომელსაც ამ წიგნის დიდი ნაწილი ეხება და დავამატებ, მართალია, ერთ ღამეში წიგნი ვერ წავიკითხე ისე დეტალურად, თუმცა შევეცდები, ძირითად ერთ დეტალზე გავამახვილო ყურადღება. ეს გახლავთ მონაკვეთი ჩემი წერილიდან: „ფაზისი“ — ნიშნავს „კურთხეულს“, „წმინდას“, და ეს არის მხოლოდ ჩემი კვლევა, თუმცა მე, ვლადიმერ ვახანიას კვლევებსაც ვეყრდნობი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სვანები იალბუზის მთას უწოდებენ აზისს ანუ წმინდასა და კურთხეულს. მე, ბატონ ვლადიმერზე ბევრი მაქვს სალაპარაკო, რომელსაც ცალკე წერილში დავბეჭდავ...

ნათელა ფოფხაძე,
მკვლევარი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი.

დიდი შემოქმედი

ისეთი ინტერესით იკითხება ბატონი ვლადიმერის ეს წიგნი, რომ სანამ არ დაამთავრებ, ვერ გადადებ გვერდზე. ეს არის დიდი შემოქმედებითი ნიჭი. ბატონი ვლადიმერი არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი და ერუდიტი რომ იყოს, სულაც არ არის გასაკვირი, მაგრამ საინტერესოა ის, რომ იგი პროფესონალი ენათმეცნიერის დონეზე იხილავს, იკვლევს ჩვენს უძველეს სიტყვათა ეტიმოლოგიას. ბატონი ვლადიმერი მამანტი და ცირა ძაძამიებთან ერთად არის თანაავტორი 7 ტომეულისა „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“, რომელიც მთელი ისტორიაა კაცობრიობის ენისა და მეტყველების წარმოშობისა. აი, სწორედ ეს ვერ აპატიეს ბატონ ვლადიმერს და მე ვამაყობ, რომ ასეთი ადამიანი არის ჩვენს შორის და, ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, დღეს საკანში გვიზის!!!

კუკური ფიფია,
მკვლევარი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

* * *

როგორც მეცნიერმა, ვლადიმერ ვახანიამ, სრულიად ახალი სიტყვა თქვა ქართულ ისტორიოგრაფიაში....

ალეკო თოდუა,
მწერალი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი.

* * *

გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ლევან გოთუამ საპყრობილეში დაწერა თურმე თავისი ბრწყინვალე ტრილოგია — „გმირთა ვარამი“ და ბამბუკის ჯოხებში ჩადებული ციხიდან გამოაპარა“, რომელიც მერე ქართველი ხალხის საყვარელ წიგნებად იქცა. ასეთივე „ბედი ეწევა“ ალბათ ვლადიმერ ვახანიას ტრილოგიას: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“ და „ლაზარეს აღდგენა“-ს, ამინ!

გილდა სუხიშვილი,
მწერალი.

* * *

აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას წიგნი ტრილოგია პოემად რომ ყოფილიყო დაწერილი, ადამ მიცკევიჩის გენიალური „ფარისევით“ იქნებოდა ხელ-ხელ საგოგმანები...

ლილი მიცკევიჩი,
მეცნიერ-ფილოლოგი

* * *

მკვლევარი და მეცნიერი ვლადიმერ ვახანია, გარდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორისა, დიდი ქველმოქმედი პიროვნებაა, ამაში მარტო ჩემი — აფხაზეთიდან დევნილის, ომის ქარ-ცეცხლში გამოვლილის წიგნი — „ომი აფხაზეთში“ იკმარებოდა, რომელსაც სინათლე ახილვინა, თვითონ სიბნელეში მყოფმა პიროვნებამ. მე თუ ვერ გადავუხადე სამაგიერო ბატონ ვლადიმერ ვახანიას, ღმერთი მაღალია და ის გადაუხდის!

რომანოზ ზარანდია,
პოლკოვნიკი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

* * *

ბატონ ვლადიმერ ვახანიას წიგნი: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“ — აკადემიურ დონეზეა დაწერილი და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის საყვარელ წიგნებად უნდა იქცეს...

შარაბ ხოჭოლავა,
მხატვარი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი

* * *

წიგნი — „ბესტსელერი“ — ასე ვუწოდებდი მკვლევარისა და მეცნიერის ვლადიმერ ვახანიას წიგნს: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსს“, მაგრამ სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ავტორი მას არ ყიდის და საჩუქრად აძლევს მადლიერ მკითხველ საზოგადოებას...

კახა ბასილია,
იურისტი

* * *

სამყაროს ფერთა სისტემაში დოქტორმა ვლადიმერ ვახანიამ თავისი ახალი წიგნით — „კოლხ-საქართველოს ეპოსი“ — სულ სხვა, აქამდე უცნობი ფერები შემოიტანა ქართველი მკითხველი საზოგადოების აზროვნებაში...

შალვა სიჭინავა,
ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი

* * *

ამ კუთხით და ასე მასშტაბურად არცერთ მკვლევარს არ ჩაუხედავს კოლხეთის (საქართველოს) ისტორიაში და პრეისტორიაში. მის მითებში და ლეგენდებში ვლადიმერ ვახანიას გარდა...

ჯუმბერ გულორდავა,
ინჟინერ-კონსტრუქტორი

* * *

ბატონ ვლადიმერ ვახანიას წიგნი — „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“ — შეიძლება ვინმეს ტრანსცენდენტური მოეჩვენოს, მაგრამ ყოველივე შემეცნებისათვის მიღწევადია...

ქეთევან კობაიძე,
ფიზიკოსი, პროფესორი

* * *

...დოქტორ ვლადიმერ ვახანიას წიგნი-ტრილოგია — „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“ — ყველა ოჯახის კუთვნილება უნდა გახდეს.

ბიატა აბშილავა,
პოეტი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი

* * *

მკვლევარ ვლადიმერ ვახანიას ზემოდასახელებული წიგნი — „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“ — ისე პოეტურადაა დაწერილი, შეიძლება სულმოუთქმელად წაიკითხო და გაეცნო ისტორიულ და პრეისტორიულ კოლხეთს — საქართველოს, მის ყოფას და კულტურას.

ანა ქველიძე,
პოეტი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი

* * *

სამართალმცოდნეობის დოქტორს ვლადიმერ ვახანიას, წიგნისთვის „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“ — ჩვენი ნება რომ იყოს, დისერტაციის დაუცველად, როგორც თავის დროზე გიორგი ლეონიძეს — მივანიჭებდი — ისტორიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს.

გოდერძი ჩაგელიშვილი,
იურისტი

* * *

წიგნის ასეთი გრანდიოზული პრეზენტაცია იშვიათად თუ მინახავს, მაგრამ მკვლევარისა და მეცნიერის ვლადიმერ ვახანიას ნაშრომი ამას იმსახურებს ჭეშმარიტად...

ლარისა ხაჭაპურიძე,
მსახიობი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი.

* * *

საბედნიეროდ, ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენს შორის აღმოჩნდა ღვთით მოვლენილი კაცი (ვლადიმერ ვახანია), რომელმაც სინამდვილეს აზიარა, როგორც ქართველი ერი, ასევე კაცობრიობა.

შოთა ხოჭავა-ეგრისპირელი,
მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

მადლობა მეცნიერს

სათქმელი ბევრი მქონდა, მაგრამ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვამოკლებ მას. რომ წავიკითხე ეს ნაწარმოები, თვალებს არ ვუჯერებდი, რაც ვნახე ეს. თუნდაც ის ამბავი რად ღირს, რომ მე თუ რამ გამაკვირვებდა, არ მეგონა, მაგრამ მეგონა, რომ დღემდის ადამის შესახებ რამე ვიცოდი. არაფერი არ მცოდნია. მ გვერდია ადამისადმი მიძღვნილი და გაოცებული დავრჩი, რომ ის კოლხი კაცი ყოფილა. კოლხურად მოლაპარაკე. არც ის მეგონა, ახალს თუ ვინმე რამეს იტყოდა ნოეზე. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნოეც კოლხურად მოლაპარაკე კაცია. წარღვნაზეც ბევრი მეგონა ვიცოდი, მაგრამ არც არაფერი მცოდნია. ეს ყოფილა 5550-5300 წლებში და ნახეთ, რა ლამაზად, რა დიდი გაგებით აქვს დაწერილი ვლადიმერ ვახანიას. მინდა ბატონ ვლადიმერს უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის.

ზაურ გოგოლაძე,
აკადემიკოსი.

ღვთიური სული და პედაგოგიური მეცნიერების როლი ახალი თაობის აღზრდის საქმეში

მაღალმა ღმერთმა (ზენა არსმა) შექმნა ეს უსასრულო სამყარო და მზის სისტემაში შემავალ ერთ-ერთ პლანეტაზე — დედამიწაზე მოავლინა სულიერი და უსულო არსება. მათ შორის, სამყაროს უნიკალური ქმნილება, სიცოცხლის გვირგვინი — ადამიანი, მისი მსგავსი, მაგრამ არა სრულყოფილი. არასრულყოფილია მისი მხედველობა და აზროვნება. ადამიანს მისცა უნარი და სულიერი ძალა, რათა გაამდიდროს თავისი ტვინი ცოდნით და იაზროვნოს სრულყოფილად, რათა მიუახლოვდეს მის შემოქმედს — ღმერთს. ღმერთია შემოქმედი ყველაფრის, რასაც ადამიანი ხედავს და რასაც არ ხედავს, მაგრამ მომავალში დაინახავს, როცა გახდება სრულყოფილი მოაზროვნე და სულიერად გამდიდრებული. ადამიანი ბუნების ნაწილია — სამყაროს ნაწილია — შემოქმედის ნაწილია, ამიტომ ბევრი უნდა ისწავლოს, რომ შეიცნოს ღმერთი.

ადამიანს რომ აჩვენო სხეულისაგან მოკვეთილი ხელი (ადამიანისაგან მოკვეთილი), ის იტყვის — ხელია, მაგრამ ეს უკვე ხელი არ არის, რადგანაც არ შეუძლია ხელის ფუნქცია შეასრულოს. ის ხელის ფუნქციას მაშინ ასრულებს, როცა სხეულთან არის მიერთებული. ამ პატარა მაგალითიდან შეიძლება დავასკვნათ, დიდი მნიშვნელობის სასიცოცხლო საკითხი:

ადამიანი თავის ფუნქციას, მოვალეობას შეასრულებს მაშინ, როცა ღმერთს გაითვითცნობიერებს.

ადამიანი უნდა ისწრაფოდეს სრულყოფილი გახადოს მისი მხედველობა და აზროვნება. ეს არის მთავარი მამოძრავებელი კოსმოსური — ღვთიური ძალა, ღმერთთან მიახლოებისა.

დასაბამიდან არსებობს ღმერთი და სატანა, ე.ი. სიკეთე და ბოროტება, ქვეყნად იბადებიან ადამიანები, დადებითად დამუხტული, ე.ი. კეთილი ადამიანები და უარყოფითად დამუხტული — ბოროტი ადამიანები. ამიტომ მიდის გამუდმებული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ადამიანი ღმერთის სულიერებით გათვითცნობიერებული, კეთილსულიერებით მოაზროვნე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე. ამის უამრავი მაგალითები არსებობს ისტორიაში.

საბჭოთა პედაგოგიკა ძირითადად დაფუძნებული იყო მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე, რომელიც ცალმხრივად იხილავდა სამყაროს და იდეალისტურ პოზიციებს გამორიცხავდა, გამორიცხავდა იმ ჭეშმარიტებას, რომ სამყაროს შემოქმედი არის მაღალი ღმერთი.

მატერიალისტური და იდეალისტური გაგების ურთიერთდაპირისპირებამ წარმოშვა უამრავი, ურთიერთგამომრიცხავი, არასწორი თეორიები. მაგალითად, ადამიანის წარმოშობისა და განვითარების — ევოლუციის თეორიამ დიდი ზიანი მიაყენა კაცობრიობას.

საბჭოთა პედაგოგიკაში ჩადებული რომ ყოფილიყო ღვთიური სულიერების შემეცნების თეორია, ადამიანები იქნებოდნენ ზნეობრივად აღზრდილი, კეთილშობილი და სრულყოფილი. მართალია, გამოვიდნენ დიდი მეცნიერები ყველა დარგში, მაგრამ აკლდათ ღვთიური სულის ცხოველმყოფელობა. ამან გამოიწვია ომები, ძმათა მკვლელობები, ტერორისტული აქტები, ტრაგედიები და მრავალი უმსგავსობანი. კაცობრიობამ ღვთის ძებნაში შექმნა უამრავი რელიგია. ქრისტეს დაბადემდე რამდენიმე ათასწლეულებში წარმართული რელიგია, შემდეგ მოდის ებრაული იუდაიზმი — იუდაიზმი, მათი მოძღვრება ემყარება

5 წიგნს — თანახ-ს და იშიფრება — თორა — ივრითი და მას ეძახიან ებრაელების ბიბლიას, ქრისტიანები კი ძველ აღთქმას.

ქრისტიანული რელიგია, სხვა კლასიკურ რელიგიებთან შედარებით არის უფრო პროგრესული რელიგია და მისი მიმდევრები მსოფლიოში 2 მილიარდზე მეტია.

დიდი ხანია ჩამოყალიბებულია პედაგოგიკის თეორია და ქრისტიანულ მოძღვრებასთან (ბიბლიასთან) ერთობლიობაში ის იქნება ჭეშმარიტი მოძღვრება ახალი თაობის - საერთოდ ადამიანის პიროვნებად ფორმირების, სრულფასოვანი — სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებისა და აღზრდის საკითხთან მიმართებაში.

პედაგოგიკური მეცნიერების თეორიის განვითარება-ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ჩვენმა მეცნიერებმა, პოეტებმა, მწერლებმა, ფილოსოფოსებმა, სასულიერო პირებმა, როგორებიც იყვნენ პეტრე იბერი, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები.

ასევე უცხოელები: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, კომენსკი, რუსო, უშინსკი და სხვები.

სასულიერო და საერო განათლების ლოგიკურ კავშირში მიიღწევა სრულყოფილება, შესაძლებელია თეოკრატიულ განათლებასთან ერთად, რომელიც არანაირად არ ზღუდავს საერო განათლებას, პირიქით, საერო განათლება სულიერი ადამიანის ხელში სიკეთედ იქცევა. ამის მაგალითები უამრავია აღზრდაში, ბიბლიური თვალსაზრისის გათვალისწინება გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებს სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ ყოვლისშემოქმედ ღმერთზე და მის ქმნილებაზე.

აღზრდის ერთიანი სისტემა, როცა მასში შევა სულიერების აღზრდა და კლასიკური პედაგოგიკის

მეცნიერული თეორიები, მაშინ ასეთ თეორიებზე აღზრდილი აიქნება სრულყოფილი.

ბიბლია გონიერებაში ცოდნას გულისხმობს და ყრმას მისი მიღების აუცილებლობისაკენ მოუწოდებს, რადგან „სულელნი სიბრიყვეს იმკვიდრებენ, გონიერნი კი, ცოდნით არიან დაგვირისტებულნი“.

გონიერებას მიჰყავს ადამიანი სიბრძნისაკენ.

ნიჭთა განსხვავებულობის გამო არის ნათქვამი ბიბლიაში: „შეიცან თავი შენი“, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულმა ადამიანმა გაიგოს, თუ რისი ნიჭი, მიდრეკილება და შესაძლებლობა არის მისთვის მიცემული ზეციდან, რომ შესაბამისად შეირჩიოს საქმიანობა. სწორედ ამ დებულების პარალელს წარმოადგენს პედაგოგიური კანონი: ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობა და პედაგოგიური პრინციპი ასაკობრივ-ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება აღზრდაში.

პედაგოგიკის მეცნიერებასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აღზრდა.

პედაგოგიკის კლასიკოსები: კვინტილიანე, კომენსი, ჟ.რუსო, უშინსკი, ი.გოგებაშვილი და სხვები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ზნეობრივ აღზრდას, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში.

ზნეობრივი სრულყოფის საფუძველი არის სრულყოფილი განათლება.

ზნეობრივი აღზრდის დანიშნულებაა სიკეთისა და ბოროტების არსში გარკვევა. ბავშვი უნდა დარწმუნდეს სიკეთის მშვენიერებაში და ბოროტების სიმახინჯეში. ადამიანი ჯერ უნდა დაეუფლოს კეთილზნეობას და შემდეგ სიბრძნეს.

ადამიანის გონიერება შეიძლება დატვირთული იყოს მრავალი ცოდნით, მაგრამ მოკლებული იყოს ზნეობრივ

აღზრდას — კეთილზნეობას: (ნათქვამია: „ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა“-ო).

„ბავშვზე კეთილ ზემოქმედებას, კეთილი გრძნობების განვითარება მოაქვს“.

„ადამიანი ვალდებულია იყოს არა მარტო გონიერი, არამედ ზნეობრივი და ღვთისმოშიში“. (კომენსკი).

„შიში შეიქმს სიყვარულსა“-ო (შოთა რუსთაველი).

ჟან-ჟაკ რუსო ზნეობრივი აღზრდის მთავარ ამოცანად თვლის შრომით და რელიგიურ აღზრდას. მისი თქმით, ყოველი უსაქმური ადამიანი გაიძვერაა, განურჩევლად იმისა, მდიდარია თუ ღარიბი, ძლიერია თუ სუსტი.

უშინსკის აზრით, ზნეობრივი აღზრდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონების ფართო ცოდნით გავსება. ზნეობრივი აღზრდის კონკრეტულ ამოცანად მას მიაჩნდა ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, დისციპლინის, სამართლიანობის, შრომისმოყვარეობის, პასუხისმგებლობის გრძნობათა აღზრდა. კეთილ ჩვევებს კაპიტალს უწოდებდა, უზნეობას კი — ზნეობრივ გაკოტრებას.

ბავშვი პატარაობიდან უნდა ეჩვეოდეს შრომას. ჩვენ, როცა ვსწავლობდით (მხედველობაში მაქვს საბჭოთა პერიოდი), ყოველდღე 2-3 საათი — საშუალოდ, ვმუშაობდით ფიზიკურად, სხვადასხვა სფეროში, როგორც სკოლაში, ასევე სახლშიც. ეხლა მხოლოდ თამაშით ერთობიან.

იაკობ გოგებაშილი — ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პიროვნების ღირსებას გონებრივი და ზნეობრივი სიმდიდრით განსაზღვრავდა, მაგრამ უპირატესობას, ზნეობრივ აღზრდას ანიჭებდა.

ილია ჭავჭავაძე — გონებრივ აღზრდაზე უფრო მაღლა ზნეობრივ აღზრდას აყენებდა.

ზნეობრივი გმირის იდეალური სახე შექმნა აკაკი წერეთელმა ბაში-აჩუკის სახით.

ზნეობრივი გმირი ცოტნე დადიანი, (იხილე წიგნი „აფხაზეთი საქართველოა“, ავტორი — ივანე მეგრელი).

ზნეობრივ აღზრდაზე დიდ ზეგავლენას ახდენს, ჩვენი პოეტების, მწერლების შემოქმედება, მათ ნაწარმოებების ცოდნა და დადებითი პერსონაჟების გაცნობიერება.

ბავშვები სკოლაში წიგნებს უნდა კითხულობდნენ, არითმეტიკის ამოცანებს თავის ტვინის მუშაობა-კარნახით უნდა წყვეტდეს და არა თითის დაჭერით გამომთვლელი აპარატის ღილაკზე.

გამომთვლელი აპარატი და კომპიუტერები, ადამიანის გონებრივი განვითარების უდიდესი შედეგია და მოზარდ თაობებს ჯერ უნდა ვასწავლოთ, როგორ ვავარჯიშოთ ტვინი, რა ინფორმაციები მივაწოდოთ, რომ განუვითარდეს ტვინის უჯრედები, რომ შეძლოს იაზროვნოს და სიტუაციების მიხედვით პასუხი გასცეს ამა თუ იმ საკითხს.

გაწვრთნილი ტვინით მოაზროვნე ადამიანი სამუშაო პროცესში ადვილად დაეუფლება ახალი თანამედროვე ტექნიკას. თუ პირიქით ვასწავლეთ, მაშინ ის მოაზროვნე კი არ იქნება, არამედ რობოტი გამოვა.

ბავშვებმა სკოლაში პირველ რიგში უნდა ისწავლონ თავისი ქვეყნის მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია, მერე რომელიმე უცხო ენა, არა ძალადობრივი მეთოდით. პირველ რიგში შენი მეზობლის ენა უნდა იცოდე, თუ მტერია, მოყვარედ უნდა გაიხადო და შორეულის მერე უნდა ისწავლო.

დაწყებით კლასში ბავშვები უნდა სწავლობდეს მეგრულ და სვანურ ენა-ლიტერატურას, როგორც უძველესი, ათასწლეულების წინა პერიოდის, ქრისტეს დაბადებამდე, ქართველური ტომების სალაპარაკო ენას, რომელიც წინაპრებმა დღემდე მოიტანეს და გაამდიდრეს კლასიკური, სალიტერატურო, საღვთო — ქართული ენა.

ახლა ამას რომ წაიკითხავს, ზოგიერთი იყვირებს სეპარატისტიაო, მაგრამ თვითონ არის სეპარატისტი. ეს კარგად ჩანს მურმან ლებანიძის ლექსში და საკადრისი პასუხიც მიიღო (იხილე „აფხაზეთი — საქართველოა“. ივანე მეგრელი).

პედაგოგიკის დოქტორი ბორის მიშველაძე წერს: დიდი ხნის აქსიომაა: ქართული, მეგრული და სვანური, ერთიანი ქართული ენის სამი თანასწორუფლებიანი განშტოებაა. როგორც გრიშაშვილი იტყოდა: „ეს ერთი ვაზის სამი მტევანი ძმურ მარანშია დაკიდებული“.

ცოტნე დადიანის შთამომავლობა ისტორიას არ ახსოვს, რომ სეპარატისტი ყოფილიყო, მუდამ პირიქით იყო.

ამას ილიას სიტყვებიც მოწმობს: სამეგრელოში ვიყავიო და საქართველო ვნახე“.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი წყაროები არსებობს და ჟურნალ „ცოტნეიდელ“-ში (1-2-3-4-5 ტომი) კარგად არის გაშუქებული.

ზნეობრივი აღზრდის თეორიაში უნდა იქნეს გათვალისწინებული ღვთიური სულის ძალა, რომელსაც ემორჩილება ყველა, ყოველივე და ყველაფერი.

მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ თავმდაბლობის სიკეთე, მისი აუცილებლობა ადამიანებთან ურთიერთობაში. პიროვნული სიამაყე, ამპარტავნობა და ქედმაღლობა არავითარ სიკეთეს არ მოუტანს ადამიანს. „მე„-ს ილუზიაში ყოფნა დამღუპველია, ეგოცენტროიზმი უნდა გამოირიცხოს.

ქრისტეს მოციქული პავლე მოუწოდებს თანაქრისტიანებს „შეიმოსეთ სათუთი გრძნობით — თანაგრძნობით, სიკეთით, თავდაბლობით, რბილი ხასიათით“.

ესაია წინასწარმეტყველი წერდა: „მაღლა აღაპყარით თვალები და შეხედეთ, ვინ შექმნა ეს ყველაფერი?“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი თაობის აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს, პირადი მაგალითის მეთოდს. მე მახსოვს, როცა ჩვენ სკოლაში ვსწავლობდით, არცერთი პედაგოგი სკოლის ტერიტორიაზე სიგარეტს არ ეწეოდა და მოსწავლე მით უმეტეს, გამორიცხული იყო. ახლა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. სოფლის პედაგოგები, ქალი თუ კაცი, იყვნენ კოხტად ჩაცმულნი და მისაბაძი იყვნენ ყოველმხრივ. დღეს სკოლაში დადიან გოგონები შელებილი წარბებით და სახით, ვიწრო შარვლებით, ბიჭები — მოშვებული თმით და უკნიდან რომ შეხედო, ვერ გაარჩევ გოგოა თუ ბიჭი. ამ ბოლო დროს, ბიჭებმა შეიტანეს სიახლე, შარვალი აააა... ჩამოვარდნაზეა და ამით შეიძლება გაარჩიო, ბიჭია თუ გოგო, მაგრამ არც გოგოები ჩამორჩნენ, მათმაც ჩამოუშვეს შარვლები...

ერთხელ მეტროში ერთ ახალგაზრდას მივეცი შენიშვნა: — აუწიე შარვალს, თორემ ჩამოგივარდება-მეთქი.. — გაოცებულმა შემომხედა და მითხრა: — ამისთანა რამე ჩემს პედაგოგს, მამაჩემს, მეგობრებს არ უკადრებია ჩემთვის და შენ ვინ ოხერი ხარო? — მე ვარ ის, ვისაც თქვენთვის კარგი უნდა-მეთქი.

ქუჩაში რომ მიდიხარ, ახალგაზრდა ბიჭებისაგან ისმის გინება: ჩემი დედა..... ჩემი და..... ამ შემთხვევაში სად არის აქ აღზრდის ელემენტარული კვალი?...

აღზრდის უამრავი მეთოდი არსებობს, მათ შორის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებთან გამოჩენილი ადამიანების, პოეტების, მწერლების, მეცნიერების, წარმოების ხელმძღვანელებთან შეხვედრას და მათი ავტობიოგრაფიის გაცნობას, თუ როგორ სწავლობდნენ, სად მუშაობდნენ და როგორ მიაღწიეს დიდ წარმატებებს. მე მოვიყვან ნამდვილ მაგალითს ჩემი ბიოგრაფიიდან.

როცა ვსწავლობდი საშუალო სკოლაში (სოფ: ნაფიჩხოვო, ჩხოროწყუს რაიონი, გასული საუკუნის 50-იანი წლები), ჩვენს სოფელში ჩამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი — სამთო ინჟინერი, პროკოფი პაპავა. (საქართველოში პირველი სოციალისტური შრომის გმირი). სკოლის დირექტორმა მოუწყო შეხვედრა მოსწავლეებთან. პროკოფი გამოვიდა სიტყვით: — „მე დავიბადე ამ სოფელში, აქ დავამთავრე საშუალო სკოლა. მშობლები ღარიბულად ცხოვრობდენ და უარი მითხრეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე. მე მეგობართან ერთად გავიპარე სახლიდან და მოსკოვში ამოვყავით თავი (მშობლებს ვაცნობეთ წერილით), ჩავაბარეთ მისაღები გამოცდები სამთო ინსტიტუტში და დამთავრების შემდეგ განაწილებით გაგვაგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში. ვმუშაობდით დღე და ღამე, გეგმას ვასრულებდით გადაჭარბებით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. დილის 6 საათზე რადიო იწყებდა გადმოცემას და ვუსმენდით, თან ვემზადებოდით სამუშაოზე წასასვლელად. უცებ ჩემდა გასაოცრად მესმის: შახტის მთავარ ინჟინერს პროკოფი პაპავას ყოველწლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. რასაკვირველია, ძალიან გამიხარდა. ავიღე შვებულება 10 წლის შემდეგ და ჩამოვედი მშობლიურ სოფელში. დღეს თქვენთან ვარ, ასე რომ, ისწავლეთ კარგად და გქონდეთ სწრაფვა გარკვეული მიზნისკენ და აუცილებლად მიაღწევთ წარმატებებს“. იგრიალა ტაშმა...

მე პირადად, მისი სიტყვები ჩამრჩა გულში, მაგრამ არავის ვუმხელდი. სკოლა რომ დავამთავრე, იმავე წელს ჩავაბარე გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამთო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების მერე განაწილებით გამაგზავნეს რუსეთში. იქ ვიმუშავე 5 წელი.

შემდეგ გადმომიყვანეს ტრესტი „ტყვარჩელქვანახშირის“ მეორე შახტაში. ჩემი სპეციალობით ვიმუშავე 10 წელზე მეტი. მერე ვმუშაობდი სოხუმის ფიზიკო-ტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ „საქზღვანაპირ“ გამაგრება, რესპუბლიკურ სამმართველოში.

პენსიაზე გასვლის მერე დავწერე ლექსები, პოემები, პროზაული ნაწარმოები „აფხაზეთი — საქართველოა“ და „რელიგია“. 2009 წელს საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს პრეზიდენტმა ბატონმა ვაჟა ეგრისელმა მოაწყო ჩემი წიგნის პრეზენტაცია და ჩემდა გასაოცრად, ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ვახტანგ გორგასალის ორდენის კავალერმა, გენერალ-ლეიტენანტმა, ბატონმა სერგო წურწუმიამ გადმომცა საბჭოთა კავშირის შახტიორის პირველი ხარისხის ორდენი.

ბიბლიური პერსონაჟის მაგალითზე აღზრდას აქვს ღვთიური ძალა. ნოემ შეასრულა ღვთიური ბრძანება: გააკეთა კიდობანი ურთხელისაგან: (ქალაქი შურუფაქში არსებობდა წარღვნამდე ხუთი ქალაქი: ერედუ, ბადთიბირა, შურუფაქი, ლარაქი, სიფარი), რომელიც გაშენებული იყო ქართველური ტომების მიერ.

* * *

„საქართველო უკოლხეთოდ უწარსულოა“

ვაჟა ეგრისელი

აიეტის ზღაპრულ კოლხეთს,
მტრობისა და სიძულვილის —
გველეშაპი მისწოლია,
მათ იციან აქ იწყება —
საქართველოს ისტორია“.

ვაჟა ეგრისელი

კოლხეთის ისტორიას რომ გაეცნოთ საკმარისია წაიკითხოთ ჟურნალი „ცოტნეიდელი“ 1-2-3-4-5 ნომრები, რომელიც წელიწადში ერთხელ გამოდის ფაზისის აკადემიის მიერ, პრეზიდენტ ნუგზარ ნადარაიას თაოსნობით.

ვაჟა ეგრისელის პოეზია ემსახურება ადამიანის სულიერ აღზრდას.

ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ კოლხეთი ცივილიზაციის სათავეა მსოფლიოში.

ქართველური ტომები კოლხ-იბერიელები-ქალდეველები მოყოლებული შუამდინარეთიდან არიან ცივილიზაციის შემქმნელნი, შუმერული — პირველი ცივილიზაციის შემქმნელნი დედამიწაზე. ქართულ-კოლხური სახელმწიფო არსებობდა 5000 წლის წინ, იესო ქრისტეს დაბადებამდე.

„ოქროს საწმისი“-ს გატაცება ბერძნების მიერ, „ქართლის ცხოვრებამ“ არ იცის, ან საიდან ეცოდინებოდა?..

საქართველოს მეცნიერები, ფილოსოფოსები, თეოლოგები ვალში არიან ქართველი ხალხის წინაშე. დღემდე ვერ შექმნეს რეალური, ჭეშმარიტი საქართველოს ისტორია, როცა არსებობს უამრავი ისტორიული წყაროები. („ვერ შექმნეს“ — არ არის სწორი — უფრო სწორი იქნებოდა არ უნდათ შექმნან. რატომ?..)

როგორც დავინახეთ, ყველა კლასიკური რელიგია და მისი განშტოებები ხმარობს ერთი და იგივე სიტყვას — ეკლესიას, სადაც ლოცულობენ. საინტერესოა, საიდან გაჩნდა ეს სიტყვა?

ეს სიტყვა არის ძირძველი ქართველური ტომების (კოლხური სიტყვაა).

არქეოლოგიური გათხრებით და მრავალი ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ პირველი ტაძარი ენგური (ენ – უფალი ღმერთი, გური — გული ე.ი. უფლის გული) გაუშენებიათ შუამდინარეთში (მდინარე ტიგროს-ევფრატის მიდამოებში) ქართველურ ტომებს, შუმერების ცივილიზაციის წინამორბედებს. ამის შემდეგ ტაძარი გაუშენებიათ კოლხეთის სამეფოში მდინარის პირას და მდინარეს ეწოდა ენგური, დღევანდელი მდინარე ენგური.

წარსულში და ახლაც ეკლესიებს აშენებენ მაღალ მთა გორაკზე, რომ ის ხილული ყოფილიყო შორი მანძილიდან. მთის ძირში მყოფი კაცი ეძახდა ზევით გორაკზე მდგომ კაცს: — მუშები ამოვიდნენ ზევით? ზევიდან პასუხობდნენ: — ამოვიდნენ, ამოვიდნენო... მეგრულად ასე იქნება: „მოხანდეფქ ეკილესო ჟი?.. ჟიშე გიმძახეს: ეკილეს, ეკილესია. ქვედა მდგომმა რამდენიმეჯერ გაუმეორა სხვა დანარჩენებს: ეკილესია. უფროსმა წამოიძახა: ამ ნაგებობას დავარქვათ სახელი — „ეკლესია“.

ქართველურმა ტომებმა თუ ააშენეს პირველი ტაძარი — ენგური — ათასწლეულების წინა პერიოდში, რატომ არ შეიძლებოდა ქართველ ტომებს აეშენებინათ და მიეცათ სახელი „ეკლესია“?..

პოეტი, მწერალი უჩა ზღვაპიჯელი ადასტურებს, რომ ზუსტად ასე არისო, ხოლო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბ-ნი ნაპოლეონ ლემონჯავა ამბობს, რომ ეს სიტყვა — „ეკლესია“ — ბერძნული არის, ასე წერია ქართულ ენციკლოპედიაშიო.

ჩემი შეხედულებით, ქართულ ენციკლოპედიაში ბევრი შეცდომებია დაშვებული, ჩვენი მტრების სასარგებლოდ და ქართველი ხალხის საამაყო წარსულის დასამცირებლად. ამიტომ საჭიროა ახალი ენციკლოპედიის გამოშვება.

საბერძნეთის ტერიტორიაზე თავდაპირველად ცხოვრობდნენ ქართველური ტომების წინამორბედი ტომები — პელაზგები. ამ პერიოდიდან მოდის ეს სიტყვა — ეკლესია. მაშინ ბერძნების ხსენება არ იყო ბუნებაში. ამაზე მიგვითითებს პოეტ-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის ფსალმუნებიდან: „პელაზგები“.

ბერძნებმა ისევე, როგორც ებრაელებმა, ქართველური ტომების კულტურა-ცივილიზაცია მიითვისეს და გადააკეთეს თავისებურად. ამიტომ განუწყვეტელი ველური ტომების შემოსევების გამო ქართველურმა ტომებმა ტერიტორიები დაკარგა და დასუსტდა, მაგრამ კვალი მაინც ხომ დარჩა და ისტორიული სიმართლე მაინც იმარჯვებს. ქრისტიანული რწმენა ბერძნებმა გაცილებით გვიან მიიღეს, ვიდრე ქართველებმა, მაგრამ მაინც იჩემებენ, რომ ჩვენ ვართ პირველიო.

დღეს ამას იმიტომ ვწერ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა დემოკრატიული ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, როგორც მე, ისე ათასობით ადამიანი დატოვა სამუშაოს გარაშე და, როცა დაწვრილებით გავეცანი ადამიანის ყოფიერებას, არსებობას, მის მოვალეობას ქვეყნისა და ღმერთის წინაშე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ადამიანს თუ არ სწამს ღმერთი, მაშინ ის არ არის ბუნების ნაწილი. ასეთი ადამიანი საზოგადოებას ვერ მოუტანს სიკეთეს, ძალიანაც რომ უნდოდეს.

დიდმა ღმერთმა შექმნა ეს უსასრულო სამყარო და ზედ მოავლინა სულიერი და არასულიერი არსება, მათ შორის ადამიანი, მისი მსგავსი, მაგრამ არასრულყოფილი. არასრულყოფილია მისი მხედველობა და აზროვნება.

ადამიანს რომ აჩვენო სხეულისაგან მოკვეთილი ხელი (ადამიანისაგან მოკვეთილი), ის იტყვის — ხელია, მაგრამ ეს უკვე ხელი არ არის, რადგანაც არ შეუძლია ხელის ფუნქცია შეასრულოს. ის ხელის ფუნქციას მაშინ ასრულებს, როცა სხეულთან არის მიერთებული. ამ პატარა მაგალითიდან შეიძლება დავასკვნათ, დიდი მნიშვნელობის სასიცოცხლო საკითხი:

ადამიანი თავის ფუნქციას, მოვალეობას შეასრულებს მაშინ, როცა ღმერთს გაითვითცნობიერებს.

ადამიანი ისწრაფვის სრულყოფილი გახადოს მისი მხედველობა და აზროვნება. ეს არის მთავარი მამოძრავებელი კოსმოსური, უხილავი ელექტრომაგნიტური ძალაა, ღმერთთან მიახლოებისა.

დასაბამიდან არსებობს ღმერთი და სატანა —სიკეთე და ბოროტება. ქვეყნად იბადებიან ადამიანები 50% დადებითად დამუხტული, ე.ი. კეთილი ადამიანები და უარყოფითად დამუხტული 50% დამუხტული ბოროტი ადამიანები. ამიტომ მიდის გამუდმებული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის.

სულიერების არსებობის საკითხზე ჩემი მოსაზრება რომ დამეწერა, მომაგონდა ერთი შემთხვევა, რომელსაც მაშინ ყურადღება არ მივაქციე, მხოლოდ ახლა მინდა გამოვთქვა ის შთაბეჭდილება, რომელიც შემრჩა მეხსიერებაში.

1992 წელს, როცა აფხაზეთში მიმდინარეობდა ძმათა შორის ომი, მაშინ წავედი გულრიფშში, რათა მომენახულებინა ჩემი სიძის სახლი, თუ რა მდგომარეობაში იყო. ჩვენს გვერდით მცხოვრებმა მეზობელმა მიმიპატიჟა და როგორც შეეძლო გამიმასპინძლდა. ვისაუბრეთ დატრიალებულ უბედურებაზე და დაღუპული ახალგაზრდების მოსაგონარი დავლიეთ. ამ საუბარში ჩაერთო მისი შვილი, იქნებოდა 30-35 წლის, რომელსაც მშობლები და ყველა, ვინც კი იცნობდა, თვლიდნენ შეშლილად. ზამთარში, თოვლში ფეხშიშველა დარბოდა. ზაფხულში კი, ასფალტი სიცხისაგან გახურებული რომ იყო და 60 გრადუსს აღწევდა, ის ფეხშიშველა დარბოდა. ამიტომ ხალხი მას სულელს ეძახდა. მან სასმისი აიღო ხელში, მოიხსენია ომში დაკარგული ახალგაზრდები და პოლოს თქვა: „ვიცი, სული უკვდავია, მაგრამ რად გინდა, გრძნობა არა აქვს“-ო. ჩვენ გავჩუმდით და არაფერი ვუთხარით. მასპინძელმა კიდევ შესვა ერთი სადღეგრძელო, — ყველას ვუსურვებ ომის მშვიდობიან დამთავრებასო.

მას შემდეგ გავიდა 20 წელი და დავწერე ლექსი „სამყარო“. ამ ლექსმა მომაგონა ზემოთ აღწერილი იმ

სულელის ჭკვიანური ნათქვამი. როგორც იტყვიან, ყველაფრის ლექსად დაწერა არ შეიძლება, ამიტომ ვწერ:

სამყაროში ყველა ცოცხალი და არაცოცხალი არსება ეკუთვნის უფალს და იმართება ერთი დიდი შემოქმედი ღმერთისაგან. ამიტომ თითოეულმა არსებამ უნდა მიიღოს ის, რაც საჭიროა, რაც განკუთვნილია მისთვის, როგორც მისი წილი და თავი აარიდოს ყოველივე იმას, რაც მას არ ეკუთვნის. კარგად იცოდეს ყველაფერი ეს, ვის ეკუთვნის.

როგორც ცნობილია, ღმერთმა შექმნა ადამიანი მხოლოდ მისი მსგავსი და არასრულყოფილი. ამიტომ ადამიანს ახასიათებს და აქვს ძირითადად ოთხი ნაკლი:

1. ადამიანი, ნებსით თუ უნებლიედ უშვებს შეცდომას.
2. ახასიათებს ყოფნა ილუზიაში.
3. აქვს მიდრეკილება, სხვა მოატყუოს.
4. მისი გრძნობა არასრულყოფილია.

ადამიანმა თავდაპირველად სხეული კი არ უნდა შეიგნოს, არამედ სულიერი აზროვნების არსი. მატერიალური მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენლები ხშირად ცდებიან თავიანთ შეხედულებაში, სულის რაობის საკითხში, მაგრამ სულის არსებობა ეს ფაქტია, რომელიც ყველამ შეიძლება გაიგოს, თუ აზროვნება აქვს.

აზროვნება არის პირველადი ფაქტორი, რომელიც აცნობიერებს სულის არსებობას.

თუ ჩვენ ვიმოქმედებთ ასეთი აზროვნებით, მაშინ ჩვენ არ დავეცემით იმ დონეზე, რომ ვაღიაროთ სხეულის აზროვნება.

მაშინ, როდესაც სხეული კვდება, ჩვენ ვთავისუფლდებით მატერიალური დანაგვიანებისაგან. ჩვენი სულიერი ცხოვრება გამოცოცხლდება და შედეგი იქნება ის, რომ სხეულის დატოვების მერე ვიძენთ სრულ, მუდმივ სულიერ ცხოვრებას — აზროვნებით.

სული მუდმივი რჩება, სხეულის განადგურების მერე აზროვნება არ ნადგურდება.

სული — აზროვნება შეიძლება გადავიდეს სხვა სახის სხეულზე და გააგრძელოს მატერიალურ სხეულში სიცოცხლე.

სიკვდილის დროს, თუ ჩვენი სულიერება განწმენდილია, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ შემდეგ ჩვენი სიცოცხლე არ იქნება მატერიალური, იქნება სულიერი.

თუ ჩვენი სულიერება სიკვდილის დროს არ იქნება განწმენდილი, მაშინ ის გადადის (ღებულობს) სხვა მატერიალურ სხეულს. ყოველივე ეს ბუნების კანონია.

ყოველივე ამის ნათელ დასტურად, შეიძლება მოვიყვანოთ ნამდვილი მაგალითი, რომელიც გამოქვეყნდა გასული საუკუნის 80-იან წლებში.

აშშ-ში პრეზიდენტის ჯონ კენედის მკვლელობის შემდეგ, ამერიკელი ჟურნალისტი (გვარი არ მახსოვს) მოგზაურობდა აღმოსავლეთ აზიაში, მოინახულა წყნარ ოკეანეში მივარდნილი პატარა კუნძულები. ერთ-ერთ კუნძულზე, სადაც ადამიანები ჯერ კიდევ ქვის ხანაში ცხოვრობენ, ტანშიშველა ბინადრობენ უღრან ტყეებში. ღამეს ატარებენ მაღალ ხეებზე, წერა-კითხვა არ იციან და ნადირობით ირჩენენ თავს.

ჟურნალისტი გამოელაპარაკა ახალგაზრდა ტანშიშველა მამაკაცს. (დეტალები ზუსტად არ მახსოვს).

— რა სახელი გქვია?

— ჯონ კენედი.

ჟურნალისტი გაოცდა და ისევ ჰკითხა:

— საიდან, როგორ, ვინ არის კენედი, იცი?

— ვიცი.

— აბა მითხარი, მომიყევი ვინ იყო კენედი.

მამაკაცმა თავიდან ბოლომდე მოუყვა კენედის ავტობიოგრაფია. ჟურნალისტი გაოგნებული დარჩა. ამერიკაში დაბრუნებისას სენსაციური წერილი გამოაქვეყნა.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო შემდეგი:

ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინფორმაციას ღებულობს ტვინი. ადამიანის ტვინი ინფორმაციას ინახავს თავის უჯრედებში, რომლის რაოდენობა ძალიან დიდია (არავის დაუთვლია და ვერც დაითვლის) ზოგიერთ ინფორმაციას ინახავს ძალიან ღრმა უჯრედში. ადამიანმა შეიძლება სრულებით არ მიაქციოს ყურადღება მოვლენას ან საგანს, უბრალოდ თვალით წამიერად შეხედოს. ის მაინც შედის ინფორმაციის სახით ტვინის უჯრედში, დაფიქსირდება ჩვენდა დაუკითხავად, რომლის არსებობა ჩვენთვის უცნობია. მაგრამ ერთ მშვენიერ დროს შეიძლება გამოიღვიძოს და ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკაზე. ან ძილის დროს ადამიანს შეახსენოს მისი არსებობა და სიზმრის სახით მოევლინოს.

როგორც ცნობილია, გენეტიკურ მეცნიერებაში, გენები ერთი თაობიდან გადადის მეორე თაობაში, არა მარტო თანმიმდევრობით, არამედ შუალედურადაც. ამ გენებს მეცნიერები უწოდებენ აქტიურ გენებს. ამით თითქოსდა დამთავრდა გენების რაობის საკითხი, მაგრამ არა.

ფიზიოლოგი-მეცნიერის ანოხინის მტკიცებით, არსებობენ „გაჩუმებული გენები“, რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ გენების გადაცემაში თაობებზე. მაგრამ ისინი მოქმედებენ, კოდირებას უკეთებენ ყველა ინფორმაციას, რასაც ადამიანი ღებულობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ეს არის სპეციალური გენი — მახსოვრობა, რომელიც მოლეკულიარულ დონეზე იმახსოვრებს ყველაფერს, იმასაც კი, რომელსაც წაშლის ჩვეულებრივი გენი.

ადამიანები ურთიერთშეხვედრისას მუდმივად გადასცემენ ერთმანეთს ცოცხალ უჯრედებს, ხელის ჩამორთმევისას, კოცნის დროს, სახლში ყოფნისას. მტვერი, რომელშიც იმყოფება ცოცხალი უჯრედი, გადადის ადამიანზე. ამიტომ ყოველ ჩვენთაგანში არის სხვისი გენეტიკური უჯრედი. ცოცხალი ადამიანები, რომლებიც არ იცნობენ ერთმანეთს, ან შეიძლება არაცოცხალი ადამიანის გენეტიკურ უჯრედს ატარებდეს. ჩვეულებრივად ამ გენეტიკურ მატერიალს „ძინავს“. ვინც ასეთ უჯრედს ატარებდეს და აცოცხლებს თავის თავში, რომელიმე პროცესის დროს შეიძლება გამოიღვიძოს და ფსიქიკაზე მოახდინოს ზეგავლენა.

ეს ყველაფერი ცვლის მოსაზრებას სიკვდილის შესახებ. გამოდის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ ადამიანმა სუნთქვა შეაჩერა, ან გული გაჩერდა, სანამდის ინახება გენეტიკური უჯრედი, მკვდარი შეიძლება გაცოცხლდეს. სანამ არსებობს ერთადერთი უჯრედი — კლონირების გზით შეიძლება გაცოცხლდეს. ამ შემთხვევაში მიიღება ორეული — არა რობოტი, არამედ ზუსტად ის, ვინც მოკვდა. ეს ხდება „გაჩუმებული“ გენის მეშვეობით, რადგანაც ის ინახავს ყველა ინფორმაციას, რომელიც დაგროვდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. (ალბათ, ჩემში გამოიღვიძა „გაჩუმებულმა გენმა“).

ცალკე გენეტიკური უჯრედი შეიძლება გარკვეულ პირობებში შენახული იყოს დიდხანს.

ამ ბოლო დროს მეცნიერული გამოკვლევებით აღმოჩნდა:

კალიფორნიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი რაულ კანომ გააცოცხლა მიკრობი, რომელიც ცხოვრობდა 30 მილიონი წლის წინათ. გენეტიკური მასალის შენახვა ყველა ადამიანისა შესაძლებელია, რომელზეც

ოცნებობდა გენიალური ფილოსოფოსი-ფიზიოლოგი — ნიკოლაი ფეოდოროვი. განსაკუთრებული პირობა ამისათვის არ არის საჭირო. საჭიროა სულ პატარა თმის ძირიც, რომ გარკვეული დროით ინახებოდეს ვაკუუმის პირობებში, სანამ არ შემუშავდება კლონირების მარტივი ტექნოლოგია, რომელიც დანახარჯს დღეისათვის მოითხოვს სულ ცოტას, დაახლოებით იმდენს, რამდენიც საჭიროა ერთი ატომური ბომბის შესაქმნელად.

ადამიანის სიკვდილის მერე სული რომ გადადის სხვა სხეულზე, ამაზე ნათქვამია ინდოეთის „ვედურ“ სწავლებაში ათასწლეულების წინა პერიოდში ჩვ.წ. აღრიცხვამდე, მაგრამ „ვედურ“ სწავლებაში არ არის იმაზე ნათქვამი, რომ სიკვდილის დროს სული რა მდგომარეობაში უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიკვდილის დროს თუ სული განწმენდილია, მაშინ ის სხვა სხეულზე არ გადადის. ალბათ, ჯონ კენედის სული რომ გადავიდა სხვა სხეულზე, მაშინ ის არ იყო განწმენდილი. ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ ის ტრაგიკულად დაიღუპა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო კენედი და ბევრი ბრძოლა მოუხდა, პრეზიდენტი რომ გამხდარიყო. მას დრო არ ჰქონდა ალბათ, რომ ეფიქრა სულიერ განწმენდაზე.

ყველა ადამიანმა უნდა იფიქროს სულის სიწმინდეზე და უნდა იცავდეს ჩვენი უფლისმიერ სწავლებას — მის ათ მცნებას.

პოეტი-აკადემიკოსი, აკადემია „ძალდება“-ს პრეზიდენტი ვაჟა ეგრისელი — 70

ეგრისი ძველი საქართველოს სახელია და ამიტომ აირჩია ბ-მა ვაჟამ ფსევდონიმი — ეგრისელი. ეგრისი კლასიკური პოეზიის მხარე იყო და ვაჟა ეგრისელი ახლებურად აგრძელებს ამ სახელოვან ტრადიციებს, როგორც დიდი პატრიოტი და თვალსაჩინო პოეტი.

ვაჟა ეგრისელი შემოქმედია თავისი პოეტური სამყაროსი, მისი პოეზია განსხვავებულია ყველა დროისაგან და ყველასაგან, ის სრულიად ახალი მიმართულებაა. მისი ლექსები მინიატურული და მეტაფორულია.

ამავე დროს მის შემოქმედებაში არის დიდი ლექსები, ლირო-ეპიკური ნიმუშები: „შავლეგო“, „გურამიშვილის გოდება“, „საქართველოს“ და სხვა.

მისი ლექსები, არცერთი ერთმანეთს არ ჰგავს და საკვირველია ათასობით ლექსი, რომელიც სხვადასხვა მოვლენების პროცესს ასახავს, მრავალფეროვანი მეტაფორული მარგალიტითაა განწყობილი.

1993 წელს გამოვიდა ათასგვერდიანი, 2000 ათასი ლექსის დამტევი ერთტომეული — „იქმენ ნათელი“.

2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომეულის ათასგვერდიანი პირველი ტომი, 2000 მეტი ლექსით. დღეისათვის გამოსულია ხუთივე ტომი. ლექსთა საერთო რაოდენობა 15.000-ზე მეტია. როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით, უმაღლეს დონეს აღწევს.

ვაჟა ეგრისელზე 60-ზე მეტი მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად არის გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოსა და მსოფლიოს რამოდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. დღეისათვის საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა"-ს პრეზიდენტია. ვაჟა ეგრისელი განათლებით არის ინჟინერი და იურისტი. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი.

ის, როგორც ინჟინერი, სწრაფად აზროვნებს და როგორც იურისტი — კანონიერი ჩარჩოს ფარგლებში ათავსებს. როგორც ფილოლოგი და ფილოსოფოსი, მოვლენების პროცესს ასახავს რეალურად, ფანტაზიის პოეტური ხერხებით, სინამდვილის გადატანითი მნიშვნელობის აღთქმა-წარმოსახვით და მეტაფორული აზროვნებით.

ვაჟა ეგრისელის პოეზია, გასართობი კი არ არის, არამედ ის ქართული სულიერების მარადიული სიცოცხლის მატარებელია.

ვაჟა ეგრისელმა თავის პოეზიაში გააცოცხლა ქართველთა ძირძველი კოლხური მოდგმის შორეულ წარსულში მცხოვრები ქართველური ტომების სახეები, გმირები, ღმერთები.

მისი პოეზია — ესაა სახეებით აზროვნება, მეტაფორებით აზროვნება, ძველი ისტორიული მოვლენებისა და სახეების ახლებურად - მხატვრულ ფერებში წარმოსახვა. ვაჟა ეგრისელის პოეზია თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია „ოქროს საწმისისა" და გრაალის სიბრძნით.

ვაჟა ეგრისელის ფიქრთა ფანტაზია უსაზღვროა, ისე როგორც უსაზღვროა მისი პოეზიის პოეტური სამყარო, უსაზღვროა, ვითარც ჩვენი სამყარო.

ის მოვლენებს და მიმდინარე პროცესებს განიხილავს კოსმიურ პლანეტებთან ურთიერთობაში, როგორც ერთი

მთლიანი და ამით ერთდროულად იცავს ბუნების წინაპირობას. ყველაფერს აღიქვამს ისე, როგორც არის და სხვადასხვა მხატვრულ ფერებში, ნაირნაირი მეტაფორებით წარმოსახავს თავის ლექსებში.

მსოფლიო პოეზიის ისტორიაში, არ ყოფილა შემთხვევა, რომ კოსმიური სხეულები, სხვადასხვა ფორმით და მდგომარეობით განსხვავებული შინაარსით და ელფერით მრავალჯერ ეხსენებინოს თავის პოეზიაში ისე, როგორც ეს გააკეთა ვაჟა ეგრისელმა. ვაჟა ეგრისელმა თავის ზღვა პოეზიაში ათასნაირი მეტაფორებით მოიხსენია ცა — 1572-ჯერ, მზე — 1346, მთვარე —1187, ვარსკვლავები — 1156, ზღვა — 1118, ელვა — 718-ჯერ.

ვაჟა ეგრისელი არის როგორც მიწიერი, ისე ზეციური პოეტი.

ყოველივე ამის გამო, მსოფლიო ასტრონომთა ასოციაციის გადაწყვეტილებით 2007 წლის 15 მაისს, როგორც ასტროლატრი პოეტის, ვაჟა ეგრისელის სახელი ეწოდა ახალ აღმოჩენილ ვარსკვლავს.

ვაჟა ეგრისელის წიგნები ანათებენ სულს, ამაღლებენ და განამტკიცებენ ადამიანს წმინდა მიზნისათვის, ხვეწენ გონებას და უფაქიზებენ გულს.

ადამიანის ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი ტანჯვაა, ერთ-ერთი მსოფლიო მნიშვნელობის მოძღვრებაში ნათქვამია:

კეთილშობილი ჭეშმარიტება, რომელიც შეწყვეტს ტანჯვას, არსებობს რვა გზა ტანჯვის შეწყვეტისა:

1. სწორი გაგება — სინამდვილის;
2. სწორი აზროვნება — აზროვნება ეგოიზმის გარეშე;
3. სწორი გამოთქმა — სიმართლის თქმა;
4. სწორი მოქმედება;

5. არსებობის წყარო — სუფთა იყოს;
6. იმოქმედეთ ისე, რომ იყოს კეთილი სხვისთვის;
7. სწორად აღიქვათ ყველაფერი, რაც ხდება;
8. სწორად შეიკრიბოთ ძალები კეთილი საქმისათვის.

ვაჟა ეგრისელი თავისი პოეზიით და შემოქმედებით, ადამიანობით და კეთილისმყოფელობით აკმაყოფილებს ყველა ღვთაებრივ დებულებას.

ვაჟა ებრისელი
„კოლხური ფსალმუნები"

პოეზია

დის პოეზია ნაკადულებად,
ჩანჩქერებად და
მდინარეებად.
ზოგან კი,
ზოგან ულამაზეს ტბასაც კი მოჰგავს.
ქართულ მიწაზე.
(სადაც მოყმე ვეფხვს
რომ შეება)
პოეზიის დიდი ზღვა ბორგავს.

1967

ფსალმუნი

ჩამოიქროლა ჟამმა უჟამომ,
და მზით დაწნული უამრავი
ათასწლეულის —
მათრახი ზურგზე გადამიჭირა
და ვარსკვლავების მეწვის იარა,
ფრთხილად მკითხველო!
ახლა,
ხელში,
წიგნი კი არა,
ძველი კოლხეთის ძლივს მფეთქავი
სული გიჭირავს.

1968

ისევ მოლოდინი

წიგნით ხელში მედეას,
ველით, მაგრამ არ მოდის,
მაინც, ვითარცა წინათ,
ცოდნის მზე —
ძველ ქართული
კოლხეთიდან ამოდის.

1967 წ.

კოლხთა წარსულს ფეხს წამოკრავს

დრომ კი არა,
ზოგმა „ჩვენმა“ მაღლა მხედმა,
სურვილი ვერ დაიოკა;
კოლხეთის დიდ ისტორიას
დავიწყების გვერგვზე ართავს,
მაგრამ ბევრი კოლხთა წარსულს
ფეხს წამოკრავს
და მოადენს —
დაბლა ზღართანს.

ამბობდა მეფე დავით

აღარ შერჩება თავი,
ვინც საქართველოს ურქენს,
ამბობდა მეფე დავით.
რომ გაეგონათ თათრებს,
სპარსელებს და თურქებს,
შაჰებს,
სულთნებს და ფაშებს.

1989 წ.

ისევ სამშობლოს დალაშქვრა!!!

შურით და მტრობით სამეგრელო
შემოღობეს და
სიძულვილის ცა წამოაცვეს
თავზე სარებად
და დღე ყოველი გაველურდა და
გატყიურდა:
მხოლოდ კაცთა კვლა!!!
არც ლოცვები,
არც აღსარება.
თითქოს კავშირი შეწყდა ღვთიურთან.

1993 წ.

მზისგან დაორსულებულ ხეს სურს
შობოს ნაყოფი,
რათა ამცნოს
ქვეყანას —
სიხარული აქ ყოფნის.

1989წ.

* * *

როცა სიფრიფანა მწუხრი,
სამეგრელოს მთებს და
ბორცვებს,
ნისლის ვერცხლში შეფუთვნიდა.
მიკითხავდა დედა ლოცვებს,
ოქროდ ნაწერს —
„ეფუთიდან“.

1978

ქართველი და უცხოელი პოეტები ვაჟა ეგრისელს

მრავალი ასეული ქართველი და უცხოელი პოეტები, მწერლები, მეცნიერები, პროფესორები, აკადემიკოსები და საზოგადო მოღვაწეები ადიდებენ ვაჟა ეგრისელის პოეზიას, მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

„ვაჟა ეგრისელი მსოფლიო პოეტებს შორის ამაყად დგას თავისი ბრწყინვალე პოეზიით“.

რევაზ მიშველაძე,
მწერალი, პროფესორი

პოეტი „სრული“ — საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორის — ვაჟა ეგრისელი“.

ლევან სანიკიძე
მწერალი, პროფესორი

ჩვენი დროის დიდ მგოსანს ბ-ნ ვაჟა ებრისელს!

ჩვენი დროის მაღალ მგოსანს,
რას დააკლებს ხროვა მტრების?!
თუმც არ აძლევს მოსვენებას,
მათ „კოლხური ფსალმუნები“.
უსამანო ცის სივრცეში —
შურთ ვარსკვლავი რომ
ანათებს,
პოეზიის ის ვარსკვლავი,
გონს უბნელებს
მუხანათებს.
მისი სინათლის დინება
არ იქნება არ ახსოვდეთ —
არ ჩაქრება არასოდეს
ასე უფალმა ინება.

ვანო მეგრელი
10.05.2010წ.

არავირა აძაპიტო (იაპონია)
ვაჟა ეგრისელს!

დიახ,
პარნასზე, სწორედ ის ავა,
ვინც ცრუ საწუთროს,
„დედასავით მხარზე შეისვამს“!
ვით ეგრისელი და ისიკავა.

1982წ.

ატილა სადიკოვი (თურქეთი)
ვაჟა ეგრისელს!

შენ,
აქ გაფანტულ წინაპართა
სულებს უკივი...
და მუნჯად დამდგარ პირამიდებთან —
დგახარ ამაყად,
მკვდრეთით აღმდგარ მამელუქივით.

კაირო
1983წ.

ვაჟა ეგრისელის პოეზია ემსახურება ადამიანის სულიერ აღზრდას, არის სიბრძნის დაუშრეტელი წყარო. მისი პოეზია ფილოსოფიური და თეოლოგიური მსოფლმხედველობით სულის უკვდავების, სულიერი აზროვნების შერწყმის, განვითარების, უმაღლესი მწვერვალია.

ვაჟა ეგრისელი თავის უკვდავ პოეზიაში უმღერს სამშობლოს გმირულ წარსულს, თანამედროვეობას და მის მომავალს.

ვანო მშვილდაძე 2011წ.

პოეტი-აკადემიკოსი
ვაჟა ებრისელი – 70







სიყრმიდანვე უფლით ნებით,
პოეზიის ღმერთი გზრდიდა,
და გესმოდა სულ სხვა ხმები,
ცით მოვლენილს მშობელ ციდან

შენც ვით ვაჟას დედის ძუძუ,
ტკბილადაც რომ შეგრგებია,
რადგან შენი „ფსალმუნები“,
პოეზიის დიდ ძატარში
უკვდავების ძეგლებია.

სათელი სდის „იქმენ ნათელს“
ქართულ სულში გადარწეულს,
შენ ზარს რეკავ, როგორც მნათე
და ხმას აწვდენ ათასწლეულს...

ვანო მეგრელი
2011წ



ვაჟა ეგრისელი

„პლანეტებს სახელი ხალდებმა
(ქალდებმა, ე.ი. ქართველებმა
ვ.ე.) შეარქვეს“.

დიოდორე სიცილიელი
(ძვ.წ. I ს.)

ქალდეური მზე

შორეული წარსულიდან
ხმები ისმის საამური:
— ქვეყნად აღარ არსებობდა
ბაბილონი და
არც ური,
როს სამყაროს მზე ათბობდა
ღვთით ნაკურთხი —
„ქალდეური“.

ქართველებო!

კაცობრიობას მიუძღვიან —
წინ ლამპრებით,
(„კარგებია“ თუ „ოხრებია“!!!)
ქართველებო!—
თქვენი წინაპრები —
უუძველესი კოლხებია!

ქალდეველებს ეკუთვნის

თუა სინდის-ნამუსი,
კვერს დამიკრავს ათასჯერ
დიდი ნოსტრადამუსი,
(თუმცა ბევრჯერ დამსაჯეს!!!)
რომ ბიბლიაც, ეფუთიც*,
არც ბერძნებს,
არც ჰურიებს,
(მათ ბევრჯერ აურიეს!!!)
ქალდეველებს ეკუთვნის!

---

*ეფუთი — კოლხურ ენაზე დაწერილი და მერე „დაკარგული“ უუძველესი სიბრძნის, ბრძენთა და წმინდათა წიგნი.

გილგამეში, ჰერაკლე და ჰერკულესი

ათასწლეულების მერეც,
ლეგენდიდან ისევ მესმის:
ვითარც ბადრი,
უსუპი და ამირანი,
ქალდეველთა ღმერთს ფიცულობს:
გილგამეში,
ჰერაკლე და
ჰერკულესი.

რეა-კიბელა

მითებსა და ლეგენდებს
და შოორ ათასწლეულებს
ისევ ისე მიბელავს:
ქალდეველთა მშობელი
დედა —
რეა-კიბელა.

ხეთები

ომების კვამლით
თვალებდამწვარმა —
დავიწყებაში მთვლემმა
ხეთებმა,
აღარ იციან, ან საიდან უნდა
იცოდნენ
რომ, დღეს კოლხეთის დიდი
წარსული —
ნილოსის პირას,
მოწყენილი დაეხეტება.

ცალპები და სასპერები

კოლხური ცის ვარსკვლავები
უნათებდნენ გზებს შოორეულ
მაღალ მთამდე და სერამდე
და ცვიოდა ცას ფერები,
როცა მძვინვარ ზღვებს
სერავდნენ —
ცალპები[2] და სასპერები[2].

---

[1][2] — კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ტომები. შავ ზღვას ადრე „ცალპა“ (ცალფა და „სფერის“, (სასპერების) ზღვა ერქვა.

* * *

დედამიწის პირველ მხილველთ,
უფლის მადლით მოსილებს,
„ძველ წიგნებში“ — ქალდეველებს
ძინავთ...
სჯერა ნოსტრადამუსს,
იოანე ზოსიმეს.

„ძველი წიგნები“ — იგულისხმება:გრააღი, ეფუთი, ოქროს სანშისი.

* * *

ხელისგულზე გისვენია —
ცა და მიწა —
მზით გართულნი,
მაინც ქვეყნის ბრუნვას ვერ ცვლი!
თუმცა შენ ხარ მონათლული —
სულიწმინდითა და ცეცხლით.

სვანეთში

მილიონი წლის იქიდან —
წამოსული ევფრატიდან
აქ, სვანეთში ჟრუანტელად
ენგურსა და ხალიდეს უვლის —
ხმები —
ჩვენი წინაპრების,
ძველ კოლხური —
ქალდეური.

---

[1] ხალდე — სოფელი სვანეთში

[2] ქალდეველები — პირველი ქართველები დედამიწაზე.

პანჩატანტრა

(მინაწერი „კოლხური
ფსალმუნების“ ათას, ათასხუთას
გვერდიან ხუთტომეულზე.)

ოქროს ფრთებით მოსილებმა,
ამისრულეს ამურებმა,
ჩემმა გულმა რაც ინატრა:
რომ „კოლხური ფსალმუნები“ —
არის ჩემი —
„პანჩატანტრა“.

პანჩატანტრა (სანკრიტ.) — ხუთწიგნეული,—სანკრისტული თხრობითი ძეგლი (დაახ.მე-3-4 სს.)

* * *

პოეზიის ზღვა ბობოქრობს,
ღრიანცელი არის ზვირთთა,
დღეს ღამისგან არ არჩევენ!!!
შენ ხარ ერთი...
დანარჩენი,
არა ღირს შენს —
„ხამლთა ტვირთად“. (მათე 3.4).

* * *

ვხედავ — ათასწლეულები,
კოლხეთის დიდ ისტორიას
პონტოს ზღვაში არწევენ...
და ტალღები კითხულობენ
„ვანის“ —
ქართულ წარწერებს.

ეგვიპტე და კოლხეთი

ეგვიპტე და კოლხეთს შუა,
ბევრი ათასწლეულების —
ლეგენდა და
ასაკი ძევს.
დრო მის ქცევას ტუტად
ლამობს.
თუმც, ისე ვით არსაკიძეს,
„ხეკორძულას წყალი უსვამთ“,
ნეფერტიტს და ტუტანხამონს.

---

[1] ნეფერტიტი (ძვ. ეგვ. XV-XIV—(ძვ.წ.ს.) მზეთუნახავი მოვიდა“) ეგვიპტის დედოფალი

[2] ტუტანხამონი (ეგვ.„ამონის განსხეულებული სახე“.) ეგვიპტის ფარაონი (დაახ.ძვ.წ.1400-1392). იცოცხლა ოცი წელი.

ხილვა: ვახტანგ გორგასალი საქართველოში

ალმოსავლეთ საქართველოს —
თვალებს უწვამს შაჰ-კავადის[1]
ომის კვამლი,
ცეცხლი ბოლთა...
სამეგრელოს ცის სარკეში
ვხედავ: ხიზან მეფე ვახტანგს —
პონტოს პირას,
რომ ცემს ბოლთას!

---

[1] შაჰ-კავადი — სპარსეთისმეფე (488-531)

ტორეტები და კერკეტები

ზღვას ახსოვს...
და არ ახსოვს,
თორსელსა[1] და ერგეტელს[2],
მტერს, ვით ეპყრა ზღვისკარად
ხელთ იმათი ბერკეტი,
და ვით ჟლეტდა მომხდური
კოლხთა მონათესავე —
ტორეტებს[3] და კერკეტებს[4].

[1,2] — სოფლები ზუგდიდისა და ხობის რაიონში

[3,4] — აწ გადაშენებული უძველესი ტომები

ოდი

შეხე,
განა ელვაა,
ბნელი რომ გაარღვია
და წამით რომ ინათა.
იგი ღმერთი — ოდია,
— არ ტოვებს თვის საუფლოს,
სინწასა და სინას მთას.

კუნძული — ძველი კოლხეთი

ძველ კოლხეთზე დაძონძილი,
შენ ასწიე ღამის ფარდა
და მიტომ ხარ კმაყოფილი.
იმ კუნძულზე სხვა,
შენს გარდა,
არასოდეს არ ყოფილა!

* * *

ვარსკვლავები ცას გალობენ
და სიშორეს მიამკობენ...
ლოცვის კარი კვლავ იღება,
და შენ, ვითა იაკობი,
თვითონ ქრისტეს მარჯვნივ
ჯდები —
ნათლისღებად.

ადამ კადმონი

არსთაგამრიგის ვარ მონა,
ვით ყარიბი და
ეული.
და ვითარც ადამ კადმონმა,
„სახე ყოველი ტანისა“ —
მე, ჩემში განვასხეულე.

ადამ კადმონი — ანდროგინული
პირველი კაცი დედამიწაზე.

ეფუთი და თალმუდი

კეთილს სძლია ბოროტმა
და სამყარო სნეული
გადაიქცა ეწერად:
„თალმუდში“[1] ის წერია,
რაც რომ ათასწლეულის
წინ,
„ეფუთში“ ეწერა.

---

[1] „თალმუდი“ (ბერძ). — სწავლა, მოძღვრება
(ძვ.წ.1,2,3,4,5,6,7,8 — უუძველეს IV ს)
ძველ ებრაული კულტურის ძეგლი.

[2] „ეფუთი“ — უძველეს კოლხთა ბიბლიამდელი,
ყოვლისმომცველი წიგნი.

კაცობრიობა

შარშანდელი არ ახსოვთ!!!
რაა კაცთა ცხოვრება?..
ლოცვა, ყოფნა იობად!
რაღა მოეთხოვება —
მახსოვრობა დაკარგულ
და ბნელ კაცობრიობას.

ხილვა: პოსეიდონი და კლიტო

ფაზისის და პონტოს პირას —
საცხოვრისი იყო კოლხთა
და მათი ძის —
დევ-გმირ ქართუს.
ზღვის ხმაურში ახლა მიტომ,
ვჭვრეტ ოჯახურ დავით
გართულს —
პოსეიდონსა[1] და კლიტოს[2].

---

[1] პოსეიდონი — ზღვის ღმერთი

[2] კლიტო — პოსეიდონის ცოლი

თალმუდი და თორა

„ნუ მოატყუებთ სხვებს, რომ
თქვენც არ მოგატყუონ...“
იესო ქრისტე

როცა უფლის შიში იგრძნეს,
მაშინ რწმენა გაიტაცეს
და ისინი იქცნენ ქორად.
ქალდეველთა ახლავს სიბრძნე —
მოსეს, „თალმუდსა“ და
„თორას“[1].

[1]თორა — იუდაიზმის წმინდა, კანონიკური ტექსტი 5 წიგნად (ძვ.წ. IV ს.)

ქალდეველები

ცეცხლის ალში იწვოდა
მთებიცა და ველებიც,
მომხდურს სისხლი წყუროდა
და...
ძველ მცხეთას წვალებით —
ვინც მოვიდა ურიდან,*
ურიები კი არა,
იყვნენ ქალდეველები.

*ური – უძველესი ქალაქი-სახელმწიფო შუმერში (ძვ.წ. IV ათასწლეული)

კოლხ-ქალდების იმპერია

„იბერია იწყება კოლხეთით.
კოლხეთშია ქართული და
მსოფლიო ცივილიზაციის
სათავე“.

ლევან სანიკიძე

დაწყებული სინყარიდან[1],
ქიმეთით[2] და ბაბილონით,
დაბები და ქალაქები —
კოლხთა ხელით ანაგები
გაქრა...
რადგან ყოველივე
შორეული მზის მტვერია.
მაშინ... მილეთს განაგებდა
„კოლხ-ქალდების იმპერია“.

---

[1] სინყარი — თანამედროვე ერაყი

[2] ქიმეთი — ძველი ეგვიპტე

კარადუ

ოთხი ათასწლეული
წევს იქიდან —
აქამდე,
როცა კარდუ* მეფობდა —
შუმერსა და ბაბილონს,
კასიტსა და აქადის.

---

* კარდუ — პრეისტორიულ (ლაზ-მეგრელთა ქვეყნისა და მეფის სახელწოდება) (ძვ.წ. 1595-1155 წ.წ.)

ქალდეველთა ქვეყანა

შემოდგომით ისმოდა
საამო ხმა „ნადურის“,
(ხვავი ოქროდ ეყარა...)
დღე — მზე დაჩახჩახებდა,
ღამით მთვარე — „ქალდური“ —
ზღვიდან-ზღვამდე გადაშლილ
ქალდეველთა ქვეყანას.

კოლხა-კოლა-არტაანის

თვით უფალი მფარველობდა —
მათ მზეს, ცაში ატანილს:
შურუპაქის[1],
შაურქინის[2],
ქარდუს[3], ურის[4] და ნიპურის[5]
კოლხა[6]-კოლა[7]-არტაანის[8].

1,2,3,4,5,6,7,8 – უძველესი
(ქართული) ქალაქები და სახელმწიფოები

* * *

ვაჟავ! —
ეგრისელობა,
ჰაუ, რამდენს გავალებს!
როგორც ბრძოლის ყიჟინა —
დიდგორის და ასპინძის.
შენ ხარ შთამომავალი —
ადამ პროტოპლასტის ძის.

პროტოპლასტი — პირველქმნილი კაცი. (ათანასე დიდი).

ვაჟა ეგრისელი

ვაჟა ფშაველას პრემიის ლაურეატი,
პოეტი- აკადემიკოსი.

*

ჩემი ხანგრძლივი არქეოლოგიური მუშაობის პერიოდში აღმოჩენილი მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის, ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნების“ ათასგვერდიანი ტომეულები ჩემთვის ყველაზე დიდი აღმოჩენაა...

ანდრია აფაქიძე

აკადემიკოსი

*

ვაჟა ეგრისელმა წლების განმავლობაში მიგვაჩვია თავის ლექსს. ეს გახლავთ აღმოსავლური მინიატურული ნახატივით მცირე ზომის, მეტაფორებითა და დრამატიზმით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ ფორმის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკითხველის განწყობილებასთან მისადაგებული და თავბრუდამხვევი სიჩქარით დაღლილი მოქალაქისათვის ადვილად აღსაქმელი მცირე მოცულობის ლექსით მშვენივრად მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათქმელი.

რევაზ მიშველაძე

მწერალი, პროფესორი

*

საქართველოს ხომ რამდენი ხანია პოეტთა ქვეყანას უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველო სავსეა „სემი პოეტებით“ — „ნახევარი პოეტებით“ — დიდმა პოეტმა ჰ ორაციუსმა რომ თქვა ორი ათასი წლის წინათ. ხოლო „პოეტი სრული“ — საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა ვაჟა ეგრისელი. ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტად დიდი პოეტია.

ლევან სანიკიძე

მწერალი, პროფესორი

*

ჯერ კიდევ როდის, მეოთხედი საუკუნის წინათ, ვაჟა ეგრისელს ვუწინასწარმეტყველე დიდი პოეტური მომავალი... მის ლექსებში ეპითეტების ზეიმი და მეტაფორების ნამდვილი ცვენაა...

ვახტანგ დავითაია
აკადემიკოსი

*

ვაჟა ეგრისელი — სიცოცხლეშივე ქართველი ერისა და მისი ძირძველი მხარის — სამეგრელოს უკვდავებად ქცეული ლეგენდაა... ილია ჭავჭავაძისეული უმტკიცესი ბურჯი და აკაკი წერეთლისეული ჩონგურის გაუწყვეტელი სიმია... „კოლხური ფსალმუნებით“ დედა საქართველოს მეხოტბე დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწეა...

ნუგზარ ნადარაია
ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი

*

ვაჟა ეგრისელის ფიქრმიუწვდენელი შემოქმედება, ისეთივე საოცრებაა, როგორც ოთხიათასი წლის წინანდელი ფესტოსის დისკოზე „კოლხური ოქროდამწერლობით“ ამოტვიფრული ქართული საგალობელი.

გია ჯვაშილავა
მკვლევარი, აკადემიკოსი

*

ბედნიერი ვარ... ისე როგორც დიდმა ილიამ ვაჟა-ფშაველას პირველი ლექსი დაბეჭდა „ივერიაში“, ასევე მე, ვაჟა ეგრისელის პირველი ლექსი დავსტამბე ხობის რაიონულ გაზეთ „სოციალიზმის მშენებელში“.

მერი აბრამია

მწერალი, პუბლიცისტი

*

ვაჟა ეგრისელის უმდიდრესი პოეზია — სახისმეტყველებით ე.წ. მეტაფორულენოვანი ენციკლოპედიაა...

თეიმურაზ გუგუშაშვილი

აკადემიკოსი

მორის ფოცხიშვილი

ვიცი შეაგდებ ენგურში ულაყს
ვაჟა ეგრისელს

კაცური კაცის ქუდი რომ გხურავს,
ვიცი, ასაკი ვერასდროს გძლევს, —
ღმერთი გიცოცხლებს
დაჩის და ზურაბს,
კოლხური გზნებით შეპყრობილ ყრმებს.
ვიცი, შეაგდებ ენგურში ულაყს,
დედა — სამშობლოს ტკივილი გრევს,
ძმას ხელს გაუწვდი ყოველთვის ძმურად,
სანთელ-საკმევლად მიუხვალ მრევლს.
ვით ფუტკარს,
კვლავ არ გექნება მოცლა —
დრო ქართველ მხედარს გრიგალში
გხვევს, —
გიწონებ ლექსს და
პოეტად გლოცავ,
მჯერა, სიხარულს მოუტან ბევრს.
შენი გზით ვლიდე,
შენს სათქმელს ენდე,
თუმც ბეწვის ხიდზე გიხდება სვლა, —
საქართველოსთვის —
ცოცხლობდი დღემდე,
საქართველოსთვის ცოცხლობდე კვლავ.

ზაურ ბოლქვაძე

ორი ლექსი ვაჟა ეგრისელს

1

„სანამ იქნება ერი ქართველი,
იქნება შენი „იქმენ ნათელი!“

2

„ნიანგის“ სალაღობო მოლოცვა 50 (ერგასი) წლის ვაჟა ებრისელს

ჭეშმარიტ პოეტს, პატრიოტს, ერისკაცს
ვაჟა ეგრისელს,
წელს შეუსრულდა ერგასი, ერისთვის
ბორგავს თერგისებრ
და მიჰქრის მისი პეგასი ახალი
ლაჟვარდებისკენ!..
კაცია ამაღლებული, ვერვისგან
მოხრილ-დახრილი,
ხმალივით ამოღებული აქვს წიგნი —
„შეიბ მახვილი!“
არის ოსტატიც სარკაზმის,
გროტესკისა და სატირის!..
ბორგავს და იბრძვის თერგისებრ! —
მისი დევიზი არს ბრძოლა!
პარნასელუკვდავებისძემ — თქვა
დიდმა მუხრან ბატონმა:
„ელირსებაო ეგრისელს ვაჟას
პარნასზე შადგომაც!“

ვანო მეგრელი

ვაჟა ეგრისელს

მზე და სიშორე გიხმობდა,
ვით ხორგიდან და ერწოდან —
პოეტს ფიქრებად გამხელილს.
და ახალ ვარსკვლავს ეწოდა —
შენი გვარი და სახელი.

გივი გვასალია,

პოეტ აკადემიკოს ვაჟა ეგრისელს

მეტაფორის ფრთამალ მერნით —
ქართულ გზებზე ლაღად გევლოს...
გევაჟაოს, გეშავლეგოს,
მარად გევაჟეგრისელოს.

მიხეილ ჟულოშვილი
(ჰერეთელი),

შენი სახელი საქართველოს
უნდა ვახარო
ვაჟა ეგრისელს

სამშობლოს მტერთა შიშო და მეხო,
მთათა და ზღვათა გრგვინვავ და ექოვ!
—ვაჟა ეგრისელო! — ვაჟა-ფშაველას დარო,
შენი სახელი საქართველოს უნდა ვახარო!
ცოტნე დადიანის ორლესულო ხმალო,
ოქროს ქარქაშში სანამ უნდა გმალონ?!
შენი წიგნებია თაფლით სავსე ფიჭა,
დედა ფუტკარივით შიგ ბინადრობს ნიჭი.
... მე კი ჰერეთის უძველესი ჭიშკრიდან რკინის,
ვით მზეს მამალი, შენს დიდებას ვყივი და ვყივი.
შენი „კოლხური ფსალმუნები“ წვდება ცის ლაჟვარდს,
საქართველოს დიდო მგოსანო — ვაჟა!

იამზე ჯელიძე,

ვაჟა ეგრისელს

იდუმალება კარს გიღებდა ხშირად პოეტო!
შენი ფიქრები ხალხის გულებს შვებით მოედო.
თითქოს აკვნითვე სტრიქონთ ზრდიდი „იავნანათი“,
მერე კი ხალხის სიყვარულში მზისებრ განათდი.
და ახლა იმკი სიყვარულით რაც გითესია,
შენში ძვირფასო სიყვარულის მზე და ლექსია.
ჩვენში მეუფობ, მესაძირკვლე-მამამთავარი,
რომ დაგვიტოვო უკვდავების აზრი მრავალი.
მწამს, რომ სული გდევს უდიდესი ნიჭის ქართულის,
გენი ძველთაგან ნაბრძოლი და წელგამართული.
ბევრჯერ სამშობლოს ტკივილებმა შეგიღეს კარი,
სული მოგდევდა შენ უტეხი „კოლხური ზარის“.
ანაპერწკლება შემოქონდა შენს სიტყვას ყოველს.
შეგხედეს უმალ, როგორც ხალხის
გულების მპოვნელს.
და, ვით დიდ მგოსანს საქართველო ისევ და ისევ,
რუსთაველივით ფეხზე დგას და ამაყად გისმენს.

აკაკი შენგელია
(უჩა ზღვაპიჯელი) – 80



ოთხმოცი წელი შეუსრულდა ცნობილ სამთო ინჟინერსა და პოეტს — ბატონ აკაკი შენგელიას, „უჩაზღვაპიჯელი“ მისი პოეტური ფსევდონომია. აკაკი შენგელია დაიბადა აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ფშავში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით გაგზავნილი იქნა დონბასში, სადაც დაიწყო მუშაობა შახტაში — ქვანახშირის საბადოებში უბნის უფროსად. შემდეგ, როგორც ნიჭიერი და უნარიანი ხელმძღვანელი, დაწინაურებული იქნა მთავარი ინჟინრის თანაშემწედ, მთავარ ინჟინრად და ბოლოს კი გახდა შახტის უფროსი.

1961 წელს აკაკი შენგელია გადმოყვანილი იქნა აფხაზეთში „ტყვარჩელნახშირტრესტში“, სადაც მუშაობდა მთავარ ინჟინრად და შახტის უფროსად, მერე მშენებლობის უფროსად.

ბატონი აკაკი სიყრმის დროიდან წერდა ლექსებს, ჩემი აზრით, ამას ხელი შეუწყო ოჯახურმა გარემოებამ, რადგან აკაკის მამა გატაცებული იყო პოეზიით, ლიტერატურით და საერთოდ ქართული სიტყვა-კაზმულობით.

აკაკი შენგელიამ (უჩაზღვაპიჯელი) მიმდინარე 2011 წელს გამოსცა შესანიშნავი 200 გვერდიანი პოემა — „ჩრდილოელი დათვის სისხლიანი ნაკვალევი“, სადაც საინტერესოდაა აღწერილი აფხაზეთისა და სამაჩაბლოში დატრიალებული ტრაგედია, რომელსაც მკითხველი ცრემლის

გარეშე ვერ წაიკითხავს. გარდა ამისა, კრებული მოიცავს სენტენციებს, პოეტურ ბრძნულ ეპითეტებს. პოემაში უამრავი სიბრძნე და პოეტური ეპითეტებია გაბნეული. პოეტმა კარგად იცის, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დროებითაა ოკუპირებული და მალე დაუბრუნდება თავის მშობლიურ საქართველოს.

ღვაწლმოსილმა ინჟინერმა და პოეტმა — აკაკი შენგელიამ თავისთავზე იწვნია „ჩრდილოელი დათვის სისხლიანი ნაკვალევის“ სიმწარე და უბედურება, რადგან ის შვილთან ერთად ამ ბრძოლების მონაწილეა...

ჩემს ძველ მეგობარს, საამაყო მამულიშვილს — აკაკი შენგელიას ვულოცავ ოთხმოცი წლის იუბილეს.

ჩვენ მისი მეგობრები ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და მალე მშობლიურ აფხაზეთში ღირსეულ დაბრუნებას.

ვანო მეგრელი

საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი გენერალ-პოლკოვნიკი სერგო წურწუმია – 70

გენერალ-პოლკოვნიკი სერგო წურწუმიას მოღვაწეობა მრავალფეროვანია. იგი შეიძლება დავყოთ ორ პერიოდად: პირველი — ძალოვან სისტემაში მოღვაწეობა აფხაზეთში 1993 წლის ჩათვლით. მეორე — შემოქმედებითი მოღვაწეობა, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე დღემდე.

აფხაზეთში მისი მოღვაწეობა, როგორც ცნობილია, იყო ყველა მიმართულებით წარმატებული. თავისი დაუღალავი შრომით, ადამიანობით, პატიოსნობით, კაცურ-კაცობით, დაიმსახურა ხალხის სიყვარული.

კეთილსულიერებით მოაზროვნე, ღმერთის სულიერებით გათვითცნობიერებული სერგო წურწუმია, ყველგან და ყოველთვის ებრძოდა ბოროტებას და სთესდა სიკეთეს.

ქართველი ხალხის სულიერ სამყაროს, წურწუმიების სამი თაობის გმირობა, მათი სახელი — ჯამბულ წურწუმია, როგორც პოეტი-ჯარისკაცი, სერგო წურწუმია — გენერალ პოლკოვნიკი და მწერალი, ილარიონ წურწუმია — სერგოს მამა და ჯამბულის ბაბუა, ამშვენებს ქართველი ხალხის გმირულ ისტორიას, როგორც სულიერის, ისე მხედრულ შემართებას, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას.

მეორე პერიოდი მისი მოღვაწეობისა ძირითადად მიმართულია, დაკარგული ტერიტორიების აღდგენისაკენ, მშვიდობიანი და სახალხო დიპლომატიის გზით. ამას ემსახურება წიგნი, რომელიც მან გამოსცა: „კაზაკები და საქართველო“. ამ წიგნის პრეზენტაციის დროს რუსეთიდან ჩამოვიდნენ მაღალჩინოსნები. რუსეთისა და საზღვარგარეთის კაზაკთა კავშირის, გენერალურ შტაბის უფროსმა, გენერალ

ლეიტენანტმა ვალერი კამშილოვმა თქვა: „ასეთი ღონისძიებები და ასეთი წიგნების იდეები ხელს შეუწყობს ჩატეხილი ხიდის აღდგენას რუსეთსა და საქართველოს შორის“. როცა ჩერკასკში გაიმართა კაზაკთა შეკრება, კაზაკებმა დასდეს ფიცი: რომ ისინი ქართველებს დაუჭერდნენ მხარს თუ ეს საჭირო გახდებოდა ცხინვალში. ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ითამაშა ბ-ნ სერგო წურწუმიას.

როგორც ცნობილია, ბ-ნ სერგო წურწუმიას ოჯახს, ვარჩეში, ხშირად სტუმრობდნენ გამოჩენილი ადამიანები, პოეტები, მწერლები, მეცნიერები, როგორც ჩვენები, ასევე უცხოელები ყოველივე ამან დიდი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე.

ადამიანი, როგორც სამყაროს - ბუნების ნაწილი, რთული და გამოუცნობია, როგორც თვითონ სამყარო, მაგრამ სერგო წურწუმიამ, თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით და შემოქმედებით, გამოავლინა თავისთავი და ცხოვრების რთულ სიტუაციებში, ნებით თუ უნებლიედ მოქმედებდა ჩვენი სახელოვანი წინაპრების ბრძნული გამოთქმით:

„სიკეთით ძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა,
სულგრძელობითა ძლევა სჯობს,
ვაჟკაცობითა ძლევასა“.

ეს სიბრძნე აისახა მის შემოქმედებაში. 2005 წელს გამოსცა ძალიან საინტერესო წიგნი: „აბასთუმანი — საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტი“, 2010 წ. — „თბილისის 57-ე მერი და სხვა.

გალაქტიონი ბრძანებდა:

„ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება“. ბ-ნ ვაჟა ეგრისელმა აღმოაჩინა და კიდეც დააფასა.

მოგეხსენებათ, ცოტნე დადიანი უეჭველად დიდი გმირია, მაგრამ უნდა ვახსენოთ, სახე დაღრეჯილი, ლომი, მონგოლი, გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე. ამისა არ იყოს, სერგო წურწუმია გმირის მამა, თვითონ გმირია, მაგრამ უნდა ვახსენოთ, სახე მშვენიერი, დიდი მგოსანი, ვაჟა ეგრისელი გმირობის, ადამიანობის, პოეზიის უბადლო მცოდნე.

ისმის კითხვა, საიდან იღებს ძალებს, სერგო წურწუმია?

იგი იღებს ძალებს, სადაც დაიბადა — ვარჩედან.

ნაპოლეონ ლემონჯავა — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი წიგნის ავტორი, ლექსში „ოდაბადე“ წერს:

არის ერთადერთი რამე,
სხვა ვერარა შეედრება,
კაცი შენგან იღებს ძალებს,
იგი შენით ყალიბდება.

სერგო წურწუმიას ძირი ჩხოროწყუს რაიონია, სოფელი ლეწურწუმე. ჩხოროწყუ — ძველ ქართულ-კოლხური სახელია — ნიშნავს ცხრა წყაროს. 9 ციფრი — ღვთიურია და ნიშნავს 9 პლანეტის მოძრაობას მზის ირგვლივ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ სერგოს და ჩვენი ათასწლეულის წინა პერიოდის წინაპრები — ქალდეველი — ქართული (კოლხური) ტომები იყვნენ ცივილიზებული ტომები ყველა მიმართულებით და განსაკუთრებით, ასტრონომიის კარგი მცოდნენი.

აკადემია „ქალდეა“, გაზეთი „ქალდეა“, ქალდეველების ღირსეულ შთამომავალს, ბ-ნ სერგო წურწუმიას, პირველად სამების მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ტაძარში ულოცავს დაბადების 70 წლისთავს და უსურვებს მრავალ წარმატებებს.

წაგიკითხავთ პატარა ლექსს, მიძღვნილი სერგო წურწუმიასადმი:

გენერალ–ლეიტენენტი
სერგო ფურფურია— 70



მზის და სიცოცხლის მეხოტბევ,
უკვდავების გზით მავალო,
აიეტის და გუბაზის —
შენ დიდო შთამომავალო.

რაც გზები გამოგივლია,
იმ გზებს სხვა ვეღარ გაივლის,
მოფენილს ეკალ-ბარდებით,
არა ვარდით და ყვავილით.

შენ თვალს დარდის ცრემლი ნამავს,
მაგრამ შენ არ დაიგმინო,
რადგან შენ სარ გმირის მამა,
თვითონ რაინდო და გმირო!

რაა შვიდი ათეული,
აქ მოგიწევს დიდხანს მოცდა,
ოთხმოცი წლის იუბილეს —
მე წინასწარ მოგილოცავ!

ვანო მებრელი
იანვარი, 2011წ.

ვალერიან ღვინჯილია დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათში, 1927 წლის მარტის თვეში. აქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა ს.მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი), რომელიც დაამთავრა 1949 წელს. განაწილებით მიავლინეს აფხაზეთის ა/რ ქ.ტყვარჩელში, „ტყვარჩელნახშირტრესტში". შახტაში დაინიშნა უბნის უფროსის თანაშემწედ. მაშინ ასე იყო მიღებული, ვინც არ უნდა ყოფილიყო, რა დიდი თეორიული ცოდნაც არ უნდა ჰქონოდა, თავისი სპეციალობის პირველი საფეხური უნდა გაევლო. (ეს ფაქტიურად მეორე საფეხური იყო).

ვალერიან ღვინჯილიამ, როგორ, ენერგიული და თეორიულად კარგად მომზადებული ახალგაზრდა ინჟინერმა სწრაფად აითვისა შახტის შრეების განლაგება, გამონამუშევრები.

შახტის ხელმძღვანელობა ყურადღების გარეშე არ სტოვებდა ახალგაზრდა სპეციალისტებს, ასევე ტრესტის სამმართველო და სპეციალისტებს აწინაურებდნენ ცოდნისა და მუშაობის გათვალისწინებით. ვალერიან ღვინჯილიამ უმოკლეს დროში გაიარა სამთო დარგის უძნელესი საფეხურები: უბნის უფროსი, მთავარი ინჟინრის თანაშემწე, მთავარი ინჟინერი, შახტის უფროსი და ბოლოს დაინიშნა ტყვარჩელის „ნახშირტრესტის" მმართველად. ტყვარჩელში სამთოელისთვის ეს იყო უმაღლესი საფეხური.

ბ-ნ ვალერიან ღვინჯილიას მოღვაწეობის დროს ტყვარჩელის შახტებში დაინერგა ბევრი სიახლეები ტექნიკის დარგში, ნახშირის ფენების დამუშავების ტექნოლოგიაში, მისი მარაგის მოძიება, გაფართოება, გაზრდის საკითხებში.

შახტიდან ნახშირის ტრანსპორტირება გამამდიდრებელ ფაბრიკამდე და მისი გამდიდრება საკოქსე ნახშირად.

„ნახშირტრესტის“ მერე მოიხსენიება „ტყვარჩელგრესი“, ის მუშაობდა მეორად ნახშირზე, საკოქსე ნახშირით მარაგდებოდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობაში პირველად ტყვარჩელის „ნახშირტრესტში“, მე-6 შახტაში მიწისქვეშა გვირაბში დამონტაჟდა და ექსპლოატაციაში შევიდა სავარძლებიანი საბაგირო გზა მეშახტეების გადასაყვანად.

ასევე პირველად ქვანახშირის სამინისტროში, ტყვარჩელ „ნახშირტრესტში“, მე-8 შახტაში შენდებოდა „შახტაჰესი“, რომელმაც ვერ მოასწრო ექსპლოატაციაში შესვლა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვანაშირის სამინისტროს ხელმძღვანელობა „ტყვარჩელნახშირტრესტს“ დიდ ყურადღებას აქცევდა და ეხმარებოდა როგორც ფინანსურად, ასევე მატერიალურად. ამის ნათელი მაგალითი იყო ის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოსიგინი იყო ტყვარჩელში, რომელმაც მოინახულა ნახშირის გამამდირებელი ქარხანა და სხვა საწარმოებები. ნახშირის მრეწველობის ყოფ. მინისტრი ბრატჩენკო რვაჯერ ყოფილა ტყვარჩელში. (ასე წერს ავტორი თავის მოგონებებში). ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ტყვარჩელიდან ვ.ღვინჯილია გადმოყვანილი იქნა თბილისში — „საქნახშირის“ გენერალურ დირექტორად.

ვალერიან ღვინჯილიას მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო და ორდენი, არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი. ამავე დროს არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის, ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი — აკადემიკოსი. იგი არჩეულია რუსეთის სამთო

მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. (ეს დიდი მიღწევაა ქართველი სპეციალისტისათვის)

ვალერიან ღვინჯილიას მოღვაწეობა საქართველოში მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. როგორც დიდი გამოცდილების და თეორიულად კარგად მომზადებული სამთო ინჟინერი მრეწველობის ყველა დარგს კარგად იცნობდა და სადაც კი მიუწვდებოდა ხელი იქ დიდ წარმატებებს აღწევდა.

1983 წელს საბჭოთა კავშირის ნახშირის მრეწველობის ხელმძღვანელობის მოთხოვნით გადაყვანილ იქნა ქ. მოსკოვში ნახშირის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და დაინიშნა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ნახშირის მოპოვების მთავარ ტექნოლოგიური სამმართველოს უფროსად.

კურატორობას უწევდა ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის სახელმწიფო ნახშირმომპოვებელი გაერთიანება „ყარაგანდა ნახშირის" შახტებს, რომელიც აერთიანებდა დიდი სიმძლავრის 26 შახტას. მათი სიმძლავრე წელიწადში განისაზღვრებოდა 40-42 მილიონი ტონით.

ყარაგანდის ნახშირის მრეწველობაში დიდად წარმატებული მუშაობისათვის ვალერიან ღვინჯილია დაჯილდოვდა ნურსულთან ნაზარბაევის მიერ.

ვ. ღვინჯილიამ მოსკოვში იმუშავა 10 წელიწადი, შემდეგ გადმოყვანილი იქნა თბილისში მინისტრთა კაბინეტში წამყვან სახელმწიფო მრჩევლად. ასეთია ძალიან მოკლედ მისი ავტობიოგრაფია. ის დღესაც განაგრძობს მუშაობას, გამოსცა შესანიშნავი წიგნი: „მოგონებები წარსულზე", 2009 წელს პირველი წიგნი და 2011 წელს მეორე წიგნი.

წიგნი დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით, იკითხება საინტერესოდ და მიმზიდველად, ყოველგვარი

გადაჭარბების გარეშე, შეეფერება სინამდილეს. (მე პირადად მოწმე ვარ ამ ყველაფრის, სადაც 10 წელზე მეტი ვიმუშავე „ტყვარჩელნახშირტრესტში“, როგორც სამთო ინჟინერი).

წიგნი საინტერესო იქნება ყველა დონის მკითხველისათვის, რადგანაც აქ აღწერილია ჩვენი ქვეყნის მუშა-მოსამსახურეების გმირული შრომა 24-საათიან რეჟიმში.

ჩვენ გვყავდა გამოჩენილი სამთო ინჟინრები, რომლებიც მიწვეული იყვნენ საზღვარგარეთ და დიდ წარმატებებს აღწევდნენ. წიგნში მოყვანილია რამდენიმე ასეული ინჟინრის გვარ-სახელები და ასევე განათლებისა და მედიცინის მუშაკების, მუშების, ტექნიკოსების, ენერგეტიკის მუშაკების, მომსახურების სფეროში მომუშავე ადამიანების, ადგილობრივი, საქალაქო, რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელები, რომლებიც ყველანი ერთად იღწვოდნენ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და განვითარებისათვის. „საქნახშირის“ საწარმოებში დასაქმებული იყო ათეულ-ათასობით ადამიანი, გარანტირებული უწყვეტი ვადით, ხელფასით და ღირსეული პენსიით.

„საქნახშირის“ მრავალათასიანი სამთო ინჟინრებიდან არცერთი სამთო ინჟინერი არ ყოფილა ნასამართლევი, სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და კორუფციის გამო.

ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობდნენ სპეტაკი, პატიოსანი, ღირსეული მამულიშვილები. ასეთი სპეტაკი ადამიანი იყო თვითონ ბ-ნი ვალერიან ღვინჯილია. სადაც კი უმუშავია, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლექტივში. იყო მკაცრი, მაგრამ გულისხმიერი, კეთილი და სამართლიანი. ტექნიკურ-ფინანსურ საკითხებში დარღვევებს ძირშივე აღკვეთდა და თვითონ აკონტროლებდა. ამიტომ იყო საწარმოები, რომლებსაც ის ხელმძღვანელობდა, ყოველწლიურ გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა.

ბატონ ვალერიან ღვინჯილიას ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, აფხაზეთში დაბრუნებას და ქ.ტყვარჩელში მე-8 შახტაში დაკონსერვებული შახტაჰესის ექსპლოატაციაში შეყვანას. (შახტაჰესი ქვანახშირის მრეწველობაში საერთოდ არ არსებობს).

ბ-ნ ვალერიან ღვინჯილიას!



სამთოელი დღე-ღამ შრომობს,
მიწისქვეშა სიბნელეში,
მიწისზედა ხალხი ცხოვრობს,
სითბოსა და სინათლეში.

ქვანახშირის ფენებიდან,
ყოველ წუთში გვემუქრება,-
დაგროვილი გაზმეთანის,
უეცარი აფეთქება.

სიძნელე კი არ აშინებთ,
სამთოელთა შრომით ყოფას,
და ბელადმა შეადარა,
„მშვიდობიან ფრონტზე“ ყოფნას.

შენ ებრძოდი ბოროტებას,
და სიკეთე შეიერთე,
ბნელს სინათლე გამოსტაცე,
ვით პრომეთემ ცეცხლი ღმერთებს.

შენ კოლხეთში დაიბადე,
და დაირწა იქ აკვანი,
დედა „ნანას“ გიმღეროდა,
ანგელოზს ხელში აყვანილს.

ახლა საამაყო კოლხი,
საუკუნის გზას მიბელავ,
და გიგალობს კოლხურ „ნანას“,
ჩვენი რეა და კიბელა.

შენი გზა კი შორს მავალი,
ტაძრისკენ ისევ მიდის,
შენს ქართველურ სიამაყეს,
აღარ ეკარება ბინდი.

კოლხების შთამომავალო!
დღესა ხართ ბრძენი მხცოვანი,
გამოგივლია ცხოვრების,
გზა ძნელი სახელოვანი.

გფარავდეს უფალი ჩვენი,
„ამინ!“

ვანო მეგრელი
7.01.2010წ.

რამინ ქეცბაია დაიბადა 1929 წელს ქ.გალში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის (დღევანდელი პოლიტექნიკური უნივერსიტეტი) სამთო ფაკულტეტზე და დაამთავრა 1953 წელს სპეციალობით „სასარგებლო წიაღისეული საბადოთა დამუშავება“.

განაწილებით გაგზავნილ იქნა ქ. ტყვარჩელის „ნახშირტრესტში“. მუშაობა დაიყო მეორე შახტაში უბნის უფროსად.

თეორიულად კარგად მომზადებულმა ნიჭიერმა ახალგაზრდა სპეციტალისტმა თავისი ნათელი გონებით სრულად შეიცნო შახტის ჩაბნელებული სამყარო. უბანი, რომელიც ნახშირის გეგმას არ ასრულებდა, უმოკლეს დროში მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. მან უბანში ნახშირის ტრანსპორტირების საკითხებში დანერგა სიახლეები — ნახშირის ფენების დამუშავება, ბურღვა-აფეთქების და განიავების.

შახტის ხელმძღვანელობამ დააწინაურა იგი, გადაიყვანა შახტის მთავარი ინჟინერის თანაშემწედ და შემდეგ მთავარი ინჟინრის მოადგილედ. ქვანახშირის მრეწველობაში მაშინ კარგად იდგა კადრების მომზადების საკითხი. სამთო ინჟინერი კარგი სპეციალისტი რომ გამოსულიყო, მას უნდა გაევლო ყველა საფეხური უბნის უფროსიდან მთავარ ინჟინრამდე.

რამინ ქეცბაიამ ჩქარი ტემპით განვლო ყველა ძნელი საინჟინრო საფეხური. იმ დროს „ტყვარჩელნახშირტრესტის“ მმართველი იყო უაღრესად განათლებული, მაღალი ავტორიტეტის მქონე, დიდებული პიროვნება ალექსანდრე გრიგოლის ძე ვარდიშვილი, რომელმაც შენიშნა და დააფასა

ახალგაზრდა ინჟინერის ნიჭი, ტალანტი და დააწინაურა იგი შახტის მთავარ ინჟინრად. ასე აწინაურებდნენ წარმოებაში კადრებს და არა ისე, როგორც ეხლა. წარსულის საქმიანობას ეხლა მუქ ფერებში წარმოაჩენენ.

1969 წელს რამინ ქეცბაია გადმოიყვანეს თბილისში, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ის კურირებდა ტრანსპორტს და მრეწველობას, იქ დაჰყო რვა წელი. ამის მერე მუშაობდა ქ. სოხუმში, საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, სადაც ორჯერ იყო არჩეული ამ თანამდებობაზე.

ამის მერე გადაყვანილი იქნა საქართველოს მინისტრთა საბჭოში, სადაც ხელმძღვანელობდა სამთომომპოვებელი მრეწველობის, მძიმე მრეწველობის და ენერგეტიკის, საშინაო კომუნალური და საგზაო მეურნეობების განყოფილებებს.

იმ პერიოდში საქართველოს მძიმე მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ბინათმშენებლობა და მრავალი სხვა დარგი გამართულად მუშაობდა და კარგი მიღწევები ჰქონდა. მარტო ნახშირის მრეწველობაში მუშაობდა ათეულ ათასობით მუშა-მოსამსახურე პერსონალი. ქვეყანაში არ იყო უმუშევრობა.

ჩვენს ქვეყანაში თუ არ ავაღორძინეთ სამთო მრეწველობა, უმუშევრობა არ მოისპობა. აღორძინება რომ შესაძლებელია, ჰკითხონ სამთო სპეციალისტებს.

ეხლა რომ ასაქმებენ ხალხს რამდენიმე თვით, ეს რა მუშაობაა? — ესაა დროის გაყვანის პოლიტიკა.

მოიზიდონ ინვესტიციები სამთო მრეწველობაში, არ უნდათ, რატომ? იმიტომ, რომ სამთო მრეწველობა არის ურთულესი, იქ მუშაობა არის უმძიმესი.

წინა პერიოდში მუშაობდნენ ხალისით, ენთუზიაზმით იმიტომ, რომ დაფასება ჰქონდათ მთავრობის მხრიდან. ეხლა დაფასება არა აქვს. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ სამთოელი ინჟინრის პენსია გათანაბრებულია დამლაგებლის

პენსიასთან. ასეთი რამე მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ხდება.

ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ედვარდ შევარდნაძის მთავრობას. იმედი გვაქვს, ღმერთის წყალობით, მომავალში გამოსწორდება.

ძალიან ბევრ სამთოელ ინჟინრებს ვიცნობ, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ პატიოსნად, სინდისნამუსიანად, სამშობლოსადმი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულნი, არავითარი კორუფციულ საქმეში გარეული არ ყოფილან. (მაშინ სამთოელთა შორის სიტყვა —კორუფცია არ გამიგონია. სხვაგან შეიძლება იყო, არ ვიცი). მაშინ სამთოელის მუშაობა ფულით კი არ ფასდებოდა, არამედ ნახშირით, გამოშვებული პროდუქციით.

მოკლედ რომ ვთქვათ, რამინ ქეცბაია იყო კარგი ოჯახის შვილი, საზოგადოებაში აღზრდილი, პატიოსანი, მეგობრების მოსიყვარულე, სიკეთის მთესველი, მუშაობაში მკაცრი, მომთხოვნი, სამართლიანი.

ვუსურვებ მრავალი წლის ჯანმრთელ სიცოცხლეს და აფხაზეთში უმოკლეს დროში დაბრუნებას.

რამინ ქეცბაია – 80



სამყაროს დასაბამიდან,
იყო ქვეყანა აია,
იქიდან მოდის ეს გვარი,
დიდო რამინ ქეცბაია.

ღელვა ათასწლეულობის,
ტანზე ნაბდად მოგხურია,
შენ კოლხი ხარ უძველესი,
შენი სისხლიც კოლხურია.

თავზე ქუდად სამეგრელოს,
მოკაშკაშე ცა გეხურა,
საინჟინრო ხელოვნების
ზე აწიე საფეხური.

კაცი იყავ კაცური და
ესწრაფოდი მუდამ მიზანს,
ანი ასე იქნები და
დრო და ჟამი ვერას გიზამს.

კოლხი ხარ და წინაპრების
ეძებ ათასწლეულ ფესვებს,
სიბერე არ გეკარება
სიყვარულის უხვად მთესველს.

სულ აგიხდა ნატვრისავით,
რამინ რაც მე გულით გლოცე,
მიხარია რომ ჯანმრთელი
ხდები ზაფხულ მეოთხმოცეს.

ვანო მეგრელი

ომი აფხაზეთში

ავტორი რომანოზ ზარანდია

მთავარი რედაქტორი:
საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“
ვიცე-პრეზიდენტი ს.მ.მ. დოქტორი
სიმონ ზაქარაია

„სანთლებს გინთებ...
და მსურს ლოცვად
ვენთო:
— აფხაზეთში დაგვაბრუნე
ღმერთო...“

ვაჟა ებრიხელი

ზემოხსენებულ წიგნში, ავტორი აღწერს, თუ როგორ დაიწყო ომი აფხაზეთში, როგორ მედგრად იბრძოდნენ 23-ე ბრიგადის მე-5 ბატალიონის მეომრები. ავტორი აღნიშნავს, რომ მე-5 ბატალიონის მეთაური — გურამ დადუანი, თავიდან ბოლომდის, მეომრებთან ერთად თავდადებულად იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. წიგნის ავტორი — რომანოზ ზარანდია გ.დადუანის — მეთაურის მოადგილე იყო. ორივე რამდენიმეჯერ იყვნენ დაჭრილი, მაგრამ ისევ უბრუნდებოდნენ ბრძოლის ველს და ხელმძღვანელობდნენ მე-5 ბატალიონის მეომრების გმირულ ბრძოლებს. წიგნი „ომი აფხაზეთში“ — მოცულობით პატარაა, მაგრამ შინაარსით დიდია. ამ წიგნის ყოველი სტრიქონი სისხლითაა დაწერილი და იკითხება მდუღარე ცრემლებით.

ომის საშინელება ის იყო, რომ ჩვენი მეომრები, თავდადებულად იბრძოდნენ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, მოწინააღმდეგეზე იმარჯვებდნენ, წინ მიიწევდნენ, ანთავისუფლებდნენ სოფლებს, დასახლებულ პუნქტებს და ბოლოს ღებულობდნენ გენერლებისგან ბრძანებას: „დატოვეთ განთავისუფლებული ტერიტორიები და გამობრუნდით უკან“-ო.

ავტორი რ. ზარანდია 28-ე გვერდზე წერს: 1993 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის მეთაურმა — პოლკოვნიკმა პაატა დათუაშვილმა დაგეგმა, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის მოსაზღვრე სოფლების და თავად ტყვარჩელის აღების საკმაოდ რთული ოპერაცია, მის შესრულებაში საქართველოს საჯარისო შენაერთები, მე-5 ბატალიონის მეომრები ვმონაწილეობდით. რამდენიმე კვირის შემდეგ ოპერაცია წარმატებით დასრულდა — ავიღეთ ტყვარჩელის მიმდებარე ტერიტორიები და გზა მეშახტეთა ქალაქისკენ ხსნილი იყო. მისი დაუფლებით სოხუმისა და მისი მიდამოების გამაგრება უზრუნველყოფილი იქნებოდა. მალე ვიწყებდით ტყვარჩელზე იერიშსაც, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად პოლკოვნიკ პ. დათუაშვილის ბრძანებით, შეტევითი ოპერაციები დაიბლოკა! უფრომეტიც, ჩვენს მიერ სისხლითა და დიდი მსხვერპლის ფასად აღებული აფხაზური და სომხური ათარა, ასევე მიმდებარე სოფლები უნდა დაგვეტოვებინა, ხოლო ტყვარჩელის აღებაზე კი ფიქრი ზედმეტი იყო, ამ ფაქტმა ყველა გაგვაოგნა და აგვაშფოთა.

მე-5 ბატალიონის მეთაური არ დაეთანხმა პ.დათუაშვილის გადაწყვეტილებას, მაგრამ პასუხად ხელმძღვანელობა დახვრეტით დაემუქრა.

აი, ჩვენი გენერალური შტაბის „უბადლო“ და „ბრწყინვალე“ სტრატეგიის სანიმუშო მაგალითი!

ომი აფხაზეთში დაგეგმილს ჰგავდა.: ამაზე პოემა დაწერა აკაკი შენგელიამ (უჩა ზღვაპიჯელი).

თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკები მოწინააღმდეგეებზე და ჩვენებზეც ყიდიდნენ მძიმე ტექნიკას და ახალი ტიპის იარაღს. მე-5 ბატალიონის მებრძოლებს, 1 მილიონი რუსულ ფულით მოგვყიდეს „გაზ 66“, რომელზეც დამონტაჟებული იყო რადიოლოკაციური სადგური. (იხ. გვ.28) ამაზე მეტი საშინელება რა უნდა იყოს. ეს მოღალატეები დღეს დადიან თბილისის ქუჩებში, ზოგი კი თავს აფარებენ რუსეთს. ამ საქმის გამოძიება ვისაც ეხებოდა და არ გამოიძია, ისიც მოღალატეა საქართველოსი და ქართველი ერის.

ასეთივე ამბავი რამდენიმეჯერ მოხდა გუმისთაზე. ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო: რომანოზ ზარანდია (წიგნის ავტორი) 5-კაციანი ჯგუფით, უიარაღოდ, გაზ-24 მარკის ავტომანქანით გაემგზავრა კოდორის ხიდისა და მის მიმდებარე ტერიტორიების დასაზვერად. (ეს ხდება ომის დაწყებამდე) რუსმა „მშვიდობისმოყოფელმა“ ჯარისკაცებმა გააჩერეს და გაჩხრიკეს, ნახეს „მაკაროვის“ ტიპის“ პისტოლეტი, რომელიც დაეტოვებინა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს და თვითონ გაქცეულა. დანარჩენი 4 კაცი წაიყვანეს ოჩამჩირის რაიონის საზღვაო პორტის სამხედრო განყოფილებაში. დაკითხეს ყველანი, მაგრამ ყველამ განაცხადა, რომ იარაღი მათ არ ეკუთვნოდათ. მერე გადაიყვანეს ოჩამჩირის მილიციის განყოფილებაში. მილიციის უფროსმა — ვალერი ახუბამ დაკითხა ყველანი და ურჩია, ერთ-ერთს ელიარებინა, რომ პისტოლეტი მას ეკუთვნოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას დახვრეტდა. კამერაში მოითათბირეს, რომ რომანოზ ზარანდია აიღებდა თავის თავზე და სამ მებრძოლს გაანთავისუფლებდნენ. ამ დროს წამოდგა ზურაბ მიქავა, რომელიც წალენჯიხიდან იყო მოხალისედ ჩასული და თქვა: — მე ავიღებ ჩემ თავზეო. რომანოზ ზარანდია შეეწინააღმდეგა, შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდესო, მაგრამ ზურაბ მიქავამ არ დათმო

და თავის თავზე აიღო. დანარჩენი 3 მებრძოლი გაანთავისუფლეს. (იხ. გვ.17)

რომანოზ ზარანდიამ ააწრიალა უცნობ-ნაცნობი, მაღალ ჩინოსნები და გაანთავისუფლებინა დატყვევებული, სასიკვდილოდ განწირული ზურაბ მიქავა.

ჩემი შეხედულებით, ზურაბ მიქავამ (სრულიად ახალგაზრდამ იმ ჯგუფში) გაიმეორა ცოტნე დადიანის გმირობა მონღოლებთან. ასეთი, უამრავი გმირობა ჩაიდინეს ჩვენმა მეომრებმა აფხაზეთის ომში.

1993 წლის 25 სექტემბერს კოდორის ხიდს იცავდნენ 50-კაციანი მცირე ჯგუფი და ერთ-ერთ შეტევისას დაიღუპა მე-5 ბატალიონის საინჟინრო სამსახურის უფროსი მაიორი, უმამაცესი ვაჟკაცი — ჯამბულ წურწუმია. (იხ.გვ.40)

ავტორი ამბობს: ომის დამთავრებამდე გენერლები გამოიქცნენ და სახელმწიფო მეთაურის მიერ მოცემული დაპირება — უკანასკნელ წუთამდე თქვენს გვერდით ვიდგები და ყველანაირად დაგეხმარებითო, მორიგი სიყალბე გამოდგა. (იხ. გვ. 40-41).

ივანე მებრელი

მ ი ძ ღ ვ ნ ი ლ ი ლ ე ძ ს ე ბ ი

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲕᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲐᲚᲐᲨᲮᲘᲐᲡ



როს მსოფლიოს ბევრმა ხალხმა,
არ იცოდა ანი-ბანი,
კოლხ ქართველებს მაშინ ჰქონდა
ასომთავრული ანბანი.

„ოქროს საწმის“ ცხვრისა ტყავზე,
წიგნი იყო არსით ბრძნული,
ზღვა, ხმელეთი მდინარებზე,
რუქა ჰქონდათ შედგენილი.



როს კოლუმბი უკვლევ ზღვაში
ამერიკას დაეძებდა,
რუქით ხელში მალაშხია
სწორი გზისკენ უბიძგებდა.

კოლხების შთამავალი,
მამა-შვილი მალაშხია,
ღირსეულ-მამულიშვლი,
დღე-ღამ დღესაც შრომაშია.

ვანო ძებრელი
18.06.2009წ.
თბილისი

იასონ პაპავას!

სამყაროს დასაბამიდან
იყო კოლხეთი — აია
ასე ამბობს ჰეროდიტე,
და ასე წერს ესაიაც.



კოლხეთია — იბერია,
იტალიაც, ესპანეთიც,
კოლხებს ბევრჯერ უმღერიას:
გიყვარდესო ერთმანეთი.

კოლხი არის მედეა და,
იაზონიც პელაზგია,
და კოლხეთი განაგებდა
ევროპას და მთელ აზიას.

ისტორიის დიდი ცოდნა,
შენ თაობებს გადაეცი,
სიყვარულიც უწყალობე
საქართველოს მიწის, ზეცის.

ოცზე მეტი წელიწადი,
იყავ სკოლის დირექტორი,
ახალგაზრდებს მომავლისკენ
მიუძღვოდი, ვით ვექტორი.

ვანო მეგრელი
10.04.2010

ალიოშა ჯორბენაძე — 80



აიეტის ნაშიერო,
ცამ მოგიზღვა ერთი — ათად,
ნაფიჩხოვოს მზე და მთვარემ
მომავალი გაგინათა.

დედა აკვანს გირწევდა და
გიმღეროდა როგორც ჰერა,
ის ჰანგები გულში ჩაგწვდა
და კოლხურად აგამღერა.

უმღეროდი სიყვარულის
ძალას და უნაპირობას,
ჩვენი ქვეყნის დიდებას და
ვაჟკაცობას და გმირობას.

ორმოცდაათი წელზე მეტი
დირექტორი ხარ უცვლელი,
შენ ხარ კულტურის სახლის,
საწყისი და თავფურცელი.

ვანო მეგრელი

ველოდი გოგუა – 80



გიყვარს შენი სამეგრელო,
მშობლიური ოდაბადე,
სადაც ოქროს წვიმით სველი,
ოჩხომურში შლიდი ბადეს.

ახლა მხცოვანს სამშობლოზე
ფიქრი წამით არ გწყინდება
და გწამს: დავიბრუნებთ საწმისს,
საქართველო გაბრწყინდება.

აიეტი და მედეას,
კოლხეთი კი
ვით ლაზარე,
აღსდგება და მთელ სამყაროს
ისევ შეაზანზარებს.

შენ კი ქვეყნად ბედნიერი,
იტყვი ამ დღეს მოველოდი,
რადგან ძველი ვიყავ კოლხი,
მერქვა სახელი ველოდი.

ვანო მებრელი

ბუხუტი ცქვიტაიას!



შენ, მეშახტე ახალგაზრდამ,
მიაშურე „ქვესკნელს“ როცა:
ღმერთმა გონი და დედამ კი,
გაგატანა საგზლად ლოცვა.

შენ ჭადრაკის იყავ მეფე
ეხლაც გიყვარს შენ „შახმატი“,
ხშირად ამბობ-მეგობარო!..
... აჰა ეს შენ —
შახი-მატი!

შენ ვითარცა კოლხს ახლაც გახსოვს
ძველი ლოცვა-ლიტანია
ცქვიტი იყავ, მარჯვე იყავ
გვარიც შეგრჩა ცქვიტაია.

ვანო მეგრელი
1.04.2010

ფაზისის მეცნიერებათა უძველესი აკადემიის პრეზიდენტს ბ-ნ ნუგზარ ნადარაიას!



სამყაროს დასაბამიდან,
იყო ქვეყანა „აია“,
და გვარი მოდის იქიდან,
ბატონო ნადარაიავ!

ჩვენთვისა ხარ მოვლენილი,
კეთილი და ღვთისნიერი,
მუდამ სიკეთის მთესველი,
მოღვაწე და მეცნიერი.

ან მარე და აიეტის
უკვდავების გზით მავალო!
დიდი ცოდნეს, გუბაზ მეფის -
და წათეს შთამომავალო.

შენ ძეგლს უდგამ დიდ
წინაპრებს,
და სხვებს მიტომ ათჯერ მეტობ,
ფაზისის აკადემიის
ღირსეულო პრეზიდენტო!

ვანო მეგრელი
იანვარი 2011წ.

სიმონ ზაქარაია — 70



ხარ ცოტნეს შთამომავალი —
მეცნიერი და პოეტი,
შენზე დიდ ქართველს მეგობრად,
აბა, სხვაგან სად ვპოვებდი.

შენ გამზრდელ დედას მადლობა,
რომ მოგცა ნიჭი კაცობის,
შენ ხარ იმედი მეგობრის,
ნათესავის და ნაცნობის.

შენთვის ეს ცა და ქვეყანა —
ფიქრების საქაღალდეა,
ბურჯად უდგახარ მწერალთა
აკადემია „ქალდეას“.

მოძალადე და მოშურნე
ღამის წყვდიადში შეგლისე,
და გვერდს უმშვენებ ყოველთვის:
წურწუმიას და ეგრისელს!

აფხაზეთი და ოსეთი
გულზე კვლავ გაწევს ლოდებად
კაცო, დევკაცო, ორივე
შენ გელის, შენ გელოდება!

ვანო მეგრელი
21.10.2010

ვლადიმერ ვახანიას



კოლხ—ქართველთა ძმობას შორის,
ეჰ! რამდენი ასაკი ძევს!
სვეტიცხოვლის აგებისთვის —
მკლავი მოჭრეს არსაკიძეს!!!

შენც დიდ ქართველს—
დიდ კოლხობას,
ვინღა გაპატიებს, მითხარ?
შენ გადარებ მზის და მთვარის,
და ვარსკვლავთა უფალ-მითრას.
ალბათ მალე, ელე-მელე,
ჰელიოსის მზე ინათებს,
და შენ ღვთისშვილს —
გზას ტაძრისკენ,
ქართული ცა გაგინათებს.

„ამინ“

ვანო მეგრელი
11.11.2011წ.

ვუძღვნი დიდ ძართველ მეცნიერს აკადემიკოს კლიმენტი შელიას!

ცოდნის წყურვილით გატაცებული,
დაუღალავად მუდამ შრომობდით,
ასე შესძელით მეცნიერებას,
წარმატებულად დაუფლებოდით.

მშობლიურ მიწის მოყვარული ხართ,
ყოველ საქმეში დაუზარავი,
მეცნიერების მწვერვალზე ზიხართ,
ვითარც არწივი მტერთა მზარავი.

ვანო მეგრელი
8.4.2009



ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს
ბატონ ვლადიმერ რამიშვილს!

(აკადემიის 20 წლისთავთან დაკავშირებით)



ფარნავაზ და ქუჯის დარბაზს,
ცად ბინადარ სულმნათების,
ჩვენი დიდი წინაპრების,
ამშვენებენ სურათები.
შეხვედრები იმართება,
მსატვრების და პოეტების,
სახელოვან მეცნიერთა
არა მიეთ-მოეთების.
გვერდით გიდგას ეგრისელი,
მონათლული დიდი ზევსის,
მსოფლიოში ცნობილი და
მეფეთ-მეფე ქართულ ლექსის.
ოცზე მეტი წელი არის
პრეზიდენტი ხართუცელელი,
შენ ხარ ამ აკადემიის
საწყისი და თავფურცელი.

ვანო მიქირელი

9.11.2008წ.

ჩხოროწყუს (ცხრა* წყაროს) კველი კოლხეთის უმშვენიერეს მხარეს

წინა ათასწლეულების
წარღვნამდელი ქალაქები:
ბადთიბირა და ლარაქი,
ერედუ და შურუფაქი,
მათ დამცველად
ვითარც ფარი
იყო ქალაქი
ს ი ფ ა რ ი.

ნოეს დიდი კიდობანი —
ლაზ-მეგრული კიდობანი*,
ბაბილონი მაშინ იყო —
ცოდნის პირველი აკვანი.

სახელები ქალაქების,
ახსოვს მთებს და ახსოვთ ველებს,
და სამყარო ხარკს უხდიდა —
კოლხებსა და ქალდეველებს.

ნათელს ჰფენდა ჰელიოსის
ან მარე და აიეტი,
ზღაპრულ კოლხეთს მბრძანებლობდნენ
და მტრისთვის არ გაიმეტეს.

---

*ცხრა ცოცხალი ლვთაებრიული სიმბოლოა. მიანიშნებს 9 პლანეტაზე მზის ირგვლივ.

*ნოეს კიდობანი - ასცდა არარატს და შეეჯახა კავკასიონის მაღალ მთის კლდეს, მინგარიოს.

მინგარიო (მიტირეო) სახელწოდება კოლხურია.

ნოე - წინაპარია ქართველური ტომების - კოლხების, ქალდეველების. ნოეზლა - ხის ტოტი სიცოცხლის ხის ტოტი. ნოე - კოლხია - ე.ი. ქართველი.

კოლხ მედეას სილამაზე —
კავკასიას ამშვენებდა,
მოჩუხჩუხე ცხრა წყაროსთან
ქალ-ღმერთ კირკე* ისვენებდა.

ჩხოროწყუ კი მშვენიერი,
და ბუნებით ლამაზია,
ჩემთვის იგი სამოთხეა,
რა ევროპა, რა აზია.

ხალხი არის ბრძენთა ბრძენი,
მშვენიერი ხარობს ვაზი,
და მთებს ახსოვთ მეფეები:
დიდი ნათე და გუბაზი.

ვანო მიბრელი (პაპავა)
2010წ.

---

*კირკე - აიეტის და

დიდება უფალს

მაღალმა ღმერთმა შექმნა სამყარო,
არც საწყისი აქვს და არცა ბოლო,
და უხილავი უსასრულობის,
მარადიული ცაა სიმბოლო.

როცა უფალიც გაეკრა ჯვარზე,
ჩვენ მან გვაუწყა ნათლად, სრულიად
ცვალებადია ქვეყნად ყოველი,
უკვდავი მხოლოდ კაცის სულია.

უფალი ჩვენი არის მოწყალე,
თავისი საქმით განსჯის სუყველას,
მდიდარს და ღარიბს, მეფეს და მონას,
ერთი საზომი ზომავს ურყევად.

და თუ ღმერთი გწამს, მაშინ რად გინდა
სხვისი ბაღნარი, ეზო და კარი,
რაც არ გეკუთვნის...
არ იცი განა?!
ქარის მოტანილს, წაიღებს ქარი.

ვანო მეგრელი
2010წ.

ან მარე და აიეტი

წინა ათასწლეულების,
წარღვნამდელი ქალაქები —
ლარაქი და ბადთიბირა,
ერედუ და შურუფაქი.

ჟამმა ველარ გადიბირა,
მათ ხელთ ეპყრათ ვითა ფარი,
მაღალ კლდეზე შემომდგარი
ციხე-ქალაქი სიფარი.

ვერ წვდებოდა მტერთა რისხვა
მათ დიდებას ცად ატანილს,
ბაბილონი მაშინ იყო,
ცოდნის პირველი აკვანი.

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა,
ან მარე და აიეტმ,
ძლევამოსილ კოლხეთისთვის
შექმნეს სხვა გზა, სხვა იმედი.

აიეტის ზღაპრულ მხარეს,
ფაზისის პირ, ზღვასთან ახლოს,
ჩხოროწყუსთან* —
ცხრა წყაროსთან
იყო კირკეს* სამოსახლო.

---

*ჩხოროწყუ - მიანიშნებს ცხრა პლანეტას მზის ირგვლივ

*კირკე - აიეტის და - ქალ-ღმერთი (ლათინის ღვთისმშობელი)

სადაც ბაღში ევა შეცდა,
როს მოწყვიტა მწიფე ვაშლი,
„ქაჩ დო გამორს* და ჩვენ კიდევ
ამოგვახრჩო ცოდვის ვალში.

მაგრამ ქრისტე მოგვევლინა,
მაშინ... და ჩვენ ახლაც ველით,
იგი ჩვენთვის ჯვარზე ეცვა
და ჩვენ დავრჩით უცოდველი.

ვანო მებრელი
აგვისტო, 2010წ.

---

* ქაჩ დო გამორს (მეგრული), ქართ. უკბინა და მოსინჯა.

ვაჟა ებრისელს
ჩვენი დროის დიდ მგოსანს!

ჩვენი დროის მაღალ მგოსანს,
რას დააკლებს ხროვა მტრების?!
თუმც არ აძლევს მოსვენებას,
მათ „კოლხური ფსალმუნები“.

უსამანო ცის სივრცეში,
შურთ, ვარსკვლავი რომ
ანათებს,
პოეზიის ის ვარსკვლავი,
გონს უბნელებს
მუხანათებს.
მისი სინათლის დინება,
არ იქნება არ ახსოვდეთ —
არ ჩაქრება არასოდეს
ასე უფალმა ინება.

ვანო მეებრელი
2010წ.



„კარგი შვილების გამზრდელი
დედა მიცვნია ღმერთადა“.

ვაჟა- ფშაველა

არის ქვეყნად ერთადერთი,
სხვა მას ვერვინ შეედრება,
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე
ზეცა ისმენს შენს ვედრებას.

მშრომელი და ბედნიერი
ხარ მებრძოლი კოლხი ქალი
მოგიხდია ღვთაებრივი
საოცნებო დედის ვალი.

მტერმა დაგვატოვებინა,
ეზო-კარი და ბაღები,
გველოდება ჩვენი კუთხის
ცა და მიწა, ზღვის ტალღები.

ვასო მებრალი
31.01.2012წ.

რაა სიცოცხლე?

ბუხრის კუთხეში მიმჯდარი დედა,
აი, სულ ახლა, მიქსოვდა წინდას,
ჩამაცვა, მკლავზე გადამიწვინა!
სიცოცხლე რაა? — თითქოსდა წვიმდა,
წამი და უცებ გადაიწვიმა.

ვაჟა ებრისელი

რაა მარადისობა?

მამა დავითის მთა წმინდა,
სავანეა წმინდანების,
სული წმინდა ცად ამაღლდა,
საამაყო წინაპრების.

ვანო მებრელი

რაა მარადიული?

ყოველდღე ჩიტი პატარა,
მთაწმინდას დააფრინდება,
აკენკავს პატარა მარცვალს,
და უკანვე გაფრინდება!
ნეტავ ასე სანამ გასტანს
და მთას როდის გადაიტანს.

ვანო მებრელი
დეკემბერი, 2010წ.

ოდაბადე

იავნანას გალობაში,
როს გაახელს ბავშვი თვალებს,
ის იმ კუთხეს შეიყვარებს
და იქ იკრებს ღვთიურ ძალებს.

მერე ივლის მთად და ბარად,
გულს იჯერებს ხეტიალით,
იქაც მივა სად ჰერაკლეს
ცად აწვდილი სვეტი არი.

მერე გვიან უსმენს ძახილს
და სიყვარულს გულში ნადებს,
ბოლოს ისე, ვით კალმახი,
უბრუნდება ოდაბადეს.

ვანო მეშრელი
მარტი, 2011წ.



ციხე „ჯიბერი"

ურიათგან დევნილმა
კოლხმა და
იბერმა
ევფრატის პირ სალ კლდეზე
დადგა ციხე „ჯიბერის".

მას იცავდა მერე დიდხანს,
ბრძოლით,
მკლავით — მარჯვეთი,
მერე ციხეს — აუღებელს —
მათ უწოდეს — „ქაჯეთის".

ვანო მებრელი

იწრუწუნონ წრუწუნებმა

ბატონ რევაზ მიშველაძეს

მათი მზეც და მთვარეც ჩაქრა
და სხვას ნათელს უწუნებენ!!!
არ იციან აწი რა ქნან:
„წრუწუნები წრუწუნებენ“.

ღორი იმას . . . აღარ იშლის,
კეთილის მადლს, ბილწი წუნობს,
დამფრთხალებმა კატის შიშით
წრუწუნებმა იწრუწუნონ.

ყოველივე ეს არს შური,
სხვაგვარად არ ითარგმნება,
აწ სოროებს მიაშურონ:
ვირთხებმა და ვირთაგვებმა.

ვანო მეგრელი
08.03.2011

აფხაზეთიდან დევნილებს!

ჩრდილოელი მეზობელი,
ჩვენ გვატირებს, თვითონ მღერის,
თანაც ურცხვად გაიძახის:
„მოყვარე“ ვარ, განა მტერი?

კოლხების შთამომავლებმა,
ხელში იშიშვლეს ფარ-ხმალი,
არ სურდათ მტრისთვის მიეცათ
სამშობლოს სათეს-სახნავი.

არ სჯერათ ლტოლვილ-დევნილებს,
ძველი ურო და ნამგალი —
თავისუფლება სწყურიათ
და არ სურთ „ძმობა“ ამგვარი.

მშობლიური აფხაზეთის
გველოდება მთა და ველი
ალბათ, მალე ზღვის ტალღები
არ გვექნება სანატრელი.

ივანე მეგრელი
5.01.2012წ.



შოთა ეგრისპირელი – ხოჯავა – 90

ხარ პოეტი კოლხთა მოდგმის
და ადიდებ ჩვენს ქართველებს,
მასთან ერთად ოს-აფხაზებს
და მათ ტურფა მთა და ველებს.

ბრძენი კაცი ხარ და პატრიარქი,
დღესაც ხარ კიდეც ამაღლებული,
ლექსები შენი იყო ოდითგან
მშვიდობის ძმობის მღაღადებელი.

პატარასთან პატარა ხარ,
მაგრამ დიდი აზროვნებით,
გზას ტაძრისკენ აღმა მავალს
მიყვები თან უფლის ვნებით.

ვანო მეგრელი



წიგნი „შეუბღალავი მანდილი“
ბატონ სიმონ ზაქარაიას

ეს წიგნი არა, ლოცვაა,
სადაც სამოთხე მოგველის...
მზის შუქთა გარემოცვაა,
ავი წარსულის მგმობელი,
ეს არის ქალღმერთ „ნენენას“,
ნამდვილი საგალობელი.

ვანო მეგრელი
26.08.08

როინ ნაჭყებიას

დიდმა ღმერთმა მოგავლინა,
კოლხთ — მემკვიდრე, ვით მედეა,
საქართველო შენი წამლის
„სალხინოს“ მოიმედეა.

მოიარე კავკასიის,
მინდორ-ველი, მთის ხავერდი,
უკვდავების ბალახს ეძებ
და მოძებნე კიდეც „ფერდი“.

ვანო მეგრელი
მარტი, 2011წ.

აქ მინდა მოვიყვანო მურმან ლებანიძის ლექსი, (თუ მას ლექსი ჰქვია), რომელიც მიმართულია ქართველი ხალხის და საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ.

ასეთი „ლექსის იდეებით“ ჰქონდათ დედის ძუძუ ნაწოვი იმ ბანდფორმირებებს, რომლებიც 90-იანი წლებში ავტომატით ხელში დარბოდნენ დასავლეთ საქართველოში და ხოცავდნენ უიარაღო ადამიანებს, წვავდნენ სახლებს, აუპატიურებდნენ, ყაჩაღობდნენ და ძარცვავდნენ მოსახლეობას და ა.შ. ყოველივე ამ ბარბაროსულ მოქმედებაზე დღემდე არაა პასუხი გაცემული, არც მთავრობის მხრიდან, არც ისტორიკოსებისგან და არც მეცნიერებისგან. საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრებიდან გაჩუმებული არიან, თითქოსდა არაფერი გაუგონიათ.

მურმან ლებანიძის მსგავსი „ადამიანები“ დღესაც არიან, რომლებიც ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამენ წყალს.

აი, რას წერს „პოპულარული“პოეტი:

„ვით დედა მტკვართან ჭოროხს და ენგურს
რიონს და ტეხურს, იორს და არაგვს,
აგრეთვე ენას — ქართულთან მეგრულს...
ხმა ამოიღოს, უფლება არ აქვს...
თქვენ დუშმანს სიტყვა უქციეთ საქმედ,
თქვენ სხვა აღძარით თქვენს მარტივ გლეხში,
ვაი, სირცხვილო რუსთველი თარგმნეთ —
მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი!

ჩვენი მარტივი გლეხი გჯობნით თქვენ „პოპულარულო პოეტო“.

ჩემი პასუხი ასეთია:

წინა ათასწლეულების,
ენგურის — უფლის ტაძარი,
ბობოქარ დიდი მდინარის,
ნაპირთან იდგა მაგარი.

მისი ზარის ხმა ძლიერი,
მტრისთვინა იყო თავზარი,
ქორთუ, მეგრელი, სვანისთვის
ბრძოლის მაუწყი – ხმა ზარის.

მრავალ ათასწლეულებში,
კოლხ ენაზე ლოცულობდნენ,
აიეტის სამეფოში —
ევროპა და აზიაში.

ენაც იყო შუმერული,
წინარე მეგრულ-სვანური,
და იშვა მისგან ღვთიური,
საგალობელი ქართული.

არის მდინარე ენგური,
მარადმწვანე მთების შვილი,
ენერგია მის ტალღებში,
უფლის სულით ჩაქსოვილი.

და მას ველარ შეედრება,
ვერც არაგვი და იორი,
ვერცა დედა, დიდი მტკვარი,
ყველა ერთად აღებული
მრისხანეა თან ძლიერი.

რუსთაველი მეგრულადაც,
მარგალიტით ქარგულია,
და ენა კი სვან-მეგრული,
ძველთაძველი ქართულია.

ლებანიძევ! შენ კი ცდილობ,
რომ გათიშო ჩვენი ერი,
ამას ვეღარ მოესწრები,
და გავხვდებით ბედნიერი.

აღარ იცით ისტორიაც,
თქვენისთანა ურიცხვია,
დამკვეთიც და ლებანიძეც
ბოროტი და უვიცია.

ჩარი მეგრელი

გამოჩენილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს პეტრე შარიას

სამშობლოსათვის თავდადებული,
იყავი ბრძენი, განათლებული,
შენი ხალხისა საკეთილდღეოდ,
ქვეყნად იყავი დაბადებული.

უფალ ღმერთისგან გამოგზავნილი,
ციდან ანგელოზ, შენი დაზმირი,
ვითარც ყვავილი ადრე გაშლილი,
უცბად შეიგრძნო სამყაროს აზრი.

ავი სულისგან განუკურნელი,
დღე-ღამ ებრძოდა სულით ძლიერი,
ტანჯვა წამებით გზა გამოვლილსა,
არ დაგიკლიათ ქვეყნად მკურნალი.

შენი პოემა ცრემლით ნაწერი,
გულის ძარღვიდან ამოხეთქილი,
სული და გული შიგა დამწვარი,
თითქოს ვულკანი ამოფრქვეული.

დაზმირს დაუდგით თქვენ „ხელთუქმნელი“
ძეგლი სულისა მარადიული.

ვანო მეგრელი
13.02.2009

პოეზია

პოეზია ღვთაებრივი,
არის დალოცვილი დარგი,
ზოგისთვის კი ცხოვრებაა,
სიცოცხლეა წვის და დაგვის.

ის წყაროა დაუმშრალი,
სიხარულისა და სიბრძნის.
მადლი არის ცისიერი —
უკვდავებისათვის იბრძვის.

ვით სამყარო, პოეზიაც,
ძველია და ძველისძველი.
აზრი გახლავთ ქვეყნად ყოფნის,
დვრიტაცა და საფუძველიც.

ვანო მებრელი
2008წ.

თბილისის მერს
ბატონ გიგი უგულავას

დედაქალაქის მერობა,
ზოგს რომ ჰგონია ადვილი,
აბა, კითხონ შთამომავალს
ფრიდონის და ავთანდილის.

შენ მოხველ და თბილისის ცამ,
მყის ღრუბლები გადაყარა,
სიჭაბუკის სიომ დაჰკრა
მთაწმინდას და ნარიყალას.

ხალხი ბრძენი არის მჯერა,
გააკეთებს სწორ არჩევანს:
შენ აგირჩევს ისევ მერად
და... თბილისიც გადარჩება.

ვანო მეგრელი
15.03.2010

ფსალმუნი

ვითარც პრომეთემ
ეს მცირე ცეცხლი,
ზეშთაგონების ღმერთს მოვტაცე
მაღალ ზეციდან,
და ავაბრწყინე ამ წიგნის ველი,
ადექ,
გახსენი,
თუკი შეგცივდა,
და სტრიქონების ნაკვერჩხლებზე,
გაითბე ხელი.

ვაჟა ებრისელი

მინაწერი ვაჟა ებრისელის ლექსზე

თქვენს სტრიქონების ნაკვერჩხლებზე
ბევრმა მოითბო ხელი და
გული,
ბევრმა გადიდა
დარჩა ერთგული,
მაგრამ ზოგი კი
დარჩა გულგრილი.

ვანო მებრელი

გენერალ–ლეიტენენტი
სერგო ფურფუმია— 70

მზის და სიცოცხლის მეხოტბევ,
უკვდავების გზით მავალო,
აიეტის და გუბაზის —
შენ დიდო შთამომავალო.

რაც გზები გამოგივლია,
იმ გზებს სხვა ვეღარ გაივლის,
მოფენილს ეკალ-ბარდებით,
არა ვარდით და ყვავილით.

შენ თვალს დარდის ცრემლი ნამავს,
მაგრამ შენ არ დაიგმინო,
რადგან შენ ხარ გმირის მამა,
თვითონ რაინდო და გმირო!

რაა შვიდი ათეული,
აქ მოგიწევს დიდხანს მოცდა,
ოთხმოცი წლის იუბილეს —
მე წინასწარ მოგილოცავ!

ვანო მეპარელი
იანვარი, 2011წ.

ლევან პაპასქუა

ლ ე ქ ს ე ბ ი
დ ა
მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი



უფლის წყალობით გადარჩი,
აფსუა ცეცხლს რომ გვახლიდა,
ხუთი წლის იყავ შენ მაშინ,
რომ გაგაცილე სახლიდან.

თბილისი
ივანე მეგრელი (პაპავა)
13.01.2012წ.



მოგზაური

შენი სიყმაწვილის მზერა —
შორ სივრცეებში ჟონავს.
და ფიქრი, ვით ანცი ქარი,
ლამობს არნახულის პოვნას.

ის ყველას აძლევს კითხვას,
მიჰყვება ძირის-ძირში.
პასუხი არავის არ სურს,
ის მაინც აღარ იშლის.

ჟინი კლავს ყოვლის ხილვის,
და უნდა ყოვლის ცოდნა.
სიმართლის გზაზე დადის,
სიკვდილს არ უფრთხის ოდნავ.

ჯერ ნინველია და მაინც
სურს იყოს ყოფნასთან ახლოს.
და საგზლად იმზადებს რწმენას,
უნდა რომ სამყარო ნახოს.

ხიფათით სავსეა ეს გზა,
მაგრამ აღარ აქვს შიში,
რადგან მგზავრია სპეტაკი,
წინსვლას მიტომ არ იშლის.

გზა და გზა გაიცნობს ბევრი,
თვითონ კი ისწავლის ყოფნას
და მერე ბევრის მნახველი,
თავს აღარ იგრძნობს ობლად.

მთელი სამყარო მოვლილი
შესდგება სიცოცხლის კარად.
და წამოიძახებს დაღლილი,
უჩუმრად ერთ სიტყვას „ „კმარა?“

რადგან ჭეშმარიტება ნახა,
რომელსაც უარყოფს ბევრი.
ცნობის გზა უსასრულოა,
არსთა ყოფნის დღე — მტკვერი.

რუსულიდან თარგმნა
ვაჟა ეგრისელმა.

ორი ძალა

სამყაროსავით ძველმა ძალებმა
ამოირჩიეს მხარე მწყა-ზარი,
სადაც გამართეს ლხინი!... მაგარი
სისხლიანი და მეტად საზარი.

ძალებმა მხარე ორად გაიყვეს,
მაგრამ საზღვარი ისე გაავლეს,
რომ ერთმანეთი გააგულისეს
თან მტრობა დიდი გამოავლინეს.

ამ დროს ის მხარე სულის ძახილით
თვით ამ ძალების ხდება მორჩილი,
პასუხობს ის მათ იდუმალ კითხვას,
ორთავეს ტოლად თან მოიკითხავს.

კეთილი, ავი — ძალა ორია
და სიძლიერეც თანასწორია,
ზრახვებიც მათი საშინელია
გულგამგმირავი, დამთრგუნველია!

ერთი, მეორეს ვერ ძლევს ვერასდროს
ამ ძალთა ნაკლიც ეს არის!.. ხოლო
ის ერთ დღესაც კი ვერ გაძლებს მარტო
და მის გარეშე ჩრდილია მხოლოდ.

2012წ.

რუსულიდან თარგმნა პოეტმა
აკაკი შენგელიამ (უჩაზღვაპიჯელი)

მთელი ცხოვრება ჩვენი – ომია

ომი თანმდევი არის სამყაროს
ის მოდის დილით, მოდის საღამოს,
თან მასში ყველა მონაწილეობს,
თუმც თავის ნებით არავინ ომობს.

ბრძოლაა ჩვენი ყოველი წამი
ყველა ხიფათის დაძლევის ჟამი,
მაგრამ რაც უფრო იოლად ვიგებთ
ომებს, მით უფრო უარესს ვიღებთ!

რასაც კი კაცმა მოკიდა ხელი
უბრძოლველად ვერ გამართა წელი,
ბედნიერება, წარმატებები
ყველას თან სდევდა დაბრკოლებები.

და ეს კანონი ბუნების, ძველი,
სადაც იმარჯვებს, მხოლოდ ძლიერი
მკაცრია წესი დაუნდობელი,
მაგრამ უომრად წინსვლაა ძნელი.

2012წ.

რუსულიდან თარგმნა პოეტმა
აკაკი შენგელიამ (უჩაზღვაპიჯელი)

ფიქრები

ნაღვლიანი მოგონებები მე ხშირად მნახულობენ
და გონებას თავისთავად უფრო მეტად მიმძიმებენ
თან დროდადრო მე წარსულით, რომ ვიცხოვრო მაძალებენ
ეს სევდა თან სინანულის მძიმე გრძნობებს მიღვიძებენ.

გვიან ვხვდები ცხოვრებაში თუ რამდენი დამიკარგავს
და რაც იყო ღირებული თურმე ის არ განმიკარგავს;
მე ძალებიც, დაუდევრად, განა ცოტა დამიხარჯავს
და ძაან უკმაყოფილო ვარ, რომ ფუჭია ჩემი გარჯა.

მე ჩემს თავზე თვითონ ვბრაზობ ძლიერ განაწყენებული,
მაგრამ ბოლმას ვერ ვიშორებ ფიქრით თავდამძიმებული
და რომ ისევ წარსულ დროში აღმოვჩნდები - დაზაფრული,
ჩემს შეცდომებს ვასწორებ მე ოცნებებში ჩაძირული.

ფიქრებიდან რომ ვბრუნდები ამ რეალურ ცხოვრებაში,
კოლოსალურ უნარ-ჩვევებს ვიძენ ცოდნის ძიებაში
და ამ ცოდნით აღჭურვილი ვეშურები, თუმც არ ვჩქარობ
გონივრულად რომ განვკარგო ბედი ჩემი და არც ვნანობ.

2012წ.

რუსულიდან თარგმნა პოეტმა
აკაკი შენგელიამ (უჩაზღვაპიჯელი)

ყოფა ეგ ჩვენი ომია მხოლოდ

ყოფა ეგ ჩვენი ომია მხოლოდ,
ვეგებებით მას გაჩენის დღიდან,
ვისწრაფით მისკენ უკლებლივ ყველა,
უმწიკვლონი და არაწმინდაც!

ბრძოლის ველია ჟამი ყოველი
მოუსვენარი აღუვსებელი,
ეს ძველთაძველი ნაფიქრალია,
ვივიწყებთ, მაგრამ ისევ მოველით!

უბრძოლველად რამ ვერ გვიპოვია,
მიზნები კვლავაც რჩება მიზნებად
და, ბოლოს, რაც კი დაგვითესია
დროს მიუყვება ნიავქარებად!

ურყევი არის ბუნების წესი
იმარჯვებს მხოლოდ იმისვე ნება,
ეს კანონია და განაწესი,
ყოვლისა შემძლემ ასე ინება!

რუსულიდან თარგმნა
შოთა ეგრისპირელმა-ხოჭავამ (პოეტი)
2012 წლის თებერვალი

რა ვაკეთოთ!

ნაადრევად დამებედა სნრაფვა,
შორეთისკენ მიმართულა მზერა,
სიყმაწვილეს ოცნებანი ახლავს,
ნუღა მიცქერ, მომავალო ცერად!

უთვალავი მებადება კითხვა,
უმალ განა პასუხს გასცემ ყველას.
დრო სჭირდება თვითოეულ მათგანს,
ანდა გული მოუთმენლად ღელავს!

ერთნი ვეღარ ემალება სევდას,
უიმედოდ ჩაფრენილა ჩიხში,
აკი მინდა გავეცალო ბინდებს,
განვეშორო, ჩაკარგული ნისლშიჟ

მოუსვენარი ქვეყნის ვართ შვილნი,
სული შფოთით აღუვსია ფიქრებს,
განა უნდა შევეჩვიო დუმილს,
ვუთხრა არა ჩემს სანუკვარ მიზნებს.

რუსულიდან თარგმნა
შოთა ეგრისპირელმა-ხოჭავამ (პოეტი)
2012 წლის 3 მარტი.

მოკლედ ერთ ჭეშმარიტებაზე

ლევან პაპასკუა, ურისტი, მონშობა № 11001271217

მართლა რომ უცნაური ჭეშმარიტებაა — ჩვენ ასე ბევრი ვართ და ჩვენ ყველანი მარტოხელანი... ცხოვრების პერიოდში ჩვენ უკვე ვგრძნობთ, რომ ნაწილობრივად არავის ვუნდივართ... მიუხედავად ხელჩაკიდებულ საყვარელ ადამიანთან, როცა კვდები ათვითცნობიერებ, რომ მიდიხარ შენ მარტო... და ის რჩება... რატომ ხდება ასე, რა აზრი აქვს? ცხოვრების აზრი იმდენად დიდია და მარტივი, ჩვენ მას ვერ გავითცნობიერებთ...

ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ.... ემოციურად ვაზროვნებთ. და თუ ემოციას ვერ ვგრძნობთ, ვოცნებობთ ვიყოთ მის გავლენის ქვეშ... რამდენი სიცრუე და სიყალბეა ირგვლივ... ჩვენ ყველაფერი ჩვენს ირგვლივ გავაუფერულეთ, გადავაგვარეთ და ჩვენ შევქმენით ჩვენთვის საშინელი არასამართლიანი სამყარო. ამგვარადვე გვიხდის ჩვენ სამყარო და ფეხქვეშ გვიგებს... დასვრილსა და დაუნდობელს... მაგრამ ჩვენ გვაქვს ნათელი, ნაყოფის თესლი და თუ დავეხმარებით გაიზარდოს და გამოვზარდოთ იგი სხვებში... შეიძლება ვაქციოთ სამყარო უფრო სამართლიანი, უკეთესო და ნათელი.

არა მთელი სამყარო, არამედ ის ნაწილი მაინც, რომელიც ყოველდღე ჩვენს გარშემოა... საკმარისია გავაღვიძოთ ერთ ადამიანში, ის კი შემდგომში... უნდა დაინგრეს სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სიცრუისა და სიყალბის ღირებულებებზე, დაინგრეს რაც შეიძლება სიღრმეში და მერე უმოწყალოდ მოისპოს ყველა ძველი სისტემის მიმდევრები (არა ფიზიკურად, არამედ იდეა, რომელიც მათ აერთიანებს, დავანახოთ ამ იდეის დამპალი არსი) ამის მერე ვეცადოთ ვაშენოთ ახალი, უკეთესი... მაშინ აუცილებლად გამოვა...

ისტორიის სპირალი უნდა მოისპოს, შევაფერხოთ მისი მოძრაობა, შეწყდეს ბორბლის ბრუნვა. (ისტორიის სპირალი — მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ამა თუ იმ სახელმწიფოს დიქტატორის ძალაუფლება, რომელიც ებღაუჭება)

ახალი სამყაროსკენ

ჩვენ ფანტაზიაში და ოცნებაში ხშირად ვხედავთ ბედნიერ და საოცნებო მომავალს. ის ჩვენ გვეჩვენება ისეთი ნათელი და ლამაზი, მაგრამ იცვლება თაობები, ის დრო მაინც არ დგება.

ეს უსამართლობაა... მაგრამ რატომ? ფუტურისტული სურათები ჩვენს მიერ დახატული, რატომ რჩებიან მხოლოდ ნახატებად? ჩვენ გვინდა უზრუნველი, უდარდელი ცხოვრება, ვიყოთ დაცული თავდასხმისაგან, თავისუფალნი, დროისგან დაუმორჩილებელი, კმაყოფილი ცხოვრებით და არა არსებობით.

ვიყოთ მნიშვნელოვანი და არა მარტო ჭანჭიკი საერთაშორისო წესრიგის. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ ვიყოთ რაღაცის ან ვიღაცის მონები. ყოველთვის გვინდა უფრო მეტი, თუ მივაღწიეთ ამას, მაშინ ვგებულობთ, რამდენი დავკარგეთ. მაგრამ ჩვენ გვავიწყდება ერთი ჭეშმარიტება, რომელიც აგვისხნის, ჩვენი წარუმატებლობის მიზეზს, ჩვენ იმედი გვაქვს და ვართ საოცრების მოლოდინში. მაგალითად: ჩვენ მოვიგონეთ ჩვენი ცხოვრების ისეთი სისტემა, რომელმაც დაგვიმორჩილა ჩვენ და გაგვიხადა ცხოვრება მხოლოდ არსებობისათვის.... ჩვენ თვითონ შევაჩერეთ მოსვლა იმისა, რასაც ჰქვია — „შორეული საუკეთესო“... ჩვენ შევქმენით უამრავი რთული კანონები და ვალდებულებები, აკრძალვები, რომელსაც ცოტანი მისდევენ. ჩვენ ვცდილობთ, ჩვენებურად შევცვალოთ სამყარო, ხშირ შემთხვევაში ვაყენებთ მას ზიანს, იმის მაგივრად, რომ ჩვენ თვითონ შევიცვალოთ, დროა მოვახდინოთ შექმნილი მდგომარეობის გარდატეხვა. ეს ჟღერს სულელურად, ვიცი... ბევრჯერ მომხდარა რევოლუცია და გადატრიალება, მაგრამ ეს იყო შიგნით ძლიერთა შორის

ბრძოლა. მე მხედველობაში მაქვს სულიერი რევოლუცია, და განსაკუთრებით ის, რომ დროა ვიყოთ ხალხი — საზოგადოება.

ადამიანი არ არის ბუნების მბრძანებელი („ცარ“), არამედ პირიქითაა, და ჩვენ უნდა ვისწავლოთ მასთან თანაარსებობა და ამავე დროს, უნდა ვიყოთ თავისთანაც, მივაღწიოთ ბალანსს.

ჩვენი ტექნოლოგიური პროგრესი არაფერია, ჩვენი ინტელექტუალური და სულიერი განვითარების გარეშე. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რაა კარგი და რაა ცუდი. ლაპარაკი ამაზე მოსაწყენიაჟ ბოლოს და ბოლოს, თეორიას რატომ არ ვაქცევთ რეალობად? რატომ ვიტყუებთ თავს და ვატყუებთ გარემოცვას? რომ დავანგრიოთ ყველა ძველი კანონები და დავიწყოთ ცხოვრება ისე, როგორც გვიკარნახებს სუფთა გონება და სული ისე, როგორც გვიკარნახებს სუფთა გონება და სული, ჩვენ წავალთ წინ, უკუვაგდოთ შიში „სტერეოტიპი“, ჩვენი ძალების ნდობით, გადავლახავთ იმ საზღვარს, რომელიც არსებობს ფანტაზიასა და რეალობას შორის. ჩვენი ყველა ოცნება, თუ დავაკვირდებით მის ძირშია, ეს ყველაფერი არის ფიქრი მომავალზე, ჩვენ ვქმნით თვითონ ჩვენს რეალობას.

როდესაც გავაცნობიერებთ, რომ ჩვენ შევქმნით კანონებს და სინამდვილედ ვაქცევთ ფანტაზიას, მხოლოდ მაშინ ვიგრძნობთ სულიერი ძალის ჭეშმარიტ თავისუფლებას. არ მჯერა... მაგრამ თუ გავეცნობით წინა თაობის ფანტასტიკას, ჩვენ გავიგებთ, რომ ეს არის ყოველდღიური ცხოვრების ქრონიკა. მაშინ რატომ შევჩერდით, უნდა წავიდეთ წინ, უკუვაგდოთ დრომოჭმული აზროვნების ტვირთი, არ შეუშინდეთ სიახლეს, მტკიცედ გადავდგათ ნაბიჯი წინ, საძიებო სამყაროს სივრცეში.

რუსულიდან თარგმნა ივანე მებრელმა,
მწერალი

რატომ მოგვწონს ზღაპრები ასე?

პატივცემულო მკითხველო, ძალიან გთხოვთ ბოლომდის წაიკითხოთ ჩემი ნამუშევარი, უნდობლობის და სკეპტიკური გამოვლენის გარეშე. ვიცი, ჩემი ნაწერი ჟღერს არასრულყოფილად, მაგრამ, როცა ბოლომდე წაიკითხავთ, შემდეგ განსაჯეთ. მადლობთ.

ყველა ადამიანს დედამიწაზე უყვართ ზღაპრები, ლეგენდები და თქმულებები. პრაქტიკულად არავის უფიქრია, რატომ?

ის, ვინც სერიოზულად მოეკიდა ზღაპრებს და ლეგენდებს, გახდნენ ცნობილი, როგორიც იყო ჰენრიხ შილიმანი, რომელმაც აღმოაჩინა ტროა. მან გააკეთა ანალიზი იმისა, რაც აღმოაჩინა მითებში და ლეგენდებში. დაამტკიცა, რომ ისინი არ ცრუობდნენ. ძალიან კარგი, მსოფლიო ამას შეურიგდა, აღიარა ეს ფაქტი... მაგრამ ეს არ არის საინტერესო, ადგილი, სადაც მიმდინარეობდა გმირების გმირული მოქმედება, მაინცდამაინც არავინ დაინტერესებულა, უფრო სწორედ, ჩვენ ვუცდიდით მომენტს, როცა ტორი აფრქვევდა ელვას, ან გერკალე გიდრს (. . . .) კლავდა. სიმართლეა ეს? ჩვენი წინაპრები ნუთუ იგონებდნენ ასეთებს? მშურს მათი ფანტაზია... ყველაფერი ასეთი საშინელებანი, საუკეთესო არსებანი „ნიმფი“, „ელფი“, „კარლიკი“, „დრაკონი“.

ჩვენ მათ ვთვლით არარეალობად, თუ მართლა ცოცხლობდნენ ეს საშინელი არსებანი და დღესაც თუ არიან დედამიწაზე? მე მინდა დღეს წარმოგიდგინოთ, თუ რა აღმოვაჩინე რამდენიმე წლების ძიების შედეგად მიღებული ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

იმ ხალხისგან, რომლებიც წერდნენ წარსულის საოცარ მოვლენებს, გავაანალიზე და წარმოგიდგინთ თუ რა გავიგე.

დავიწყოთ ქვეყნის მფლობელი ღმერთებით, რომლის ძვლებით სავსეა წინა რელიგიის პანთეონები. ყველგან არიან ღმერთები, „ბერძნების“ ცეცხლმფრქვეველი — ზევსი, პერუნი — რუსების, სკანდინავების — ტორი:

მოდით დასაწყისში უკუვაგდოთ სულელური თეორია იმის შესახებ, რომ განუვითარებელი ჩვენი წინაპრები, რომლებმაც ნახეს ელვა და გაიგონეს ქუხილი, გამოიგონეს მამაკაცი, რომელსაც შეუძლია გამოაფრქვიოს შინაგანი დაგროვილი ენერგია.

არა, ისინი არ იყვნენ დაოსტატებული თავიანთ თავში ასეთი ტყუილის აღწერისა, რაც არ უნახავთ, გასაგები სიტყვებით, ანალოგიის საფუძველზე — შეიძლება.

რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უძველესი დროის ხალხი მოწმენი იყვნენ იმისა, რომ გამოყენებული იყო საშინელი იარაღი, მაღალი განვითარების ხალხის მიერ.

რამდენიმე წლის წინ ამისთანა საშინელება მოხდა ჩვენს ცივილიზაციაში. არ გჯერათ? რომ მოვსინჯოთ, ვაჩვენოთ ადამიანს რომელიმე ტერიტორია რაკეტული სისტემის PC-12M „ტოპოლ“-ის დაბომბვის მერე და მოვითხოვოთ კომენტარის გაკეთება, მოვისმენთ რაღაცნაირ ლეგენდას, ან შესაძლებელია შიშისგან ხმაც ვერ ამოიღოს.

ჩვენ პლანეტაზე მიმდინარეობდა საშინელი, გამანადგურებელი ომები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში დარჩა ხალხის ხსოვნაში და გადაეცა თაობიდან თაობას.

წყაროები? — უამრავი, მხოლოდ საჭიროა ცოდნა, რომ შეგეძლოს კითხვა, არ უნდა გამოგრჩეს მთავარი პროცესები და არ უნდა დატოვო მიღმა, მეცნიერულ ბურუსში.

ჩვენი პლანეტა ყოველთვის იყო, როგორც საცდელი პოლიგონი ყოველივე საოცრების.

წინა ათასწლეულებში, ჩვენს პლანეტაზე ბინადრობდნენ ასურელი ტომები, ხალხი გიგანტური სიმაღლის, რომლებიც შესაძლებელია ჩვენი წინაპრები ყოფილიყვნენ, მაგრამ.....

ვედური სწავლების მიხედვით ასურები იყვნენ დიდი და ძლიერნი. ისინი დაიღუპნენ იმიტომ, რომ იყვნენ უბრალოები და მიმდობნი, უღალატო. ღმერთებმა, მოღალატური და მოტყუების გზით გაიმარჯვეს ასურებზე. შეტენეს ისინი მიწისქვეშ და ოკეანის სიღრმეში.

პირამიდები რომ აგებულია ქვეყნის ყველა კუთხეში (ეგვიპტეში, მექსიკაში, ტიბეტში, ინდოეთში) მოწმობს იმაზე, რომ კულტურა იყო ერთიანი და დედამიწაზე მცხოვრებ ხალხს არ ჰქონდა მიზეზი, ერთმანეთისთვის გამოეცხადებინათ ომი.

ვედები თვლიან, ისინი ვინც ღმერთებად გამოჩნდნენ ციდან, ჩამოსულები არიან კოსმოსიდან. ასურებსა და ღმერთებს შორის გაიმართა თერმოიადერული ომი, რომელმაც მიიყვანა დედამიწა კატასტროფულ მდგომარეობამდე და ცხოვრების პირობები დედამიწაზე შეიცვალა. შენ მკითხველო, მოითხოვ დამამტკიცებელ წყაროებს? — არსებობს უამრავი წყაროები ამ ჰიპოტეზის სასარგებლოდ. დედამიწაზე არსებობს უამრავი კვალი რადიაციის ძლიერი მოქმედებისა. დედამიწის არსებებზე, ადამიანებზე და ცხოველებზე დაიწყო მუტაციის პროცესი და გამოიწვია ე.წ. ციკლოპები (ციკლოპებს აქვს ერთი თვალი). სხვადასხვა ხალხის ლეგენდებიდან ჩანს, რომ არსებობდნენ ციკლოპები და ეომებოდნენ ხალხს. მეორე მხრივ, რადიაცია მოქმედებს სასქესო ორგანოებზე, ზრდის ქრომოსომების რაოდენობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გიგანტური, გაორება ადამიანის ნაწილების: ორი გული, ორმაგი წყობა კბილების და სხვა უამრავი შემთხვევები.

არქეოლოგები და მეცნიერები ნახულობენ დედამიწაზე დიდი ზომის ჩონჩხს, რომელსაც აქვს ორმაგი კბილების წყობა.

მესამე მხრივ, რადიაცია იწვევს რადიაქტიულ მუტაგენოზს (მონგოლოიდნოსტ) უწინ დედამიწაზე ასეთი ტომები ძალიან გავრცელებული იყვნენ, როგორც აზიაში, ასევე ევროპაში, შუმერებში და აგრეთვე ცენტრალურ აფრიკაში. კიდევ საშინელი რადიაციის გამოვლინება ე.წ. მეტაგენოზი. ბავშვების დაბადების დროს ატავიზმის მოვლენა. (დაბრუნება წინაპრებთან)

ყველაფერი უბედურება განიცადეს იაპონელებმა ამერიკელების მიერ ატომური დაბომბვის შედეგად და ჩერნობილში მომხდარი ატომური რეაქტორის აფეთქების მერე ევროპელმა ხალხმა. დედამიწაზე დარჩა უამრავი კვალი ატომური და თერმოიადერული აფეთქებების შედეგად.

ამ ხუთი წლის წინ ამერიკელი და ფრანგი მეცნიერების მიერ შემუშავებული პროექტით NASA გამოაშკარავდა სენსაციური ფაქტი, სადაც აღნიშნულია, რომ 25 ათასი წლის წინ დედამიწაზე მოხდა გლობალური თერმოიადერული ომი...

მკვლევარების მიერ მთლიანად დედამიწაზე აღმოჩენილია აფეთქების შედეგად გამოწვეული 100-ზე მეტი ღრმულები. ყველაზე დიდი სიღრმით ნაპოვნია სამხრეთ ამერიკაში — 120 კმ სიღრმით. ამ ღრმულის პლასტების ანალიზის მიხედვით იქნა გამოთვლილი თარიღი კატასტროფული გრანდიოზული აფეთქებისა. ის ღრმული რომ წარმოქმნილიყო პალეოზური პერიოდის დროს (350 მილიონი წ.წ.) მაშინ მისგან დღეისათვის არაფერი დარჩებოდა. იმიტომ, რომ სისქე მიწის (დიამეტრი ზედა მხარის) ფართოვდება ერთი მეტრით ას წელიწადში, ზემო ნაწილი — ძაბრის, დღემდე რჩება დაუშლელი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ თერმოიადერული დარტმა მიიღო 25-35 წლის წინათ მეცნიერების გამოთვლით. ასეთი ფაქტები

ამტკიცებენ, რომ იყო თერმოიადერული ომი, როგორც მოგვითხრობს მაიას ხალხი. ხანძარი ბობოქრობდა სამი დღე და ღამე, რის შედეგადაც გამოიწვია იადერმული წვიმა, სადაც არ დაეცა ბომბი, თავს დაატყდა რადიაცია, რომელმაც გამოიწვია კანის რადიაციული დაწვა ცოცხალ არსებაზე. დარტყმის ტალღა გავრცელდა არა მარტო ჰორიზონტალურად, არამედ ზევით სიმაღლეში, სტრატოსფერომდე, რომელმაც გამოიწვია აზონის ფენის გარღვევა, რომელიც იცავს დედამიწას ულტრაიისფერი საშინელი გამოსხივებისაგან. თერმოიადერულმა აფეთქებამ გამოიწვია წნევის დაცემა და მოწამვლა ატმოსფეროში შემავალი გაზების ნაერთისა, რომელიც იწვევს გადარჩენილი არსების მოსპობას.

ასურები ცდილობდნენ თავის გადარჩენას მიწისქვეშა ქალაქებში, მაგრამ საშინელმა წვიმამ და მიწიძვრებმა ისინი გამოყარა მიწის ზედაპირზე. უწინ მეცნიერები თვლიდნენ, რომ „ტრუბა“ მიწის ქვეშიდან აღმავალი მიწის ზედაპირზე იყო ბუნებრივი წარმონაქმნი. სინამდვილეში ისინი შექმნილი ყოფილა ლაზერული იარაღის სხივებით, რომ გამოედევნათ მიწისქვეშეთიდან ასურები ზედაპირზე და გაენადგურებინათ. ამ ე.წ. „ტრუბებს“ აქვს სწორი, მრგვალი ფორმა, გაპრიალებული კედლები, რომელიც არ ჰგავს ბუნებრივად წარმოქმნილს.

ეხლა გასაგებია რატომ არის მთელ პლანეტაზე, დედამიწის სხვადასხვა ადგილას ამოთხრილი გვირაბები ათასი კილომეტრი სიგრძის, რომლებიც ნახულია ალტაიში, ურალში, ტიან-შანეში, კავკასიაში, საჰარის უდაბნოში, გობში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში. შესაძლებელია ლაზერის იარაღი გამოყენებული იყო არა მარტო ასურების გამოსაყრელად ზედაპირზე, არამედ ლაზერული სხივი, როცა მიაღწევდა დედამიწის შუაგულ ფენებს, გავარვარებული მასა,

მაგმა ამოხეთქავდა ზედაპირზე და იწვევდა ხელოვნური ვულკანის შექმნას. ვინც კი დარჩა მიწისქვეშ დაბრმავდნენ. (ცნობილია, რომ სვიატოგორის მამა, რომელიც ცხოვრობდა მიწისქვეშ დაბრმავდა).

ასურების თაობები მცირდებოდნენ სიმაღლეში და ბოლოს გახდნენ „კარლიკები", რომლის შესახებაც არსებობს უამრავი ლეგენდა. მცირე ზომის არსებებმა მოაღწიეს ჩვენამდე. არიან არა მარტო შავი კანის, არამედ თეთრი კანისაც. (მენეხეტი გვინეაში, აგრეთვე დოპა და ხამა ერთი მეტრი სიმაღლის ცხოვრობდნენ ტიბეტში.)

სტერლიტამაკე (ბაშკირია) არის სასაფლაო, რომელიც მიეკუთვნება ასურებს და ასეთები ბევრია დედამიწაზე. ზოგიერთმა ასურებმა მოაღწიეს ჩვენამდის. 70-იან წლებში ანომალიის კომისიამ მიიღო ცნობა, რომ შეხვდნენ გიგანტებს, 40-სართულიანი სახლის სიმაღლის. მათი გადაადგილების დროს ფეხქვეშ მიწა დიდი სიღრმით იძირებოდა და წარმოშობდა ნგრევის ხმაურს.

ეს არის მტკიცებულება მიფიური ბავშვების არსებობისა, გეი, რომლებიც გამომწყვდეული ჰყავდა ზევსს მიწისქვეშ, ტარტარეში.

მეცნიერებმა გამოთვალეს ძალა, რომელიც წარმოიშობა თერმოიადერული აფეთქების შედეგად, რომელიც ექვივალენტურია 500 000 ტონა ტროტილის აფეთქებისა. შედარებისათვის: ხიროსიმის აფეთქების დროს ტროტილთან შედარებით ანგარიშობენ 20 000 ტონას. (ჩემი პრაქტიკული გამოცდილებიდან, ხელის პატარა ფანარის შიგ სიცარიელეში ჩაყრილი რამოდენიმე გრამი ტროტილის – „ბუფ" აფეთქებისას, კლავს ადამიანს. (ივანე მეგრელი)

ეხლა წარმოვიდგინოთ, რა სიძლიერის ყოფილა ის უძველესი აფეთქების ძალა, რომელმაც შეცვალა დედამიწის

ბრუნვის დრო თავისი ღერძის გარშემო. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ პლანეტის უზარმაზარი წყლის მასამ აიწია ზევით და დაფარა მთლიანად ხმელეთი და გამოიწვია წყლის მძლავრი ტალღები. ამან თავის მხრივ ააჩქარა დედამიწის ბრუნვა თავის ღერძის ირგვლივ.

მაიას ქალაქებში (გასულ საუკუნეში) იქნა ნახული უძველესი კალენდარი, სადაც დღე და ღამე უდრიდა 36 საათს. მეცნიერები თვლიან, რომ ასე იყო თერმოიადერულ აფეთქებამდე.

ადამიანის გენეტიკურ აზროვნებაში დღესაც რჩება ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია. ფიზიოლოგებმა ჩაატარეს ცდა: თუ ადამიანს მოათავსებენ მიწისქვეშ და არ მისცემენ შესაძლებლობას დროის გაგების, მისი ორგანიზმი თანდათანობით გარდაიქმნება და დროის ხანგრძლივობას 24-საათიდან 36 საათამდე ეჩვევა (გენეტიკური მახსოვრობა).

შენიშვნა: (კიდევ კარგი, რომ დედამიწამ თავის ღერძის გარშემო მიიღო აჩქარება და დღე-ღამის ხანგრძლივობა გაიზარდა 36 საათიდან 24 საათამდე და არ იმოქმედა მის ტრაექტორიაზე მზის გარშემო მოძრაობისა, თორემ გამოიწვევდა კატასტროფას. აქ იმოქმედა ფიზიკის კანონმა: სხეულის შინაგანი ძალების მოქმედება ვერ ცვლის მის ვარდნის (მოძრაობის) ტრაექტორიას. (ივანე მეგრელი).

უძველეს ხანაში რომ მოხდა უძლიერესი თერმოიადერული აფეთქება, მეცნიერების თვალსაზრისით მოცემულია ლეგენდებში და თქმულებებში სხვადასხვა ხალხის მიერ, სხვადასხვა დროის პერიოდში. მაგ. მითი აფრიკის პიგმეების მიერ გადმოცემული „ციდან დაშვებული უზარმაზარი ცეცხლი“.

თუ გვერდზე გადავდებთ მეტაფორებს, მაშინ ცხადად ჩანს, რომ მოხდა გრანდიოზული აფეთქება და მისი შედეგი — იადერული ზამთარი.

ცნობილია, უძველესი ინდიური ეპოსი-თქმულება — „მახაბხარატა“, სადაც დაწვრილებით ლაპარაკობენ იმაზე, რომ ვინც გადაურჩა 25 ათასი წლის წინათ თერმოიადერულ აფეთქებას, როგორ უშველეს თავისთავს იმ ხალხმა. საშინელი ძლიერი ცეცხლისაგან გარბოდნენ მიწის ქვეშ — ე.წ. ბომბსაცავებში. მსგავსი მიწისქვეშა გამონამუშევრები არის ურალში და ალტაიში ტიან-შანე, საჰარაში, პერმის ოლქში, სამხრეთ ამერიკაში. ეს გამონამუშევრები (გვირაბები) ხელოვნურად არის შექმნილი, უბრალოდ შესამჩნევია ყველას მიერ. ბუნებრივს რომ შევადაროთ, ხელით შექმნილი განსხვავება სახეზეა.

ამ გრანდიოზული აფეთქების მერე გაჩნდნენ საოცარი არსებანი დედამიწაზე.

აფეთქების შემდეგ, მუტაციის შედეგად წარმოიშვნენ სახეშეცვლილი არსებანი. რადიაქტიული — მუტაგენები კაცის ხრომოსის გადაადგილებას იწვევს ჯაჭვურ სქემაში და შემდგომი თაობა სულ სხვა სახეცვლილებას იღებს.

საშინელება ის არის, რომ სხვადასხვა ადამიანში, რადიაციის სხვადასხვა დოზით მიღების შემდეგ ადგილი აქვს სხვადასხვანაირ სახეცვლილებას.

ჩვენი წინაპრები ვერ აცდნენ ყოველივე ამას და აფეთქების მერე დედამიწაზე ხალხი გახდნენ თითქოსდა „მუტანის შემნახველი“. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი: იყვნენ ფრთებიანი, გიგანტი ადამიანები. მათ ჩონჩხს ეხლაც პოულობენ გათხრების დროს. ასევე იყვნენ „კარლიკები“, მათი წარმომადგენლები დღესაც არიან აფრიკაში — პიგმეისა და ტბეტში, ხალხი — დრპა და ხამა. ზოგიერთი ამ განშტოებიდან დაიღუპნენ, ვერ შეეგუნენ ადგილობრივ პირობებს. ზოგიერთი სპეციალურად გაანადგურეს.

შენიშვნა: სხვათა შორის, აქ მოცემულია ლევან პაპასკუას სტატია — „დედამიწაზე იპოვეს უცხოპლანეტელების

სასაფლაო“, რომელიც ამ თემის გასაშუქებლად ძალიან კარგი მაგალითია. (ივანე მეგრელი)

ეხლა თავი დავანებოთ უცხოეთის მაგალითებს, უფრო ახლოს გვაქვს ისტორიულ-ლიტერტურული ძეგლი — „ბაბა-იაგა“, რომელსაც დღეს ეძახიან ბ-52 ან ბ-1. რუსეთში დიდი ხანია ცნობილია, წარსულიდან ამ სერიის ბომბდამშენიდან სახელწოდება „ზმეი გორინიჩ“.

უძველესი სლავიანების გამოცდილებიდან, ადამიანების სიცოცხლის გაგრძელების საკითხი დამთავრდა წარმატებით, რომლის მაგალითს წარმოადგენს თვითონ ლაბორატორიის უფროსი, დოქტორი, კაშეი ბესსმერტნი.

რაც შეეხება უძველესი თერმოიადერულ ომებს, რა შეიძლება ამ შემთხვევაში საეჭვო იყოს? თქვენი შეხედულებით, გაქრა დედამიწიდან ქალაქი ლურჯი ოცნების, ლურჯი სოდომის? — დაუმატებთ იმპორტულ „ციტატას პლატონისაგან“. აქედან გავრცელებული თქმულება ფაეტონე, ჰელიოსის შვილზე, თითქოსდა ჰელიოსის შვილმა შეამზადა მამამისის „ფაეტონი“, მაგრამ ვერ შეძლო მამამისის გზით გამგზავრება. დაეწარცხა ძირს, თვითონაც დაიღუპა, დაიფერფლა ელვისაგან და დედამიწაზეც გადაწვა ყველაფერი. (აი, ნათელს ხდის წინათ მოყვანილ შეხსენებას 500 კილო ტონის ბომბაზე, არა?).

ვფიქრობ, რომ გავიაროთ იმ ადგილებზე, გეიგერის, რადიაციის მაჩვენებელი ხელსაწყოთი, მაშინ რადიაციის მაჩვენებელი ისარი შიგ არ ჩაეტევა, უჩვენებს მაქსიმუმს და კითხვა არ გახდება საჭირო. ყოველივე ამის შემდეგ გამოჩენილი „მუტანტები“ რუსეთის ტერიტორიაზე და სხვაგანაც ბევრნი არსებობდნენ. ბევრი მათგანი იმალებოდა წყალში და მიიღეს ზედმეტი სახელი „წყლიანი“, ვინც ტყეში იმალებოდა — „ტყის კაცი“.

25 ათასი წლის წინათ ჩვენი პლანეტა ალბათ იყო გიგანტური „ჩერნობილი“ და ჩვენ თანამედროვე ხალხი წარმოვადგენთ მუტანტების მემკვიდრეებს უძველესი კატასტროფის შედეგად, რომელიც გამოიწვია თერმოიადერულ აფეთქებებმა დედამიწაზე. (ძალიან სამწუხაროა).

ზემოთ მოყვანილი ყველა ფაქტი, უკანასკნელის გამოკლებით არის ამერიკისა და საფრანგეთის მეცნიერების გამოკვლევის საფუძველზე, მხოლოდ გაურკვეველია რა იყო მოტივი უძველეს წარსულში თერმოიადერული ომის და ვინ იყო დამწყები.

ზღაპრებმა და მითებმა საუკუნეების მანძილზე შემოინახეს ჩვენში ხსოვნა, ჩვენი არსება.. შეიძლება ვენდოთ მათ? — გასაგებია, ეს ძალიან რთულია, ძნელია გვერდზე განუდგე იმ ოფიციალურ შტამპებს, ოფიციალურ ისტორიას, მაგრამ ჩვენ ყველა როცა ვკითხულობთ უძველესი დროის ამბებს, სადაც სულის სიღრმეში ვგრძნობდით, რომ ეს ჩვენთან ახლოს არის, ეს სიმართლეა, რომელიც ჩვენ აკრძალული გვაქვს რომ ვიცოდეთ. მაგრამ გენეტიკური მახსოვრობა ყოველთვის ამჟღავნებს თავისთავს.

ლევან პაპასკუა
2009წ.
რუსულიდან თარგმნა
ივანე მეგრელმა, მწერალი.

დედამიწაზე უცხოპლანეტელების სასაფლაო იპოვეს

ცენტრალურ აფრიკაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს უცხოპლანეტიდან ჩამოსულების სასაფლაო, სადაც დასაფლავებული არიან არანაკლები 500 წლის წინ. სასაფლაოზე აღმოჩენილია ადამიანის გვამები. საოცარია, რომ კარგადაა შენახული სხეული. ეხლა მიდის გამოკვლევა, თუ როგორ მოხვდნენ ისინი დედამიწაზე და რამ იმსხვერპლა, 2009 წლის ნოემბერში ქ. კიგალში (რუანდა) ჟურნალისტებს განუცხადა შვეიცარიის ანტროპოლოგმა, დოქტორმა უგო-დეტიმ.

ანტროპოლოგებმა აღმოაჩინეს გასაოცარი სასაფლაო, როცა ისინი აწარმოებდნენ გათხრებს რუანდის ჯუნგლებში. მათ იფიქრეს, ალბათ, ძველად აქ ცხოვრობდნენ ხალხი, მაგრამ გათხრების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ მიდამოებში არასდროს უცხოვრია ხალხს.

ეს აღმოჩნდა ძმათა სასაფლაო. თითოეულ სასაფლაოზე იყო ხუთ-ხუთი სხეული. სხეულის სიმაღლე იყო 7 ფუტი, ე.ი. 2 მეტრი და 13 სმ. თავი არაპროპორციული — დიდი, არა აქვს პირი, ცხვირი და თვალი. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ისინი მოძრაობენ ბიოლოგიური რადარით, როგორც მფრინავი თაგვი.

ანტროპოლოგები თვლიან, რომ უცხოპლანეტელები დედამიწაზე დაშვებისას რაღაც ვირუსით დაავადდნენ და მათ არ ჰქონდათ ორგანიზმში იმუნიტეტი, რომ ამ ვირუსისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. შეიძლება უბრალო დაავადებით დაიღუპნენ.

ზოგიერთი შეიძლება გადარჩა და უკან გაფრინდა, რადგანაც ახლო-მახლო არსად ჩანდა თვითმფრინავი და არც მისი ნატეხები. გათხრებს ვაგრძელებთ და შეიძლება კიდევ რამე სიურპრიზს წავაწყდეთ, — განაცხადა დოქტორმა დეტიმ.

მეცნიერები ნახულობენ საოცარი ძველი ეპოქის მუმიას და სხეულებს, რომლებიც არ ეკუთვნის დედამიწაზე მცხოვრებ ტომებს. მეცნიერები თვლიან, რომ ესენი არიან გენეტიკურად პირველყოფილი ტომები, ან შესაძლებელია უცხოპლანეტელები.

1937-38 წ.წ. ძნელად მიუვალ ადგილას ჩინეთსა და ტიბეტის საზღვარზე ქალაქ ბაიან-კარა-ულაში, ექსპედიციამ, პეკინის მეცნიერებათა აკადემიის, პროფესორის ჩი-პუ-ტეიას ხელმძღვანელობით, კლდეში აღმოაჩინა პატარ-პატარა მღვიმეები და სხეულები, რომლის სიმაღლე იყო 1 მეტრი და 30 სმ. არაპროპორციული დიდი თავით და წვრილი ფეხებით. ეს აღმოჩნდა სასაფლაო, სადაც იყო 716 მღვიმე, სამარხი.

კლდეში იყო ნახატები მზის, მთვარის, დედამიწის და ასტრონომებისათვის უცნობი პლანეტის, რომელიც უვლის მზეს ხვეული ხაზით და ეშვება დედამიწაზე, უჩვენებს უცხოპლანეტელების დაშვების გზას.

აქვე იპოვეს კერამიკული დისკი 30 სმ. დიამეტრის და 8 მმ სისქის, შუაში იყო ხვრელი ცენტრიდან მიდიოდა სპირალური გზა ნაპირამდე, წვრილი რაღაც ნიშნებით. ანალიზმა უჩვენა, რომ ეს დისკი ოდესღაც იმყოფებოდა ძლიერი მაგნიტურიველის მოქმედების ქვეშ, როდესაც დისკის აწონვა დაიწყეს. მოხდა საოცრება: დისკი, რომელიც შეერთებული იყო თვითსაწერთან, დაიწყო წერა მიხვეულ-მოხვეულ ხაზებით მთელი 24 საათის განმავლობაში. წერდა ხაზებს და თავის წონას ხან ამცირებდა და ხან ამატებდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩინეთის პროფესორმა ცუმ-უმ-ნუიმ ბოლომდის ვერ გაშიფრა დისკი, მაგრამ გახდა ცნობილი შემდეგი: უცხოპლანეტელები, რომლებიც თავის თავს უწოდებდნენ „დროპა“-ს, იძულებული

გახდნენ დაშვებულიყვნენ ბაიან-კარა-ულაში და შემდეგ ვერ შეძლეს აფრენა. დარჩნენ ძალიან საშინელ, აუტანელ მხარეს, იბრძოდნენ სიცოცხლისათვის, მაგრამ ვერ შეძლეს და დაიღუპნენ.

ცუმ-უმ-ნუიმ მოახერხა გამოკვლევის შედეგის გამოქვეყნება სახელწოდებით: „კოსმოსური ხომალდების ისტორია 12 ათასი წლის წინ ჩვ.წ.აღრ.“ „კულტურული რევოლუციის“ დროს ის სასაცილოდ აიგდეს და იძულებული იქნა წასულიყო იაპონიაში, სადაც იქ გარდაიცვალა.

გერმანელი არქეოლოგი — ვალტერ ფონ მოლტკემ მოაწყო ექსპედიცია ჩინეთში. მან მოახდინა დისკის ბოლომდე გაშიფვრა.

1962წ. გაშიფრული დისკიდან ირკვევა, რომ ტომები „დროპა“ ცხოვრობდნენ და გაქრნენ 1947წ. დისკში ნაჩვენებია, რომ „დროპა“-ს დედაპლანეტა იმყოფება „სირიუს“-თან ახლოს. მათ წინაპრებმა დედამიწაზე იმოგზაურეს ორჯერ. პირველად 20 ათასი წლის წინ და მეორედ 1014 წლის წინ. ბოლოს თვითმფრინავმა განიცადა კატასტროფა, ზოგი გადარჩა და დედამიწაზე წარმოიშვა ტომი „დროპა“.

ბევრი ძიების შემდეგ მოლტკემ მონახა მუზეუმში გაქვავებული სხეულები, რომლის სიმაღლე იყო მეთაურის 117 სმ. და მისი ცოლი 12,5 სმ-ით დაბალი.

მოლტკე თვლის, რომ ერთს ფეხში ეტყობოდა გაკეთებული ჰქონდა ოპერაცია — ლაზერული სხივით.

მოლტკე თვლის, რომ შესაძლებელია კიდევ ცხოვრობდეს „დროპა“-ს წარმომადგენლები ჩინეთის მიუვალ ჯუნგლებში.

სკეპტიკოსი მეცნიერები არ ეთანხმებიან მეცნიერებს, რომლებიც წერენ უცხოპლანეტელებზე. საოცრებას იწვევს მუმია, რომელიც აღმოაჩინეს ეგვიპტეში — აკლდამაში. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ის არ ეკუთვნის ადამიანს. მუმიას აქვს ფართე პირი ენის გარეშე, არა აქვს ცხვირი და ყური, სიმაღლე 2,5 მეტ.

არქეოლოგმა გასტონ დე ვილლარმა დააზუსტა, რომ მუმია არის 4 ათასი წლისწინანდელი, ის დამარხული იყო ისე, როგორც ეგვიპტეში მარხავდნენ დიდ ადამიანებს. საოცრად მუნიფიცირებული და ირგვლივ დამარხულია ყმები, არის ხელოვნების ნიმუშები, საკვები. ზოგიერთი ნიმუში არ არის დედამიწისეული. მაგალითად, არის მრგვალი პოლირებული მეტალის დისკი უცნობი წარწერებით, მეტალის კოსტუმი და რაღაც ფეხსაცმლის მსგავსი, ქვაზე წარწერები და ნახატები ვარსკვლავის მაგვარი, პლანეტა და რაღაც უცნაური მანქანები, სადაც მუმია არის სკალაში. ის გამოჭრილია ისე, თითქოსდა პოლირებული, ლაზერი სხივით იყოს ამოჭრილი, თითქოს ტყვიით არის მოპირკეთებული, ვერ შეძლეს დადგენა რა მატერიალისგან შედგება.

დე ვილლარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის არის უცხოპლანეტელი და მოკვდა. ამას მოწმობს ქვის ნატეხები, სადაც აღნიშნულია რაღაც რთული, ფანტასტიკური მანქანები, რომლებიც მოძრაობენ ჰაერში.

ერთი კიდევ, უცხოპლანეტური მუმია აღმოაჩინეს თურქეთში სპელეოლოგებმა, რომელიც განეკუთვნება გამყინვარების პერიოდს. შეხედულება აქვს ადამიანის და მოთავსებულია „სარკოფაგში“ თითქოსდა მოგვაგონებს ბროლს. სიმაღლე 1,20 მეტ. შერჩა კანის ფერი მწვანე, მამაკაცის მაჩვენებელი (ფალოსი) და გვერდებში გამჭირვალე ფრთები, როგორც ზღაპრებში.

არქეოლოგი სალიმ ტერნეამბი ამ მუმიაზე ამბობს, რომ მოგავს ადამიანს და არა ცხოველს, მხოლოდ თვალი არის სამჯერ მეტი, ვიდრე ადამიანის. ბიოლოგები და ექიმები ამბობენ, რომ სხეული არ არის მკვდარი, ძილშია და შეიძლება გამოიღვიძოს.

რაც შეეხება სარკოფაგს, ჰგავს ბროლს. ფაქტიურად, ძალიან მაგარი, მბრწყინავი ნივთიერებისაგანაა გაკეთებული და ვერ დაადგინეს რა მატერიისაგან არის გაკეთებული, დედამიწაზე ასეთი მატერიალი არ არის.

ზემოთ აღწერილი საოცრებანი მიუთითებს იმაზე, რომ დედამიწას სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ უცხოპლანეტელები არა მარტო პლანეტა ნიბურიდან, რომელიც 3600 წლის პერიოდით მოძრაობს მზის ირგვლივ, წაგრძელებული ტრაექტორიით და ძალიან ახლოს ჩაუვლის დედამიწას და შუმერული ცივილიზაციის ცნობით იქიდან (ჯერაც უცნობი) სტუმრობდნენ დედამიწას.

ლევან პაპასკუა
იურისტი
რუსულიდან თარგმნა
ივანე მეგრელმა, მწერალი.

„პირველყოფილი სამყარო, ზეცისური თვითგანვითარებადი სისტემა, თანამედროვე სამყარო“ გივი ხაზალიას სტატია[1]

სტატიაში მოყვანილი საკითხები ძალიან საინტერესოა. ეტყობა, მისი ავტორი, ბატონი გივი ხაზალია ინტელექტუალური პიროვნებაა, რელიგიური თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ჭვრეტის საფეხურზე იწყებს აღმასვლას. მისი სტატიის განხილვას მე არ შევუდგები, მაგრამ ორ საკითხს, რომელიც მან წამოჭრა, მინდა გავცე პასუხი:

1) „წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას, მეორე მიუშვირე“, ან კიდევ: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროვებთ და გდევნით“.

(ასეთ რჩევას ბ-ნი გივი ხაზალია არ ეთანხმება, მაგრამ ეძებს პასუხს რელიგიაში).

2) როგორც მეცნიერული დაკვირვებიდან არის ცნობილი, სამყაროში დღესაც უთვალავი რაოდენობის გალაქტიკა დიდი სიჩქარით შორდება დედამიწას, ჩვენს გალაქტიკას. მილიარდობით წლები გავიდა ჩვენი გალაქტიკის შექმნიდან, მაგრამ სამყაროს შექმნასთან დაკავშირებული მოძრაობა დღესაც გრძელდება, ეს ნიშნავს იმას, რომ სამყაროს შექმნა – ჩამოყალიბების პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

1. პირველ საკითხში ბევრი კითხვაა წამოჭრილი, მაგრამ ყველას ერთი პასუხი აქვს: სამყაროს შემოქმედი, უზენაესი ღმერთი, თავისუფალი გონი, უსასრულო აზროვნების არსი, თავისთავადი და თავისთვის მყოფი ჭეშმარიტი არსება —

---

[1] „კოტნეიდჯლი“, ტომი V, თბილისი - ფაზისი, 2011-2012წწ. (გვ299-267)

ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო და ადამიანი, ადამიანი შექმნა თავის ხატად და თავისი მსგავსი და მისცა გონიერება, არალოგიკურია, რომ ღმერთი ასეთ რჩევას მისცემდა ადამიანს.

ზემოხსენებული რჩევები რატომ არ არის ისლამის მოძღვრებაში? ეს რჩევები არის ქრისტიანულ მოძღვრებაში, იკითხავთ, რატომ? იმიტომ, რომ რელიგია – იუდაიზმი, რომელიც გამოიგონეს ებრაელებმა მიმართულია ქრისტიანობის წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, ბიბლია შედგება ორი ნაწილისაგან: ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა. ძველი აღთქმა ებრაელებმა თარგმნეს ისე, როგორც მათ აწყობდათ და ასეთი რჩევა მისცეს ქრისტიანებს, იუდაიზმი არ ცნობს იესო ქრისტეს. მაგათმა თავისთავზე დაიბრალეს „რჩეული ერი ღვთისაგან“, დანარჩენი ერი მსოფლიოში — თათარი, რუსი, ფრანგი, გერმანელი, ქართველი, სომეხი, ინგლისელი, უკრაინელი და მრავალი სხვა არის არარჩეული – გოი - ცხოველი. (იხ. „რელიგიის ფილოსოფია“, ივანე მეგრელი).

2. მეორე საკითხი არის ჰიპოთეზა, მისი არც დამტკიცება შეიძლება და არც უარყოფა. სამყაროში ისეთი უცნაური პროცესები მიმდინარეობს, რომ ადამიანი მას ვერ შეიმეცნებს, ვინაიდან სამყარო უსასრულოა და ჩვენი გონი და შემეცნებითი დონეს აქვს სასრული, მაგრამ იმის თქმა, რომ გალაქტიკა შორდება დედამიწას, არამეცნიერული გამოთქმაა, ათასწლეულების წინათ, ქართველურმა ტომებმა — „ქალდეველებმა“ კარგად იცოდნენ ასტრონომია, მით უმეტეს ეხლა, ასტრონომია განვითარების უმაღლეს წერტილზეა ასული.

დედამიწა, მზის სისტემის ათი პლანეტიდან, მესამე პლანეტაა და მზე თავისი პლანეტებითურთ შედის გალაქტიკის სისტემაში, როგორც ერთი ვარსკვლავი. ასეთი ვარსკვლავი გალაქტიკაში უამრავია, რომელიც ჯერჯერობით არავის დაუთვლია და როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ გალაქტიკა

შორდება დედამიწას. რომ ეთქვა მზის სისტემა შორდება გალაქტიკას ან პირიქით, ეს უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუმცა არც ეს იქნებოდა კანონზომიერი, ვინაიდან დაირღვეოდა პლანეტარული სისტემის მოძრაობის მექანიკური კანონები. გალაქტიკა (რომელშიც შედის ჩვენი მზე) ბრუნავს ცენტრალური მზის გარშემო, რომლის პერიოდი განისაზღვრება (ერთი შემობრუნება) მილიარდი წლით.

სამყაროს შექმნა-ჩამოყალიბების პროცესი ჯერ არ დამთავრებულა და არც მომავალში დამთავრდება, ეს გაგრძელდება უსასრულოდ, რადგანაც სამყარო და მისი შემოქმედი გონი უსასრულოა, ესაა ჭეშმარიტება!.....

ივანე მებრელი

პეტრე დიდის ანდერძი და რუსული დიდმპყრობელობის სათავეები

პეტრე I მიერ 1709 წელს შედგენილი სამეფო ანდერძი.

მაღალი ღმერთი, რომლის ნებითაც გადმოდის ჩვენი არსებობა და რომლის მიერ ნაკურთხი გვირგვინიჩვენს თავს ამკობს, ღვთაებრივის შუქით გვინათებს წინამდებარე გზას, რაც ჩვენ გვაძლევს საშუალებას სისწორით განჭვრიტოთ მომავალში რუსი ერის უდიდესი დანიშნულება — მისი ევროპაზე გაბატონებისა. ჩემი ეს წინასწარმეტყველება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ევროპის ერებმა მიაღწიეს მოხუცობისა და დაკნინების ხანას, რომლისკენაც ისინი ჩქარი ნაბიჯით დაექანენ. აქედან გამომდინარეობს, რომ ეს ერები ადვილად შეიძლება დაპყრობილ იქნან ახალი და ახალგაზრდა ხალხის მიერ, როცა ეს უკანასკნელი მიაღწევს მთელს მის სულიერსა და ფიზიკურ განვითარებას.

მე მწამს ჩრდილოეთის ერის მიერ დაპყრობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისა, თანდათანობით ზეგარდმოსული სასწაულისა და კურთხევის წყალობით, ისევე, როგორც რომის იმპერია დაემხო, ბარბაროსთა მიერ დაპყრობით.

მე რუსეთი მივიღე, როგორც პატარა ნაკადი; მე მას ვტოვებ, როგორც დიდ მდინარეს, ჩემი მემკვიდრენი გარდაქმნან მას დიდ ზღვად, რომელმაც გაღატაკებული ევროპა უნდა გაანოყიეროს. ამ დიდი ზღვის ტალღები გადალახავენ სუსტის ხელით აგებულ ჯებირებს, თუ ჩემ მემკვიდრეთ ეცოდინებათ მათი ხელმძღვანელობა.

ხელიდან არ გაუშვათ შემთხვევა და ჩაერიეთ ევროპის სახელმწიფოთა საქმეთა გართულებაში.

გაყავით პოლონეთი და ჩააგდეთ მათ შორის შური და მტრობა.

შესთავაზეთ ძლიერ საიდუმლოდ, ჯერ ვერსალის სასახლეს, შემდეგ ვენის სასახლეს მთელი მსოფლიოს ორად განაწილების გეგმა. თუ რომელიმე მათგანი ამაზე დათანხმდა, მისი საშუალებით გაანადგურეთ მეორე მათგანი: შემდეგ თქვენ თვითონ გაანადგურეთ და დაიპყარით ეს თქვენი მოკავშირე. რუსეთს, რომლის ხელქვეით იქნება ამ დროს მთელი ალმოსავლეთი და ევროპის დიდი ნაწილი, ეს არ გაუჭირდება.

თუ არცერთი ამ სახელმწიფოთაგანი არ დათანხმდა თქვენს მიერ შეძლეულ კავშირს, უნდა შეძლოთ მათ შორის შურისა და დავის ჩამოგდება და მათი ურთიერთ ომში დაუძლურება.

300 წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა, რუსეთი დღესაც ის გახლავთ. ამის ნათელი დასტურია სუვენირული საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ბარბაროსული აგრესია.

ზოგიერთი ოპოზიციის წარმომადგენელი და საქართველოს ვითომდა „პატრიოტი" მოქალაქე გაიძახის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ წამოიწყო ომი ცხინვალში. ამის მერე ამ ხალხს ჭკუა მოეკითხება განა? — ეს „ხალხი" წყალს ასხამენ რუსეთის იმპერიალისტური, დამპყრობლური, „ველიკოდერჟავული" პოლიტიკის წისქვილზე.

პეტრე I-მა 1721 წელს გააუქმა ეკლესიის პატრიარქის თანამდებობა და მის ნაცვლად დააწესა კოლეგიალური მმართველობა უწმინდესი სინოდის სახით, რომელსაც სათავეში ჩაუყენა საერო პირი, ობერ-პროკურორი 1722 წელს, რომელიც აღჭურვა უდიდესი ძალაუფლებით. ეკლესიის სახელმწიფოსათვის დამორჩილების პროცესი დაიწყო პეტრე პირველმა და დაასრულა ეკატერინე მეორემ.

რუსეთის თვითმპყრობელობას სჭირდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზაცია იმ მიზნით, რომ ჰყოლოდა მორჩილი სამწყსო, თავისი კადრებით.

რუსეთის წმინდა სინოდმა 1711 წელს გააუქმა საქართველოს აკლესიის ავტოკეფალია, რომლის უფლება მას არ ჰქონდა, ამას სჭირდებოდა მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება.


1815 წლის 30 აგვისტოს რუსეთის სინოდის, საქართველოს დიკასტერია გადაკეთდა იმერეთის სინოდალურ კანტორად, მთავრობამ მას დაუმორჩილა აგრეთვე გურია-სამეგრელოს ეკლესიები.

რუსეთიდან ჩამოსული მღვდელმთავრები გამოირჩეოდნენ მეფის თვითმპყრობელობის ერთგულებითა და მკაცრი ხასიათით. რუსი ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი და სხვები ყურადღებას აქცევდნენ სამღვდელოების სწავლა-განათლებას რუსული ტრადიციებით და უნერგავდნენ მათ იდეას, რომ რუსეთი არის ქრისტიანული რწმენის გარანტი ამიერკავკასიაში და არა დამპყრობელი.

აი, მკითხველო, რას ნიშნავს რუსულ შოვინისტურ გარემოში აღზრდა. როგორ იცვლება პიროვნების მსოფლმხედველობა, მიუხედავად იმისა, რომ პეტრე დიდი ქართულმა გენეტიკამ გააბრწყინა, რაც სადღეისოდ მეცნიერული კვლევითაა დადასტურებული...

ინგლისის უნივერსიტეტი სოას (soas)-ში აზერბაიჯანის საზოგადოებამ, საელჩოსთან ერთად მოაწყო შეხვედრა, ხოდჯალის ტრაგედიის 20 წლისთავთან დაკავშირებით, სადაც მიწვეული იყვნენ ინგლისის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან სტუდენტები, პროფესორები და ამავე დროს სტუმრები თურქეთიდან, საქართველოდან, ბრაზილიიდან.

ამ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ინგლისის ბუკინგემის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტი, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ნაფიჩხოეთს მკვიდრი ლევანი გოგუა, ის სახელოვანი ქართველი მამულიშვილის, ველოდი გოგუას შვილიშვილია, რომელმაც მხარი დაუჭირა აზერბაიჯანს და ღრმა მწუხარება გამოხატა 1992 წ. 22 თებერვალს ხორჯალში დატრიალებული ტრაგედიის გამო.



ლევან გოგუას

ღმერთო უმრავლე ჩემს მამულს,
ქვეყნად ასეთი თაობა,
რომ ჰქონდეს, ვითარც გოგუას
ნიჭი და გამბედაობა.

ვანო მეშრელი (პაპავა)
ნაფიჩხუ-თბილისი.
16.04.2012

ივანე პაპავა

სახალხო მედიცინა

ივანე პაპავა

„სიცოცხლის წყარო"

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მკურნალობა უარყოფითად დამუხტული იონების გამოყენებით.

მკურნალობა მინერალური წარმოშობის — ქვების, თიხების და სხვა მინერალური ნივთიერებების გამოყენებით („ლითოთერაპია", „ლითოფაგია").

თანამედროვე ეპოქაში ამ მეთოდებით მკურნალობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე წარმოდგენა ჰ ქონდათ ამ სახის მეთოდებით მკურნალობაზე ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში და სხვაგან, როგორც ყველაზე მარტივი და ყველაზე გენიალური მეთოდი.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ეპოქაში მრავალი ათეული ტომებია დაწერილი.

ჩვეულებრივ ადამიანისათვის, ამ მეცნიერებათა ჯუნგლში „ხეტიალს" და ძებნას ერიდებიან დროის უქონლობის გამო, ან უბრალოდ არ აინტერესებთ.

ჩემი სურვილია, ძალიან მოკლედ, (ცნობარის სახით) გავაცნო ფართო მკითხველთა საზოგადოებას ზემოთ ხსენებული მეთოდით მკურნალობის დიდი ეფექტიანობა.

თითოეულ ადამიანმა, თვითონ უნდა იზრუნოს თავისი ჯანმრთელობისათვის (ამას მეზობელი არ გაუკეთებს) და იცოდეს, როდის, როგორ და რა ნივთიერებები მიაწოდოს თავის ორგანიზმს, რომ იმუშაოს ნორმალურად.

ადამიანის ორგანიზმი, სადაც ერთ წამში რამდენიმე ასეული ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს და ბიოფიზიკური პროცესები, ყველა მექანიზმზე ურთულესია, რაც კი შეუქმნია კაცობრიობას აქამდე და შექმნის მომავალში.

ზემოთ დასახელებული მეთოდით მკურნალობა მე გამოვცადე ჩემს თავზე და ძალიან კმაყოფილი ვარ (ამაზე დაწვრილებით ნახავთ ქვემოთ).

ვუსურვებ მკითხველს ჯანმრთელობას და ჯანსაღ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე.

ი. პაპავა
1 მარტი, 2006წ.

ჩინეთი არის უძველესი კულტურის ქვეყანა.

3000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩინეთში შეიცვალა 12 დიდი დინასტია. ყველაზე დიდი თვალსაჩინო დინასტია იყო ცინ, რომელმაც მისცა პირველი იმპერატორი და გააერთიანა დანაწევრებული ტერიტორიები ერთ დიდ სახელმწიფოდ. იქიდან მოყოლებული ჩინეთში დიდად განვითარდა სახალხო მედიცინა.

ამ დინასტიის სახელგანთქმული ექიმი მინ-ლი-ჩჟენ წერდა: არასწორი და არარეგულარული კვება იწვევს ავადმყოფობის განვითარებას.

უძველესი სახალხო სამედიცინო მსოფლმხედველობა ჩინეთისა ეყრდნობა სწავლებას „ინ-იან“, რომელიც წარმოქმნის ყველაფერ ნივთიერებას და ნივთს.

„ინ-იან“-ის სწავლების მსოფლმხედველობის საფუძველზე — ეს არის სამყაროს კანონი.

კანონი — გარდაქმნის, წყარო სიცოცხლისა და სიკვდილისა.

ორი ძირითადი სიცოცხლის წყარო ადამიანის ორგანიზმში „ინ-იანი“ უნდა იმყოფებოდეს ჰარმონიულ მდგომარეობაში და მიზეზი ყველაფერი ავადმყოფობისა არის ამ ჰარმონიის დარღვევა.

აღმოსავლური მედიცინის თვალსაზრისით, ადამიანის ორგანიზმი არის კოსმოსის განუყოფელი ნაწილი, იმყოფება გარესამყაროს მუდმივი ზემოქმედების ქვეშ და ამავე დროს იმყოფება მასთან დინამიურ ურთიერთთანასწორობაში.

ადამიანი — ნაყოფია ბუნებრივი ციკლის (დღე-ღამის, თვის და სეზონის) და ურთიერთმოქმედებს მასთან მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

დედამიწა შედგება ხმელეთისაგან, ზღვისაგან და ატმოსფეროსაგან.

ადამიანს აქვს სხეული, სადაც წრიულად მოძრაობს სისხლი, რომელიც უნარჩუნებს ორგანიზმს მატერიალურ ფორმას. აქვს სითხე, რომელიც არის შინაგანი ნივთიერება და არის მესამე „ცი“ — ენერგია თანდაყოლილი და შეძენილი.

აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის ძირითადი თეორია ეყრდნობა ენერგია „ცი“-ს მუშაობას ადამიანის „ენერგეტიკულ კანალებში“. მე მოკლედ შევეხე ჩინეთის ხალხური მედიცინის ისტორიას იმიტომ, რომ მინდოდა შემეხსენებინა ფართო მკითხველთათვის, უძველეს დროში, ჩვენ წელთაღრიცხვამდე მათ ჰქონდათ წარმოდგენა ენერგიაზე და მის უდიდეს მნიშვნელობაზე, მაგრამ იმ პერიოდში მათთვის უცნობი იყო ატომი, ელექტროდენი. მიუხედავად ყოველივე ამისა, ისინი სწორად იყენებდნენ ენერგიის სასიცოცხლო ძალას ადამიანის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ.

ყველაფერი, რაც წინასიტყვაობაში ითქვა, იმისათვის მოვიყვანე, რომ მეჩვენებებინა ფართო მკითხველთათვის როგორ იყენებს მე-20 საუკუნის ცივილიზებული სამყარო, ენერგიის სასიცოცხლო ძალას ადამიანის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ.

მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს გამოგონებად მედიცინის დარგში ითვლება, გამოჩენილი რუსი ბიოფიზიკოსი, პროფესორი ა.ლ. ჩიჟევსკის „ლუსტრა“, რომელიც წარმოქმნის უარყოფითად დამუხტულ იონებს და ჰაერის ჟანგბადთან ერთად ფილტვების მეშვეობით სისხლს გადასცემს ენერგიას, რომელიც განაწილდება მთელ ორგანიზმში მის უჯრედებსა და ქსოვილებში. უარყოფითი იონი უდიდეს სამკურნალო ზემოქმედებას აწარმოებს ადამიანის ორგანგიზმში. (მის სამკურნალო თვისებებზე ვილაპარაკებთ ქვემოთ).

დადებითი მუხტი კი პირიქით — ადამიანის ორგანიზმში მავნებელია, საჭიროა მისგან განმუხტვა.

მე-20 საუკუნის 60-90 წლებში პროფესორი მ.ს. მაჩაბელმა განსაზღვრა, რომ ადამიანის ორგანიზმშიო ყოველგვარი ავადმყოფობის დროს იწყებს განვითარებას ტგს — საერთო პათოლოგიის სინდრომი.

ტგს იწყებს განვითარებას იმიტომ, რომ ადამიანის ორგანიზმის უჯრედებში და ქსოვილებში არ არის საკმარისი რაოდენობის უარყოფითი მუხტი.

ჩიჟევსკის „ლუსტრა“ ამდიდრებს ჰაერს უარყოფითად დამუხტული იონით და წარმოქმნილი იონიზირებული ჰაერით სუნთქვა აჩერებს ტგს-ის განვითარებას და ხელს უწყობს სხვადასხვა სახეობის ავადმყოფობის მკურნალობას. მისი ზემოქმედება უნივერსალურია.

ჩვენმა თანამემამულემ მ.ს. მაჩაბელმა დიდი წვლილი შეიტანა ჩიჟევსკის „ლუსტრა“ ტექნიკური ნაწილის სრულყოფაში.

1939 წ. ნიუ-იორკში ბიოფიზიკოსების პირველ მსოფლიო კონგრესზე — მსოფლიოს ხალხთა წინაშე დიდი დამსახურებისათვის ა.ლ. ჩიჟევსკი წარდგენილ იქნა ნობელის პრემიაზე.

მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციამ მიაკუთვნა მას საამაყო სახელწოდება: მე-20 საუკუნის „ლეონარდო და ვინჩი“.

1969 წელს მძიმედ დაავადდა უდიდესი მეცნიერი, აკადემიკოსი ი.ვ. ტამმ. მკურნალობდნენ მას საუკეთესო წამლებით. ექიმებმა უკვე გამოუტანეს მას განაჩენი: 3-4 დღე დარჩენია სიცოცხლეო. ამიტომ არ იყვნენ წინააღმდეგი გამოეყენებინათ აეროიონიზატორი.

მის საწოლ ოთახში ჩამოკიდეს ჩიჟევსკის „ლუსტრა“, რომელმაც იმოქმედა სასწაულებრივად: პირდაპირ

მაყურებლის თვალწინ ავადმყოფს შეეცვალა სახის ფერი. მერე დაიწყო ნორმალურად სუნთქვა, თვალი აახილა, გაიცინა და რამდენიმე დღის მერე დადგა ფეხზე.

ნ.ვ. სკლიფასოვსკის უმაღლესი ნერვული შემოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, შრომის სამედიცინო ინსტიტუტის, პედიატრიის სამეცნიერო ინსტიტუტის „გოსსანეპიდნაზორი", ბიოფიზიკის თეორიული და ექსპერიმენტალური ინსტიტუტი და ბევრ სხვა ინსტიტუტებმა დაამტკიცეს, რომ ჩიჟევსკის ლუსტრიდან წარმოქმნილი უარყოფითი იონი აღჭურვილია უდიდესი სიძლიერის ენერგიის სამკურნალო თვისებებით.

ჩიჟევსკის „ლუსტრის" მეშვეობით აქტიურად მკურნალობენ შემდეგი სახეობის ავადმყოფობებს:

1. გულ-ძარღვების სისტემა.
2. სუნთქვის სისტემა.
3. ნივთიერების ცვლა.
4. ჭრილობები და კანი.
5. კუჭნაწლავი.
6. ენდოკრენული სისტემა.
7. თვალის ავადმყოფობა.
8. ბავშვების ავადმყოფობა
   და კიდევ მრავალი სხვა.

ჩიჟევსკის „ლუსტრას" აქვს გოსტსტანდარტის სერთიფიკატი:

№POCCRAR46BOO647. 30.05.96

ჩემი აზრით, სკოლებში კომპიუტერიზაციასთან პარალელურად ჩიჟევსკის „ლუსტრის" დანერგვა, უდიდესი

საქმე იქნებოდა ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

უნდა აღვნიშნოთ ის მდგომარეობა, რომ „ლუსტრა“ ბევრად უფრო იაფია, ვიდრე კომპიუტერი და ძალიან ცოტა მომხმარებელია ელექტროენერგიის — მისი სიმძლავრეა 15 ვატი. და დღე-ღამეში რეკომენდირებულია იმუშაოს, მაქსიმუმ 10 საათი.

მთავარია ის, რომ ადამიანის ორგანიზმში აამაღლებს იმუნიტეტს.

სასაცილოა ის, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე ადამიანები იყენებდნენ ენერგიას ღმერთისგან ბოძებულს, ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. დღეს, ჩვენთან ცივილიზებულ ქვეყანაში პროფესორ-ექიმები იგნორირებას უკეთებენ ყველაფერ ამას. რატომღაც არ აწყობთ ამ აპარატის დანერგვა.

ალბათ, ამ აპარატში ისინი ხედავენ თავიანთ მძლავრ კონკურენტს, რომელიც იმოქმედებს უარყოფითად მათ ეკონომიურ მდგომარეობაზე.

უარყოფითი იონი მოქმედებს მათი აზრით „უარყოფითად“.

ძველი ფილოსოფოსების გამოთქმის არ იყოს „უარყოფის უარყოფა — უარსაყოფად“. ნამდვილი დემაგოგიაა.

თიხით მკურნალობა არჩენს: კიბო, გული, ღვიძლი, თირკმელი, თვალი, ყური, კბილი, ძვალი, პოტენცია — სასქესო ორგანო და მრავალი სხვა.

ინდოეთი ძველი კულტურის ქვეყანაა, სადაც ხალხური მედიცინა მაღალ დონეზე იყო განვითარებული.

მის ისტორიაში ლეგენდასავითაა გადმოცემული ასეთი ამბავი: ერთ-ერთ პატარა ქალაქში გზის პირას, ერთი და იგივე ადგილას, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იდგა მათხოვარი. შემდეგ მათხოვარი მოკვდა. ხალხმა მოიწყინა უიმისოდ და გადაწყვიტეს იმავე ადგილას, სადაც იდგა, ძეგლი დაედგათ მისთვის. დაიწყეს მიწის ამოთხრა, გამოჩნდა ყუთი და როცა გახსნეს, სავსე იყო ოქრო-ვერცხლით.

იტყვიან, ანეგდოტიაო, მაგრამ არა! — დაიხედე ქვევით, ჩვენ ფეხქვეშ მიწაა, თიხა, რომელიც უდიდესი განძია.

მედიცინის მამა — ჰიპოკრატე, მე-4 საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე წერდა: საუკუნეების მანძილზე საუკეთესო ექიმები იყენებდნენ თიხას სამკურნალოდ.

ათასწლეულის წინ, სახელგანთქმული მეცნიერი ავეცინა თავის ნაშრომში წერდა: თიხით მკურნალობა შესაძლებელია, როგორც სულიერის ისე უსულო საგნის. თიხით მკურნალობა უნივერსალურია.

ადამიანის ორგანიზმი ისეა აწყობილი, რომ მას შეუძლია თვითონ განკურნოს თავისი თავი, თუ მას მივაწვდით სასიცოცხლო საჭირო ელემენტს.

ყოველგვარი სიცოცხლე ეფუძნება ოთხ ძირითად ელემენტს: მზე და მისი სინათლე, ჰაერი, წყალი და დედამიწა.

ამ 4 ელემენტიდან თუ ერთ-ერთი არ არის, არავითარი სიცოცხლე არ წარმოიქმნება. სიცოცხლის მამად ითვლება მზე, მიწა კი სიცოცხლის დედად.

სიცოცხლის ყველა ფორმას განსაზღვრავს მიწა და მას აქვს უდიდესი სიცოცხლის ძალა. ის შთანთქავს იმ სამი ელემენტის სასიცოცხლო ძალას, რათა გაიფურჩქნოს მის წიაღში მოხვედრილი თესლი.

სხვადასხვა ქვეყნებში — ჩინეთში, ინდოეთში, ეგვიპტეში, სამხრეთ ამერიკაში და სხვა ქვეყნებში, ზოგიერთი კლანის წარმომადგენელი ადამიანები ჭამენ თიხას. ასევე ცხოველები ავადმყოფობისას ეძებენ თიხას, ჭამენ და განიკურნებიან კიდეც.

ისუს ნაზარეთიანი გვასწავლიდა, რომ გამოგვეყენებინა თიხა სამკურნალო საშუალებად. გერმანიაში, შვეიცარიაში აქტიურად გამოიყენებენ თიხას სხვადასხვა ავადმყოფობის განსაკურნებლად.

გერმანელმა პროფესორმა ადოლფ იუსტმა (ბერლინის უნივერსიტეტი) 1903 წელს ბევრი ადამიანი განკურნა აზიური ხოლერისაგან თიხის მეშვეობით.

შვეიცარიის კურორტ დავოსში მკურნალობენ ტუბერკულიოზს და კიბოს თიხის საშუალებით.

ბულგარელი ნათელმხილველი, წინასწარმეტყველი ვანგა ამბობდა: ნუ დაკარგავთ კავშირს მიწასთან, იგი არის უებარი საშუალება ყოველგვარი ავადმყოფობის განსაკურნებლად.

გერმანელი მეცნიერები: ბატენბერგი, შლაგერი და სხვებმა დაამტკიცეს ბიოლოგიურ ლაბორატორიებში, რომ თიხას აქვს თვისება შთანთქოს დიდი რაოდენობით მომწამლავი გაზები, გაფილტროს წყალი და გაზიც.

ასე მაგალითად: ვირთხას დაალევინეს სტრიხინა და რამდენიმე წუთში მოკვდა. ასეთივე რაოდენობის სტრიხინას

დაუმატეს თიხის ფხვნილი და დაალევინეს ვირთხას. ვირთხას სრულებით არაფერი არ მოსვლია.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება: თუ ჩვენ რძეში ჩავყრით ცოტა თიხის ფხვნილს, ის რამდენიმე დღე არ დამჟავდება.

რა ნივთიერებებს შეიცავს მიწა-თიხა?

თიხა ბუნებაში შეიცავს ძალიან იშვიათ ელემენტს, რომლის სახელია — რადი. მას იგი ღებულობს მზის სხივებისაგან და გააჩნია დიდი ენერგია. თიხა ადამიანის ორგანიზმში გამოასხივებს ენერგიას, რომელიც ანადგურებს, სპობს მიკრობებს, ვირუსს ორგანიზმის უჯრედებში და ქსოვილებში და გამოდევნის ადამიანის ორგანიზმიდან და ასრულებს ბუნებრივი სტერილიზატორის როლს.

ქიმიური ანტიბიოტიკები ანადგურებენ არა მარტო ვირუსს, არამედ ჯანმრთელ უჯრედებსაც.

თიხა კი ხელს უწყობს ახალი უჯრედების შექმნას და აძლევს ახალ ენერგიას, აძლიერებს ორგანიზმში იმუნიტეტს.

თიხა შეიცავს მზის მაგნეტიზმს, სახელგანთქმული მეცნიერი პარიზის უნივერსიტეტიდან წერს: მწვანე თიხას გააჩნია შემდეგი ტალღის სიგრძე: 12/40/51/60/80/102/160. ასეთი თიხა ადამიანის ორგანიზმში აწარმოებს გავლენას უჯრედებზე. ეს ეხება როგორც მსუბუქ, ისე მძიმე სიმსივნეებს, კიბოს. ე.ი. არჩენს მას.

მიწა — თიხა კონცენტრაციას უკეთებს თავის თავში არა მარტო მზის მაგნეტიზმს, არამედ წყლისა და ჰაერის სასიცოცხლო მაგნეტიზმს. თუ ადამიანის ორგანიზმის მტკივნეულ ნაწილს დავადებთ ზედ წყალში გახსნილ თიხას, ის მოქმედებს როგორც სიცოცხლის მაგნიტური წვიმა, შთანთქავს ავადმყოფობას.

ადამიანის ორგანიზმში ელემენტი რადი აღადგენს მაგნიტო-ელექტრულ წონასწორობას.

მიწა-თიხა გარდა რადიუმისა, შეიცავს ყველა სახის მინერალურ მარილებს, მიკროელემენტებსა და მაკროელემენტებს.

თანამედროვე მეცნიერების მტკიცებით, ადამიანის ორგანიზმში არის ძალიან მცირე ოდენობით 0,001%-დან 70%-მდე მაკროელემენტები. მოკლედ, მენდელეევის ცხრილიდან თითქმის ყველა ელემენტი.

ადამიანისა და ცხოველის სისხლში მუდმივად არის 24 მიკროელემენტი (ასე მაგალითად: ცინკი, მარგანეცი, სპილენძი, მოლიბდენი, ქრომი, კობალტი, კრემნი, ვანადი და სხვები).

მაკროელემენტებს ეკუთვნის: ჟანგბადი, წყალბადი, ნაჟშირბადი, აზოტი, კალცი, ნატრი, რკინა, ქლორი, ფოსფორი და სხვა. თუ ორგანიზმს არ ყოფნის მიკრო-მაკროელემენტები, მაშინ ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, ან იწყება ავადმყოფობა.

ადამიანის ორგანიზმის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა და აუცილებელი შემდეგი ელემენტები: კალი, კალცი, ფოსფორი, იოდი, მაგნი, რკინა, მარგანეცი, ხრომი, ნატრი, კობალტი, ცინკი, სპილენძი, მიშიაკი, ვანადი, სელენი, ლიტი, კრემნი, სულ 17 დასახელების.

ყოველდღიური დოზა ზემოაღნიშნული ელემენტებისა დაეტეოდა ყავის კოვზის ქვედა ნაწილში.

თითოეული ელემენტის დახასიათებას და მნიშვნელობას ვერ შევუდგები იმდენად, რამდენადაც ძალიან შორს წაგვიყვანს. დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს სხვადასხვა ტომებში დაწვრილებით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და არაჩამოთვლილი ელემენტები იმყოფება თიხაში. აქედან გამომდინარე, თქვენ განსაჯეთ, რა განძი ყოფილა ჩვენს ფეხებქვეშ.

თიხა, რომელიც გამოიყენება სამკურნალოდ, არის შემდეგი ფერების: წითელი, ყვითელი და მწვანე. მისი სასარგებლო ფენები იმყოფება 0,7 – 2 მეტრამდე დედამიწის ზედაპირიდან. არის სხვა ფერებიც. სამკურნალო თიხა აღებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა ადგილიდან.

თიხა არის ბუნებრივად სუფთა და ტალახი არის არა თიხაში, არამედ ადამიანის ორგანიზმში, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიდევნოს ადამიანის ორგანიზმიდან. ამ მისიას პირნათლად ასრულებს თიხის ფხვნილის მიღება. ჩვენ როცა რაღაცის დამტკიცება გვინდა, მოგვყავს მაგალითი ჩინეთიდან, ინდოეთიდან და ამერიკიდან. ამიტომ მე მინდა გითხრათ მოკლედ ჩემი ჯანმრთელობის შესახებ: მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში მტკიოდა ღვიძლი. ექიმის დიაგნოზით მქონდა „ღვიძლის ციროზი". რამდენიმე წელიწადს ვღებულობდი ტაბლეტებს „ესენციალს", მაგრამ ვერ განვიკურნე. გადავედი თიხით მკურნალობაზე და დღეისათვის კარგად ვგრძნობ თავს. (2 წლის მკურნალობის შემდეგ). დიეტას არ ვიცავ, ალკოჰოლურ სასმელებს ვხმარობ ნორმალურ ფარგლებში, ისე, როგორც შეეფერება ჩვენს ადათ-წესებს.

ვაგრძელებ მუშაობას ნორმალურ რეჟიმში.

თიხით მკურნალობა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სულზე და განწმინდავს მას, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. ვინაიდან მიწა შექმნილია ღმერთისგან, შემქმნელის ძალა არის მასში და როცა ჩვენ ვღებულობთ მას, ღმერთის ძალა ვრცელდება მთელ ორგანიზმში და ათავისუფლებს ადამიანს, როგორც ფიზიკურად, მორალურად, ასევე სულიერად მასში დაგროვილი ჭუჭყისაგან.

თანამედროვე ეპოქაში ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება უამრავი ბაცილა — ვირუსი სასიკვდილოდ. ავიღოთ ფრინველის გრიპი — საშინელებაა.

თანამედროვე მედიცინა აუცილებლად შექმნის მის საწინააღმდეგო ვაქცინას, მაგრამ მის ეფექტიანობაზე ლაპარაკს წლები სჭირდება. დრო არ იცდის, ამიტომ ჩვენ უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც ღმერთმა მოგვცა — უდიდესი განძი — მიწა, ყველასთვის ხელმისაწვდომი, იაფი და უებარი წამალი ყოველგვარი უცხო ვირუსის წინააღმდეგ.

საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობამ დააგროვა დიდი ცოდნა სახალხო მედიცინაში, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ის ადამიანის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მალახოვი გ.ლ. მალახოვა ი.მ. — „სულიერი და ფიზიკური სრულყოფილება“.
2. კუდრიაცოვა ნ. — „თიხით მკურნალობა“
3. ნეკრასოვა ა. — „ცისფერი თიხა“
4. ტექნიკის 100 უდიდესი საოცრება.
5. აბუ ალი იბი სინა (ავეცინა) „კანონი“ მედიცინის მეცნიერებაში.
6. ბოგოიავლინსკი ი.ა. —„ინდური მედიცინა“.
7. კარაბაევი ვ.—“ხელმძღვანელობა ორგანიზმის პროფილაქტიკურ გაჯანსაღებაზე“
8. პლატენი მ. — „მკურნალობის ახალი მეთოდი ბუნების სასარგებლო ძალებით“
9. პოპოვი გ. — „რუსული სახალხო-საყოფაცხოვრებო“ მედიცინა.
10. ცზინ-სინ-ჩჟუნ — „ჩინეთის ხალხური მედიცინა და ა.შ.

1. თიხების გამოყენება სამკურნალო მიზნებისათვის.

ბოლო ხანებში მეცნიერებაში გაჩნდა ახალი ტერმინი „ლითოთერაპია“ და „ლითოფაგია“, რომელიც გულისხმობს მინერალური წარმონაქმნების — ქვების, თიხების და სხვა მინერალური ნივთიერებების გამოყენებას ადამიანისა და ცხოველთა დაავადებათა სამკურნალოდ. ასე მაგალითად, გერმანიაში 1994 წ. კლინიკურ პირობებში ჩატარებული გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ თიხების გამოყენებით შესაძლებელია მწვავე რესპირატორული დაავადებების, ბრონქიტის, პლევრიტის, პერიტონიტის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადების, აპენდიციტის და ზოგიერთი უროლოგიური დაავადების წარმატებით მკურნალობა. დოქტორი კნეიპი (გერმანია) თვლის, რომ თიხა ხელს უწყობს ონკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობას, რადგან ორგანიზმიდან ტოქსიკურ ნივთიერებებს გამოდევნის. თიხოვან მინერალებს მიეკუთვნებიან ისეთი მინერალები, როგორიცაა კაოლინი, მონტმორილონიტი, ვერმიკულიტი, პალიპორსკიტი და სხვა. საქართველო მდიდარია სხვადასხვა ნაირსახეობების საბადოებით, რომლებიც შეიძლება წარმატებით იქნან გამოყენებულნი სამკურნალო მიზნებისათვის.

2. უარყოფითად დამუხტული იონების გამოყენება შენობებში ხელსაყრელი მიკროკლიმატისა და ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობაზე, მისი მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტის შესაქმნელად.

გასულ საუკუნეში ცნობილი რუსი მეცნიერის ა. ჩიჟევსკის მიერ შეიქმნა უნიკალური დანადგარი საფირმო სახელწოდებით „ლუსტრა“, რომელიც უარყოფითად დამუხტული იონების გამოყოფის საშუალებას იძლევა. ეს

ნაწილაკები კურნავენ ადამიანის მრავალ დაავადებას და ხელს უწყობენ მათ პროფილაქტიკას.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ ინჟინერ ი. პაპავას შემოთავაზებები სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს და პრაქტიკული განხორციელებისათვის გარკვეული ფინანსურ დახმარებას მოითხოვს, რადგან ეს წინადადებები ეხება ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემებს.

საქ.მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ქ.მდ. პროფესორი თ. ანდრონიკაშილი
საქ. მეცნიერებათა აკადემიის
ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

შენიშვნა ივანე პაპავას მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე

„თიხის გამოყენება სამკურნალო მიზნებისათვის — სიცოცხლის წყარო".

ბატონი ივანე (ვანო) პაპავას მიერ შემოთავაზებული წინადადება მძიმე ავადმყოფების სამკურნალოდ, თიხის გამოყენების თაობაზე უდაოდ მისასალმებელია და შეიძლება ითქვას საპრობლემო.

ავტორი იხილავს თიხით მკურნალობის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ასპექტს (ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე და სხვა) და მათი გამოყენებით მაღალ ეფექტიანობის მიღების მრავალრიცხოვან ფაქტებს წარმოგვიდგენს, საქართველოს თიხების გამოყენების შესაძლებლობებს ამ მიმართულებით. ნაშრომის (წინადადების) ძირითადი არსი ფაქტიურად გამოიხატება შემდეგში: თიხა ხელს უწყობს ორგანიზმში ახალიუჯრედების შექმნას და აძლევს ახალ ენერგიას, აძლიერებს ორგანიზმში იმუნიტეტს, აწარმოებს ანტიკონცერეგენულ გავლენას უჯრედებზე. ეს ეხება როგორც მსუბუქ, ისე მძიმე სიმსივნეებს — კიბოს და სხვა მძიმე დაავადებებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვიმეორებ, რომ ბ-ნ ი.პაპავას მიერ შემოთავაზებული წინადადება იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას და რეალურად მის განხორციელება მოითხოვს შემდგომ დეტალურ კვლევების ჩატარებას, საქართველოს კლინიკურ პირობებში, მით უმეტეს რომ ქვეყნის წიაღისეულში მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი სამკურნალო თიხების სხვადასხვა სახეობები.

მნიშვნელოვანია ასევე, ამ საკითხზე საქართველოს მ.ნათიშვილის სახელობის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის შეხედულებაც, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო ხანებში სამედიცინო ფარმაკოქიმიის, ფიზიკის და ორგანული ქიმიის მიმართულების მეცნიერებაში ფართოდ იკვეთება ტერმინი „ლითოთერაპია“ და „ლითოფაგია“, რაც დაკავშირებულია მინერალურ წარმონაქმნების, მათ შორის, თიხების გამოყენებასთან ადამიანისა და ცხოველების დაავადებათა სამკურნალოდ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლი აღნიშნული საკითხის (პირობების) პრაქტიკული განხორციელებისათვის (სამეცნიერო კვლევები საორგანიზაციო და გეოლოგიური საძიებო სამუშაოები) გარკვეულ ფინანსურ დახმარებას საჭიროებს, რადგან ავტორის წინადადება ეხება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის ინტერესებს.

აღნიშნული საკითხის წინსვლას დიდად შეუწყობს ხელს ასევე ვრცელი საგაზეთო სტატიის გამოქვეყნება რესპუბლიკის ცენტრალურ პრესაში.

საქართველოს საინჟინრო და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — გ.გობეჩია.
საქართველოს ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი და გამოყენების სამეცნიერო ცენტრი.
აპრილი 2007წ.
ქ. თბილისი
(დადასტურებულია მისი ხელმოწერით)

რეცენზიები

ივანე მებრელის შემოქმედებაზე

ვანო (ივანე) მეგრელის (პაპავას) ნაშრომზე „აფხაზეთი – საქართველოა"

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ივანე მეგრელი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ყირიმში, ქერჩთან ახლოს რკინის საბადოს კარიერაში, სადაც 5 წელი დაჰყო.

აფხაზეთის ხელისუფლების შუამდგომლობით, ბატონი ვანო მეგრელი გადმოყვანილი იქნა ტყვარჩელში, სადაც სათავეში ედგა საქართველოს „ნახშირტრესტი"-ს ელექტროტექნიკურ საწარმოს. ათ წელზე მეტ ხანს, აქ სრულიად გამოჩნდა ვანო მეგრელის დიდი ნიჭი, ორგანიზატორული უნარი, მაღალი თეორიული მომზადება და იგი გადაყვანილი იქნა საქართველოს ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტში ენერგეტიკად, რომელიც ატომის ენერგიის საკითხებზე მუშაობდა. ამ პერიოდში ვ.მეგრელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (ამჟამინდელი დოქტორი) ტექნიკურ მეცნიერებაში.

დიდი მეცნიერულ-თეორიული, პრაქტიკული გამოცდილების, მაღალი ავტორიტეტის მქონე ვანო მეგრელი ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტიდან სამუშაოდ გადაიყვანეს აფხაზეთის ბურღვა-აფეთქების საწარმოოს უფროსად, სადაც 14 წელიწადი მოღვაწეობდა. ის, როგორც ბურღვა-აფეთქების ცნობილი სპეციალისტი ენგურჰესის მშენებლობაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას.

ბ-ნი ვანო მეგრელი მუშაობდა აფხაზეთის რესპუბლიკური სამმართველო-საზღვაო ნაპირების დაცვის უფროსის მოადგილედ. აღნიშნული სამმართველო ზღვის

სანაპირო ზოლის გამაგრებას უწევდა კონტროლს სოხუმიდან სარფამდე.

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ბ-ნ ვანო მეგრელს ე.წ. აფხაზეთის ომმა მოუსწრო საზღვაო ნაპირების დაცვაში მუშაობის პერიოდში. ის რუსეთის მიერ და საქართველოში 1991-1992 წლების მიჯნაზე მოწყობილი კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების ხელმძღვანელთა მიერ პროვოცირებული ომის თვითმხილველი და უშუალო მონაწილეა. ავტორი თავის შესანიშნავ ნაშრომში „აფხაზეთი — საქართველოა" პირადად ნანახს და შეთაბეჭდილებებს უაღრესად ობიექტურად და სიმართლით აფიქსირებს. ავტორი არა მარტო თავის დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს, არამედ მოძიებული და გამოყენებული აქვს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტალური მასალები და წყაროები.

ვ.მეგრელმა გამოცემულ ლექსთა კრებულებთან და სხვა ნაშრომებთან ერთად მოამზადა ახალი — წინამდებარე ისტორიულ-პროზაული ნაშრომი, რომელიც სამაგიდო წიგნია საქართველოს, სამეგრელოს, აფხაზეთის, სვანეთის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

ბ-ნი ვ.მეგრელი, როგორც ითქვა, ომის დაწყების თვითმხილველია. მას ზუსტად აქვს აღწერილი ომის დაწყების წინაპერიოდი, რომელიც ნაშრომს მკითხველისათვის უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ხდის.

ავტორი გარკვევით წერს, რომ საქართველო მსოფლიოს უძველესი ქვეყანაა. საქართველო უძველესი დროიდან მარტო ქვეყანა, მარტო ეთნოსი იყო და ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით იყო დასახლებული

ნაშრომში კარგად და დამაჯერებლადაა გადმოცემული ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები და ხაზგასმითაა

ნათქვამი, რომ აფხაზეთი იგივე საქართველოა, აფხაზი იგივე ქართველია. ნიკო ბერძენიშვილი წერს: „აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლელი და ქართლი“.

XVII საუკუნემდე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზები არ ცხოვრობდნენ და აფხაზეთის მთავრებიც ქართველები იყვნენ. სხვა წყაროებსა და მასალებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამაზე გარკვევით მიუთითებენ XVII საუკუნეში ევროპიდან (ძირითადად იტალიიდან) საქართველოში ჩამოსული მისიონერები, რომლებიც უმთავრესად სამეგრელოლში ცხოვრობდნენ: ჯონ ჯუზეპე დუდიჩეც მიდიანელი (წიგნში „წერილები საქართველოზე“), არქანჯელო ლამბერტი („სამეგრელოს აღწერა“), კასტელი და სხვები.

აფხაზეთის მთავრები შერვაშიძეები შარაშიები რომ იყვნენ, ამას ადასტურებს ჯონ ჯუზეპე დუდიჩეც, რომელიც წერს: „აფხაზეთის მთავრის შარაშია აბეგანის სეტემანის ქალიშვილი დარუნდია იყო ლევან დადიანის მეუღლე“ (პირველი ცოლი). კასტელის ერთ-ერთ ნახატს აწერია: „აფხაზეთის მთავარი შარაშია სეტემანი აბეძინი“, ხოლო მეორე ნახატს: „აფხაზეთის მთავარი ბესელიკო შარაშია“.

წინამდებარე ნაშრომის ავტორს ბ-ნ ვანო მეგრელს აფხაზეთის ისტორიის ის საკითხები, რომელიც მას სჭირდება, დიდი ობიექტურობით აქვს დაწერილი.

ავტორი დამაჯერებლად იხილავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებს და გარკვევით მიუთითებს, რომ რუსეთიო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ქვეყანაა. ის უძველესი დროიდან არ იშლის თავის აგრესიულობას. 1801 წელს რუსეთმა დაიპყრო-შეიერთა

საქართველო, რომლის დღიდან არ გასულა საქართველოდან და არც აპირებს გასვლას. 1921 წელს რუსეთმა ხელახლა დაიპყრო საქართველო და მისი ტერიტორიების ერთი მესამედი გადასცა თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ხოლო კრასნოდარის მხარე თვითონ მიიტაცა. 1900-1018 წლებში ქ.სოჭის მოსახლეობის 80-85 პროცენტი მეგრელი (ქართველი) იყო. რუსეთმა 1991-1992 წლებში, როგორც ითქვა, საქართველოში მოაწყო სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება. მოახდინა რუსეთ-საქართველოს ომის პროვოცირება და საქართველოს წაგლიჯა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, საქართველომ ტერიტორიის დაახლოებით 12,5 პროცენტი დაკარგა და საკუთარ ქვეყანაში მოსახლეობის 10 პროცენტი დევნილი გახდა. რუსეთის მიერ საქართველოში განლაგებული „სამშვიდობო ძალები" საოკუპაციო ჯარებია. 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა „ახალი" ომის პროვოცირება მოახდინა და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რუსეთი საქართველოსათვის მუდმივ საშიშროებას წარმოადგენს. 1993 წლის სექტემბერში რუსეთის მიერ სოხუმის დაპყრობიდან, ფაქტობრივად, რუსეთ-საქართველოს „გამოცხადებული" ომი მიმდინარეობს.

წინამდებარე ნაშრომის წაკითხვის შემდეგ, ჩვენი აზრით, შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: ვანო მეგრელის წიგნი „აფხაზეთი — საქართველოა" დიდი ტირაჟით უნდა გამოიცეს. საჭიროა მისი გამოცემა ინგლისურ და რუსულ ენებზე.

კლიმენტი შელია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

საშობაოს სიყვარული მის სიკვდილშია
ვანო პაპავას პოემა — „პრეისტორიული კოლხეთი"

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი ნაპოლეონ ლემონჯავა ერთ-ერთ ავტორის ნაშრომის რეცენზიაში წერდა, რომ „ნებისმიერი ნაშრომი არსებითად მისი ავტორის პორტრეტისა (იერსახის) და ხასიათის გამომსახველია". სწორედ ეს მოსაზრება მიესადაგება პოემის — „პრეისტორიული კოლხეთის" ავტორს, დევნილ პოეტს — ბატონ ვანო პაპავას (მისი პოეტური ფსევდონიმია — მეგრელი), რომელიც მიძღვნილია ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე. გამონაკლისს არც ვანო მეგრელი წარმოადგენს იმ მკითხველწლთა შორის, რომელიც ნაწილობრივ მაინც გაეცნო ვაჟა ეგრისელის უკიდეგანო პოეზიას და არ აღძვროდა სურვილი, რომ მასზე თავისი სიტყვა არ ეთქვა. მართალია, ბატონი ვანო კარგად იცნობს ჩვენი ერის შორეულ წინაპართა ცივილიზაციის ისტორიას, მაგრამ მან თავისი პოემის დაწერა, ვაჟა ეგრისელის ლექსების კრებულის „კოლხური ფსალმუნების" წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტა. ავტორს ზოგჯერ პოეტური გამოცდილება და ოსტატობა ზღუდავს პოემაში სრულყოფილად გადმოსცეს უძველესი წინაპრების ისტორიის ფაქტობრივი რეალობები, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველს დააკმაყოფილებს მასში ავტორის შემართება და ღწვა, სადაც იგი ქება-დიდებით და სიყვარულით განასახიერებს სახელოვან და საამაყო წინაპრებს. პოემის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებულია ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნებიდან" ამონარიდი სიუჟეტებით, რაც მას უფრო საინტერესოს ხდის.

„პრეისტორიული კოლხეთი" ვანო პაპავას მეორე პოეტური კრებულია, მას ამჟამად გამოსაცემად გამზადებული

აქვს ლექსების მესამე კრებული, რომელსაც მკითხველი მალე იხილავს.

ბატონი ვანო წესიერი და სრულყოფილი ინტელიგენტი, უღალატო მეგობარია. არის ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვუსურვოთ მას მალე თავის კუთხე-მამულში — აფხაზეთში დაბრუნება, რომლის შენება-გალამაზებას ბატონმა ვანო მეგრელმა თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები შეალია.

სიმონ ზაქარაია
ჟურნალისტი

ივანე მეგრელის 80 წლისთავთან დაკავშირებით ღირსეული ქართველის და შემომქმედის პატივსაცემად

ივანე მეგრელის წიგნი: „აფხაზეთი— საქართველოა“ ძალიან საინტერესოა, მრავალმხრივია და მნიშვნელოვანი. მე განვიხილავ სამხედრო მნიშვნელობის თვალსაზრისით. ომის დაწყების თვითმხილველი თვითონ ავტორია და აღწერს ისე, როგორც სინამდვილეში იყო და ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ჩვენი ჯარი ქალაქის შესასვლელთან „წითელ ხიდთან“ შეჩერდა სამი დღე-ღამის განმავლობაში. მაშინ, როდესაც თავისუფლად შეეძლო შესულიყო ქალაქში და დაეკავებინათ სტრატეგიული ადგილები წესრიგის დასამყარებლად.

ავტორი სწორად და თანმიმდევრულად აღწერს იმ მოვლენებს, რომლებიც წინ უსწრებდა ომის მომზადებისა და დაწყების პროცესებს, ასევე თანმიმდევრულად არის აღწერილი ომის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერილი დოკუმენტის დარღვევა აფხაზი სეპარატისტებისა და ჩვენი სარდლობის მიერ დაშვებული შეცდომები.

ავტორი, როგორც სამხედრო დარგის სპეციალისტი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვიდეს საქართველო შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან.

ივანე აქვსენტის ძე პაპავა არჩეულია აფხაზეთის კაზაკთა გეტმანთა საბჭოს წევრად, მიღებული აქვს სამხედრო წოდება გენერალ-მაიორი. ამავე დროს არის აფხაზეთის ომის შედეგად დაღუპულთა ოჯახების შერიგების და ჰუმანიტარული დახმარების კავშირის „დიოსკურია 2005“ თავმჯდომარის მოადგილე, აქტიურ მონაწილეობას იღებს კავშირის აღორძინებაში.

საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სოციალურ და საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების კავშირის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი

სერგო ჭარჭიანი

გენერალ ლეიტენანტი

„და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოანე 8-32).

ქართველი ერი, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, სამყაროს უძველეს ერთა რიცხვს განეკუთვნება და ეს სწორედ კოლხთა წინაპრების „პელაზგების“ დამსახურებაა, რაც თვალნათლივ არის წარმოჩენილი ბ-ნი ივანე მეგრელის წინამდებარე ნაშრომში.

მართალია, ამ საკითხების (ხალხთა ცხოვრების ისტორია, ერის წარმოქმნა, სარწმუნოების დამკვიდრება, ენა და დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა თუ მეფეთა ცხოვრება და ა.შ.) განხილვა და დამუშავება პირველ რიგში ისტორიკოსების, ჟამთა აღმწერლების, ენათმეცნიერების და სწავლული ფილოსოფოსების მოვალეობა-ვალდებულებაა, ამიტომ მით უფრო მისასალმებელია ამ სრულიად განსხვავებული პროფესიის მქონე სპეციალისტის ანუ სამთო ინჟინერ-მექანიკოსის მიერ ამ საკითხებით დაინტერესება, რომელმაც ცხოვრების მეტი ნაწილი მიწისქვეშ წიაღისეული, სასარგებლო მადნის მოძიება-მოპოვებაში, მთებში გვირაბების გაყვანაში თუ საიდუმლო იარაღის შექმნაში, ბოლოს კი ზღვის ნაპირის გამაგრებაში და საერთოდ ბუნების სტიქიასთან უშეღავათო ბრძოლაში გაატარა.

ახლა იმ რთულ და მძიმე შრომით მოღლილი, ცხოვრებისეული გამოცდილებით თავდამძიმებული იძულებული ხდება ხელში კალამი აიღოს და თავისი სიტყვა თქვას ჭეშმარიტების აღდგენაში. ნათელი მოფინოს მავანთა ქმედებებს და ავტორისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით ამხილოს ყველა ავმოსურნეს ქმედებები, მათ შორის, ქვეყნის სათავეში

მდგომი მესვეურთა მიერ შუღლის ჩამგდებთა მიმართ წაყრუებით თუ წახალისებით.

მეგრელი ერი რამდენიმე ათეულ კოლხურ-ლაზურ ტომებს აერთიანებდა და აერთიანებს. და, რაც მთავარია, ყველა ისინი ერთ ენაზე — მეგრულად მეტყველებდნენ და მეტყველებენ დღესაც (სადაც შესაძლებელია). მათ შორისაა აფხაზეთში მცხოვრები ხალხი, რაც წინამდებარე ნაშრომის ავტორს დიდი რუდუნებით დაუმუშავებია.

განსაკუთრებული ყურადღებით არის განხილული ჩრდილო მეზობლის — რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსთან და კერძოდ აფხაზეთთან, აფხაზური „ერის" შექმნასთან, რამაც განაპირობა საქართველოდან ამ ძირძველი კუთხის მოწყვეტა და რუსეთთან მიერთების მცდელობა; აღნიშნულია (გაკვრით) აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უმწეო მდგომარეობის შესახებ და სხვა.

ავტორს დიდი შრომატევადი სამუშაოები შეუსრულებია ძველი თუ ახალი წყაროების მოძიება-შესწავლაში; ხაზგასმულია კოლხთა უდიდეს ღვაწლზე ქართველი ერის შექმნაში; ამასთან ერთად წარმოდგენილია მეგრელების — სვანების (ქართველების) ხარჯზე სრულიად ახალი ერის შექმნა ანუ „აფხაზი ერის" შექმნა და კვლავ ახლომხედველი ქართველის მიერ ამ ე.წ. ერისათვის დამწერლობის გამოგონება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აგრეთვე დიამეტრალურად საპირისპირო საკითხებიც, თუმცა ამით არც არაფერი დაშავებია ავტორის ნააზრევს; პირიქით, შინაარსობრივად უფრო გაამყარა და გაამდიდრა ნამუშევარი.

ბოლოს, უნდა ითქვას ისიც, რომ ავტორისთვის მთავარია ფაქტების სწორად და დამაჯერებლად მოწოდება და ყურადღება არ ექცევა მართლწერას, რაც ალბათ

გამართლებულიცაა დღევანდელ პირობებში, როდესაც ყოველ მოსახვევში ჩასაფრებულან ღვარძლიანი „გენიოსები“ და შურიანი, შუღლის ჩამგდები „ტვინიკოსები“: შადიმანები, ლებანიძეები, ჟირინოვსკები და ლუჟკოვები, ვაივაზიანები და სხვები და სხვები, რომლებიც შესაბამის პირობებს და ხელსაყრელ მომენტებს ელოდებიან, რომ გადმოანთხიონ შხამით სავსე ღვარძლი.

ამიტომ არის წინამდებარე ნაშრომში წამოჭრილი და განხილული საკითხების ავტორისეული შეფასებები გამოირჩევიან უკიდურესი კატეგორიულობით, მიუხედავად ამისა, ნაშრომი მთლიანობაში დადებით ემოციებს იწვევს და რაც მეტი იქნება ასეთი ხასიათის, ასეთი მიმართულებით კვლევები, საკითხიც მით უფრო დაიხვეწება და მით უფრო ადრე გახდება შესაძლებელი ჭეშმარიტების დადგენა.

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეთანხმდნენ ჩვენი ისტორიკოსები და შექმნან ქართველურ ტომთა ცხოვრების ერთი, ნამდვილი, უტყუარ ფაქტებზე აგებული — ერის ისტორია და ბოლო მოეღოს ერის შიგნით ურთიერთდაპირისპირებას, რასაც ემსახურება, როგორც ავტორი განმარტავს — წინამდებარე ნაშრომი!.

აკაკი შენგელია
პოეტი, მწერალი უჩა ზღვაპიჯელი
26.5.2009წ.

ბატონ ივანე მეგრელს ვიცნობ როგორც პოეტს, მისი სამი პოეტური კრებულიდან: ლექსები, (გამომც: „ბარტონი" 2007), პრეისტორიული კოლხეთი (გამომც. „უნივერსალი" 2008) და ძველი კოლხური საგალობელი „ნენანა". (გამომც. „უნივერსალი" 2008) ვანო მეგრელის ფსევდონიმით. სამივე წიგნი მიმაჩნია, რომ კარგი ნაშრომია. ძალიან საინტერესო საკითხებს ეხება, დღევანდელობას ასახავს და ამავე დროს, მიუთითებს იმ არასასურველ მოვლენებზე, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში და უჩვენებს გზას მის გამოსასწორებლად.

მისი პოემა და საგალობელი ეხება ქართველთა შორეულ საამაყო წარსულს და დიდი ინტერესით იკითხება, არის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული.

წიგნში „აფხაზეთი — საქართველოა" (ისტორიული ნარკვევი და ლექსები), ბევრ უცნობ საკითხებს ნათელი მოფინა. მისი მოღვაწეობა მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში წარმატებული იყო და კარგად აისახა როგორც პოეზიაში, ისე ისტორიულ მეცნიერებაში. მის შრომაში ძალიან ბევრი საკითხია წამოჭრილი, მაგრამ მე მის განხილვას არ შევუდგები, რადგანაც ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოვიყვან ერთ პატარა მაგალითს: აფხაზეთსა და აფხაზების ეთნიკურ საკითხის ირგვლივ უამრავი ტომებია დაწერილი ქართველი მეცნიერების მიერ და დღესაც წერენ, მაგრამ ვერ შეთანხმებულან, ვერ გაურკვევიათ ერთმანეთში ეს საკითხი და დიდ შეცდომებსაც უშვებენ. ამით სარგებლობს ჩვენი მტრები და ჩვენი მეცნიერების შეხედულებებს იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ.

ავტორის მოგონებები ერთადერთი გვერდი რამდენიმე შემთხვევა მისი მრავალწლიანი მუშაობის დროს, თუ კარგად გავაანალიზებთ ყველაფერს, ნათლად წარმოგვიდგენს ვინ – ვინ არის.

მე მგონია, რომ ყველა სპეციალობის ადამიანისთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება ზემო ხსენებული ისტორიული ნარკვევის გაცნობა.

გრიგოლ შარია

ისტორიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ივანე მეგრელი

მათემატიკა ბავშვობიდან შემაყვარა სოფელ ნაფიჩხოვოს (ჩხოროწყუს რ-ნი) ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელმა „საქართველოს წარჩინებულმა პედაგოგმა“, ინდიკო პაპავამ. მის უმცროს ძმას ვანო პაპავას (პოეზიაში) ვიცნობდი ფსევდონიმით ვანო მეგრელი. ისტორიულ ნარკვევში — „აფხაზეთი — საქართველოა“, ივანე მეგრელი ხელახლა გავიცანი, წავიკითხე და სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ჩემში.

გია ჭყონია

მკვლევარი-მათემატიკოსი. ფაზისის, აფხაზეთის, საქართველოს ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ფაზისის და საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მეშახტის პირველი ხარისხისა და მშვიდობის ორდენის კავალერი ვანო პაპავა. (მისი პოეტური ფსევდონიმია ივანე მეგრელი). ეს ის ივანე მეგრელია, რომელმაც სამ პოეტურ კრებულთან და სხვა ნაშრომებთან ერთად ისტორიულ-პროზაული ნაშრომი „აფხაზეთი საქართველოა“, რომელიც გაჟღენთილია პატრიოტული სულით, ამაღლებული პიროვნებით და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, რომელიც ჩემი სამაგიდო წიგნია და რომელიც ჩემი აზრით, დიდი საჩუქარია საქართველოსათვის.

წინამდებარე წიგნი კი, რელიგიას შეეხება. რელიგია: ქრისტიანული, მუსლიმანური — ისლამი, ებრაელების — იუდაიზმი, ვაიშნავიზმი ანუ ინდუიზმი, მისი განშტოება-კრიშნა. რელიგიების განშტოებები, სხვადასხვა სექტები და სხვადასხვა რიტუალები.

წიგნში — მიმოხილულია რელიგიური მიმართულებები, მისი ძირითადი დოგმატები, ისე, როგორც თავიდანვე იქნა ჩამოყალიბებული.

როგორ წარმოიშვა რელიგია?

როგორ მოხდა, რომ პირველყოფილი ადამიანთა პრიმიტიული რწმენა, მთელს მსოფლიოს მოედო?

როგორ განვითარდა რელიგია?

რა როლი ითამაშა კულტურის, ცივილიზაციის განვითარების საქმეში?

ქართველური ტომების ღვაწლი რელიგიის განვითარების საკითხში, ყველაფერ ამაზე ეს წიგნი გაგცემთ პასუხს, სადაც ბეთანია, ნაზარეთი, იორდანე, ბეთლემი,

კაპერნაუმი, სინას და თაბორის მთა, მარილოვანი ზღვა, რახელის სამარე, იერუსალიმის და სხვა საინტერესო ფოტო-მასალები უხვადაა მოცემული. აგრეთვე რუკები (ძველი აღმოსავლეთის) და იესო ქრისტეს დროინდელი იერუსალიმი.

ავტორი დიდი დაგროვილი ცოდნით და უამრავი დამუშავებული მასალით ღრმად წვდება რელიგიის საკითხს, რომელიც დააინტერესებს და სასარგებლო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის.

ავტორს მოსწონს და სიამაყით აღნიშნავს, რომ ქართველურმა ტომებმა ყველაზე მეტი იღვაწეს, რელიგიის განვითარებისათვის. ამიტომ, ზოგიერთი მეცნიერი და მკვლევარი ქართულ ტომებს მიიჩნევენ ღვთის რჩეულ ხალხად.

ყველა რელიგია ქადაგებს ერთღმერთიანობას, ღმერთმორწმუნეობას, კეთილდღეობას, სულიერების უკვდავება-ამაღლებას, ადამიანებს შორის მეგობრობას და მშვიდობას.

სახელმწიფოებს, სრულიად არ აინტერესებთ თეოლოგიური პრობლემები და არასოდეს არ უცდიათ, რომ რელიგიისათვის „ახალი ფორმა“ მიეცათ.

ავტორი მიიჩნევს შესაძლებლად, ქრისტიანულ-მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრების საფუძველზე გაერთიანდეს: ქრისტიანული, კათოლიკური, პროტესტანტული ეკლესიები და ეწოდოს „მსოფლიო ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია“. ამით ავტორს სწამს, რომ მსოფლიოში მისი მიმდევართა რიცხვი 4 მილიარდს მიაღწევს. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება ადამიანთა სულიერი ამაღლებისათვის და მსოფლიო მშვიდობისათვის.

ავტორი წერს, უმწინდესისა და უნეტარესის კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ღვაწლს, მრევლის რწმენის ჩამოყალიბებაში, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში

შეკეთდა, აშენდა და შენდება ეკლესია-მონასტრები. სწორედ პატრიარქის ძალისხმევით 21-ე საუკუნის დასაწყისში აშენდა სამების მსოფლიო მნიშვნელობის ტაძარი, სიმბოლო ქრისტიანული მართლმადიდებლური იდეების გამარჯვებისა საქართველოში.

ავტორი დასძენს:

„საქართველო, როგორც მარიამ ღვთისმშობლის წილხვერი ქვეყანაა, ქრისტეს რჯულის დამცველი, ერთგული ქვეყანაა. ამიტომ, საქართველოს წმინდა მიწა-წყალი ღირსია ყველა მსოფლიოს ქრისტიანობისათვის, წელიწადში ერთხელ, აღდგომის დღეს ან წმინდა ან გიორგი ბრწყინვალეს დღესასწაულზე, საქართველოში ჩამოვიდეს ყველა ქვეყნის ქრისტიანი მართლმადიდებელი, ილოცოს სვეტიცხოველში და სამების ტაძარში“ (ისე, როგორც მუსულმანებმა მექაში).

ქლარა (ლარისა) ხაჭაპურიძე
ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,
აკადემიკოსი

ბატონ ვანო მეგრელს

მიწის ტკივილმა დაგაწერინათ,
დაგაწერინათ სამშობლოს დარდმა,
ფესვების ექომ დაგაწერინათ
თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა
ნაღდმა ქართველმა....

ენგურის ცრემლმა დაგაწერინათ
და თეთრმა ღამემ დაგაწერინათ
რომ დასათმობი არა გვაქვს არც რა
და დასაკარგი არა გვაქვს არც რა...
თქვენ ასე გვმოძღვრავთ ბატონო ვანო: —
დავითი გვყავდა, თამარი გვყავდა,
ცოტნე ხომ გვყავდა — უფალი გვწყალობს.
და ამაყნი ვართ,
საამაყო არა გვაქვს განა?
დროის ქარიშხლებს გამოვლილი ღალადებს ნანა
ათას ღირსებას აღიარებთ ქართველი ერის
იმ დღიდან დღემდე მოვედითო,
მოვედით რწმენით!.. —
და ახლაც გვჯერა თქვენი სიტყვის,
თქვენი სურვილის —
ამ წყალობისთვის მინდა დიდი მადლობა გითხრათ
მინდა მარჯვენა დაგილოცოთ ბატონო ვანო,
ქართველი ერის გასახარად იცოცხლეთ დიდხანს!

ელისო ფიჩხაია,
პოეტი

* * *

ბატონი ივანე მეგრელი გახლავთ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მისი ნამდვილი გვარი არის პაპავა. უმაღლესის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ყირიმში, ქერჩთან ახლოს რკინის გადამამუშავებელ კარიერაში, შემდეგ ტყვარჩელში. იქ ხელმძღვანელობდა „ნახშირტრესტის“ ელექტროტექნიკურ საწარმოს. რამდენიმე წლის შემდეგ გადაყვანილი იქნა აფხაზეთის ბურღვა-აფეთქების სამუშაოების უფროსად, სადაც 14 წელი იმუშავა.

ბატონი ვანო რუსეთ-საქართველოს ომის თვითმხილველი და უშუალო მონაწილეა. პირადად ნანახს, თუმცა ტკივილით, მაგრამ სიმართლით წერს. სხვათა აზრს უკავშირებს თავის მოსაზრებას და ამტკიცებს, რომ XVII საუკუნემდე დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზები არ ცხოვრობდნენ და აფხაზეთის მთავრებიც ქართველები იყვნენ.

წიგნი, რომელიც ბატონმა ვანომ გამოსცა საარქივო მასალებს ეყრდნობა. იგი პირადად ნანახს ამზიურებს და უკავშირებს აფხაზი და ქართველი ხალხის ისტორიულ ურთიერთობებს. თვითონ ბატონი ვანო სამხედრო სპეციალისტია და მიუთითებს იმას, თუ როგორ უნდა გამოვიდეს საქართველო შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან.

თვით წიგნის სათაური — „აფხაზეთი — საქართველოა“ მიგვანიშნებს იმას, რომ მასში აღწერილია ჩვენი სამშობლოს ჯვარცმა, აფხაზეთის ტკივილი, წლობით ნაშენები მეგრული ოდების მიტოვება. მანდარინისა და ფორთოხლის ფოთლებს, ახლაც ქართველი ხალხის სისხლი რომ ამჩნევია.

წიგნის თავფურცელს ამშვენებს პატარა სახეგაბადრული ბიჭუნას სურათი. იგი თითქოსდა მომავალს უცინის. მომავალს, რომელიც აუცილებლად გაბრწყინდება

დედაღვთისმშობლის კალთა გადაფარებულ საქართველოში. ეს პატარა ხვიჩა-ბიჭი, პატარა ლევანი, ბატონი ვანოს შვილიშვილია. იგი ხუთი წლის იყო, როცა გამოიყვანეს აფხაზეთის ომიდან. მას სიზმარივით ახსოვს სოხუმი. ახლა იგი სტუდენტია და წარჩინებით სწავლობს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს ხვალინდელი დღის აღმავლობაში.

ბატონი ვანო ამ წიგნის ყველა დეტალს, ისტორიულს თუ მხატვრულს, უძღვნის თავიოს შვილიშვილს და ეფერება ლექსის სტრიქონითაც:

უფლის წყალობით გადარჩი,
აფსუა ცეცხლს რომ გახლიდა,
ხუთი წლის იყავ შენ მაშინ,
რომ გაგაცილე სახლიდან.

წიგნი „აფხაზეთი—საქართველოა“ ორ დარგს მოიცავს. იგი ისტორიული და მხატვრული მასალებითაა შედგენილი. უფრო მეტი, ისტორიული წყაროებიდანაა აღებული, ამიტომ ისტორიის დარგს შეიძლება მივაკუთვნოთ.

მოკლე მიმოხილვაა გაკეთებული:

ა) თამარ მეფეზე

ბ) დავით აღმაშენებელზე

გ) ცოტნე დადიანზე

დ) მონღოლების შემოსევა საქართველოში და ასე შემდეგ.

ავტორს დიდი ენერგია დაუხარჯავს ახალი წყაროების მოძიებაში.

წიგნში ჩართულია ქართველი მეცნიერებების აზრი ბატონ ვანოზე. როდესაც ამ წიგნს წაიკითხავთ, თვალში

მოგხვდებათ ყველასათვის საყვარელი ადამიანის, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის და სხვა აკადემიების ტიტულების მატარებელი პროფესორისა და მეცნიერის ბატონ კლიმენტი შელიას აზრს, წიგნის შესახებ და თვითონ ავტორის პიროვნების შესახებ.

„აფხაზეთი — საქართველოა“ ამ სათაურთან აქვს ბატონ ვანოს დაკავშირებული აფხაზი და ქართველი პოეტების ლექსად ამღერებული სტრიქონები, რომელთა სტროფებში საქართველოს სიყვარულია აჟღერებული. მაგალითად:

გიორგი გუბლია:

თბილისო, მართლაც გული გაქვს თბილი,
მადლობას ვუთვლი შენს მკვიდრ ბინადრებს,
რომ შენ მიმიღე, ვით ღვიძლი შვილი
და აფხაზ ჭაბუკს გზა გამინათე.

ვაჟა ებრისელი:

აღმოსავლეთით ფრთებს შლის ცისკარი,
„ქართლის ცხოვრება“ —
წარსულს მილამპრებს,
მთვარე ჰკიდია სიშორეში, ვით ბუმერანგი
და კოლხურ ღამეს,
ბრძოლით დაღლილ ვით ჩემს
წინაპარს,
ტანზე აცვია ვარსკვლავების
ჯაჭვის პერანგი.

ახლა კი სხვებს დავუტოვებ სათქმელს და ბატონ ვანოს მადლობას გადაუხდი იმისათვის, რომ წიგნში ბევრგან იმ დიდ პოეტთან, როგორიც არის საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი ბატონი ვაჟა ეგრისელი, მის გვერდით ჩემი ლექსიც აქვს ჩართული თემატიკის მიხედვით. მაგალითად, ქართველი ქალის როლი და პასუხისმგებლობა ოჯახისა და ქმრის ფუძის მიმართ. წიგნში ჩაურთავს ბატონი სიმონ ზაქარაიას დედისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსის ბოლო სტროფი:

„სულის საამოდ... დაბალ ხმაზე გიმღერ ნანინას,
და გადაგიშლი სიამაყით წარსულის ფურცლებს,
ქმრის მოლოდინმა დაგაღონა, ცრემლიც გადინა,
წმინდა მანდილით პატრონობდი მეუღლის ფუძეს.“

და აღნიშნავს, რომ ქართული პოეზიის სულის ღაღადისი ჩაუქრობელი ლამპარია და მისი უბრალო კიალიც კი მტერს სიყვარულზე დააფიქრებს. კაცობრიობაში ყველაფერი წარმავალია, დამრჩენია მხოლოდ სიყვარული, ჩემი წერილი მინდა დავამთავრო ლექსის სტროფებით და ბატონ ვანოს მივმართავ:

აგიკინძია წიგნში წარსული,
ეგრისელით და სხვათა ლექსებით,
ცრემლით დღეები არის გასული,
შენს ტანჯულ მამულს ეალერსები
ფარდა იხსნება... კადრები ჩნდება,
გადავშალე და შენს წიგნს ვკითხულობ...

გაგრა, სოხუმში ყინვა არ დნება,
ქარიშხალი კი ისევ დიდგულობს.

ბატონო ვანო, გისურვებთ ქარიშხლის ჩადგომას და დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს.

გულნაზი ხარაიშვილი
პოეტი, ფაზისის ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი.

გამომცემლობა „უნივერსალმა“ 2010 წელს გამოსცა წიგნი „რელიგია“ — ავტორი ივანე მეგრელი (პაპავა).

ივანე პაპავა რამდენიმე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორია. არის ეროვნული, ფაზისის საერო აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს პრეზიდენტის თანაშემწე. მშვიდობის ოქროს ვარსკვლავის კავალერი.

წიგნში განხილულია ყველა კლასიკური რელიგიები, თავისი მრავალრიცხოვანი განშტოებებით. რელიგიის დოგმატები აღწერილია ისე, როგორც თავიდანვე იყო ჩამოყალიბებული. ლაპარაკია რელიგიის განვითარების გზებზე და მის პერსპექტივებზე, თუ რა როლი ითამაშა კულტურის, რწმენისა და ადამიანთა ცივილიზაციის განვითარების საქმეში. ქართველური ტომების ღვაწლი რელიგიის გავრცელებაზე. ავტორი ასაბუთებს, რომ ქართველურმა ტომებმა, იღვაწეს ყველაზე მეტი, ვიდრე სხვა ერებმა ქრისტეს მოძღვრების გავრცელება-განმტკიცებაში.

ბატონი ვანო ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ საქართველომ (კოლხეთი) მისცა ევროპას განათლება, როგორც ფილოსოფიაში, თეოლოგიაში, პოეზიაში და რელიგიაში.

ავტორი საინტერესოდ ხსნის რელიგიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ საკითხებს. ამაში ადანაშაულებს თეოლოგებს და ფილოსოფოსებს, რომ საუკუნეების განმავლობაში მიდის კამათი და შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მოჰყავს სარწმუნო არგუმენტები საკამათო საკითხების გადასაჭრელად. მას თავისი გამოცდილებით და

თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების საფუძველზე, ახლებურად აძლევს ახსნა-განმარტებას სულისა და სულიერების შემეცნების საკითხს.

ვანო მეგრელს მიაჩნია შესაძლებლობად ქრისტიანულ-მართმადიდებლურ ეკლესიის მოძღვრების საფუძველზე გაერთიანდეს ქრისტიანული, კათოლიკური, პროტესტანტული ეკლესიები. მაშინ მის მიმდევართა რიცხვი ოთხ მილიარდზე მეტს მიაღწევს და დიდი მნიშვნელობა ექნება მშვიდობისათვის.

ავტორი საინტერესოდ ხსნის, თუ როგორ წარმოიშვა სიტყვა ეკლესია. ეს არ არის ბერძნული სიტყვა, როგორც ენციკლოპედიაშია ნაჩვენები. ეს არის ძველთაძველი ქართული (კოლხური) სიტყვა.

ავტორი დიდი მოწიწებით აღნიშნავს საქართველოს პატრიარქის, უმწინდესისა და უნეტარესის ილია II ღვაწლს, მრევლის რწმენის მტკიცედ ჩამოყალიბებაში, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში აშენდა და შენდება ბევრი ეკლესია-მონასტრები.

ვახტანგ თორაძე
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემია „ქალდეა“-ს ნამდვილი წევრი.

„სიმართლის მხედარი“
ეს წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს

გამოვიდა ბატონი ივანე მეგრელის წიგნი „აფხაზეთი — საქართველოა“. დამაინტერესა, ვთხოვე ბატონ ივანეს წიგნი, მაგრამ მას წიგნი არ აღმოაჩნდა, ვინაიდან როგორც მითხრა სულ 15 ეგზემპიარი გამოსცა. აკადემია „ქალდეა“-ს სწავლულ მდივანს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს უკვე წაკითხული ჰქონდა და მან მათხოვა.

წიგნი თავიდან წავიკითხე. როგორც კი ხელში აიღებ, მოწიწების გრძნობას ბადებს. მომეწონა წიგნის ყდა, ყდის ფერი, შრიფტი, ხოლო სათაურით „აფხაზეთი-საქართველოა“ აღფრთოვანებული დავრჩი. შინაარსს კი, რათქმა უნდა თავისთავად, მაგრამ მე პირადად სათაურს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ზოგჯერ თეატრში მოიტანენ პიესას, სათაური სხვას ამბობს, ტექსტი სხვას, მერე თეატრი კიდევ სულ სხვა განზომილებაში განიხილავს და ზოგჯერ დაბნეული მაყურებელი ვერც კი ხვდება, დამთავრდა თუ არა მოქმედება კი არა, თვით სპექტაკლი. მხოლოდ მაშინღა გებულობს, როცა მსახიობები მათ წინაშე თავის დასაკრავად ანუ „პაკლონზე“ გამოდიან.

აქ ვხვდებით, რომ ბატონ ივანესათვის წიგნის სათაური უპირველესია, აბზაც-აბზაც, მომენტ-მომენტ, ფურცელ-ფურცელ, სულ ამის მტკიცებაშია. ეს არის ნამდვილად ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევი.

მე აგრეთვე ძალიან მომწონს, როცა ავტორები, თავის წიგნს შვილიშვილს უძღვნიან. რაოდენ ბედნიერია ამ წიგნის ადრესატი ლევან პაპასკუა, რომელსაც ასეთი, ნამდვილად ძვირფასი წიგნი და ლექსი დაბადების დღესთან დაკავშირებით რომ მიუძღვნა საყვარელმა ბაბუამ.

ავტორი წიგნს იწყებს ქვესათაურით: „ომის დაწყება აფხაზეთში“.

„1992 წლის აგვისტო. დილით ადრე ავდექი (ჩემი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიჩვეული ვიყავი ადრე ადგომას) და მაშინვე ცოტა ვივარჯიშე და გამოვედი გარეთ“.

მე მაპატიოს ბატონმა ივანემ თავხედობა, სულ ორი წუთით, იმისათვის რაც გავიფიქრე. კიდევ ვიმეორებ, ეს იყო მხოლოდ ორი წუთით.

სკოლიდან მოყოლებული ვაწარმოებდი დღიურს. დღიურის წერას ვიწყებდი: დილით ავდექი 9 საათზე, ცხრის 5 წუთზე გამოვიხეხე კბილები, ცხრის 15 წუთზე დავლიე ჩაი, ცხრის 20 წუთზე გავასწორე საწოლი. აი, ასე მეჭირა საათი ხელში და დაწვრილებით ვწერდი ყოველდღიურ სისულელეებს. შემდეგ, რამდენიმე წლის მერე, როცა მივუბრუნდი ჩემი ბავშვობის დღიურებს, გავიფიქრე, ვის რაში სჭირდება, ან აინტერესებს შენი ყოველდღიური წვრილმანები, როცა ქვეყანაში ამდენი საინტერესო ამბები ხდება. სწორედ ამიტომ ნაწილი დღიურისა გავანდგურე.

ეს იყო ბატონო ივანე, ის ორი წუთი, როდესაც თავი შეგადარეთ. მეგონა, რომ თქვენც ჩემსავით, ბავშვობიდან მოდიოდით, მაგრამ როდესაც მივყევი, წავიკითხე, მივხვდი, რომ ეს წვრილ-წვრილად მონათხრობი ამბები თქვენ გესაჭიროებოდათ, რათა ჩვენთვის გაგეგებინებინათ, თუ რა ყოველდღიური წვრილმანებით ვიყავით ქართველები დაკავებული, როდესაც სამმართველოს წინ შეგროვილ ხალხს, არძინბა რადიოთი მოუწოდებდა: „აფხაზეთში მცხოვრებო ხალხო, მოგიწოდებთ ყველას, ხელში აიღეთ იარაღი და შევებრძოლოთ შევარდნაძის ბანდიტებს. მტერი დაგვესხა თავს და დავიცვათ ჩვენი სამშობლო“.

ხალხი სულგანაბული უსმენდა. ამბობდა მტერი დაგვესხა თავსო და ის, ვინც მტრად იყო გამოცხადებული, აზრზე არ იყო და ის დღე ისე, როგორც ბატონი ივანესათვის ისე ყველა ჩვენგანისათვის „ჩვეულებრივად“ დაიწყო.

ისე, ბატონო ივანე, ძალიან კარგი იყო ის ორი წუთი, როდესაც გავკადნიერდი და თავი შეგადარეთ. მე ზუსტად ისე დამემართა: ერთ დღეს, აწ განსვენებული ჩემი შვილი დავით გამყრელიძე, რომლის შემოქმედების გამომზიურებაში დამეხმარა ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი გულნაზ ხარაიშვილი და რომლის, როგორც პოეტის ნათლიაა პოეტი აკადემიკოსი ბატონი ვაჟა ეგრისელი, დილით ადგა და მეუბნება:

— დედუნა, სიზმარი ვნახე, ვითომ აფხაზებთან ომში გაგვიშვეს რეზერვისტები და მე პირადად არძინება მოვკალი.

— მერე დედიკო? — ვკითხე აფორიაქებულმა.

— მერე დედუნა, არ მახსოვს, მაგრამ ხომ კარგი დასაწყისია.

მერე არა, ბატონო ივანე, მაგრამ ის ორი წუთი, როდესაც შეგადარეთ თავი, ხომ ბედნიერი ვიყავი.

კარგია, ბატონო ივანე, წერეთ დაწვრილებით, თქვენ ამის მომსწრეც და ისტორიის უბადლო მცოდნეც ხართ: ისე დაწვრილებით დაწერეთ, რომ მტერს გული გაუსკდეს, ხოლო მოყვარემ გაიხაროს. ბატონი ივანე გულისტკივილს ვერ მალავს და გულისწყრომით წერს: „აფხაზეთის სეპარატისტული დაჯგუფება ომისათვის ემზადებოდა, ეს ნათელი იყო, მაგრამ საქართველოს მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობდაო. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ცსკ პირველი მდივანი იყო ედუარდ შევარდნაძე“.

ატორი ამბობს:

„15 აგვისტოს ჯერ კიდევ არ იყო სოხუმში არც ერთი ქართველი ჯარისკაცი, მე არ ვიცი, ვინ გასცა ბრძანება „სნაიპერებს“, რომ დაეხვრიტათ პლაჟზე მყოფი დამსვენებლები

სამხედრო სანატორიუმიდან: მე ჩემი თვალით ვნახე მკვდრებით დატვირთული „ნოსილკა“, რომელსაც 16 აგვისტოს ტვირთავდნენ სოხუმის აეროპორტიდან თვითმფრინავში, ორი დღით ადრე, ვიდრე გამოჩნდებოდა საქართველოს შეიარაღებული ჯარი ამ მიწაზე და სწორედ მაშინ გადავწყვიტე დამეწერა წიგნი ამ ომზე“.

ბატონმა ივანემ შეაგროვა დოკუმენტები, თვითმხილველების ჩვენებები ფაქტები და მხოლოდ ამ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელიც ავტორს უამრავი აქვს, ის ძალიან ობიექტურად მოგვითხრობს ომის ამბებს.

ავტორს გული უკვდება, როცა ხედავს, თუ როგორ მოაწყო 1991-1992 წლებში საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, როგორ მოახდინა რუსეთმა საქართველოს პროვოცირება და საქართველოს წაგლიჯა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ავტორმა ძალიან კარგად იცოდა და იცის, რომ საქართველოში განლაგებული „სამშვიდობო ძალები“ — საოკუპაციო ჯარებია და როგორც ჩვენ ყველას, ისე ბატონ ივანეს, ერთი ტკივილი მოშუშებული არ გვქონდა, რომ 2008 წლის აგვისტოში „ახალი ომის პროვოცირება მოახდინა რუსეთმა და ეს არ იკმარა, „აფხაზეთის“ და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ავტორი უსინდისოებს, მოღალატეებს, არაადამიანებს უწოდებს იმ ხალხს, რომლებმაც გაავრცელეს ცრუ ხმა „ენგურის ხიდზე ზვიადისტები არ ატარებენ დევნილებს სოხუმიდანო“.

სწორედ ამაზე წერს თავის წიგნში „დევნილები გოლგოთის გზაზე“ ავტორი, პოეტი, მწერალი, აკადემიკოსი სიმონ ზაქარაია (გვ. 20-21).

„მხედრიონელთა“ ერთ-ერთმა თავკაცმა თავის „ერთგულ“ ხელქვეითებს, რომლებმაც სპეციალურად აირჩიეს ეს გზა

დევნილებთან ერთად სამგზავროდ, თავიანთი არაკაცი მიზნების განსახორციელებლად, მისცა სპეციალური მითითება: „ჰე, ბიჭებო, ის რაც ჩვენ მანქანებით, თვითმფრინავებით და გემით გაგვქონდა აფხაზეთიდან, ახლა ამ გაქცეულ ხალხს არანაკლები განძი მიაქვთ ჩანთებითა და ჯიბეებით, მოდით, მეტი თქვენ და ცოტა მეო“. ამას კომენტარი არ სჭირდება, ყველა ვხვდებით, თუ ვინ იყო ის „მხედრიონელთა თავკაცი“.

არა მგონია, ავტორის სურვილი ყოფილიყო, რომ გვ. 23-24, თავი „2008 წლის აგვისტოს მოვლენები“, შეგნებულად ორჯერ გაემეორებინოს ან კიდევ „არაფერს ვამბობ იმ უნამუსობაზე, რასაც ზუგდიდსა და სენაკის რაიონებში ჩადიოდნენ, სოფლების გადაწვა...“ ასეთი ლაფსუსები წიგნში გაპარულია, (გვ. 134), მეარმოვყვები ეხლა მათ ჩამოთვლას. ეს სტამბის შეცდომაა, რომელიც წიგნს ღირსებას ვერ აკლებს, მაგრამ მე პირადად ძალიან მინდა ეს წივნი ისევე უნაკლო იყოს, როგორც არის თხრობაში თვითონ ავტორი.

მე მაოცებს ბატონი ივანეს ისტორიის ცოდნა. მუხლს ვიდრეკ და ვეთაყვანები. საქართველოსათვის ვისაც კი კარგი გაუკეთებია, არ ივიწყებს. იწყებს თავისი ეპოქის დიდი ქართველით, ეხება ცნობილ მეცნიერს, მკვლევარს, მათემატიკოსს, აკადემიკოსს გია კვაშილავას, რომელმაც ჩვიდმეტი წლის დაუღალავი შრომის შემდეგ შეძლო, დოქტორ ლუიჯი ჰერნიეს მიერ (1908წ.) აღმოჩენილი ფესტოსის დისკოს გაშიფვრა, რომლის გაშიფვრასაც მთელი მსოფლიოს მეცნიერები, მთელი საუკუნის მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ. არ ივიწყებს სტალინს, რომლის ბრძანებით სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტში პირველი ატომური ბომბი შეიქმნა, რომლის კურატორი იყო ლავრენტი ბერია. „ამ ორმა

დიდმა ქართველმა, კაცობრიობა თერმო-ბიურთვული კატასტროფისაგან გადაარჩინა“ — დასძენს ავტორი.

ათასწლეულების წინათ, ქართველთა მეფე ყოფილა — ფიხუნია, ამას წაეპოტინა სეპარატისტი არძინბა, რომელმაც ერთ-ერთ წერილში განაცხადა: „ხელმწიფე ფიხუნია — აფხაზი იყოო“. ბატონი ივანე ხაზგასმით აღნიშნავს, არძინბას როგორც ისტორიკოსის უვიცობას. მან ისიც კი არ იცოდა, რომ მეფე ფიხუნიას პერიოდში ხსენება აფხაზი და სხვა ტომებისა, ბუნებაში არ არსებობდა. არსებობდა ქართველური ტომები, რომლებიც ქრისტეს დაბადების შემდეგ მიმოიფანტნენ ყველგან „კავკასიაში“, ევროპაში და სხვაგან იმისდა მიხედვით, სადაც დაიწყეს ცხოვრება იმ ადგილის მიხედვით მიიღეს სახელწოდება. მაგალითად: მეგრელები, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ (ხოფა, რიზე, ტრაპზონი) ლაზეთი ეწოდება — ლაზები, ხშირად ვამბობთ ლაზ-მეგრელი, კახეთში — კახელები, იმერეთში — იმერლები, აფხაზეთში — აფხაზი, იგივე ქართველები.

აფხაზეთი არის მხარის დასახელება და სრულებით არ ნიშნავს მის ეროვნებას. მე-17 საუკუნიდან ჩამოსული ჩრდილოეთ კავკასიიდან — აფსუები, იბრალებენ თავიანთ თავზე აფხაზობას, მაგრამ ეს ყოველივე არძინბას და ჩვენს აგრესორ რუსებს არ აწყობს და ცდილობენ ისტორიის გაყალბებას.

ჩვენი სასიქადულო პოეტი-აკადემიკოსის, ვაჟა ეგრისელის ლექსიც საკმარისი იქნებოდა, არძინბას ისტორიის უცოდინარობის გამოსამჟღავნებლად.

„ხელმწიფე ფიხუნია"

ვინ იცის,
მოსული საიდან,
პონტოს დასტრიალებს
თოვლივით
ქათქათა —
წინაპრის სული თუ
თოლია
და სივრცეს გაჰკივის:
გაიგოს დუნიამ,
რომ კოლხეთს აიეტის წინარე, ჰყოლია —
ხელმწიფე ფიხუნია".

მაგრამ არძინბას, ბატონი ვაჟას უნიკალური ლექსები რომ ჰქონდეს წაკითხული, დარწმუნებული ვარ, ის უსათუოდ გაკეთილშობილდებოდა. მე, რომ შემეძლოს დავიჭერდი არძინბას, ჩავსვამდი ციხეში, თავთან დავუდებდი ბატონი ვაჟა ეგრისელის იმ უზარმაზარ ხუთტომეულს და ბატონ ივანე მეგრელის „აფხაზეთი—საქართველოა", მანამ არ გამოვუშვებდი, სანამ წერილიდან წერილამდე ზეპირად არ ისწავლიდა მათ წიგნებს, მერე იმ პირობით გამოვუშვებდი, რომ სავალდებულო გაეხადა ყველა აფხაზისათვის ამ წიგნების არა მარტო წაკითხვა, არამედ სწავლაც.

რომელ საქართველოს წიაღში არსებულ სიკეთეებზე არ გვიყვება, გველაპარაკება, ასაბუთებს და გვიმტკიცებს ბატონი ივანე.

1. ეხება მეგრული ენის ლექსიკას და სიტყვათწარმომავლობას
2. გვიყვება საიდუმლოებით მოცულ ნივთზე, ბრინჯაოს მექანიზმზე, რომელიც ანდიკითი მექანიზმის სახელით გახდა ცნობილი და რომელსაც მეცნიერებმა უწოდეს „ძველი მსოფლიოს ყველაზე რთული მექანიზმი.

3. მუსიკის შვიდ ბგერაზე, რომლის შექმნა ეკუთვნის ბერძენ მათემატიკოსს პითაგორას და რაოდენ საინტერესოა, რომ მუსიკის ეს შვიდი ბგერა, არც ერთ ენაზე არაფერს არ ნიშნავს, ამ ბგერათა სისტემის ახსნა ლაზ-მეგრული, ძველი კოლხური მეტყველების ლექსიკით არის მხოლოდ შესაძლებელი. ცხადია, მუსიკალური ბგერის შემქმნელს, ე.ი. პითაგორას კარგად უნდა სცოდნოდა ენა და სიმღერა, მაშინ გამოდის, რომ პითაგორა ლაზ-მეგრელი ყოფილა", — ამბობს ავტორი

4. წერს თანამედროვე და პრეისტორიული კოლხეთის შესახებ.

5. აიეტის სამეფოზე

6. პელაზგური კულტი — დრუიდიზმზე.

7. წერს დამწერლობაზე, ასომთავრულზე.

ებრაელები ამბობენ:

„ანბანიდან რომელიმე ასო-ნიშნის ამოგდება ან ჩამატება წარღვნას გამოიწვევსო".

ბატონ ივანეს გული სწყდება და მისტირის ასოებს, რომლებიც ჩვენმა მეცნიერებმა დამატების მაგიერ ამოიღეს ასომთავრულიდან. ძველ ასომთავრულში ხომ 38 ასო-ნიშანი იყო. ბატონი ივანე ამბობს:

„საჭირო რომ არ ყოფილიყო, მაშინ მისი შემოქმედი თავიდანვე არ შეიტანდა და დასძენს: „როგორც ცნობილია, რაც მეტია ასო-ნიშანი, მას მეტი სიტყვის მარაგი გააჩნია. რაც მეტი სიტყვის მარაგია, მით უფრო მდიდარია ენა".

ამით მთავრდება ბატონი ივანეს შრომა. იგი წერს აგრეთვე:

8. აიას ქვეყნებზე

9. სამ ქართულ საოცრებაზე

10. რუნოს საიდუმლოს შესახებ

11. სამეგრელოში მთა „მინაგროს" საიდუმლოს ამოხსნის შესახებ.

12. შუმერულ ფირფიტაზე და ბატონ ზურაბ ქაფიანიძის დამსახურებაზე და დასძენს, რომ პირველი ჩუქურთმა სწორედ ბიქილას წყალობით შუმერულ-ქართულში ანბანმა მისცა მსოფლიოს, ამბობს ავტორი, იქვე წიგნში (გვ.99) მოცემული აქვს „რა ჩუქურთმის ნახაზი".

13. წერს შუმერულ-იბერულ ღვთაებრივ კავშირზე.

წიგნს ალამაზებს და მოკრძალებას მატებს ისეთი ფოტოები, როგორიცაა: უმწინდესისა და უნეტარესის კათალიკოს პატრიარქის ილია II ფოტო, კათალიკოს ამბროსი ხელაიას, თამარ მეფის, ფარნავაზ მეფის, ქუჯი ეგრისელის, ცოტნე დადიანის, წმინდა მღვდელმთავარი გიორგი ჭყონდიდელის, პეტრე ბაგრატიონის, ქეთევან დედოფლის, გიორგი სააკაძის, თამარ მეფის ჯვრის, მოქვის საწინამძღვრო ჯვრის, ბიჭვინთის ულამაზესი და კოპწია ტაძრის და თვით ბატონი ივანეს მიერ გადაღებულ სასწაულს რიწის ტბას.

საინტერესო მასალები: თამარ მეფეზე, შოთა რუსთაველზე, ცოტნე დადიანზე, დავით აღმაშენებელზე.

ახლა არა თუ ბავშვი, ალბათ დიდიც რომ გააჩერო, ბევრს არ ეცოდინება თუ რა ერქვა ამ ჩვენი საამაყო წინაპრების: დედას, მამას, ძმას. ეს წიგნი იმითაც არის შესანიშნავი, რომ ყოველივე ამაზე დაწვრილებითაა დაწერილი პასუხი. მკითხველს არ დასჭირდება ისტორიულ არქივებში ქექვა.

ავტორი ეხება მკვლევარის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ზურაბ რატიანის წიგნს „წყაროთა ღაღადი", სადაც მოჰყავს წერილობითი ფაქტები სომეხი მეცნიერის, დიდად განვითარებული პიროვნების, საეუკლესიო მოღვაწე მხითარ გოშა, რომელმაც შეადგინა იმდროისათვის მეტად საინტერესო წიგნი „სიმართლის წიგნი", მხიტარ გოშა მოღვაწეობდა რუსთაველის ეპოქაში, მას დიდი პატივისცემით

და პატივით მოიხსენიებდნენ თამარ მეფის კარზე. ის იყო სომეხი ერის სულიერ მამად მიჩნეული.

თავისი დროის და თავისი ქვეყნის ამ დიდი ტალანტისა და საარაკო ავტორიტეტის მქონე პიროვნებას მაინც დაუჯერონ იმ ვაიმეცნიერებმა: სურენ ავაზიანმა და სამველ კარაპეტიანმა, რომლებიც წერენ შოთა — აშოტი იყოო. მაშინ რატომ ერთი სიტყვა არ წამოსცდა სომხურად და არ გაურია პოემაში. თუ წაკითხული აქვთ „ვეფხისტყაოსანი, ხომ ნახეს იქ უამრავი მეგრული — ძველი ქართული სიტყვები? მაგრამ მათ „ვეფხისტყაოსანი“ კი არა, თავიანთ უდიდეს ადამიანს მხითარ გოშას არ იცნობენ, რომლებმაც პირველმა შექმნა იგავნი და ისტორიული ნარკვევები და რაც მთავარია, „სიმართლის წიგნი“, მათ არ იცნობენ მეცნიერებად კი მოაქვთ თავიო — წერს ავტორი.

მურმან ლებანიძის ლექსი, რომელსაც ბატონი ივანე ეხება და რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა, მე წაკითხული მქონდა, სადაც ბატონი მურმანი წერს:

„ვაი სირცხვილო რუსთველი
თარგმნეთ,
მიჯღარკ-მოჯღარკეთ
ქართული ლექსი!
.....
ვით დედა მტკვართან ჭოროხს და ენგურს,
რიონს და ტეხურს, იორს და არაგვს,
აგრეთვე ენას, —
ქართულთან მეგრულს,
ხმა აღიმაღლოს, უფლება არ აქვს!“

მე მაშინ კი მიკვირდა, ბატონი მურმანი რამ გააბრაზა-მეთქი, ჯანსულ ჩარკვიანი სულ უნდა გაგიჟებულიყო, ვიეტნამურად რომ თარგმნეს მისი ლექსი. მე არ წამიკითხავს ბატონი ივანეს და გივი კვათანელის პასუხი, რომლებმაც როგორც პროზაულად, ისე ლექსად გასცეს. აი, თუნდაც ამ ერთ პასუხში ჩანს ავტორთა პირდაპირობა, ყველასა და ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევა, ჩანს როგორ უყვართ ქართველები, მეგრელები, როგორი გულნატკენები, დამცირებული და შეურაცხყოფილია. ვაჟკაცი უნდა იყო, რომ ეს სიტყვები დაწერო:

„მხოლოდ ერთ კითხვას დავუსვამ ბატონ მურმანს, მეგრულ ენაზე კარგა ხნის წინ თარგმნილმა „ვეფხისტყაოსანმა“ ასე რომ გაგაღიზიანათ, საქართველოს უახლოეს ისტორიაში ამაზე დიდი ტრაგედია ვერ მოიძიეთ? სულ ახლახანს, თქვენი მამა-მარჩენალის განკარგულებით, ციხიდან გამოყრილმა პირსისხლიანმა „დუშმანებმა“ რეციდივისტ „პროფესორის“ მხედარმთავრობით, სამეგრელო ხუთჯერ რომ ააოხრეს და ააწიოკეს, ამაზე არაფერი გსმენიათ ბატონო მურმან? ჩემი დედულეთის ულამაზესი სოფლები — დიდი კვანთა, ნაესაკოვო და სხვა ერთიანად რომ გაძარცვეს და იავარდქმნეს. ავტომანქანიდან მოყოლებული, ახალგამოჩეკილ წიწილებამდე, თქვენს მიერ „მარტივ —გლეხებად“ წოდებულს რომ არაფერი დაუტოვეს, ძროხებსა და დედა ღორებს ცოცხლად სამწვადე ნაჭრებს რომ აჭირიდნენ და ღრეობდნენ, მასპინძელთა სახლები ტანკებით რომ გაასწორეს მიწასთან, ის დამახინჯებული სამხედრო მარში მაინც არ გაგინონიათ, დამსჯელი რაზმი „ლეგიონერები“ ველური ცინიზმით რომ ღრიალებდნენ: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა“-ო, არც ის უხამსობა გსმენიათ, საოჯახო ჭურჭლებით მათივე

პატრონებისათვის „მხედრიონული ღომის“ მირთმევას რომ აიძულებდნენ. ვაიქართველი ბარბაროსები, რომელთა მეთაურებმა შემდეგში გორგასლისა და ღირსების ორდენებით დაიმშვენეს მკერდი.

ბატონი ივანე ლექსს „მურმან ლებანიძისეულ პოეტებს“ — ასე ამთავრებს:

„აღარ იცით ისტორია,
თქვენისთანა ურიცხვია.
დამკვეთიც და ლებანიძეც
ბოროტი და უვიცია“.

უამრავი რეცენზიები უძღვნეს წიგნს გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

პოეტმა ვაჟა ეგრისელმა ასე დაასათაურა „საყურადღებო წიგნი“, რა ზედმიწევნით ზუსტი სათაურია, რომელიც ასე რიგად ესადაგება ამ წიგნს. ისტორიის მეცნიერებათა დოტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კლიმენტი შელია ასათაურებს: „რეცენზია ვანო (ივანე) მეგრელის (პაპავას) ნაშრომზე „აფხაზეთი — საქართველოა“.

მართლაც, რომ ნაშრომზე ამას არავინ უარყოფს.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნაპოლეონ ლემონჯავა კი წერს: „რეცენზია ვანო მეგრელის შრომისა „აფხაზეთი — საქართველოა“.

ნამდვილად ბატონო ნაპოლეონ, დიახ, სწორედ შრომის შედეგია ეს კარგი წიგნი.

პოეტს და მწერალს უჩა ზღვაპიჯელს სათაურად (იოანე — 8-32 „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლონ თქუენ“ წაუმძღვარებია.

პროფესიულ შეფასებას აძლევს, საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს

სოციალური და საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების კავშირის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი სერგო წურწუმია.

პოეტი და ამ წიგნის კორექტორი ანა ქველიძე თავის წერილს ასე ასათაურებს:

„აფხაზეთი — საქართველოა“
ეს სრული ჭეშმარიტებაა“.
ნამდვილად ქალბატონო ანა.

ბოლო ფურცელს აგვირგვინებს ბატონი სიმონ ზაქარაია.

ჟურნალისტი, ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი — „სამშობლოს სიყვარული მის სიძველეშია“. მართალია ეს რეცენზია დაწერილია პოემა „პრეისტორიული კოლხეთი“-ზე, მაგრამ ბატონ ივანეს ის ამ წიგნშიდაც მოუთავსებია. იგრძნობა, რომ ბატონი სიმონის დამოკიდებულება, მისთვის ძვირფასია. მე კი ამ რეცენზიას იმიტომ შევეხე, რომ მისი სათაური სამშობლოს სიყვარული მის სიძველეში ძალიან ესადაგება ბატონ ივანეს ამ წიგნსაც „აფხაზეთი — საქართველოა“.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი ნაპოლეონ ლემონჯავა წერს: „მწერლის ენა შეიძლება ზოგიერთს ხორკლიანი მოეჩვენოს“. მე ბატონ ნაპოლეონს კი არაფერს ვუსწორებ, ღმერთმა დამიფაროს, პირიქით, მე ენა ძალიან გლუვი და სრიალა მომეჩენა, იმიტომ რომ წაკითხვის დროს არსად არ წამიბორძიკებია, წიგნის კითხვა საღამოს დავიწყე და დილით, გამთენიისას დავასრულე. ბატონი ვანო, როგორც ვხედავ, შესანიშნავად ფლობს მტრის ენას. ჩემი სურვილია, რომ ეს წიგნი, თვითონ თქვენ თარგმნოთ რუსულად, რაც შეიძლება „ხორკლიანად“, რომ ყველა სიტყვა აბზაცის, თარიღის, წლების, საუკუნეების, ქართველთა

მიღწევების და მდიდარი ისტორიის წაკითხვისას ფეხში შეესოს, გული დაუკანკალოს, წაიბორძიკოს, დაეცეს, გაჩერდეს, გაიგოს ბოლოს და ბოლოს რა ისტორიის მქონე ერი ვართ, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, სად მივდივართ, გაიგონ, დარწმუნდნენ, ხელი არ შეგვიშალონ ამ თვითონ უთვისტომო ერმა. დაიმახსოვრონ!

ეს ნაშრომი დააინტერესებს ყველას, დიდ და პატარას, გახდება ყველა მამულიშვილის სამაგიდო წიგნი, მერწმუნეთ და ეს იქნება ალბათ იმ მოურჩენელი და მოუშუშებელი ტკივილის მალამო, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია.

და ბოლოს, ჩემი აზრით, უნდა ამოიბეჭდოს ამ წიგნიდან ის სიტყვები, რომელიც 1184 წელს სამეფო ტახტზე ასულმა თამარ მეფემ განუცხადა იქ დამსწრე ხალხს:

„შიშველი მოველ და შიშველადვე მეგულების განსვლათ ამიერ სოფლისა ყოველივე ქვეყნიური აქვე დარჩება, არ არის აქ ჩემი საკუთრო და სამეფო ჩემი კუთვნილება თქვენივე, მე ამამაღლა განგებამ მისთვის, რომ თქვენდა საკეთილდღეოდ აღვამაღლოთ სამეფო“...

ეს ამობეჭდილი კი გაეგზავნოს პარლამენტს, როგორც კი ჰიპოკრატეს ფიცი ისე წარმოთქვას ძველმა თუ მომავალმა პრეზიდენტმა.

ბატონო ივანე!
თქვენ ხართ „სიმართლის მხედარი“ — აი, ასე ჰქვია ამ რეცენზიას!

ლაშა ხაბაკაშვილი
ფაზისის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი



ავტობიოგრაფია

ივანე მეგრელი (ვანო პაპავა) დაიბადა ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ნაფიჩხუში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა 1947 წელს. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამთო ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის სპეციალობით.

განაწილებით გაგზავნილი იქნა ყირიმში, სადაც მუშაობდა რკინის მადნის კომბინატში — ენერგეტიკოსად 1952-1957 წწ.

1957-1967 წლებში მუშაობდა „ტყვარჩელნახშირის“ მთავარ ინჟინერ- ელექტრომექანიკოსად.

1967-1971 წლებში გადაყვანილ იქნა ქ.სოხუმის ფიზიკო-ტექნიკურ ინსტიტუტში (სფტი) ინჟინერ-ენერგეტიკოსად.

1971-1984 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ა/რ ბურღვა-აფეთქების სამუშაოების საწარმოს უფროსად.

1985-1992 წლებში გადაყვანილი იქნა აფხაზეთის ა/რ საქართველოს საზღვაო ნაპირების დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1994-1996 წლებში მუშაობდა მოსკოვის „სპეცჰ იდრომშენში“ უსაფრთხოების ტექნიკური ზედამხედველობის უფროს ინჟინრად.

არის მრავალი რაციონალური წინადადებების და გამოგონების ავტორი, დამსახურებული ინჟინერი, ომისა და შრომის ვეტერანი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

გამოცემული აქვს სამი პოეტური კრებული, ორი პროზაული ნაწარმოები და წინამდებარე წიგნი — „რელიგიის ფილოსოფია“. არის საქართველოს ეროვნული აკადემიის, აკადემია „ფაზისის“ და „ქალდეა“-ს ნამდვილი წევრი — აკადემიკოსი.

2006 წლიდან საქართველოს ეროვნული და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრი – აკადემიკოსი. ამავე დროს არჩეულია აფხაზეთის კაზაკთა გეტმანთა საბჭოს წევრად. მიენიჭა წოდება გენერალ-მაიორი.

2009წ. დაჯილდოებული იქნა მეშახტის პირველი ხარისხის ორდენით. 2010 წელს კი დაჯილდოვდა მშვიდობის ოქროს ვარსკვლავით და დროშით, „დიოსკურია“ 2005-ის № 12 განკარგულებით. 2011 წელს არჩეული იქნა საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტის თანაშემწედ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რელიგიის ფილოსოფია 3
სული 9
ბუნებრივი თვისებები 10
შეგრძნება 14
მჭვრეტელი ცოდნის შინაარსი 16
თვითგრძნობა 17
ნამდვილი სული 18
ცოდნა, ანუ ინტელექტუალობა 21
გონი 25
ობიექტური გონი 26
აბსოლუტური გონი სუბსტანციაა 27
გამოცხადებული რელიგია 28
რელიგიიდან წარმოიშვა ფილოსოფია
და თეოლოგია 30
ცნებათა შემეცნება 31
ებრაული ფილოსოფია 34
არაბული ფილოსოფია 36
ქრისტიანული ფილოსოფია 40
წიგნი — „ბენეფიციუმი“ 56
სამაგიდო წიგნი 61
დიდი მკვლევარი 63
საინტერესო ინფორმაციის შემცველი ისტორია 64
იშვიათიო ნაშრომი 68
წინ წარსულისაკენ 70
ბრწყინვალე წიგნი 74
მომავლის წიგნი 76
დიდი შემოქმედი 77
ღვთიური სული და პედაგოგიური მეცნიერების
როლი ახალი თაობის აღზრდის საქმეში 85

ეკლესია 96
ადამიანის სული უკვდავია 98
პოეტი-აკადემიკოსი, აკადემია
„ქალდეას“-ს პრეზიდენტი ვაჟა ეგრისელი -70 105
ვაჟა ეგრისელი „კოლხური ფსალმუნები“ 109
ქართველი და უცხოელი პოეტები ვაჟა ეგრისელს 113
დიდ პოეტებს — გვირგვინოსნებს 117
„კოლხური ფსალმუნები 119
აკაკი შენგელია (უჩა ზღვაპიჯელი) -80 143
ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი 145
ვალერიან ღვინჯილია — 80 149
რამინ ქეცბაია — 80 156
ომი აფხაზეთში 161
ნიკოლოზ მალაშხიას 167
იასონ პაპავას 169
ალიოშა ქომეთიანი — 80 171
ველოდი გოგუა — 80 172
ბუხუტი ცქვიტაიას 173
ფაზისის მეცნიერებათა უძველესი აკადემიის
პრეზიდენტს ბ-ნ ნუგზარ ნადარაიას 174
სიმონ ზაქარაია — 70 175
ვლადიმერ ვახანიას 177
აკადემიკოს კლიმენტი შელიას 178
ვლადიმერ რამიშვილს 179
ჩხოროწყუს (ცხრა წყაროს) 180
დიდება უფალს 182
ან მარე და აიეტი 183
ვაჟა ეგრისელს ჩვენი დროის დიდ მგოსანს 185
მზიური პაპასკუა — 50 186
რაა სიცოცხლე 187
რაა მარადისობა 187

რაა მარადიულიც 187
ოდაბადე! 188
ციხე „ჯიბერი“ 189
იწრუწუნონ წრუწუნებმა (რევაზ მიშველაძეს) 190
აფხაზეთიდან დევნილებს 191
შოთა ეგრისპირელი — ხოჭავა — 90 192
წიგნი „შეუბღალავი მანდილი“
სიმონ ზაქარაიას 193
როინ ნაჭყებიას 194
მურმან ლებანიძის ლექსი 195
პეტრე შარიას 198
პოეზია 199
თბილისის მერს ბატონ გიგი უგულავას 200
ფსალმუნი 201
გენერალ-ლეიტენანტი — სერგო წურწუმია — 70 202
ლევან პაპასკუა —ლექსები და მოთხრობები 203
მოგზაური 205
ორი ძალა 207
მთელი ცხოვრება ჩვენი — ომია 208
ფიქრები 209
ყოფა ეგ ჩვენი ომია მხოლოდ 210
რა ვაკეთოთ! 211
მოკლედ ერთ ჭეშმარიტებამდე 212
ახალი სამყაროსკენ 214
რატომ მოგვწონს ზღაპრები ასე? 216
დედამიწაზე უცხოპლანეტელების სასაფლაო იპოვეს 226
ტომები დროპა 227
გამოცანა მუმია 229
გივი ხაზალიას სტატია: „პირველყოფილი სამყარო,-
ზეციური თვითგანვითარებადი სისტემა თანამედროვე
სამყარო“ 231
პეტრე I სამეფო ანდერძი 234

ინგლისი 237
ივანე პაპავა, სახალხო მედიცინა 239
შესავალი 241
თიხით მკურნალობა 248
გამოძახილი ინჟინერ ი.პაპავას წინადადებაზე 255
რეცენზიები ივანე მეგრელის შემოქმედებაზე 257
რეცენზია ვანო მეგრელის ნაშრომზე
„აფხაზეთი — საქართველოა“ 260
სამშობლოს სიყვარული მის სიძველეშია,
ვანო პაპავას პოემა - „პრეისტორიული კოლხეთი“ 264
ივანე მეგრელის 80 წლისთავთან დაკავშირებით ღირსეული
ქართველის და შემომქმედის პატივსაცემად 266
რეცენზიის მაგიერ 268
ივანე მეგრელი (გრიგოლ შარია) 271
ივანე მეგრელი (გია კვაშილავა) 273
რედაქტორისაგან 274
ვანო მეგრელს - ელისო ფიჩხაია 277
ვანო მეგრელს - გულნაზი ხარაიშვილი 278
ვანო მეგრელს -ვახტანგ თორაძე 283
ეს წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს
„სიმართლის მხედარი“ — ლარისა ხაჭაპურიძე 285
ავტობიოგრაფია 299

ი ვ ა ნ ე მ ე გ რ ე ლ ი

„რ ე ლ ი გ ი ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა“

IVANE MEGRELI
Philosophy of Religion

გამომცემლობის რედაქტორი მამა დიმიტრი (ლევან ჩოხელი).
საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

მხატვარი შარაბ ხოჯოლავა
აკადემია „ქალდეას“ ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

მხატვრული რედაქტორი სიმონ ზაქარაია
აკადემია „ქალდეას“ ვიცე-პრეზიდენტი.

კორექტორი ანა ქვილიძე
პოეტი, „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა ია ნანობაშვილი
ფილოლოგი.

თბილისი
2012